ნესტან კვეიძე

ლაქაები ფურცლებზე წაშესულიყვნენ...

2008 წ.

წინასიტყვაობის მაგიერ

„ლამაზი ფურცლები წარსულიდან“—იმ მოგონებათა მცირე ნაწილთა კრებულია, რომელიც შემორჩა ჩემს მეხსიერებას, თუმცა, ნამდვილად დასანანი და სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი უკვე წარსულია და აღარასოდეს განმეორდება, რის გახსენებაზეც ბევრჯერ გვიცინია კიდეც და რაც დღეს ლამაზ სევდას იწვევს იმ ადამიანებსა და მათ ურთიერთობებზე, რითაც ჩვენი ქალაქი გამორჩეული და სამაგალითო გახლდათ, გახლავთ და მიხარია, რომ ეს ტრადიცია, ჯერაც არ გამქრალა და დღესაც გრძელდება. ალბათ, ყველაფერმა ამან მათქმევინა ქუთაისისადმი მიძღვნილ ლექსში ეს სტრიქონები:

„ქუთაისი ისევ რჩება, უქართულეს ქალაქად.

პოეზიის, სიმღერისა და იუმორის ალაგად“...

ყველა ადამიანი კი მოგონებებით ცხოვრობს სიცოცხლის ბოლომდე, მაგრამ წარსული ბევრ ისეთ რაიმეს ინახავს, რაც უნდა იცოდეს მომდევნო თაობებმაც მათ წინაპრებზე, რომლებიც ჩვენს ერს ნამდვილად ეამაყება.

რა თქმა უნდა, სრულად არც მე და არც სხვას არ ძალუძს ყველაზე და ყველაფრის ერთად თავის მოყრა და გადმოცემა, მაგრამ სულ ესაა, რაც კი შევძელი მომეტანა თქვენამდე, განსაკუთრებით კი თქვენთვის მომინდვია.

უღრმეს მადლობას ვუხდი ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მმართველს ბატონ გიორგი სიხარულიძეს, როგორც მორალური, ისე ფინანსური მხარდაჭერისა და დახმარებისათვის, რომელმაც გადამაწყვეტინა ეს ლამაზი ფურცლები წარსულიდან წიგნად ამეკინძა და თქვენამდე მომეტანა, ჩემო მკითხველო.

ნესტან კვეიძე

მარადიული ვარსკვლავი

ნატა ვაჩნაძე

ჩვენმა საზოგადოებამ ზეიმით აღნიშნა ქართველი კინოვარსკლავის, ულამაზესი ქალბატონის, ნატო ვაჩნაძის დაბადების 100 წლის იუბილე.

დავცქერი 1976 წლის 2 სექტემბრის გაზეთ „თბილისს", რომლის ფურცლებს უკვე ფერი უცვალიათ, მაგრამ მარად გაუხუნარი რჩება ამბავი, რომელსაც ამქვეყნად იმ გაზეთში ჩემს დასთან—კირასთან ინტერვიუში იხსენებს ცნობილი ქართველი მეზღვაური, შორეული ნაოსნობის კაპიტანი და მწერალი ბატონი ვახტანგ ბარათაშვილი. ბატონ ვახტანგს ჰქონია ბედნიერება, სამჯერ შეხვედროდა მსოფლიოს კინოს დიდოსტატს ჩარლი ჩაპლინს, რომელსაც პირველივე შეხვედრაზე, შეუტყვია თუ არა ბატონი ვახტანგის ეს ვნება, უკითხავს, როგორ ბრძანდება მომაჯადოებელი ნატო ვაჩნაძეო, და დიდი სინანული გამოუთქვამს, რომ საშუალება არ მისცემია, მისი მონაწილეობით ყველა ფილმი ენახა. ჰოდა, ამის შემდეგ მე რაღა უნდა ვთქვა ისეთი, რაც არ თქმულა და არ დაწერილა ამ დიდებულ შემოქმედზე, მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ რომ ვნახე ჩემს სიცოცხლეში და ისიც ბავშვობაში.

50-იანი წლები იქნებოდა, იგი ქუთაისში გახლდათ ჩამობრძანებული და „დეკაში"—ყოფილ ოფიცერთა სახლში გამართულ საღამოზე—სცენაზე გამოსვლისთანავე მთელი დარბაზი ფეხზე დამდგარი შეეგება მქუხარე ტაშით, რაც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა.

კარგად მახსოვს, მან წაიკითხა აკაკი წერეთლის ლექსი „აღმართ-აღმართ"... ისიც კი კარგად მახსოვს, რომ მისთვის განკუთვნილი

ყვავილების თაიგული ვერც მაშინ და ვერც შემდეგ, როცა იგი დედაჩემს, ჩემს და, ქალბატონ მერი ასათიანსა და გარშემორტყმულ სხვა თაყვანისმცემლებს თავისი მომხიბვლელი ღიმილით ესაუბრებოდა, ვერ მივარითვი, მაგრამ მერე თვითონ მოვიდა ჩემთან სიცილით, მაკოცა და მიმიხუტა.

თავბრუდახვეული ვიყავი. ქალბატონ ნატოს ხალხი გარს ეხვეოდა—ალბათ, სურათებისა და ავტოგრაფებისათვის, მე კი ეს ყველაფერი ახლაც სიზმრად ნანახი მგონია.

როცა 1978 წლის 29 ნოემბერს ბატონმა ელდარ შენგელაიამ ფილმის „სამანიშვილის დედინაცვლის" პრემიერა ქუთაისში გამართა, ჩვენს ძველ ხის სახლში სტუმრებს შემოუძღვა ჩემი და კირა, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... მე წვია ფიფქის მთელი გადამღები ჯგუფი: სცენარისტი რეზო ჭეიშვილი, ოპერატორი ლომერ ახვლედიანი, მხატვარი ბორის ცხაკაია, მსახიობები: იმედო კახიანი, ვასო კახნიაშვილი, ფილმის დირექტორი ვაჟა ბასილაია და სხვები. ვიღაცამ ნარდი მოიძებნა, ვიღაცამ ფორტეპიანო ააყღერა და სიმღერა წამოიწყეს, მე სუფრას ვშლიდი, ბატონი ელდარი ყურადღებით უსმენდა დედაჩემს, რომელმაც მას აჩვენა ნატოს ნაჩუქარი სურათი, სადაც იგი გიულის როლშია გადაღებული.

ეს ფოტოსურათი დედას, სიკვდილამდე თავის საწოლთან ახლოს, კედელზე ჰქონდა მიმაგრებული ჭიკარტით, ჭიკარტის ნაკვალევი, თუ დააკვირდებით, შეამჩნევთ, რომ ახლაც კარგად აჩნია...

უფრო გვიან კი, ერთ დღეს, ილო ფოტოგრაფმა ერთი სურათი მომიტანა შინ და მკითხა, თუ იცი, ვინ არის ეს, ქალბატონო.

მე მაშინვე მივხვდი, რომ ეს ნატო ვაჩნაძის დღემდე უცნობი ცხოვრებისეული ფოტო იყო, მაგრამ მაინც ვაჩვენე რეზო ჭეიშვილს და როცა ჩემი აზრი იმანაც დაადასტურა, შემდეგ გავუგზავნე ბატონ ელდარს.

ყველაფერ ამით კი იმის თქმა მინდა, რომ ქალბატონ ნატოს ქუთაისშიც ჰყავდა მეგობრები, მათ შორის გახლდათ მისი პირველი პარტნიორი და პირველი არსენა ქართულ ეკრანზე, ბატონი გრიგოლ ჩეჩელაშვილი. კინოფილმის შესახებ, მის შექმნის 55-ე წლისთავის გამო, მე ვრცელი სტატიები გამოვაქვეყნე 1979 წელს, გაზეთ „ქუთაისში" და ჟურნალ „კინოში". ჩემს სტატიებს მაშინვე გამოეხმაურა პრესით კინომცოდნე ალექსანდრე გვერდწითელი, ხოლო ტელევიზიით კი

პროფესორი გოგი დოლიძე. კინომატოგრაფისტებმაც დაადასტურეს და დააზუსტეს მასალის სიმართლე და ისიც, რომ გარდა ქართული ფილმისა, „მოსფილმსა“ და „უზბეკფილმშიც“ შეუსრულებია გრიგოლ ჩეჩელაშვილს როლები.

ცნობილია, რომ ქალბატონ ნატოს თავის პირველ პარტნიორთან და მის ოჯახთან კეთილი, მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა, რაზეც მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ გრიგოლ ჩეჩელაშვილის ერთადერთი ვაჟი, პატარა ოთარი (შემდგომში ცნობილი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი) ნატო ვაჩნაძეს მოუნათლავს სხვებთან ერთად მცხეთაში, რაც მათ შთამომავლობას დღემდე ეამაყება.

გადაივლის ჟამთა კორიანტელი და ნატო ვაჩნაძე, ეს ლეგენდადქცეული მარადიული კინო-ვარსკვლავი კვლავაც ჩაუქრობლად იციმციმებს არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიოს კინოხელოვნების ცის კაბადონზე

1978 წლის 30 ნოემბერი. კინო-პრემიერაზე „სამანიშვილის დედინაცვალი“. მარცხნიდან: თინათინ ღვინიაშვილი, ნესტან კვეიძე, ოპერატორი ლომერ ახვლედიანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი რეჟისორი ელდარ შენგელაია, იმედა ქახიანი და მწერალი რეზო ჭეიშვილი

პირველი „არსენა“ ქართულ ეკრანზე

ქართული საზოგადოებრიობისთვის დიდი ხანია ცნობილია არსენას, როგორც სახალხო გმირის, სამართლიანობისთვის მებრძოლი ადამიანის სახე, რომელმაც არა ერთი შემოქმედის, მწერლის, მხატვრისა თუ მოქანდაკის ნამუშევარში ჰპოვა სიცოცხლე. არაერთი მსახიობის საოცნებოდ ქცეულა არსენას როლიც.

ეკრანზე დიდი პოპულარობა და სიყვარული წილად ხვდა სპარტაკ ბაღაშვილის მიერ შექმნილ არსენას სახეს (ფილმი „არსენა“, 1937 წ. რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი). მაგრამ ქართველ კინემატოგრაფისტებს 14 წლით ადრეც უცდიათ ბედი და შეუქმნათ ფილმი არსენაზე. ეს იყო 1923 წელს გამოშვებული კინოსურათი „არსენა ყაჩაღი“. მისი სცენარის ავტორი და რეჟისორი იყო ვ. ბარსკი, ოპერატორი— ა. დიღმელოვი, მხატვარი—ვ. სიდამონ-ერისთავი.

როგორც კინონაწარმოების სათაური მიგვანიშნებს, ფილმი ქართული ხალხური თქმულების საფუძველზეა შექმილი. ეს იყო არსენას პირველი ეკრანიზაცია, სადაც არსენას როლს თამაშობდა ქუთაისელი ჭაბუკი გრიგოლ ჩეჩელაშვილი. ამ ფილმში პირველად გამოჩნდა ქართული კინოხელოვნების მომავალი ვარსკვლავი, ცხრამეტი წლის ნატო ვაჩნაძე, რომელიც ნენოს როლს ასრულებდა.

ქუთაისში, უფროსი თაობის წარმომადგენლებს, დღესაც კარგად ახსოვთ ახოვანი, მოხდენილი ვაჟკაცი გრიგოლ ჩეჩელაშვილი. იგი კარგად მღეროდა, ცეკვავდა, უკრავდა ხალხულ საკრავებზე და ერთ დროს, კონსერვატორიაშიც უსწავლია. სწორედ თბილისში სწავლისას გრ. ჩეჩელაშვილი რეჟისორ ვ. ბარსკის მიუწვევია თავის ფილმში მთავარი როლის შესასრულებლად. გრიგოლს არსენას როლის განსახიერებით მაყურებლის ყურადღება და სიმპათია დაუმსახურებია. ამას ადასტურებს მაშინდელი პრესა. 1924 წელს ჟურნალ-გაზეთებში („ხელოვნების დროშა“, 3 ივნისი, №1; გაზეთი „პრავდა“, 7 ივნისი; „კინოგაზეტა №30) გამოქვეყნებული რეცენზიები.

აი, რას წერდა გაზეთი „კომუნისტი“ „არსენა ყაჩაღის“ შესახებ:

„ჩვენმა სახელმწიფო კინომრეწველობამ გარკვეული ხაზი აიღო თავის მუშაობაში—სხვა ნაწარმოებებთან ერთად ხალხური ლეგენდებისა და გმირების გასურათება, რითაც უფრო ახლოს დადგება ჩვენი კინომრეწველობა ფართო მასასთან. რაც უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს ის ფართო მასისი ცხოვრებას, მით უფრო გამართლებული იქნება მისი დანიშნულება. ასეთ გამართლებად ამჟამად უსათუოდ უნდა ჩაითვალოს მისი ბოლო სურათი „არსენა ყაჩაღი", რომლის წინასწარ დათვალიერება მოხდა 3 მაისს. უნდა აღინიშნოს, რომ რეჟისორ ვ. ბარსკის სწორად გაუგია ხალხური თქმულება არსენას შესახებ. ამ სწორი გაგებიდან გამომდინარეობს სცენარის გაშლა და გაფერადება.

ძლიერ ლამაზადაა დადგმული თავადის ქეიფობა, მოხდენილია არსენას სიზმარი. მოთამაშეებში აღსანიშნავია თვით არსენა (გრიგოლ ჩეჩელაშვილი) და ნენო (ნატო ანდრონიკაშვილი-ვაჩნაძისა)..."

გრიგოლ ჩეჩელაშვილი არსენას სრულ განსახიერებას იძლევა. მას ამისათვის გარეგნობაც უწყობს ხელს".

გაზეთ „ჩირაღდანში (№11 1924 წ.) კი ი. ხინველი წერდა:

„გ. ჩეჩელაშვილი (არსენა) იძლევა სცენარის მიერ მოცემული არსენას იდეალურ განსახიერებას, რამაც მოლოდინს გადააჭარბა. მისი თამაში ისეთი ცხოველი და მგზნებარე არის, რომ დარბაზი ხშირად უკრავს ტაშს (ყაჩაღებთან შეხვედრა, აბანოდან გამოპარვა), ხოლო ანდრონიკაშვილი-ვაჩნაძისა, რომელიც მალე შეიქმნება ქართული ეკრანის კარალევა, ყველა სცენაში უნაკლოა".

გ. ჩეჩელაშვილს ამის შემდეგ რამდენიმე კინოფილმში კიდევ უთამაშია. ეს დაზუსტებას მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ გ. ჩეჩელაშვილის ერთად-ერთი ვაჟი, ოთარ ჩეჩელაშვილი, დიდი სამამულო ომიდან საბჭოთა კავშირის გმირად დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს.

ჟურნალ „ახალი ფილმების" 1972 წლის მერვე ნომერში კინოლექსიკონის განყოფილებამ ცალკე სტატიად დაბეჭდა ცნობები „არსენა ყაჩაღის" შესახებ. სტატიას ახლავს სურათი, რომელზედაც აღბეჭდილია გრიგოლ ჩეჩელაშვილი.

მისასალმებელია, რომ ქართული კინოხელოვნების ისტორიას უვლის და პატივს სცემს იმ ადამიანებს, ვისაც ღვაწლი უდევს ჩვენი კინოხელოვნების განვითარების საქმეში.

ახმეტელის კოცნა

ვუძღვნი ნუცა ქაჯაიას ხსოვნას

უფროსი კოლეგის სანახავად წავედი. წინა დღეებთან შედარებით უფრო მისუსტებული მეჩვენა. ჩემი სტუმრობით გაიხარა. ვანუგეშე, მაგრამ ეტყობოდა, უფრო მეტს თვითონ ხედავდა და გრძნობდა. ვიფიქრე, საუბარმა არ დაღალოს-მეთქი და წასვლა გადავწყიტე, მაგრამ მთხოვა, მოიცადე, რაღაც უნდა გიამბოო და...

—მაშინ, ჩვენ, უბრალოდ, თეატრალური ხელოვნებით გატაცებული, სრულიად ახალგაზრდები ვიყავით. პავლე კანდელაკმა მოგვიყარა თავი და პატარა დრამწრის ჩამოყალიბებას შეუდგა, მაგრამ ქალი სცენისმოყვარე, ჩემს გარდა, არავინ გამოჩნდა, ოთხ ვაჟთან—მიშა ბაბალოვთან, კობა ვადაჭკორიასთან (და იმ ორის გვარი კი აღარ მახსოვს) ერთად, მარტო დავრჩი. ჩვენი ხელმძღვანელიც იძულებული იყო, რეპერტუარი ისე შეადგინა, მხოლოდ ერთი ქალი ყოფილიყო საჭირო.

არჩევანი სკეტჩებზე შეჩერდა და მართლაც მომზადდა საათნახევრიანი პროგრამა. ამ პროგრამით მოვიარეთ ქალაქის თითქმის ყველა დაწესებულება და ახლო რაიონები.

1937 წელი იყო და ხანდახან ისე ჩამთავრდებოდა კონცერტი, ტაშს დასასრულს თუ გავიგონებდით მარტო. ზოგს გაცინების ეშინოდა, ზოგს —არა. ერთი კია, დარბაზი სულ სავსე იყო, რაღაცაზე დანატრებული ადამიანებით და კონცერტის დასასრულს ტაშს არ იშურებდნენ.

ძია პავლე ცდილობდა, სადაც კი შეიძლებოდა, კონცერტი გაემართა.

ერთ ზამთრის ცივ დღეს გამოგვიცხადა:

—ხვალ ციხეში გვექნება კონცერტი!

ციხის ხსენებაზე უსიამოვნო განწყობა დაგვეუფლა, მაგრამ რაღაც საინტერესო მაინც იყო, თუნდაც ის, როგორ მიგვიღებდნენ, ანდა რა მოეწონებოდათ და რა არა, ჩვენს თამაშში.

მთელი ღამე ვერ მოვისვენე. მეორე დღეს ჩვენი რეკვიზიტითა და ბარგი-ბარხანით ვეება რკინის კარებთან ვიდექით. ცოტა ხანში კარი ისეთივე ხმაურით ჩაიკეტა, როგორც გაიღო და რაღაცნაირმა სიცივემ ამიტანა...

გაგეჩხრიკეს თავიდან ფეხებამდე; სიმწრით შეგროვილი რეკიზიტი ბრახა-ბრუხით ცვიოდა აქეთ-იქით. ისევ ჩვენ მოვუყარეთ თავი, ჩავალაგეთ და მალე დარბაზი, ოდნავ ამაღლებული უფარდო ადგილისკენ გავიშურეთ, რომელსაც სცენის მაგივრობა უნდა გაეწია ჩვენთვის.

საოცარი, რაღაცნაირად მოწყურებული და დანატრებული თვალები ჰქონდა ჩვენს მაყურებელს. მისი მსგავსი, დღემდე სცენაზე ვარ და, არ მიხილავს. გულისყურით გვისმენდა ყველა. თავისუფლად, უშიშრად იცინოდნენ და ამან გაგვამხნევა, უცნაურად ვთამაშობდით, უფრო თამამად, გრძნობით. ტაშიც არ დაიშურეს ბოლოს...

როცა ყველაფერი დასრულდა, ჩვენთან ამოსულმა უფროსმა ყველას სათითაოდ ჩამოგვართვა ხელი, მადლობა გადაგვიხადა, რასაც, ჩვენის მხრივ, ძია პავლემ უპასუხა მადლობითვე და გულთბილად დაემშვიდობა ყველას.

მაყურებელმა დაშლა დაიწყო; იარაღშემართული ზედამხვედველები მიაცილებდნენ, ისინი კი ჩვენსკენ ნახევრად მზერამოქცეულები ტოვებდნენ დარბაზს.

რეკვიზიტისა და ბარგი-ბარხანის ჩალაგება დავიწყეთ. ძია პავლეც გვეხმარებოდა.

—პავლე!—მოგვესმა და დავინახეთ, რომ ჩვენსცენ ვიღაც ლამაზი კაცი მოაბიჯებდა ზედამხვედველთან ერთად.

—უი, სანდრო!—თქვა წყნარად, ყოველგვარი ემოციის გარეშე ძია პავლემ, მაგრამ მოახლოვებულს მაინც გადაეხვია და მერე კი ჩვენი თავი გააცნო. სანდროდ წოდებულ კაცმა ყველა შეგვაქო, მერე მე ხელი მომხვია, მაკოცა და მითხრა:

—შენ რა კარგი გოგო ყოფილხარ, შვილო! კარგი კი არა, ძალიან კარგი!—ხელზე მაკოცა თავდახრილმა. უცებ ვიგრძენი, ხელი ჩემი ფეხისაკენ გააცურა და „ვალინკში“ რაღაც ქაღალდი ჩასრიალდა, ისე, რომ არავის დაუნახავს, არც ჩემს ხელმძღვანელს.

მე გავქვავდი. შემდეგ იგი ხელახლა გამოგვეთხოვა და დარბაზიდან გასულ პატიმართა ჯგუფს შეუერთდა თავის ზედამხვედველიანად.

გარეთ გამოსულები მანქანაში მოვთავსდით თუ არა, ძია პავლე ჩემს გვერდით დაჯდა, მერე „უნებურად“ ძირს დავარდნილი „ვალინკიდან“ ყველას შეუმჩნევლად ის ქაღალდი ამოაძვრინა და ჯიბეში ჩაიდო.

როცა ჩემს ბინასთან შევჩერდით, ხელჩანთის გადატანაში წამეშველა, ჭიშკრამდე მიმაცილა ხელმოხვეულმა და ხმადაბლა მითხრა!

—ყოჩაღ შენ! შენ, მართლა კარგი გოგო ხარ, შვილო!

თავი უფრო დავხარე.

—ისე, იცოდე! ის კაცი ცნობილი რეჟისორი სანდრო ახმეტელი იყო, მაგრმ ხომ იცი!—მითხრა და საჩვენებელი თითი ტუჩებზე დაიდო.

მაშინ მივხვდი ყველაფერს! ვინ იცის, რამდენი იწვალა ჩვენმა ხელმძღვანელმა, რომ მოეხერხებინა ციხეში კონცერტის ჩატარება, რათა სანდრო ახმატელს შეხვედროდა და წერილი მისიანებისთვის მიეტანა...

გავიდა დრო.

ჩემს კოლეგებთან, თვით ძია პავლესთან ბევრჯერ მითქვამს თავმომწონედ, სანდრო ახმატელმა მაკოცა-მეთქი.

ალბათ, სიზმარშიო,—მეუბნებოდნენ სიცილით, რადგან ყველას ხუმრობა ეგონა და არ სჯეროდათ.

ერთხელ ძია პავლე მოხუცებულობაში ვინახულე და ეს ამბავი მოვაგონეთ.

—ეჰ, ჩემო კარგო! ბეწვზე გადარჩი მაშინ. მარტო შენ კი არა, ყველანი ბეწვზე გადარჩენილები ვართ, რომ აღარ გაგვჩხრიკეს გამოსვლისას.

მერე კიდევ გავიდა დროს, თეატრალური ინსტიტუტი დავასრულე თუ არა, სამუშაოდ ქუთაისში გამანაწილეს. ერთხელ, შემთხვევით, ჩვენს მეზობლად მცხოვრები მსახიობი ქალის ფოტოებში წავაწყდი სანდრო ახმეტელის სურათს, დიდხანს დავცქეროდი, გავიხსენე ყოველივე და სწორედ იმ ქალბატონთან დამცდა პირველად ამ შემთხვევის ამბავი. ჩემი უფროსი კოლეგა, თინათინ ღვინიაშვილი, თელავიდან გახლდათ და პირდაპირი თქმა იცოდა.

—შვილოსან! ე მანდ ენას კბილი დააჭირე, ეგ არავის უთხრა, თორემ...—გამაფრთხილა, რადგან ბევრი რამ საკუთარ თავზედ ჰქონდა დაცდილი, ხოლო მისი და, თურმე, სწორედ ახმეტელთან ერთად დაუჭერიათ და გადასახლებაში მყოფს, მხოლოდ გვიან მოუწია რეაბილიტაციამ, იქიდან დაბრუნებული კი მალე გარდაიცვალა კიდეც

—მე ახლაც სიამაყით ვიგონებ იმ ამბავს, რომ ერთხელ მაინც ვნახე ჩემს სიცოცხლეში ეს ლეგენდარული ხელოვანი, საოცარი ხელოვანი,

საოცარი რეჟისორი, რომლის კოცნაც კი დავიმსახურე უბრალო კონცერტის მონაწილე, ახალგაზრდა სცენისმოყვარე გოგონამ. მინდოდა, ეს შენც გცოდნოდა და იმიტომაც გიამბე, შვილო!

იმ ღამესვე ეს ყველაფერი დავწერე და მეორე დღეს მისკენ გავეშურე, რომ წაეკითხა ხსოვნას შემორჩენილი ერთი ლამაზი, გადაყვითლებული ფურცელი და, თუ კი, რა თქმა უნდა, ნებას მომცემდა, გამოვაქვეყნებინ კიდეც.

ეზოში შეს[illegible] [illegible] თავმოყრილი მეზობლები დავინახე, მივესალმე თუ არა, ერთი გეკითხეთ მათ და წყნარად მითხრა:

—შენ სახლში არც კი იქნებოდი მისული, რომ ნუციკო გარდაიცვალა!..

მომღერალი თავადი კოწია

შალვა დადიანის პიესა „გუშინდელნი", ქართული კლასიკური დრამატურგიის ბრწყინვალე ნიმუში გახლავთ, რომელმაც თითქმის ყველა თეატრის სცენაზე იპოვა სიცოცხლე და კვლავაც მრავალჯერ მოუბრუნდებიან მას რეჟისორები დასადგმელად და სავსებით ბუნებრივია, რომ ქუთაისის თეატრი გახლდათ გამონაკლისი, რომელიც არაერთხელ მიუბრუნდა შ. დადიანის დრამატურგიას.

ჯერ კიდევ 1923-25 წლებში იდგმებოდა ეს პიესა და ამ სათეატრო სეზონშივე 4 დეკემბერს, როცა შ. დადიანის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე გაიმართა ქუთაისში, სწორედ მაშინ იქნა წარმოდგენილი შ. დადიანის „გუშინდელნი", რომელშიც მაზრის უფროსი თვითონ იუბილარს შეუსრულებია მოხდენილად, რაზეც მაშინდელი პრესა ასე გამოეხმაურა წარმოდგენასა და საერთოდ, ამ საღამოს გაზეთი „მუშა და გლეხი" წერდა:

„შალვა დადიანი ცნობილია ჩვენში, როგორც ნიჭიერი ბელეტრისტი, დრამატურგი და მსახიობი. მისი სახელი საკმაოდ პოპულარულია და მას განსაკუთრებით აფასებს მშრომელი ხალხი. ამიტომაც გასაგებია ის მხურვალე თანაგრძნობა და სიყვარული, რომლითაც მის იუბილეს შეხვდა ქუთაისის საზოგადოება. თეატრი სავსე იყო ხალხით"...

1938 წელს კი დაარსდა ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომლის რეპერტუარს დაარსებიდან ამშენებდა ეს პიესა.

მე პირადად კარგად მახსოვს შალვა ხონელის კოწია, ნინო წინამძღვრის—ფოფოდია, გრიშა ნაცვლიშვილის—მაზრის უფროსისა და თინათინ ღვინიაშვილის—ჩიტუნია.

ამ პიესის 60 წლებში მოუბრუნდა თეატრი და მახსოვს კარგად აკაკი ვასაძის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული თავადი კოწია; შემდგომ ვნახე ბატონი თემურ ჩხეიძის დადგმული „გუშინდელნი" ახლებურად, განუმეორებელი, შესანიშნავი რეჟისორული გადაწყვეტითა და არაჩვეულებრივ მსახიობთა ანსამბლით რუსთაველის თეატრში.

1994 წელს ჩვენი თეატრი კვლავ მოუბრუნდა ამ პიესას და „გუშინდელნი" რეჟისორმა კახა გოგოლაშვილმა კიდევ ერთხელ მოგვცა საშუალება სცენაზე გაცოცხლებულიყო ეს პიესა, რომელშიც მეფოფოდიას სიყვარულით ვთამაშობდი. კოწიას კი შესანიშნავად ასრულებდა ანზორ ხერხაძე და რაოდენ სასიხარულოა, რომ ამ პიესის ისევ ახალ სიცოცხლეზე მუშაობს სწორედ ახლა, ისევ ჩვენი თეატრი, რომელსაც დგამს ბატონი გიორგი სიხარულიძე და მიხარია, რომ მექნება შესაძლებლობა, ახლებურად, კიდევ ერთხელ ვნახო გაცოცხლებული ეს შესაშნავი დრამატურგული მასალა.

ახლა კი მე მინდა გიამბოთ ერთ-ერთ კოწიაზე, რომელიც ვნახე, მართალია, მაშინ პატარა გახლდით, მაგრამ როგორც დამამახსოვრდა, ის შთაბეჭდილება მინდა გადმოგცეთ.

ეს იყო 50-იანი წლები, მაშინ თეატრს ბატონი დოდო ანთაძე ხელმძღვანელობდა და რეპერტუარს „გუშინდელნი" ამშვენებდა და როგორც მოგახსენებთ, თავად კოწიას—შალვა ხონელი თამაშობდა.

კვირა დილის გათენებას ყოველთვის სიხარულით ველოდი, რადგან ვიცოდი, რომ დედა აუცილებლად დილის წარმოდგენაზე თეატრში წამიყვანა, საღამოობით, როგორც მოგეხსენებათ 16 წლამდე ბავშვების დასწრება აკრძალული იყო.

თურმე ბატონ დოდოს, მიშა გელოვანი მიუწვევია ქუთაისში სპექტაკლში „გუშინდელნი", კოწოს როლის შესასრულებლად, რაზეც ბილეთები წინასწარ გაყიდულა და ერთ შაბათ საღამოს დედა და ჩემი და კირა, წავიდნენ თეატრში. საღამოს წარმოდგენებზე 16 წლამდე ბავშვების დასწრება არ შეიძლებოდა თეატრში და ამიტომაც შემპირდა დედა, დილის წარმოდგენაზე წაგიყვანო.

მართალია, მე ჯერ სრულწლოვანი არ ვიყავი, მაგრამ მიშა გელო-

ვანის სახელი უკვე ჩემთვის ნაცნობი იყო კინო-ფილმებიდან „ფიცი“ სტალინის როლში და ძალიან გავიხარე, რომ კვირა დილით სცენაზე ვნახავდი სტალინის როლის შემსრულებელს, ამ სახელოვან მსახიობს.

კვირა გათენდა თუ არა, რაც საათს შევყურებდი, ვიცდიდი, როდის დადგებოდა თეატრში წასვლის დრო.

ვნახე სპექტაკლი და კარგად მახსოვს, გამოჩნდა თუ არა ბატონი მიშა სცენაზე, ატყდა ოვაცია და ტაშის ხმა გაისმა. ჩაწყნარდა ხალხი და მიშა გელოვანმა აიღო ბანტიანი გიტარა, ცალი ფეხი სკამზე დადგა, მოხარა და იმღერა, ააცეკვა ყველა, რაც ტაშის გრიალმა დარბაზი ააზანზარა.

დასრულდა პირველი მოქმედება. ისევ, როცა გამოჩნდა თავადი კოწია, ისევ გიტარა ააჟღერა და გაისმა დარბაზში: „არ მომიპარავს მიპოვნია, ახლა ჩემია და ამღერდა სცენაზე, ყველა, მერე ისევ ტაშით დასრულდა სპექტაკლი და მიხაროდა, რომ მეორე დღეს სკოლაში მისული თანაკლასელებს მოვუყვებოდი, რომ ვნახე ის მსახიობი, ვინც კინოში სტალინის როლის შემსრულებელი გახლდათ.

ამ ამბავში მთავარი ის არის, რომ, რაც მერე უკვე წამოზრდილმა გავიგე, თურმე ბატონ დოდოს რომ მიუწვევია მიშა გელოვანი, სპეციალურად ამ როლისთვის, რაც საზოგადოებას ცალკე აფიშით აუწყეს თურმე და თეატრი აივსო მაყურებლით, რომელიც სცენაზე გამოჩენისთანავე ოვაციით შეხვდა მაყურებელი, მაგრამ თურმე ბატონ მიშას ტექსტზე არც უზრუნვია, ერთი გადაუხედავს აქვე როლისთვის და როცა, რომელიღაც რეპლიკის შემდეგ დადგა მისი ტექსტის თქმის დროს ნიჭიერმა შემოქმედმა, იმპროვიზაციის გზა მოიმარჯვა ალბათ და ამიტომაც გიტარა მოითხოვა, სკამზე ფეხი შედგა, და იმღერა; იმღერა, თანაც როგორც, რაზეც ტაშით დააჯილდოვეს.

სუფრასთან სცენაზე ხომ თავისთავად იყო სიმღერა ჩართული და ყველა გადაირია, აიყოლა ყველა და ამ ლამაზმა, ნიჭიერმა კაცმა ისე გამოიყვანა თავის თავი და სიმღერით ისე მოხიბლა, მაყურებელი, რომ, აუ, ბიჭო, რა კოწია იყო მიშა გელოვანი! რა გადასარევად ითამაშა მიშა გელოვანმა! თურმე მთელი ქალაქი ასე მსჯელობდა მასზე და სულ სიყვარულით იგონებდნენ.

მაშინ მე ხომ არც ვიცოდი სცენაზე რა ხდებოდა, რა ვიცოდი თუ

ბატონმა მიშამ ტექსტის ჩამოსვლისას გადახედა, რა ვიცოდი იმპროვიზაცია თუ რაღაც თავის მაღალნიჭიერებით ასე მოხიბლა მაყურებელი და დღესაც მიხარია, რომ კაი მომღერალი თავადი კოწიას, ამხელა მსახიობის მომსწრე მეც გავხდი.

„ინდო-არაბ-საბერძნეთით“ და ბერძენი კოლხი მედეა

ამ რამდენიმე წლის წინ ჩემი სიძის, პროფესორ ზაალ და ირმა ლილუაშვილების ოჯახში შევხვდი ათენიდან ჩამობრძანებულ სტუმრებს, მეცნიერ-მუშაკებს, რომლებსაც თავკაცობდა ცნობილი ქართველი მეცნიერი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეკისტიკის დირექტორი, აკადემიკოსი ბატონი რისმაგ გორდეზიანი, თითქოსდა ყველაფერი სიმბოლური და კანონზომიერია ამ ქვეყნად. ათასწლეული წლების ისტორია მოსდგამს ბერძენთა და ქართველთა ცივილიზებურ ურთიერთობებს და რაოდენ სასიხარულოა, რომ ეს გრძელდება დღესაც და მჯერა, რომ მომავალშიც ასე იქნება. ბატონ რისმაგმა მკითხა თუ კი რაიმეს ახალს ვეტყოდი ქუთაისში მცხოვრებ ბერძნებზე, რომლებიც დღესდღეობით ძალზე ცოტაა, რაც სტუმრებსაც აინტერესებდათ.

ქუთაისში, წითელი ხიდის ზემოთ, ჯაჭვის ხიდისკენ მიმავალ გზამდე ერთი უბანი მთლიანად ბერძნებით იყო დასახლებული, რომლებთანაც ჩვენს თანაქალაქელებს კეთილი, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ, ქუთაისში ცხოვრობდნენ და დღესაც არიან გრამატიკოპულები, სპირანდები, ქსანდობულები, ხოლიდები, ფოტიადები, ხარლამიდები, ხადიაროვები, დამიცევები, ბავრომატები, კეფალიდები, გარსლიდები. მახსოვს დედაჩემი იტყოდა, ფეხსაცმელს, ჩემი ბერძეი მეგობარივით, ვერავინ კერავსო. პატარაობისას ვოცნებობდი, როდის გავიზრდები რომ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები, მეც იმ ბერძენს შევაკერინო-მეთქი... მის შემდეგ დიდი დრო გავიდა, შეიცვალა ცხოვრება. ზოგი მათგანი სამუდამოდ წავიდა ამ ქვეყნიდან, ზოგი ისევ აქაა და ზოგიც კი მშობლიურ ელადას დაუბრუნდა, ხოლო ქართველთა და ბერძენთა სიყვარული დარჩა მარტო უცვლელი.

უშუალოდ კი ქუთაისისა და საბერძნეთის ქალაქ ნიკეას შორის მეგობრობას ჩაეყარა საფუძველი, რაც ამ ორი ქალაქის მცხოვრებთა

თანამეგობრობის, მშვიდობის, ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის სიმბოლოდ აღვიქვით, როგორც ქუთათურებმაც, ისე საბერძნეთიდან ჩამობრძანებულებმა სტუმრებმაც.

მოგეხსენებათ, ნიკეა ბერძნულ მითოლოგიაში, გამარჯვების ქალღმერთია. იგი ზელოსის (სწრაფვა) კრატოსისი (ძალა) და ბიას (ძალადობის) დაა. მას მფრინავი ასულის სახით, პალმის რტოთი და გვირგვინით გამოსახავენ. ქალაქი გამოირჩევა თავისი ძველი არქიტექტურული შენობებით.

ნიკეა, სამშობლოთა ასტრონომ ჰიპარქსისა და ისტორიკოს დიონ კასიუსის პირველი დელეგაცია 1985 წლის მარტისთვის პირველ ნახევარში ეწვია ჩვენს ქალაქს ნიკეადან, ანუ როგორც თვით ბერძნები უწოდებენ ამ ქალაქს, კოკონიადან. სტუმრებს ხელმძღვანელობდა ქალაქის მერი, სელიოს ლოგოფეტისისი, რომელსაც ახლდნენ ანასტასიას მანგსი, მიხაილის კეხასი, გრიგოლის ნიოტისი და სხვანი. მათ დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, ეწვიენ ჩემს მშობლიურ პირველ სკოლასაც, სადა მეც გახლდით და როგორც ამ სკოლის აღზრდილი, სიტყვით მივესალმე, რომლის დასრულების შემდეგ ერთ-ერთმა სტუმართაგანის ხუმრობით ნათქვამი, თარჯიმანმა გადმომცა:

—ახლა მივხვდი, იაზონმა მედეა რატომ გაიტაცა საქართველოდანო.

მეც არ დავაყოვნე პასუხი, გადაეცით, რომ ქართველი ქალები, წინაპართა შეცდომებს არ ვიმეორებ-მეთქი, რაზეც ბევრი იცინეს სტუმარ-მასპინძლებმა.

შევიტყვეთ, რომ ნიკეას ერთ-ერთი ცენტრალურ ქუჩას ჰქვია ქუთაისის სახელი და მალე დაიწყო დელეგაციათა გაცვლა. 1986 წელს ნიკეას მერის მოადგილეს ვარვარა ნიკოლაიდუსის მეთაურობით ისევ გვეწვივნენ ბერძნები. მათ ორმაისობაში მიიღეს მონაწილეობა, სადაც ქუთათურებმა სიურპრიზი მოუმზადეს. ქუთაისის ერთ-ერთ დიდ ქუჩას უწოდეს მაშინ ნიკეას სახელი და ავტოქარხნელთა ახალგაზრდა კლუბში „ნიკეა“ შედგა სახელდახელო მიტინგი ამ ორი ქალაქის ხალხთა დამეგობრებისადმი მიძღვნილი.

1987 წელს კი ნოემბერში ქუთაისის სამეცნიერო -ტექნიკურ და შემოქმედებით ინტელიგენციის კლუბში მოეწყო შეხვედრა ისევ საბერძნეთიდან ჩამობრძანებულ სტუმარ ვერა ნიკოლაიდუსთან და

ესპანელ სტუმრებთან, რომლებსაც ხელმძღვანელობდა, როგორც სტუმართა, ისე მასპინძელთა მხრიდან თანაბარი ურთიერთპატივისცემა.

ამავე წელს ჩვენი ქალაქიდან დელეგაცია წავიდა ნიკეაში ქალაქის ინტელიგენციისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლობით, მათ შორის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომლებიც მოიხიბლენ ათენის აკროპოლისით, აპოლონის ტაძრით დელფასში, მიკენისა და აგამენონის სამარხით, ეპიდაგროსის თეატრით, ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმითა და სხვა სანახაობებით.

1988 წლის 22 ივლისს კი ბერძენი ბავშვები ეწვიენ ქუთაისს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვასილი დავიკასი; ბერძენი ბავშვები ეწვივნენ თანატოლებს მთელი კვირით და მათი ურთიერთობა მშვიდობისა და სიყვარულის დიდ ზეიმად იქცა.

1988 წელს კი ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში (მაშინ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ რეჟისორი ლევან სვანაძე) საბერძნეთის ქალაქ დროსინიდან მოწვეულმა რეჟისორმა ვასილ მიციკასმა დადგა საკუთარი პიესა „ოჯახი“ და თვითონ კი მის მეუღლესთან, ქალბატონ ამალია გრიზასთან ერთად ქუთათურ მაყურებელთა წინაშე წარსდგა ბერძნული წარმოდგენით, „ორნი ალმოდებულ მდინარეში“. ბატონი ვასილი და მისი მეუღლე ამალია გრიზა მთელი თეატრის კოლექტივს ისე დაუმეგობრდა, სპექტაკლზე მუშაობის პერიოდში, რომ განშორება გაუჭირდათ. ამის შესახებ თავისი აზრი მან მშენივრად გამოთქვა მაშინდელ პრესაში ჟურნალისტებთან ინტერვიუს აღებისას. არ დამავიწყდება ერთი ფაქტი: იმ პერიოდში ჩვენი თეატრის ახალგაზრდა მსახიობი გოჩა ნემსიწვერიძე გაგვიბედნიერდა და ქორწილში, რა თქმა უნდა, სტუმრებით წავედით, რომლებიც აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ქართული ქორწილის, სუფრის წესებისა და ცეკვა-სიმღერის შემყურე. უცებ ყველას მოულოდნელად გაისმა „სირტაკის“ მელოდია და ცოლ-ქმარი სიხარულით ფეხზე წამოდგნენ; ჩვენ დავიწყეთ ცეკვა. მათ ხელი გადაგვხვიეს და ყველამ ერთად ვიცეკვეთ. როცა ცეკვა დასრულდა, ორთავე სიხარულის ცრემლებით ანთებულნი გვეხვეოდნენ და გვკოცნიდნენ. ეს იყო ნამდვილად ორი ქვეყნის ხალხთა დიდი სიყვარულისა და მეგობრობის გამოხატულება, რაც დღემდე გრძელდება. მეც და ჩემი თაობის წარმომადგენლებს კარგად ახსოვს 60-იან წლებში გახმაურებული ბევრი ბერძნული კინო-სურათი, ცნობილი

ბერძენი მსახიობის იორგოს ფურგასის, ირენ პაპასისა და სხვათა მონაწილეობით. ირენ პაპასის—ანტიგონე, რომ ამავე სახელწოდების კინო-ფილმი ხომ ანტიკური კინო-ხელოვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია. მქონდა ბედნიერება თბილისში, მარჯანიშვილის თეატრში გასტროლზე ჩამოსულს პირის თეატრის, რომელიც დააარსა დიმიტროს რონდორისმა, რეჟისორ არჩილ ჩხარტიშვილის მონუმენტურ დადგმაში „მედეა“ და „ანტიგონე“, მენახა ცნობილი ბერძენი ტრაღიკოსი ქალი ასპაზია პაპატანასიუ, ბერძნულ ენაზე ქართულ სპექტაკლში, რომელსაც ჯერ კიდევ პარიზში 1960 წელს მიენიჭა „ერების თეატრის“ პრემია, ხოლო სამი წლის შემდეგ იგი ჩვენი საუკუნის გამოჩენილი ბერძენი მსახიობი ქალის, მარიკა კოტოპულოს სახელობის პრემიით დაჯილდოვდა. უფრო გვიან კი 1977 წლის აპრილის თვეში თბილისში გახლდნენ სტუმრები ჰომეროსის ქვეყნიდან. ეს იყო ათენის ახალგაზრდა ბერძნული ოცი წლის თეატრი—„ამფი-თეატრი“, რომლის დამაარსებელი გახლდათ ათენელი რეჟისორი და ფილოსოფოსი სპიროს ეგენგალატოსი.

თეატრმა თბილისელ მაყურებელს უჩვენა ორი სპექტაკლი: „ერიტოკრიტოს“ და „ოდისეა“, მაშინ ჩემი და კირა გარეთ „სამშობლოში“ მუშაობდა და სწორედ მისი შემწეობით შევაღწიე ამ თეატრის წარმოდგენებზე, განსაკუთრებით დამამახსოვრდა ოდისევსის შემსრულებელი მსახიობი ნიკოს ბუსდუკოსი.

ყველაფერ მოგონებების შემდეგ ბატონმა რისმაგმა თავისი წინასიტყვაობითა და კომენტარებით გამოცემული ძველ ბერძნულიდან ბაჩანა ბრეგაძის მიერ შესრულებული თარგმანით, ევროპიდეს „მედეა“ მაჩუქა, რომალსაც ამშვენებს მისივე წარწერა; „ქალბატონ ნესტანს, საუკეთესო სურვილებით“, რაზედაც მე ულრმესი მადლობა გადავუხადე და ბერძნულად კი ასე ვუთხარ მასაც და სტუმრებსაც:

—აღაპოსას, ფილოსას, დრაია ლევოსას, კე ფილოსას!

საჩუქრით მართლაც ძალიან გავიხარე, რადგან მე მხოლოდ პანტელეიმონ ბეროძისეული თარგმანი მქონდა ევროპიდესი „მედეასი“, რომელიც თითქმის ზეპირად ვიცოდი, მაგრამ ასპაზიას ნახვის შემდეგ აღარც კი გადავფურცლე, რადგან ასე მეგონა ამ მსახიობმა ქალმა სრულად და სხვანაირად წამაკითხა ეს პიესა, რისი გადმოცემაც მე კი არა, დიდ მწერალსაც კი გაუჭირდება, მაგრამ მაინც მინდა როგორადაც შევძლებ, გიამბოთ.

ასპაზიამ ითამაშა ქართულ სპექტაკლში, რომლის დამდგმელი გახლდათ უნიჭიერესი რეჟისორი, ბატონი არჩილ ჩხარტიშვილი. ეს იყო მონუმენტური დადგმა და ბრწყინვალედ იყო გადაწყვეტილი, რაშიც ანტიკურობას დღევანდელი დღის სიცხადე ჰქონდა მინიჭებული.

მოგეხსენებათ, ევროპიდეს მედეა იწყება უკვე რეზულტატითა და ეს ძალიან ძნელია მსახიობისათვის. რადგან ფინალში უნდა ზენიტზე ავიდეს შემოქმედი. როცა კულისებიდან ძიძას, გამზრდელს, გუნდის თუ ქოროს ტექსტებს შუა კულისებიდან გაისმა პირველად მედეას შემსრულებლის რეპლიკები, ეს იყო უკვე არა მარტო ყოველმხრივ განადგურებული ქალის, არამედ გააფრთებული ძუ ლომის ღრიალი, რომელიც უკვე ზენიტს აღწევდა, როცა სიყვარულისგან შეურაცხყოფილი ღმერთებს მიმართავდა.

„დიადო ზევსო და შენც თემიდავ,
ხედავთ, რანაირ სატანჯველს
ვითმენ?“

ეს ხმა ყურთასმენას ახლაც არ შორდება, რადგან მსგავსი შინაგანი ძალისა და ხმის მფლობელი მსახიობი ქალი, ნამდვილად არ მინახავს. გაოცებული გახლდათ, სად იყო ამოდენა ძალა, ამ პატარა, თითქოს და გარეგნულად სუსტ ქალბატონში.

სამწუხაროდ, თეატრმცოდნე რომ გახლდეთ, იქნებ ზუსტად გადმომეცით მისი სამსახიობო ხელოვნების სიდიადისა და ძალის საიდუმლოების შესახებ, მაგრამ ყველაზე საოცრება ის იყო, რომ რამდენს ამოიღრიალებდა „ავაი“ ისმოდა თითქოს და ქართულად და მერე ტონალობით იგი თითქოსდა რეჩიტატივად ჩურჩულით ნათქვამ მეგრულ „ვავა ნანას“ წააგავდა ამ ბერძენი მსახიობი ქალის თითოეული ამოკვნესება, ქართველი ქალის, ქართველი დედის, ქართველი

მედეას კვნესა და გლოვა, იგი დაუსრულებელი გლოვა იყო.

შემზარავი იყო საფინალო სცენა, როცა იაზონისა და მედეას უკანასკნელი დიალოგი დასრულდა, მედეა იყო მშვიდზე მშვიდი და დაიწყო სვლა მან იმ თეთრ იატაკზე, რომელიც კედლად აღიმართებოდა თანდათან მუსიკის ფონზე და თითოულ მუსიკის ფრაზას მიჰ ყვებოდა უსასრულობისკენ უბედური მედეა, რომელიც უცებ, ყველას მოულოდნელად შემოტრიალდა, მუცელზე იტაცა ხელი, შემდეგ მკერდზე, დახედა საკუთარ ხელებს, წელში მოხრილმა თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა თავისთვის და მაინც ჩვენთვის ერთადერთი ფრაზა „შვილებო" რითაც ერთდროულად დაგვიდასტურა კიდეც მისი შურისძიების რეზულტატის სამართლიანობა და ამავე დროს, ამასთან ერთად, საკუთარი ღირსების დამცველიც იყო იგი იმ წუთსაც და თავისიკე დამსჯელიც.

მოგეხსენებათ, ტრაგედია „მედეა" ერთ მოქმედებად მიდის და ამ მსახიობმა მაყურებელს არ მისცა ამოსუნთქვის საშუალება, ვიდრე სულ მთლად განადგურებული ქალი ჩვენს თვალწინ, წამის წინ სრულიად ახალგაზრდა ქალი, უცებ დაბერებული, შვილების მკვლელი არ დაადგა იმ ციცაბო დაუსრულებლობას, რომლით თეთრ კედელზე ბერძნული ასოებით ეწერა „ევროპიდე" და როცა ამ გზამ, დეკორაციად ხომ დიდი თეთრი იატაკი იყო, რომლის ნაწილი სცენის სილრმეში რომელიც მედეას ყველა ნაბიჯის გადადგმაზე ზევით მიდიოდა და მერე უცებ ავარდნილ ცეცხლის ალში მოექცეოდა ყველაფერი, შთანთქავდა მედეასა და მის მთელ ცხოვრებას, უსასრულო საიდუმლებაში გადაჰყავდა, როგორც თვით მედეაზე თქმულებაა უსასრულობაში და ჟამისაგან შთანთქმული, დაკარგული, ამოუცნობი საიდუმლო, მაგრამ კაცობრიობას შერჩენილი ეს უდიდესი ტრაგედია, რაც სრულად წარმოაჩინა ამ გენიალურმა მსახიობმა.

„ლამანჩელი" მუსკომედიის სცენაზე

,ქუთაისს ბევრი ღირსეული, საამაყო თანაქალაქელი ჰყავს, რომლებსაც თავისი შრომით გარკვეული წვლილი შეაქვთ ქვეყნის აღმავლობის საქმეში. ასეთთა შორის გამოირჩევა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ქალბატონი თინათინ მერკვილაძე, რომლის დაბადების 70 წლის იუბილე ზეიმით აღნიშნა ქართული ხელოვნების მოყვარულებთან ერთად მთელამა საქართველომ და ამასთან ერთად გადაეცა

მთავრობის მაღალი ჯილდო—ღირსების ორდენი.

ქალბატონი თინათინის მონაწილეობით უამრავი სპექტაკლი გვინახავს, რომელთა შორის ამოვარჩიე „დონ-კიხოტი", რომლითაც თქვენი ბოლო გასტროლი შედგა ქუთაისში და რომელზეც არ ყოფილა პრესაში გამოხმაურება, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ამ წარმოდგენის რეცენზიით კიდევ ერთხელ გამოვხატო მუსკომედიის თეატრისა და პირადად ქალბატონი თინათინის ერთგული ადამიანისა და შემოქმედებისადმი უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა.

მსოფლიო ლიტერატურის საგანძურის ერთ-ერთი მშვენება, სერვანტესის „დონ-კიხოტი", არაერთი შემოქმედის ოცნებად ქცეულა, დრამატურგებმა გადააკეთეს იგი პიესად, დაიწერა ოპერა, კინოსცენარი, ბალეტი და შეიქმნა მიუზიკლი ორმოქმედებიანი, კომპოზიტორ მიჩლის მიერ, დ. ვასერმანისა და ჯ. დარიონის ლიბრეტოს მიხედვით.

ძალზე საინტერესოდაა მოფიქრებული მიუზიკლის შინაარსი. სერვანტესისათვის ხომ უცხო არ იყო სხვადასხვა ჯურის გარეწრები, ჯიბგირები, შულერები, სუტენიორები, პოლიციელის მაძებრები, ინკვიზიციის ჯაშუშები და აი, სცენაზე ვხედავდით პატიმრებთან მოხვედრილ სერვანტესს, რომელსაც დასჯასაც კი უპირებდნენ, ემუქრებიან, დასცინიან, მასხრად იგდებენ. მას ხელიდან გლეჯენ საშინელ სიღატაკისა და სიდუხჭირის დროს შექმნილ ნაწარმოებს, ფურცლებს, რომლებზეც საინტერესოსო ვერაფერს ვერ ხედავს ეს ბრბო, ვიდრე თვითონ სერვანტესი არ გააცოცხლებს მათ თვალწინ ამ დიდებულ ნაწარმოებს. სერვანტესი თვითონ, დონ-კიხოტად იქცევა, ხოლო სცენაზე მყოფი ხალხიდან გამოდიან მისი სანჩო პანსაცა და დულცინეაც, ჰერცოგიცა და სასტუმროს პატრონიც. აქვეა მისი როსინანტი და სანჩოს სახედარიც. ნამდვილად აღნიშვნის ღირსია ამ ცხოველების შესანიშნავი ბუტაფორული ნამზადი, რომლებსაც მოძრაობებით კარგად აცოცხლებენ ქორეოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები. ეს სწორედ ის როსინანტია, მაყურებლის თვალწინ გაცოცხლებული, რომელსაც ესპანეთის მიწა-წყალზე სამართლიანობისა და უბიწოების დასაცავად შუბშემართული რომ დააჩიჩქებდა მწუხარე სახის რაინდი, გულადად უმკლავდებოდა არნახულ ფათერაკებსა და ბევრჯერ ოცნებადამსხვრეული, მტვერში ამოგანგლილი, მშიერ-მწყურვალი, პასტორალებს გაიმღერებდა მაინც, თავისი დულცინეა ტობოსელის სადიდებლად.

დამდგმელი რეჟისორის გ. მელივასა და მხატვარ თ. მურვანიძის

სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ კარგად ჰქონდათ მოფიქრებული სპექტაკლის გადაწყვეტა.

სცენა თავისუფალი გახლდათ, ყოველგვარი ზედმეტი დეტალებისაგან, სივრცე მთლიანად იყო გამოყენებული და ერთი მაგიდითა და ორი გრძელი სკამით მშვენივრად იქმნებოდა წარმოდგენა, ხან საპატიმროსი, ხან ქუჩის, ხან კიდევ სასტუმროსა და ბინის. იქვე სცენაზე იყო ორკესტრიც, რომელსაც შესანიშნავად დირიჟორობდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. მამულაშვილი. ორკესტრი გარკვეულ შემოქმედ პირთა ერთიანობას წარმოადგენდა, იმ მასას, იმ ხალხს, რომლებიც ესპანეთის ქუჩებში სხვადასხვა მელოდიებით ირთობდნენ თავს, ხოლო დირიჟორი ისევე ერთ-ერთი მონაწილე იყო წარმოდგენის, რომელიც ხან ავაზაკთა ბრბოში, ხან მოხეტიალე ხალხთან, ხან კი მეოცნებე დონ-კიხოტისა და სანჩო პანსას, ანდა კიდევ დულცინეას თანამგრძნობი, გახლდათ. სივრცის თავისუფლებამ, სპექტაკლის ასეთმა ოსტატურმა გადაწყვეტამ, შეუზღუდველობამ, სადაც ნათლად გამოჩნდა ქორეოგრაფის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის გ. ოდიკაძის საინტერესო ქორეოგრაფიული ნამუშევრები, განაპირობა სარეცენზიო სპექტაკლის წარმატება. სპექტაკლ „ლამანჩელის“ მუსიკა, რომელიც ძალზე სერიოზული განაცხადია, ეს საგუნდო ნომრები თუ არიები, დუეტი, ტრიო, კარგად ჰ ქონდათ დაძლეული მსახიობებსა და ყოველი მათგანი სასიამოვნო მოსასმენი იყო მაყურებლისათვის.

საინტერესო სახე იყო სერვანტესი—დონ კიხოტი მსახიობ ა. ამირანაშვილის შესრულებით. ავაზაკებში მოხვედრილი სერვანტესი, რომელიც მაყურებლის თვალწინ გადაიქცეოდა დონ კიხოტად და თავის ერთგულ სანჩო პანსასთან ერთად ხან რაინდია, ხან მეოცნებე შეყვარებული. მსახიობის მჟღერი ხმა და კარგი სცენური გარეგნობა კარგად ერწყმოდა ამ როლს, რომელსაც კარგ პარტნიორობას უწევდა სანჩო პანსა — ჯ. თალაკვაძე, რომლის სანჩო, პატრონის ერთგული, მისი იდეების გამზიარებელი უბრალო კეთილი გლეხია, რომელიც გულწრფელად განიცდის დონ-კიხოტის ყოველ წარმატებასაც და დამარცხებასაც.

მაყურებლის წინაშე მოულოდნელად გამოჩნდება ალდონსო დულცინეა ტობოსელი, დონ-კიხოტის საოცნებო არსება, სისხლსავსე ესპანელი ქალი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი თინათინ მერკვილაძე, რომელსაც თავისი გმირის სახე ტრაგიზმამდე ჰყავდა აყვანილი.

დიდი უშუალობითა და ღრმა დრამატიზმით, არაჩვეულებრივი სცენურობითა და ტემპერამენტით შექმნილი მსახიობის მიერ დულცინეას სახე. ასეთ დულცინეას გოია თუ დახატავდა. განსაკუთრებით ძლიერი გახლდათ მსახიობი მეორე მოქმედებაში, როცა ნაცემი, ატირებული, შესანიშნავი არიით გადმოგვცემს თავის განწყობილებას და მაყურებელს გულწრფელ ცრემლებს წყვეტდა თვალებიდან. მის მიერ იუმორით ნათქვამი მწარე სიმართლე, ყოველი მოძრაობა, მოქმედება, დიდი მსახიობური ოსტატობისა და პროფესიონალიზმის შესანიშნავი ნიმუში გახლდათ.

ერთდროულად ორ როლში, პატიმართა მეთაურად და სასტუმროს პატრონადაც გვევლინებოდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი შ. ხაჟალია, სადაც მსახიობი კარგად ახერხებდა სრულ გარდასახვას, როგორც გარეგნულად, ისე მეტყველებითა და შინაგანი ემოციით.

ასევე ითქმის მსახიობ ო. ბაზღაძეზე, რომელსაც ჰერცოგისა და კარისკაცის როლი ჰქონდა დაკისრებული, მას სწორად მოჰქონდა მაყურებლამდე ორივე პერსონაჟის ხასიათები.

სპექტაკლის საერთო წარმატებაში გარკვეული წვლილი შეჰქონდათ თავისი გულწრფელი თამაშით მსახიობ პ. გოგორიშვილს (პადრე), ჯ. ჯანჯალაშვილს (დალაქი), რესპუბლიკის დამსახურებულ მსახიობს ც. გურგენიძეს (ანტონია), მ. სულგულაძეს (მარია), ნ. პეტრიაშვილის (პედრო) და ნ. ახალკაცს (ინკვიზიტორი).

დაუვიწყარად იყო გადაწყვეტილი ფინალი სპექტაკლისა, რომელიც ერთხელ კიდევ მიგვანიშნებდა სერვანტესის, როგორც მწერლის გენიალობასა და მისი ნაწარმოების უკვდავების შესახებ. წარმოდგენის დროს კი მაყურებელთა სწორი და გულწრფელი რეაქციები ამ სპექტაკლის ნამდვილ გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ.

სიხარულიძეების სამი თაობა

მე იმ თაობის ქუთაისელთა. რიცხვს მივეკუთვნები, რომელსა კარგად ახსოვს მისი მშობლების პლეადას გამორჩეული ადამიანები, მომდევნო ჩემი დის კირასა და სიძის, ილო კალანდაძის სამეგობრო და ბოლოს ჩემი თანატოლები, რომლებმაც შექმნეს ბევრი რამ ისეთი, რაც ღირებულია ჩვენი ერისათვის, ქმნიდნენ და დღემდე ქმნიან ჩვენი ქალაქის იერსახესა და თავიანთი მოღვაწეობის სათქმელი კარგად თქვეს თავის დროზე და ასე გრძელდება დღესაც.

ქუთაისში იყო ნამდვილად ქართული, ქალაქური ოჯახები, ურთიერთობებით, საერთოდ, როგორც ადამიანებთან, ისე საზოგადოებასთან სამაგალითო ურთიერთობებით და სწორედ, ასეთ ერთ-ერთ ოჯახზე მინდა მოგითხროთ. ეს გახლავთ სიხარულიძეები. ოჯახი, რომლის სამივე თაობას მოვესწარი, რომელიც ყოველთვის გამორჩეული გახლდათ ქუთაისში თავის სიკეთით, ყურადღებით, ადამიანებისადმი სიყვარულითა და რაც მთავარია, ამ ოჯახში იყო ღვთისგან ბოძებული მადლი უხვად, მუსიკალური ხელოვნების დიდი ნიჭის ზეიმი, რომლის თავკაცი გახლდათ ბატონი გიორგი სიხარულიძე, ცნობილი მუსიკოსი, ლოტბარი, არა ერთი ნიჭიერი ახალგაზრდის აღმზრდელი, უგანათლებულესი პიროვნება, რომელიც სხვათაშორის პროფესიით ბიოლოგი გახლდათ. შემდეგ სამხედრო აკადემია დაუსრულებია და 1949 წელს კი ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში განაგრძო სწავლა. პროფესორ დავით ანდღულაძის კლასში. მას ძალზე ლამაზი ისეთი ტემბრის ხმა ჰქონდა, რომ თურმე, როცა გამღერებას იწყებდა, მთელს მეორე სართულზე სამარისებული სიჩუმე დგებოდა, როგორც ამას ზურაბ ანჯაფარიძე იგონებდა და თურმე ყველა სტუდენტი, სულგანაბულნი იყო მიყურადებული იმ აუდიტორიისაკენ და ისე უსმენდნენ ბატონ გიორგი სიხარულიძეს. გიორგის ხელეწიფებოდა, თავისი ვოკალური მონაცემების პატრონს შეეძლო საოპერო ხელოვნებაში დიდი კვალი დაეტოვებინა, მაგრამ ყველაფერი ხომ ამ ქვეყნად უფლის ნებაა, მაგრამ მან არანაკლებ უდიდესი საშვილიშვილო საქმე გააკეთა ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციის საქმეში, რომლის მიერ ბევრი სპექტაკლი მინახავს მუსიკალურად გაფორმებული, როგორც ჩვენი დრამატულ თეატრში, ჯერ კიდევ როცა თეატრი გახლდა დღევანდელი ოპერის თეატრის შენობაში, ასევე თოჯინების თეატრშიც.

როცა მე თვითონ მივიღე მუსიკალური განათლება და დავასრულე მუსიკალური სასწავლებელი, ბევრ რამეში უკეთ გავერკვიე და ბევრი რამ სხვანაირად დავინახე. უკვე კარგად ვიცოდი მისი ყველა მუსიკოსის, მათი ნიჭის, შრომის, როგორც დირიჟორის, ლოტბარის, მომღერლის თუ სხვადასხვა საკრავებზე შემსრულებელთა შრომისადმი

მარიამ და გიორგი სიხარულიძეები შვილიშვილებთან პატარა გიორგისთან და ნინიკოსთან ერთად

რიდი, სიყვარული და პატივისცემა დღემდე მაქვს გამოყოლილი, რასაც ვერაფერი ძალა ვერ გაანადგურებს. სხვებთან ერთად ეს გახლდათ სიხარულიძეების პირველი თაობის, ბატონი სიხარულიძის დამსახურებაც.

1957 წელს სკოლაში, მეთერთმეტე კლასელებმა მოვაწყვეთ პუშკინის დაბადების 125 წელთან დაკავშირებით ლიტერატურული საღამო, სადაც მე, ზემფირას როლს ვთამაშობდი, რასაც დაესწრო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მაშინდელი ხელმძღვანელიც, ბატონი ნიკოლოზ გოძიაშვილი, რომელმაც თეატრში მიმიყვანა სამუშაოდ და იმ სეზონში სამი საინტერესო როლიც კი ვითამაშე კიდეც. ეს იყო გ. ქელბაქიანის პიესაში „ხმა გულისა"—ნარგიზას როლი და პირველი ჩემი პარტნიორი—შეყვარებული გახლდათ ბატონი იპოლიტე ხვიჩია. შემდეგ ვითამაშე ანისკა—ლ. ლეონოვის პიესაში „შემოსევა" და მსახური—რ. თაგორეს პიესაში, „კამოლა", მაგრამ პრემიერამდე შესვლა მომიწია წინა რეპერტუარით გათვალისწინებულ უკვე დადგმულ რამდენიმე პიესაში, რომელიც უკვე სეზონის გახსნისთანავე მიმდინარეობდა, ერთ-ერთი ასეთი სპექტაკლი გახლდათ პიესა აკაკი წერეთელზე დ. თაქთაქიშვილის პიესა„ შარავანდედი", რომლის დადგმა ეკუთვნოდა რეჟისორ თამაზ მესხს.

პიესა იწყებოდა ძალიან ლამაზად. საინტერესოდ იყო სპექტაკლი გადაწყვეტილი. პირველად ნათდებოდა ორკესტრის ორმო, სადაც ქალთა მეჩონგურეთა ანსამბლი იჯდა და „ჩონგურის" სიმღერების ფონზე შუქების ნათებით იწყებოდა წარმოდგენა. სწორედ მაშინ მომიხდა ბატონ გიორგი სიხარულიძესთან მუშაობა. მან შემასწავლა ჩონგურზე დაკვრა და ის პერიოდი ჩემთვის ძალიან სასიამოვნო მოსაგონარი გახლავთ. მთავარი კი ისაა, რომ სწორედ ეს მეჩონგურე ქალთა ანსამბლით პიესის დაწყების იდეა, თურმე ბატონ გიორგის

შეუთავაზებია დამდგმელი რეჟისორისათვის, რაც ძალიან ლამაზი გახლდათ, როცა ჩონგურზე სიმღერა დასრულდებოდა, უძრავ ქანდაკებებად გადავიქცეოდით ყველა და შუქის ნელ-ნელა წასვლასთან ერთად ეს სცენა ყოველ წარმოდგენაზე ტაშს იმსახურებდა.

ჩემი თაობის გოგონებზე მეორე საშუალო სკოლის ვაჟებს ეჭირათ თვალი. არა და მეორე სკოლაში, მართლაცდა ძალიან ბევრი ყმაწვილი გახლდათ გამორჩეულები ნიჭიერებით, რომლებსაც ვხდებოდით ხან კონკურსებზე, ხან პიონერთა სასახლეში, ხან სასკოლო კონცერტებზე და ა.შ. მე პირველ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი და სკოლის ოლიმპიადებზე ერთმანეთს ვხდებოდით. თავს ვიყრიდით ხელოვნების სენით დაავადებულები და გულს ვიჯერებდით ვინ ლექსის თქმით, ვინ სიმღერითა და ვინ კიდევ ცეკვით არა და რად ღირდა ოლეგ თორთლაძის მიერ აჟღერებული ვიოლინოს მოსმენა, რუსიკო არჩაიას ჭიკჭიკა ხმა, ხოლო გომარ სიხარულიძის სიმღერის მოსასმენად კი გოგონებით გადაჭედილი დარბაზში, ფეხზე დასადგომი ადგილიც კი არ რჩებოდა. მე პირადად, რაც ვიცნობ გომარის, სულ მგონია, რომ „ანანურს ციხე ნაგებო", მაგისთვის იყო შექმნილი, თუმცა კარგად ვიცოდი ამ სიმღერის წარმოშობის ისტორია. გომარის ბავშვობის საოცარი დისკანტი კრინი, შემდეგ კი მისი შესაშური პირველი თუ შემდეგ ტენორი, ვის ყურსაც კი მიწვდენია და აღუქვია მისი ჟღერადობა, ნამდვილად დაუვიწყარია, არც მიკვირს! რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ და თანაც ასე მხოლოდდამხოლოდ სიხარულიძეების ოჯახის წევრი ააჟღერებდა ხმასა და ამღერდებოდა. მამამისისა და მისი უსათნოესი ქალბატონის, მარიამის შვილს, დედამისის პატრონი, რომელიც დავითნ მდინარაძის შტოს შთამომავალს რომ არ ემღერა, ის იქნებოდა გასაკვირი, რადგან მსგავნი ხმა ხომ იშვიათია და იგი ღვთის დიდი წყალობაა.

გომარისთან არაერთი შეხვედრა მქონია და არაერთხელ აღფრთოვანებულვარ მისი ადამიანობითა და მისი შემოქმედებით, როცა თბილისში პირველად ვნახე „გორდელას" კონცერტი, ინსტიქტურად სიხარულით წამოვიყვირე: „ჩემი გომარი-მეთქი!" და კირამ კაბაზე დამქაჩა, დაჯექიო. თურმე ფეხზე ვიდექი და საერთოდ, არ სარ

ხალხში გამოსაჩენი, მარცხვენო. მე კი სახარულს ვერ ვფარავდი და რაღაცნაირად, ჩემებურად მინდოდა ალბათ მისი გამოხატვა და სკამიდან როდის წამოვხტი არც მახსოვს.

არ შემიძლია არ გავიხსენო გომარისთან შეხვედრები, როგორც კომპოზიტორთან, როცა ბატონი გოგი ქავთარაძე ჩამოვიდა ჩვენს თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელად, გომარიმ მუსიკალურად გააფორმა რამდენიმე სპექტაკლი და მათ შორის მინდა გამოვყო ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", სადაც იყო ერთი ასეთი სცენა, ომის დაწყების სცენა, სადაც ყველა მონაწილე თავს ვიყრიდით სცენის ერთ კუთხეში ავანსცენაზე შავ, ძველებურ რადიორეპროდუქტორთან, საიდანაც ლევიტანის ძლიერი ხმა გვაუწყებდა ყველას ომის დაწყებას. მე, ერთერთ მოსწავლეს ვთამაშობდი. მეცვა მოკლე კოპლებიანი კაბა და თავზე დიდი ბაფთა მეკეთა. სცენაზე უნდა შემოვსულიყავი ყველაზე გვიან, ხალხს შუაზე ნელ-ნელა გავყოფდი, ვუსმენდი რადიოს ბოლომდე და მერე ავტირდებოდი, რაც ყოველთვის ტაშით მთავრდებოდა და ამ ტაშთან ერთად აზლუქუნებული, სულ სლუკუნ-სლუკუნით ვიწყებდი სიმღერას ალექსანდროვის „Идет народная воина"-ს და სწორედ, აი, აქ კიდევ ერთხელ გამოვლინდა გომარის ნიჭიერება, როგორც კომპოზიტორისა და საერთოდ, როგორც მუსიკოსის, რადგან ჩემთან მოდიოდა თითოეული მოსწავლე სიმღერით, ავანსცენაზე ვსწორდებოდით, რიგში ვდგებოდით და იქმნებოდა სიმღერით ცოცხალი ორკესტრი, სადაც ყველა ჩვენთაგანი სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის იმიტაციას სიმღერით ვაკეთებდით და მე მერგო წილად სასულე ორკესტრის დასარტყამი ინსტრუმენტებიდან ტაფები გამეჟღერებია და ჩემი „ცუმპაცუმპას" ხმაზე, მარშის ტემპით სოფელი თანდათან იცლებოდა ადამიანებისაგან და ასე მიდიოდნენ ისინი ომში, მაგრამ არანაკლებ საინტერესო იყო ამავე სპექტაკლში მატარებლის სცენა, სადაც უარი თქვა მატარებლის ხმის ჩანაწერზე და მატარებლის სვლის ხმას მთელი მასიური სცენის მონაწილენი ვასრულებდით. ასევე ჩუმი წამღერებითა და რეჩიტატივით ბორბლების ხმასა და საერთოდ, მატარებლის სვლის სრული იმიტაცია კეთდებოდა, მგზავრები თან ვჭორაობდით, თან ვჩხუბობდით კიდეც დასაჯდომ ადგილების გამო ისევ სიმღერით, რომელსაც უცებ მატარებლის შეკივების ხმა—სიგნალი ნელი თოდაძის შეყვირებით—„დიდუუუუუ!" მთავრდებოდა

ამასაც მაყურებლის „ბრავოს“ შეძახილი და ტაში მოჰყვებოდა ყოველ სპექტაკლზე.

რაც შეეხება გ. ბათიაშვილის პიესის „ვალის“ მუსიკა, როცა გომარმა ჩამოიტანა და მოგვასმენინა, ყველა მონაწილე ვტიროდით, თვითონ კი რატომღაც არ იყო კმაყოფილი. „ვაჰ, სოფელო რაშიგან ხარ“ და სხვა სიმღერებსაც, რა თქმა უნდა, თვითონ ასრულებდა, რაც მთელ წარმოდგენას ფონად, მთლიანად ლაიტმოტივად მიჰყვებოდა და სპექტაკლის საოცარ სილამაზესა და ემოციას მატებდა.

ერთხელ, როცა უკვე სცენაზე ვიყავით გადასული და როცა დასაწყისის რეპეტიციას დაესწრო, რატომღაც იმ ღამესვე დაგვტოვა, დაბრუნდა თბილისში და მეორე დღესვე დაბრუნებულმა მოგვასმენინა მუსიკა, რომელიც ჩამოიტანა, რითაც დამდგმელი რეჟისორი, ბატონი გოგი ძალიან გაახარა. ეს გახლდათ ვერნერ ზანდერის დირიჟორობით გერმანიის სიმფონიური ორკესტრის მიერ შესრულებული ნაწარმოები, რომელიც დღემდე ჩემს ყურთასმენას არ შორდება და სწორედ ამით იწყებოდა სპექტაკლი. სიბნელეში, მუსიკის ფონზე ყველა მონაწილე თავის ნაბიჯს ყოველ ტაქტს აყოლებდა და წრეზე ვმოძრაობდით ტანჯვით, ვაებით, მოთქმით, რითაც კარგად და ნათლად ჩანდა ებრაელი ერის დევნა და მოსეს წინამძღოლობით ამ გაუბედურებული ადამიანების 40 წლის მანძილზე დაუსრულებელი ხეტიალი დედამიწაზე.

საერთოდ, გოგი ქავთარაძის მიერ დადგმული სპექტაკლები, რომელიც მუსიკალურად გომარ სიხარულიძემ გააფორმა, ეს იყო ორი ნიჭიერი შემოქმედის, როგორც რეჟისორისა და კომპოზიტორის არამარტო სრული თანხვედრა, არამედ ორი ნიჭიერი შემოქმედის ნიჭის სრულად გამოვლინება გახლდათ, ნამდვილად ნიჭის ზეიმი, რომელიც მარტო ჩვენი თეატრის კი არა, არამედ საერთოდ ქართული თეატრის ისტორიაში არის უკვე დარჩენილი და ალბათ, დადგება კიდეც იმის დრო, რომ როცა თეატრმცოდნეები მოიცლიან და ღრმად გაანალიზებენ თითოეულ პერიოდის ქუთაისისა და სხვა თეატრების ცხოვრებიდან და ქართული თეატრალური ხელოვნების დიდ ისტორიას, ამით კიდევ ერთ ლამაზს, საჭიროსა და ფრიად მნიშვნელოვან ფურცელს შემატებენ.

მიხარია, რომ გომარ სიხარულიძე არსებობს თავისი დიდი ნიჭით, ზნეობით, კაცობით, გომარისეული შემოქმედებითა და თავისი მუსი-

კით კიდევ გვილამაზებს არა მარტო სპექტაკლებს, არამდე ჩვენი ერის ცხოვრებას და სულაც არ გამკვირვებია, როცა „მზიურში“ გურამ ჯაიანთან ერთად, სადაც პედაგოგად მუშაობდა ჩემი დისწული კობა კალანდაძე, პატარა გიორგის სიხარულიძე უკვე თავის სიმღერითა და მუსიკალურობით გამოარჩია ჩემმა დამ კირამ. პატარა გიორგი სიხარულიძეს მიუძღვნა ლექსი, რაზეც სპეციალურად შეიქმნა მუსიკა და ამ პატარას, რომელსაც ჯერ კიდევ ყველა კბილიც კი არ ჰქონდა მოცვლილი, თავისი სიმღერით ყველას ანცვიფრებდა. აი, ის ლექსიც:



ახლა კი აგერ ერთი წლის წინ გიორგი, ჩვენი დრამატული თეატრის მმართველად მოგვევლინა. მოგეხსენებათ, ახალ ხელმძღვანელს ყველა იმედის თვალის უცქერის და ყველას აინტერესებს მისი შემოქმედებითი სტილი.

პირველ შეხვედრაზე გიორგიმ ყველა ერთნაირი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორსაც კულტურულმა, განათლებულმა და ზნეკეთილად აღზრდილმა ახალგაზრდამ მე კი მისმა თავმდაბლობამ და უბრალოებამ მომხიბლა და თანაც იმან, რომ თვითონ აქვს კარგად გაცნობიერებული საიდან მოდის, ვისი გენი და ჯიში ანათებს მასში და ამასთან ერთად კაცთმოყვარეა, კარგად იცის თავის მოვალეობა და არის ნამდვილად კარგი პროფესიონალი. ზოგი მის ნაცნობობას იჩემებდა, ზოგი ახლობლობას. მეც მკითხეს თუ იცნობო. რა თქმა უნდა-მეთქი, მაგრამ ერთი კაცისა არ იყოს, მთელი ცხოვრება რომ იძახოდა, მოლოტოვს კარგად ვიცნობო და როცა ჰკითხეს, მართლა იცნობო? კი, ბატონო, მე კი ვიცნობ, მაგრამ თვითონ მიცნობს თუ არა, ეს არ ვიციო. მეც ასე ვუპასუხე, მაგრამ თურმე ნუ იტყვი და მიცნობდა და თანაც ძალზე კარგადაც.

თოჯინების თეატრის 60 წლის საიუბილეო საღამოზე „ნიკალაში“ ერთ სუფრას ვუსხედით და როცა მისი გამოსვლა ვნახე, მოვუსმინე მის სიტყვას, ძალიან მომეწონა და ორიგინალურად მოფიქრებული საჩუქარიც კი, რაც ჩვენი თეატრის სახელით ახალგაზრდა მსახიობებმა გიორგი ბენიძემ და კოტე რობაქიძემ თოჯინების თეატრის კოლექტივს გადასცა (ორი ცოცხალი გოჭი, რადგანც 2007 წელი მოგეხსენებათ, ღორის წელი გახლდათ), რამაც დამსწრეთა ყიჟინა, ოვაცია და ტაში დაისახურა. შემდეგ კი სუფრაზე ბევრი რაიმე გავიხსენეთ, ყველას კი მაინც გვაინტერესებდა მისი შემოქმედებითი შესაძლებლობები და აი, კიდეც სულ მალე გავხდით მისი პირველი სპექტაკლის ცვლილებების თეატრში დადგმული პიესის „ხვალ შობაა“-ს მხილველნი. ყველანი აღვფრთოვანდით და მე პირადად გულით, თვალცრემლიანმა მივულოცე. ჩემი აცრემლების მიზეზი კი მარტო სპექტაკლის ემოციური ფინალი არ გახლდა. მე დავინახე, რომ გიორგისათვის უპირველესია ტრადიცია და ქართული სული, რაც აშკარად გამოკვეთილი იყო საინტერსოდ წარმოდგენაში და თან ის ტკივილი, ქართველი კაცისა, ძალზე რეალურად იყო მიტანილი მაყურებლამდე. შემდეგ პიესა კი უკვე ჩვენთან, უფრო დიდ, საერთო

ერის ტკივილს, აფხაზეთის თემას მიუძღვნა და ნამდვილად დიდ წარმატებასაც მიაღწია.

თუნდაც ის ფაქტი, რომ ორიენტირება მას ქართულ დრამატურგიაზე რომ აქვს აღებული როგორც რეჟისორს, უპირველესი და ძალზე მისასალმებელია: ამის დასტური ისაა, რომ ახლა ისევ, კვლავაც ქართული დრამატურგია აირჩია და შ. დადიანის პიესაზე „გუშინდელის" დადგმაზე მუშაობს, რითაც ერთხელ კიდევ ისევ ტრადიციასა და საერთოდ, ქართველი კაცის დღევანდელობაში გადმოტანილი გუშინდელ ტკივილებს დასტრიალებს და სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თავის სათქმელს, თანაც ახლებურად და ძალზე ორიგინალურადაც იტყვის აქაც ჩვენი რეჟისორი, რომელსაც ჯერ წინ ძალიან დიდი გზა აქვს გასავლელი როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებაში.

მამა-შვილი გომარ და გიორგი სიხარულიძეები მუშაობისას

ჯერ სადაა! და მინდა მკითხველი და თეატრის მაყურებელიც დავაიმედო, რომ როგორც კირამ უწინასწარმეტყველა „საქართველოს სადღეგრძელო, სათქმელი გაქვს ყანწითაო". ეს სადღეგრძელო კი ჩემო გიორგი ყოველი თქვენი ახალი დადგმა იქნება, ყოველი ახალი სპექტაკლი და ეს სათქმელი არც უნდა დაგელიოს და მე ღრმად მწამს, რომ არც დაილევა, მჯერა ეს, რადგან შენ ისეთ ფუძეზე დგახარ, ისეთი დიდი ფესვებიდან და ოჯახიდან მოდიხარ, რომელსაც ჰქვია სიხარულიძეების ოჯახი და მე მიხარია, რომ შენით სიხარულიძეების სამ თაობას მოვესწარი, რომელსაც სულითა და გულით მსურს ყოველგვარი სიკეთე და სიხარული ვუსურვო შენს ძვირფას თანამეცხრედესთან და შენს ლამაზ ორ ასულთან ერთად, მაგრამ ალბათ გავა დრო და მერე ეს პატარები აჭიკჭიკდებიან

საქართველოსათვის და დაამშვენებენ თავის ქალაქს, ჩემს მამულს ისე, როგორც ეს ჩვევია სიხარულიძეებს ტრადიციულად, ხოლო თვითონ შენ მინდა დიდხანს, ძალიან დიდხანს გაიხარო, იცოცხლო, როგორც რეჟისორმა ქართული ეროვნული თეატრალური ხელოვნების საკეთილდღეოდ და სასიქადულოდ, რათა შენს მიერ შექმნილი ბევრი, ახალი წარმატებული სპექტაკლის დადგმით გაიხაროს ქართველმა მაყურებელმა.

რუსთაველის გენიის უკვდავება

დედაქალაქში ჩასვლა ჩემთვის ყოველთვის სასიხარულო იყო. ნამდვილად მომიხაროდა განსაკუთრებით მიყვარდა არდადეგები, რადგან უფრო მეტი დრო მქონდა მომენახულებია ყველა ნათესავი და ვყოფილიყავი იმ ადამიანების გვერდით, საერთოდ, ვინაც კი ჩემი ოჯახის წევრებთან მეგობრობდნენ და ისინიც ჩემს მიმართაც დიდ სიყვარულს ამჟღავნებდნენ. მიმიხაროდა იმიტომ, რომ რაც ხდებოდა კულტურულ სფეროში უფრო ახალი. დრო მქონდა მენახა ახალი სპექტაკლები, ახალი კინო-ფილმები, რათა არ ჩამოვრჩენოდი და გავცნობოდი ქვეყნის კულტურული ცხოვრების სიახლეებს.

მარტო მამა-შვილი, აკადემიკოსები კოტე და მერაბ მერაბიშვილების ოჯახთან ურთიერთობა რად ღირდა, რომლის დიასახლისი გახლდათ უსათნოესი და უსაყვარლესი ქალბატონი, დედაჩემის ბავშვობისა და სკოლის მეგობარი, ქალბატონი სონია ნიკოლაიშვილი, რომელიც მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, სტუმრისათვის როგორ ეცა პატივი. ასევე ახლო გახლდათ პროფესორ გოგი გვიშიანისა და მისი მეუღლის მანანა იოსელიანის ოჯახთან, ბაბულია ნიჟარაძის (გურამ რჩეულიშვილის დეიდა) ეკატერინე ბაღდავაძის, თუ სხვათა გვერდში ყოფნა ღირდა ყველაფრად. გვიშიანების შვილები თინიკო და ბიჭიკო ჩემი თანატოლები გახლდნენ. ისინი ლეონიძის №6-ში ცხოვრობდნენ ზემელზე. ჩემი ჩასვლა ყოველთვის უხაროდათ, რადგან სულ ერთად დავდიოდით მუზეუმებში, სამხატვრო გალერეაში, ავდიოდით მთაწმინდაზე ვეწვეოდით ზოოპარკს, თეატრებში ვესწრებოდით წარმოდგენებს ერთად.

მერაბიშვილებს უმდიდრესმა ბიბლიოთეკამ კი თითქმის კარგად გამარკვია სახვით ხელოვნებაში. მათი წყალობით, ბატონ უჩა ჯაფა-

რიძესა და ლადო გუდიშვილსაც შევხვედრივარ. მერე კი თბილისიდან დაბრუნებულს ჩემს ქალაქში მომქონდა ნანახი სპექტაკლებისა და კინო-ფილმების პროგრამები და მეგობრებს ვუზიარებდი ჩემს შთაბეჭდილებებს.

ერთხელ თბილისში ყოფნისას ბატონმა კოტემ მკითხა:

—ყველაზე უფრო რა მოგწონს თბილისშიო.

—რუსთაველის ძეგლი-მეთქი.

გაეცინა და ისევ დამეკითხა, რატომო.



აკადემიკოსები მამა-შვილი კოტე და მერაბ მერაბიშვილები საკუთარ სახელოსნოში

—ჯერ ერთი, იმიტომ-მეთქი, რომ მასზე უმეტესი არავინა გვყავს; კიდევ იმიტომ, რომ იქ ჩავლისას ასე მგონია, მარტო მე კი არა, აქედან ყველა ქართველს, მთელს საქართველოს ეუბნება და გვამშვიდებს, „ბ ო რ ო ტ ს ა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია.“ და კიდევ, იმიტომ, რომ ეგ მარტო რუსთაველის ძეგლი კი არაა, თქვენი ძეგლიცაა; და ბოლოს, ისიც კი მეამაყება, რომ მისი პოემის გმირის სახელი მქვია-მეთქი.

ბატონ კოტეს იმ დღეს არც უკითხავს და არც აღარაფერი უთქვამს ჩემთვის.

მეორე დილით, როცა მამა-შვილი აკადემიაში წავიდნენ, სონია დეიდამ გვითხრა,—არ გამამხილოთ, კოტემ თქვა, გამეხარდა, რომ ეს ბავშვი ფართო აზროვნების ყოფილაო.

ჩემთვის ეს შეფასება დიდი, რომ იყო მივხვდი, მაგრამ მაშინ კარგად ვერც გავიგე ეს სიტყვები, რისთვის დავიმსახურე, მე ხომ მაშინ მხოლოდ მეშვიდე კლასის მოსწავლე ვიყავი.

როცა დასავლეთისკენ დასასვენებლად აფხაზეთში წამოვიდოდნენ

ან ქუთაისში რაიმე ძეგლი დაიდგმებოდა, მთელი ოჯახი აუცილებლად ჩვენ გვეწვეოდა. თანაც, უხაროდა, თავის გაზრდილებსა და კოლეგებს ბატონ გიორგი (გოგილო) ნიკოლაძეს, გურამ კვიმსაძეს, რეზო რამიშვილს სიყვარულით მოიკითხავდა და ყველას, ვისაც კი მის ხელში გაუვლია.

ცნობილ მოქანდაკე ბატონი გიორგი (გოგილო) ნიკოლაძე 2002 წლის გაზეთში „მწიგნობარი" №6-ში თავის მოგონებებში სტუდენტურ წლებზე წერს და ასე იგონებს ბატონ კოტეს: „და რაც შეეხება კოტე მერაბიშვილს, მხოლოდ ოჯახის პირობებში იყო ურთიერთშეხვედრების მომხრე; ბინაზე გვეპატიჟებოდა. მეულლეს წინასწარ გააფრთხილებდა. ისიც, ქალბატონი სონია, გულით გვიმასპინძლდებოდა. ქუთაისში კი ჰყავდა ბატონ კოტეს გულუხვი მასპინძელი კირასა და ნესტან კვეიძეების დედა, ქალბატონი ნორა. ქუთაისში, სადგურის მოედანზე, დაიდგა კოტე მერაბიშვილის მონუმენტალური სკულპტურა. დიდი ზეიმი იყო იმ დღეს ქუთაისში. მისალმებები, მილოცვები... საღამოს კი ხალხმრავალი სუფრა კვეიძეების ოჯახში გაიშალა."

ასეთი სუფრა კი და თანაც ბოლოს კი ფალიაშვილის ძეგლის აღნიშვნა იყო ჩვენი ოჯახისათვის; მაშინ სტუმრებს, მერაბი ახლდათ. სხვა სტუმრებთან ერთად ძალიან გავიხარეთ და კიდეც აღვნიშნეთ ის დღე ლხინით ჩემს ძველ, ხის სახლში.

როცა ჩემი თეატრი საგასტროლოდ ჩავიდოდა, ჩემს გვერდით იყვნენ ყველანი, ხარობდნენ ჩემი წარმატებებით. ხოლო, როცა ჩემი პირველი წიგნი „ჩვენი თვალები" გამოვიდა, რა თქმა უნდა, უპირველესად მერაბიშვილების ოჯახს ვუსახსოვრე, რაზეც ტელეფონით მაშინვე შემეხმიანენ და ცოტა ხნის შემდეგ სონია დეიდამ ვრცელი წერილი მომწერა, რომელსაც ასე ამთავრებდა:

„შვილო ნესტან! გილოცავ პირველ წიგნს. ძალიან გაიხარეთ, წავიკითხეთ და სხვებსაც ვაჩვენეთ. კოტემ თქვა, როგორ მოახერხა ასე უბრალოდ და მარტივად ნიკალას გენიის 58 სტრიქონში მოთავსებაო.

გკოცნი ბევრს, ჩვენო ლამაზო და ნიჭიერო შვილო.

შენი სონია დეიდა"

სულ ბოლოს, 1989 წელს, გამოიარეს ქუთაისში. მერაბმა დამირეკა თუ არა, სასტუმრო „ქუთაისში" ვართო, მაშინვე გადავირბინე. ვეხვეწე წამობრძანდით ჩემთან-მეთქი, მაგრამ დილით ადრე ვართ წასას-

ვლელებიო, ზღვაზე მიდიოდნენ დასასვენებლად და დიდხანს არ გამომიშვეს. ამჯერად, თვითონ გამიმასპინძლდნენ. ვსაუბრობდით და თან ითას რამეს ვიგონებდით.

სიყვარულით ვიგონებ და თვალწინ მიდგას ახლაც მერაბიშვილების სახლი პლეხანოვზე, დღევანდელ აღმაშენებლის გამზირზე ეზოში, იქვე მათი სახელოსნოა, რაც ასევე ძალიან ახლობელია ჩემთვის, სადაც შევსწრებივარ და მახსოვს კიდევაც კარგად როგორ იძერწებოდა და ცოცხლდებოდა ჩემს თვალწინ ორივე მამაშვილის ხელით, როგორ იქმნებოდა და ამღერებულან ქვებში სამუდამოდ უბრალო ადამიანთა, შემოქმედთა თუ მეფეთა სახეები.

ნეტავი იმ დროს!..

ქუთათურთა საამაყო შვილი

ფალიაშვილები, მიზანდარები, ნაზარიშვილები, ლორთქიფანიძეები, ნიჟარაძეები... ეს გვარები და მათი ოჯახები ამშვენებენ ქუთაისს, ამ უაღრესად კოლორიტულ ქალაქს ეროვნული ელფერით, მეცენატობით და ლამაზი ტრადიციებით. ბევრს დედაქალაქისაკენ გაუწია გულმა, მაგრამ ვინც დარჩა და არ დააკლდა ქალაქს, კვლავაც შემორჩა მშვენებად და მოკეთედ.

სადაც არ უნდა იყოს კაცი, „მისნი საქმენი გამოაჩენენ"-ო, საქართველოს სახალხო მხატვარზე ვალერიან მიზანდარზე თქმულა.

გასული საუკუნის მიწურულში მიზანდარების გვარმა სამშობლოს მისცა საქართველოში მუსიკალური განათლების საფუძვლის ჩამყრელნი და დიდი მოამაგენი ალიოზ, ფელიქს და ვალერიან მიზანდარები.

ქართული საფორტეპიანო-საშემსრულებლო ხელოვნების პიონერი ალიოზ მიზანდარი, ვენაში ეზიარა მსოფლიო კლასიკური მუსიკის შედევრებს. ფელიქსი უფროსი ძმის მოწაფე იყო, ხოლო უმცროსი

ვალერიანი, გემის კაპიტანი გახდა და ზღვაში გასულიც არ გაჰყრია მუსიკას.

მუსიკის უმშვენიერეს სამყაროში შეჰყავდათ ზაფხულის არდადეგებზე მშობლიურ ქალაქში თავშეყრილ ჭაბუკ მიზანდარებს ქუთათურები. ჟლერდა ფორტეპიანო. ალიოზი და ფელიქსი ორ როიალზე უკარავდნენ, ვალერიანი ხან კლარნეტს აგალობებდა, ხან ფლეიტას ააბულბულებდა. ვალერიანის ვაჟი ლევანი (კადეტთა კორპუსის ორკესტრის დამაარსებელი) ვიოლინოს ააკვნესებდა და მიზანდარების ოჯახს სტუმარს რა გამოულევდა. ქალაქის მოწინავე ინტელიგენცია თავს იყრიდა მუსიკოსთა საუფლოში. სტუმართა შორის მუდამ იყვნენ ძმები ზაქარია და ივანე ფალიაშვილები, ფელიქსის უსაყვარლესი მოსწავლეები, აღტაცებულ სტუმრებს ხშირად ესმოდათ აღმზრდელებს წინასწარმეტყველური სიტყვები: მომავალი ამათია!...

ალიოზ მიზანდარს დიდი მეცადინეობა დასჭირდა მეფის ნაცვლის დასარწმუნებლად, ქართველებში ბევრი ნიჭიერი მუსიკოსი იზრდება და ღირსნი არიან სამუსიკო სასწავლებელი ჰქონდეთო.

ამ დროს კი მიზანდარების მემკვიდრე—მესამე თაობის უმცროსი ვალერიანი, ჩერნის ეტიუდების ურთულესი პასაჟების გულდაუდებელი შესრულებისათვის თითებზე მრავალი წკეპლა რომ მომხვედრია, საფიჩხიაზე ღობე-ყორეს ედებოდა, რბილ ქვებს ეძებდა, გაწკეპლილი თითებით თიხას ზელდა და რიყეზე გაშოტილს რიონის ტალღების დგაფუნი ყურში გამებად ჩაესმოდა. დღე არ იყო, რომ თეთრი ქვის ნატეხი არ ეპოვა და ზედ ბაგრატის ტაძრის ნასვეტარზე ნანახი ჩუქურთმა არ ამოეკვეთა.

ბოლოს მაინც მიხვდნენ უფროსები საით მიუწევდა გული პატარა ვალერიანს და ნოტები ფელიქსის შვილიშვილს დაგმარას გადაულოცეს. სწორედ დაგმარა დღეს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგმა, პირნათლად გააგრძელა თავისი წინაპრების—დიდი ქართველი პიანისტების ღირსეული საქმე. ვალერიანი კი თავის ნაძერწი თიხებითა და ქვებით, ფერადი ფანქრებით შესრულებული ეტიუდებითთ და ესკიზებით, რომლებიდანაც იმზირებოდნენ ბაგრატი, გელათი, გეგუთი, მწვანე ყვავილა, რიონი და ქუთაისური ბულვარი. თბილისში ჩაიყვანეს და იაკობ ნიკოლაძეს მიჰგვარეს—ბიჭის მომავალი გამოგვიცანიო.

—ეს ყმაწვილი უკვე მხატვარია! სად გისწავლია?..

—ივანე ჭეიშვილთან, სკოლაში,—ისე ამაყად დაასახელა ყმაწვილმა აღმზრდელი, ქუთაისში სახელგანთქმული ხატვის მასწავლებელი, თითქოსდა მიქელანჯელოს ნამოწაფარი ყოფილიყოს.

—ო, ივანე ჩინებული პედაგოგია, გეტყობა კიდეც მისი მადლი. მომიკითხეთ! ბიჭი დატოვეთ, იყოს ჩემთან!—სხვა არაფერი უთქვამს მოძღვარს და მომავალი მოქანდაკე იაკობს „აშვილეს“.

იაკობის ოჯახი და სახელოსნო ვალერიან მიზანდარისათვის ცხოვრების აკადემიად იქცა. აქ გაეცნო იგი დიდ ივანე ჯავახიშვილს, გალაკტიონსა და ტიციანს, მიხეილ ჯავახიშვილს, კოტე მარჯანიშვილს, დიდი მაესტროს შემოქმედება კი მისთვის რეალისტური ქანდაკების ნათელმფენი საუფლოს მეკვლედ იქცა.

1928 წელი ფეხბედნიერი აღმოჩნდა—ვალერიანი თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჩაირიცხა. ხელმძღვანელი—იაკობ ნიკოლაძე! პედაგოგი, ნიკოლოზ კანდელაკი! უფრო დიდი ნატვრა რაღა უნდა ყოფილიყო მომავალი ხელოვანისათვის, უანგარო, კეთილშობილი, თავისი საქმის კარგი მცოდნის, ჭეშმარიტი პედაგოგის ივანე ჭეიშვილის ნამოწაფარს აკადემიაში ხატვას ასწავლიდნენ იოსებ შარლემანი, ევგენი ლანსერე, მოსე თოიძე. დიდოსტატნი დიდად კმაყოფილნი იყვნენ ახალგაზრდა ხელოვანის ალღოთი, ფანტაზიით, მონასმის სიზუსტით, ნახატის განწყობილებით. აკადემიაში ჩარიცხვა, საუკეთესო პედაგოგები, უნივერსიტეტში მოწყობილ ახალგაზრდა მხატვართა გამოფენაზე მონაწილეობა ფერწერული ტილოებით—„სამხარზე“ და „გეგუთის ციხე“. დღეს უკვე სახალხო მხატვარი სასოებით ინახავს სტუდენტ დამთვალიერებელთა მაშინდელ ჩანაწერს: „თქვენმა „გეგუთის ციხემ“ ჩვენი გმირული წარსულის ნაკვალევზე გავლის სურვილი აღგვიძრა. მივემგზავრებით ქუთაისში ამ ხელთუქმნელი დიდების ნაშთის სანახავად!“ ეს იყო ახალგაზრდა ხელოვანის პირველი დიდი გამარჯვება.

1934 წელს ვალერიანი ბარელიეფით „მწველავი“ წარსდგა ამიერკავკასიის ფესტივალის დიდ გამოფენაზე. თბილისში დაიწყო მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის მშენებლობა და პროექტის ავტორმა აკადემიკოსმა შჩუსევმა გამარჯვებული ბარელიეფის „მწველავის“ ავტორის ჯერაც სტუდენტი ვალერიან მიზანდარი დანიშნა ამ გრანდიოზული შენობის ფასადის მეჩუქურთმეთა ხელმძღვანელად. ფასადის გრძელ ფრიზში, რომლის საერთო ესკიზი და ნახატი თამარ აბაკელიას ეკუთვნოდა, ერთ-ერთი სექცია შეასრულა ვ. მიზანდარმა.

აკადემიის დამთავრების შემდეგ ვალერიანი მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა. დიდი ხანი დუმდა საფიჩხიაზე მიზანდარების ფორტეპიანო, კედლებიდან იცქირებოდნენ სახელგანთქმული პიანისტი ალიოზ, მუსიკოსი—პედაგოგი ფელიქსი, გემის კაპიტანი ვალერიანი. მეზობლებმა მაშინ შეწყვიტეს მიზანდარების ოჯახში სიცოცხლის გაგრძელება, ეზოში ჩაქუჩის კაკუნი რომ შემოესმათ. ვალერიანი ფიცრულს ჭედავდა თავისი „სახელოსნოსათვის“. ამ ფიცრულში დაიწყო სიცოცხლე ბრინჯაომ, ქვამ და მარმარილომ, აქ დაიწერა მაქანდაკის შესანიშნავი წიგნები „ვერონეზეს ცა“ და „გზადაგზა“, აქ შეიქმნა კიკვიძის ძეგლი დედაქალაქისათვის, ყაზახეთისათვის ლენინის ბიუსტი, „დედა ბავშვით“, ქუთაისისათვის „მაიაკოვსკი“, ბარელიეფი ილია ჭავჭავაძის პროსპექტისათვის, პოეტის სახე, რიონჰესისათვის ინჟინერ ჯიქიას ძეგლი, ომკსისათვის ბრინჯაოს „ჯარისკაცი და ქალი“ და სერია ბიუსტებისა „ჩემი თანამედროვენი“. მარმარილოდან ცალკემზერენ ცნობილი ერისკაცნი კოლაუ ნადირაძე, აკაკი ვასაძე, იპოლიტე ხვიჩია, მფრინავი ალექსანდრე სირაძე, ქართველი ცეკვის ოსტატი დავით უშვერიძე, კინოდრამატურგი რეზო გაბრიაძე, რომელსაც ვ. მიზანდარის ცხოვრებამ და მოღვაწეობამ შთააგონა სცენარი გახმაურებული ფილმისათვის „არაჩვეულებრივი გამოფენა“...

სიმკაცრე და სიფაქიზე, ემოციურობა და სინატიფე, ფსიქოლოგიური სიმართლე და პლასტიკა ვალერიან მიზანდარის ხელოვნების კუთვნილებაა. მისი აღზრდილი მხატვრები ბერნარდ ნებიერიძე, ოთარ ქანდარია, აკაკი კიკვაძე, ჯეირან ფაჩუაშვილი, რობერტ მნაცაკანიანი, ზაურ წითაშვილი და შვილი, მოქანდაკე გივი მიზანდარი გატაცებით იღწვიან ქართული ხელოვნების გაფურჩქვნისათვის. ვალერიან მიზანდარია ქუთაისში სამხატვრო სკოლის, სამხატვრო ფონდის, სურათე-

ბის გალერეის შექმნის ორგანიზატორი, წლების მანძილზე მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე და მრავალი საშვილიშვილოს [illegible] საქმის თაოსანი, არაჩვეულებრივ მოსაუბრე, კეთილშობილი, ადამიანური სითბოთი და კეთილი იუმორით უხვად დაჯილდოებული მოქანდაკე, ჭეშმარიტად ქუთაისელი კაცი გახლდათ, რომელიც თავისი ინტელიგენტობით, კაცობით, საქმით, სიტყვით და თავის იუმორით ავსებდა, ამკობდა და ამდიდრებდა მშობლიურ ქალაქს.

„და აქიმი ეგეთი ხამს“

მედიცინის ისტორია ყოველთვის ითვლებოდა და დღესაც ასევე ითვლება ერის კულტურის ერთ-ერთ საზომად, ვინაიდან არსთა მეფისა და გვირგვინოსნისა—ადამიანის ჯანმრთელობა ქვეყნად ყოველი დასაწყისია“—ასე ფიქრობდა, ასე სჯიდა და ასე წერდა ბატონი ვახტანგ გიორგაძე თავის ცხოვრების წიგნს, რომლის თითოეულ ფურცელს არ შეიძლება მკითხველისათვის კმაყოფილება არ მიენიჭებია.

ჩვენ, ქართველებს ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში გვყავდა „ბრძენმთავარი“ მკურნალი, მოაზროვნე და ყინწვისის სამედიცინო ცენტრის შემქმნელი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, რომლის სახეც შემორჩენილია ფრესკაზე, მის სამედიცინო ენციკლოპედიის კარაბადონს მოცულობით თე მეცნიერული ღირებულებით, კლასიკური მედიცინის ისტორიაში ძნელად თუ რომელიმე ნაშრომი გაუტოლდება. უფრო ადრე კი, მე-12 საუკუნის ქართული სამედიცინო წიგნი „სააქიმოი“ შეგვაგონებს: „და აქიმი ეგეთი ხამს“, რომელ აქიმობაი კარგად და სრულად იცოდეს, და მრავალი სააქიმო წიგნი წაეკითხოს, მეცნიერთა, ოსტატთა აქიმთნანა და მრავალჯერ კურნებასა დამხდურიყოს და პირნათელი, და მისანდობელი, და უხარბო იყოს.“

სწორედ ასეთ მკურნაო-დასტაქართა პლეადას მიეკუთვნებ[illegible] ქუთაისელი მედიკოსები სამსონ თოფურია, იუსტინე ჯანელიძე, [illegible]არდ როძევიჩი, ამირაგოვი, დიმიტრი ნაზარიშვილი, გაბრიელ გოკიელი, ნიკოლოზ ხეჩინაშვილი, დიომიდე ფანცხავა, ერმილე ხუნდაძე, ალექსანდრე ასათიანი, ნიკოლოზ პოლუმორდვინოვი, ცოლ-ქმარი ელენე და ივანე სხირტლაძეები, გიორგი გელოვანი, ნიკოლოზ ნემსაძე, რაჟდენ კოპალეიშვილი, გიორგი ლორთქიფანიძე, სიმონ და ვასილ მაჭა-

ვარიანები, შალვა კოკოჩაშვილი, დავით ჩეჩელაშვილი, ჭიჭიკო და გუჩა იოსელიანები, ბაბულია ჭელიძე, სიმონ ჩიქოვანი, მარო მჭედლიშვილი, ანიკო გოგოლაშვილი, ვახტანგ გიორგაძე და სხვები, რომელთა ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე ერის ინტელექტუალური სიმაღლის წარმოჩენაზე არა ერთხელ თქმულა და დაწერილა. საერთოდ კი, ვინც ქუთაისის ქართულ და კლასიკურ გიმნაზიებში, წმინდა ნინოსა და სასულიერო სასწავლებლების არქივს გადახედავს, თქვენდა უნებურად მოგაგონდებათ ქართული ინტელექტუალური აზროვნების ბრწყინვალე წარმომადგენლის ბატონ გერონტი ქიქოძის სიტყვები: „ქუთაისის ინტელიგენცია, ევროპის ნებისმიერ ქვეყანას დაამშვენებდაო", რომელთა თვალსაჩინო ნაწილი ერის მოზარეთა? შორის აღმოჩნდა, როგორც ჩვენი ყოფისა და ცხოვრების ცალკეულ სფეროში, ასევე მედიცინაშიც მრავალი სახელოვანი წარმომადგენელი მისცა ქუთაისმა საქართველოს და არა მარტო ჩვენს სამშობლოს, რომელთა გვერდით დგას ბატონი ვახტანგ გიორგაძე, რომელმაც გარდა თავისი პროფესიონალური მოღვაწეობისა, გარკვეული კვალი დატოვა თავისი ესეებითა და წიგნებით, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, მარტო ის ერთი სტატია რად ღირს, რომელიც თითქმის, მისი ბოლო პუბლიკაცია გახლდათ „ჰიპოკრატეს უარი", რომელიც გაზეთში „ქუთაისი" 1984 წლის 5 აპრილს გამოქვეყნდა, რომელსაც თან ახლდა სურათი ის ფერწერული ტილო, გამოჩენილი ფრანგი მხატვარ-ილუსტრატორისა და მწერლის ანნ ლუი ჟიროდე-ტროიზონის (1767-1824 წ.) მიერ შექმნილი. ფერწერული ტილო ჰიპოკრატეს გამოსახულებით; იგი ხელის აქნევით უარს ამბობს შეთავაზებულ საჩუქარზე და სწორედ აქედან დარჩა გამოთქმა „ჰიპოკრატეს უარი". შემოთავაზებული გასამრჯელოს უარყოფის ნიშნად და იგი მედიკოსს (და არა მარტო მედიკოსს) ყოველთვის უნდა ახსოვდეს ნებისმიერ ადამიანს.

აღნიშნული ტილო ინახებოდა პარიზის უნივერსიტეტის სამედი-

ცინო ფაკულტეტის საცავში და იგი გამოქვეყნდა პრესაში პირველად საქართველოში და ისიც ქუთაისში ბატონ ვახტანგ გიორგაძის წყალობით, რომელმაც პარიზში მიკვლია ჩვენი თანამემამულის, ბატონ გურამ ასათიანის ხელშეწყობით. მისმა ნათესავმა, ქალბატონმა ნელი ჩიქოვანმა უნიკალური ექსპონატი გადმოსცა ბატონ ვახტანგს, რომელსაც იზიდავდა ხელოვნების სამყარო და განსაკუთრებით კი თეატრალური ხელოვნება. ყოველ პრემიერაზე ვნახულობდით არა როგორც ჩვეულებრივ დამსწრე-მაყურებელს, არამედ როგორც მსახიობთა დიდ მეგობარსა და გულშემატკივარს; იგი ახლო ურთიერთობაში გახლდათ თინათინ ღვინიაშვილთან, კაპიტონ აბესაძესთან, შოთა პირველთან, ვახტანგ მეგრელიშვილთან, ქეთევან კოლხიდელთან, ერემო სვანაძესთან და რა თქმა უნდა, ამ სტატიის ავტორთან.

„და აქიმი ეგეთი ხამს"...—ვიგონებ ვახტანგ გიორგაძეს და თვალწინ მიდგას ეს ჭეშმარიტება ქართველი ინტელიგენტი, განსწავლული, ინტელექტუალური ადამიანი, შესანიშნავი დასტაქარი, ენაწყლიანი მოსაუბრე, ხელოვნების არა მარტო უბრალო მოყვარული, არამედ კარგი მცოდნეც, სანიმუშო მამა და მეუღლე. იგი ჩვენს გვერდით იყო, ტრიალებდა და იღწვოდა, ამშვენებდა ჩვენს ქალაქს. რა სამწუხაროა, რომ აღარ არის ჩვენს გვერდით, და უკვე მოსაგონარში გახდა მასთან ყოველი შეხვედრა. იგი ჩვენს ოჯახთან ახლოს იყო, განსაკუთრებით ჩემს დასთან, კირასთან და შემდეგ კი, უკვე მეც, უფროსს მეგობრად ვთვლიდი. თავისუფალ დროს ბევრჯერ მივსულვარ მასთან სამსახურში და მომინახულებია. უნდა გენახათ, როგორ უხაროდა. უპირველესად ჯანმრთელობას გამომკითხავდა, შემდეგ კი აეწყობოდა საუბარი თეატრზე, ახლად გამოქვეყნებულ ლიტერატურაზე წავისაუბრებდით და კვლავ ასალი შეხვედრების იმედით ვცხოვრობდით. რატომღაც მეჩვენებოდა, რომ მსახიობები განსაკუთრებით უყვარდა, თუმცა არც ერთ მის პაციენტს არ დაკლებია ბატონი ვახტანგის ყურადღება და მზრუნველობა. იგი გახლდათ ჩვენი თეატრის მოჭინახულე. ახლაც, სცენაზე მყოფს, მეჩვენება, რომ პარტერში თავის უსათნოესი თანამეცხედრის, ჯანდიერების მშვენების მატარებელ ქალბატონ ნუკრი ჯანდიერთან და მის ლამაზ ქალიშვილებთან — მადლენასა და რუსუდანთან ერთად ზის და უცქერის წარმოდგენას_ მსახიობი ხომ მაყურებლისათვის თამაშობს და ისეთი მაყურებლისათვის, როგორიც ბატონი ვახტანგ გიორგაძე ბრძანდებოდა, მარ-

თლაც ღირდა მსახიობის „სრულიად დახარჯვა“. დამრჩა მისი ორი წიგნი ძვირფას რელიქვიად, მისივე ლამაზი კალიგრაფიით მოღძვნილი.

1984 წლის 26 ნოემბერს კოტე მესხის სახელობის მსახიობის სახლში თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო ჩემი შემოქმედებითი საღამო, მას ბატონი ვახტანგიც ესწრებოდა, მას სიტყვა ასე დაასრულა: „უავადმყოფოდ გეცხოვროს, ჩემო ნესტან, ექიმი არ დაგჭირვებოდესო“ და გადმომცა ახლად დასტამბული თავისი წიგნი „კვალი ნათელი“ ასეთი წარწერით: „ნესტან კვეიძეს, მშვენიერ ასულს, მსახიობსა და მწერალს, დიდი პატივისცემით ავტორისაგან“. 1986 წლის 12 აგვისტოს ქუთაისის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში ჩემთან შეხვედრაზე გამოსვლა ისევ თავისი ენაწყლიანობით გამილამაზა, თანაც მისახსოვრა მისივე მოღვაწეობით დაარსებული მედიცინის მუზეუმის ბუკლეტი. აღნიშნული მუზეუმის დაარსებით ბატონმა ვახტანგ გიორგაძემ საფუძველი ჩაუყარა არა მარტო ქუთაისში, არამედ მთელს დასავლეთ საქართველოში სამედიცინო მუსეუმის არსებობას.

დაბეჯითებით მჯეროდა, რომ ბატონი ვახტანგი ავადმყოფობას დაძლეულდა... გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე თეატრში მიმავალს ბაღში შემომხვდა, სამსახურისაკენ მიიჩქაროდა, დიდად გავიხარე. სიყვარულით მოვიკითხე და ვაუწყე, რომ ჟურნალ „განთიადის“ მორიგ ნომერში ჩემი ახალი მოთხრობა დაიბეჭდებოდა და მივართმეცდი, ამასთან ისიც დავძინე, რომ მოქმედება ერთ-ერთ საავადმყოფოში ხდება და მთავარ ექიმის თქვენი სახელი დავარქვი-მეთქი. ძლიერ გაეხარდა. თეატრის შესასვლელთან დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

თვალი გავაყოლე მიმავალს და გულში ვიფიქრე:

„და აქიმი ეგეთი ხამს“...

სამწუხაროდ, სამი დღის შემდეგ ჟურნალის ნაცვლად, ცრემლებისაგან დასველებული ყვავილებით მივადექი გიორგაძეების სახლს...

ვახტანგ გიორგაძის სახით დავკარგეთ მაღალი ინტელექტის, კულტურული, კეთილშობილი, განსწავლული ადამიანი, მკურნალი, რომელიც დღენიადაგ სხვათა ჯანმრთელობის სადარაჯოზე იდგა, ფიქრობდა სხვაზე, თვით კი დაუკვნესავად შეეგება ულმობელ სიკვდილს, ჩვენ კი მძიმე სევდად და ტკბილ მოგონებად თავისი ლამაზი [illegible] რება დაგვიტოვა“...

„მზერა ქართულია, სივრცის დაუნჯებით“...

შეუძლებელია, გენიალური პოეტის ლექსის ეს სტრიქონები არ მოგაგონდეთ. უცებ, როცა რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის, ცნობილი გრაფიკოსის, ჩვენი თანაქალაქელის, ოთარ ქანდარიას სახელოსნოს ზღურბლს გადააბიჯებთ და თქვენდაუნებურად აღმოჩნდებით იმ ლამაზ, მდიდარ და უცხო სამყაროში, რომელიც ბინას კი არა, ერთ, დიდ, მარად ფართოდ გაღებულ სარკმელს უფრო წააგავს, საიდანაც, ოთხივე კუთხით თვით ჭერსა და იატაკზეც კი ყველაფერი მართლა, მხოლოდ და მხოლოდ ქართულად იმზირება და ეს შავ-თეთრი ფერებით გამოსახული უამრავი ნამუშევარი, რომლებსაც აღარ ჰყოფნით ამ ბინის ოთხი კედელიც კი; ჩარჩოში ნახატი კი თითოეული, ამ ვეება, ღია სარკმელიდან გასული, უსაზღვრო სილამაზე და სინათლე მარადიული სუნთქვაა, უსაზღვროებისაკენ გაფრენილი შემოქმედებაა და რაც მთავარია, თითოეულ მათგანში მზერაა მხოლოდ და მხოლოდ ქართული...

ცამდე აზიდული ციხე-კოშკი თუ ყველა ეკლესია, მონასტერი და ტაძარი, რომელიც კი მოუნახულებია, სუფთა ფურცლებზე უკვდავებად უქცევია....

ახლა, ქართული ანბანი!

ბექა და ბეშქენ ოპიზრების ნაჩუქურთმევი, ქვიდან გადმოსულნი, უტკბილეს ქართული ვაზის მსგავსად დაგრეხილი თუ ჩუქურთმებში ჩაწნულნი, მოცეკვავე ადამიანებივით პლასტიურნი; უსაზღვრო დინამიკაა ყოველ მათგანში. ზოგიც ერთმანეთს ჩაფსკვნილ-ჩაკვარანჩხირებულნი, თითქოსდა სუნთქავს თითოეული ქართული ასო და გესმის მღერა მათი კიდეც, ნაირ-ნაირი, ლამაზ ორნამენტებით დახუნძლულნი გიცქერენ დახვეწილი ფილიგრანული ნამუშევარი, ინკუსტრირებული აკადემიური სახით მომზირალნი, საიდანაც ხან რუსთაველისა და ხანაც ჩვენი ძველი ჟამთაღმწერელთა ხელით შექმნილი წარსული,

გარდასულ საუკუნეებთან ერთად, აწყმო და მომავალიც შესანიშნავად იკითხება.

რამდენი რამ გვაქვს მოსაგონარი,
რაც უკვე წლებს გაჰყვა მშფოთვარს...
მაინც შერჩენია ფერიც და სურნელიც,
მერხზე რომ ტყე დამიხატე, ოთარ!
ჰოდა იმ ტყეში შესულთ,
ბედი შეგვექმნა ერთი.
არადა მთლად ასე ხომ არ არის,
მინდა, რომ მწამდეს ღმერთი.
ტყის ბილიკს გაყოლილი, დღემდე,
გული, ყმაწვილურად ტოკავს
თეორ ხიდზე ახლაც ერთად დაყდივართ,
ტკივილიც ერთნაირი გვაქვს, ოთარ!
მადარდებს, ერთსელაც ვერ მოვეფერე,
შენს გულს, რაინდულს, ხედავ?
თუმცა და-ძმობაში, „მიყვარხარ“,
რა სათქმელია ნეტავ?
კვლავ ისევ ოცნება მაცოცხლებს,
სულ მცირე მიხარია მოკვდავს.
ვხედავ, რომ ყოველ სუფთა ფურცელზე,
სიხარულს მიხატავ, ოთარ!
დრო გადის ჩვენს დაუკითხავად;
ცხოვრება დულსა და შფოთავს...
ლამაზი სიცოცხლე, შენ მაინც,
თუ ძმა ხარ, დამიხატე, ოთარ!...

ეს ლექსი, ნახევარი ცხოვრების გზა რომ გაიარა, მაშინ მივუძღვენი, ახლა კი ვზივარ და სტატიას ვწერ მასზე.

ძნელი ყოფილა, წერო უახლოეს ადამიანზე. იგი ხომ ჩემი ყრმობის ლამაზი წლების, უტყუარი მოწმე და თანაზიარია. სკოლის მერხის მეგობარია და ჩემი ოცი, ხოლო ჩემი დის, რვა წიგნის მხატვარია.

ვიცი, გამინაწყენდება, რომ ვაქო და ვადიდო, ისიც კარგად ვიცი, რომ ბევრი ადამიანი, ვინც კი მას იცნობს საერთოდ, არა მარტო

ჩვენს ქალაქში, არამედ მთელ საქართველოში, მეცილება მის სიყვარულში, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა:

ოთარ ქანდარია სიკეთის, უსაზღვრო სიკეთის მსურველთა კაცია.

ჭირში და ლხინში გვერდში მდგომელი.

ულალატო ძმა და მეგობარი.

შესანიშნავი მეუღლე, მამა და შემოქმედი, რაც ერთნაირად საამაყოა ყველასათვის.

—როგორ ხარ, ოთარ?

—როგორც ჩემი ქვეყანა.

—როგორი ადამიანი გიყვარს, ოთარ?

—დამნახავი ადამიანი.

—რა გსურს ოთარ!

—მე, ჭურუმე, ხომ ერთი კაი ფრაზა მყოფნის დიდ ხანს.

—ეს ვის გაუმარჯოს, ოთარ?

—მომფერებელ კაცს!

დიახ! ოთარი თვითონ მომფერებელი პიროვნებაა და ამიტომაც ალალად სვამს მომფერებლის სადღეგრძელოს. კარგად იცის გლეხკაცის ფასი. პატარა აივანზე თავის ხელით პიტნა და წიწაკაც კი გაუხარებია...

იგი ადამიანების გარდა, ყველაფერი ქართულის თავისებურად მომფერებელი კაცია. მათ შორის ქართული ენის, მაძიებელი სიტყვის, ფრაზების, რომელიც გზა-გზა ჩაუწერია, აუკრებია სადაც კი ყოფილა და სიყვარულით გვთავაზობს, რომ მოვუაროთ და არ დაგვეკარგოს იგი ქართველებს...

ახლა კი ვზივარ მის სახელოსნოში, სადაც თავზე გვაწვიმს. აწვიმს მისი სპეტაკი სულიდან, თეთრ, ქათქათა ქაღალდზე გადმოსულ ულამაზეს ანბანს, ქართულს...

აწვიმს ქართულ ციხე-კოშკებსა და ეკლესიას, ტაძარ-მონასტრებსა და თითქოს ეს წვიმის წვეთები ისევე დაუსრულებელი უცხო სიმფონიაა, თვით ბუნებისაგან გამეტებული, როგორც ეს დიდი ნიჭი, რაც ამ შემოქმედიდან სუფთა ქაღალდებზე და ტილოებზეა შერჩენილი, რაიც უდიდესი განძი და საუნჯეა და კარგად ვიცი, რომ იგი უკვე ჩვენი საკუთრებაა, ქართველების, რაითაც კიდევ უფრო მდიდრები ვართ.

უცებ ტელეფონის ზარი გვაწყვეტინებს ფიქრსაც და საუბარსაც.

—ეს, ლიზიკოა! ალბათ, სკოლიდან მოვიდა უკვე!—გვეუბნება ჩვენ და მერე სახეგაცისკროვნებული, შვილს ეუბნება;—მამიკო! შენი მეოთხე მამიდაა ჩემთან.

მერე კი შემორბის ლიზიკო და სიყვარულით მეხვევა ეს ულამაზესი არსება, რომელიც თითქოს და თვითონ გაცოცხლებული ნახატია და რომელმაც ყველაფრის სილამაზე უცებ გადაფარა...

—რაზე ფიქრობ, ოთარ?

—გადავრჩებით?—ამბობს იმედიანად და მართლაც, მის ნამუშევართა შემყურეს, საიდანაც ამდენი სინათლე, სიკეთე, სილამაზე და სითბოა გადმოღვრილი, ერი, რომელსაც მსგავსი ნიჭიერება გააჩნია, არ შეიძლება არ გადარჩეს; იქ, სადაც ამდენი, მართლა „მზერა ქართულია, სივრცის დაუნჯებით“...

გურამიშვილის სატრფო

შარშან სხვა საინტერესო ღონისძიებებთან ერთად გამორჩეული გახლდათ „საუკუნის აკტოგრაფი“, რომელიც ტელევიზიით ყველამ იხილა. თითოეული მათგანის დანახვაზე, მათ შესრულებულ როლებთან ერთად, პირადი ურთიერთობების გახსენებამ მარტოსულს, ცრემლი მომგვარა.

როცა გამოჩნდა ბატონი ოთარ კობერიძე, რომელსაც ხელ-კავით მიჰყვებოდა მისი პარტნიორი—ნინოს, კინო ფილმიდან „ბაში-აჩუკი“ შემსრულებელი ულამაზესი დოდო ჭიჭინაძე, რომელმაც როგორც კინოში, ასევე მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ბევრი საინტერესო სახე შექმნა, გავიხარე, მაგრამ მაშინვე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ იგი დღემდე მაინც გურამიშვილის სატრფოდ—ქეთევანად დარჩენილა, რომლის ამ ფილმის სინჯის სურათებიც კი მისახსოვრა წლების უკან.

დედა—ქალბატონი ანეტა ახვლედიანი, დედას მეგობრობდა. მისი ძმა რეზო კი, კირას

თანაკურსელი გახლდათ, ისინი უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ერთად სწავლობდნენ. ხოლო 1955 წელს, როცა ჩემი დისწული კობა გაჩნდა, ერთ კვირაში რეზოს ვასიკოც დაიბადა და იგი ჩემი კობას ძუძუმტე გახდა. ამიტომაც მთელი წელი კირა გადაისახლეს ჭიჭინაძეებმა და მეც, როცა ჩავდიოდი, ძალაუნებურად, მთელი დღეები მათთან ვიყავი. საღამოს კი, ჩვეულებრივად, თუ კი დოდოს სპექტაკლი ჰქონდა, ვესწრებოდით, თუ არა და მეორე დღეს ღილიდან მათთან უნდა გამოვცხადებულიყავით მე და დედა. ისინი კამოს 2-ში ცხოვრობდნენ. მათ ოჯახში გავიცანი ყველას საოცნებო, უმშვენიერესი ქალბატონი მედეა ჯაფარიძე და მისი ძვირფასი მეუღლე ბატონი რეზო თაბუკაშვილი, ბატონი ოთარ კობერიძე და ქართველი კინოს მშვენება ლია ელიავა, რეჟისორი ქალბატონი ლიკლი იოსელიანი, რომელიც იმავე ბინაში მეოთხე სართულზე ცხოვრობდა და სხვა ბევრი ცნობილი პიროვნება. საერთოდ, ჭიჭინაძეების ოჯახი ძალიან სტუმართმოყვარე გახლდათ და მათთან სულ ხალხმრავლობა იყო.

თითქმის ყველა სპექტაკლი მაქვს ნანახი, რაშიც კი დოდოს უთამაშია არ დამავიწყდება „ფერხადი და შირინი", რომელშიც მეჰმენ-

ხანუმს ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძე თამაშობდა, ფერხადს—გიორგი შავგულიძე, ხოლო—შირინს ზღაპრული სილამაზის მქონე—-დოდო ჭიჭინაძე. დოდოს „მედეა“ და „ჯარისკაცის ქვრივი“ კი იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ეს სახეები დღემდე გაუხუნრად დარჩა ჩემს მეხსიერებაში.

მოსაგონარი კი ათასი რამეა, მაგრამ ყველა დეტალის აღწერა, ძნელია, რადგან ჩვენ ხომ წლების მანძილზე, ერთი ოჯახივით ვიცხოვრეთ, ვიდრე ჩემი და სტუდენტი იყო და მერეც ეს ურთიერთობა არ განელებულა მათ შორის. დამრჩა ძალიან ბევრი სურათი, ზოგი თბილისში, ზოგიც ქუთაისში. ჩვენს სახლებში გადაღებული ჩემი სიძის, ილოს მიერ, რომელსაც აპარატი „ფედი“ ჰქონდა და ერთად ყოფნას, ყოველთვის სურათის გადაღებით აღვნიშნავდით. ქუთაისში მარჯანიშვილის თეატრის გასტროლების დროს კი დოდო განრიგის მიხედვით ხარ თავის ნათესავებთან ხარბედიების ოჯახში და ხანაც ჩვენთან იყო. ჩემთვის დოდო ჭიჭინაძე იმდენად ახლობელია, რომ მიჭირს ვისაუბრო მის სილამაზეზე, განსაკუთრებით მის ცეცხლისმფრქვეველ, დამატყვევებელ თვალებზე, მის ადამიანურ თვისებებზე და საერთოდ, როგორც უსაყვარლეს, ახლობელ პიროვნებაზე.

დღემდე კი დოდო ჭიჭინაძე ჩემს ცნობიერებაში გურამიშვილის სატრფოა და იგი ასევე დარჩება ჩემთვის მუდამ.

შუბლზე კოპი „ბაში-აჩუკისაგან“

ჩემი დის წყალობით, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, ხშირად, უმეტესად არდადეგებს თბილისში ვატარებდი და მის სამეგობროს გათამამებული ვყავდი სიყვარულით. ხშირად ოპერის, ხან რუსთაველის, მარჯანიშვილის, გრიბოედოვისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის სტუმარი გახლდით და ჩემს ქალაქში დაბრუნებულს მომქონდა პროგრამები და მეგობრებს ვუზიარებდი დედაქალაქის თეატრებში მიღებულ შთაბეჭდილებებს.

ალექსანდროვის ბაღთან ერთ პატარა, ნაქირაველ ბინაში ცხოვრობდნენ ჩემი და კირა და სიძე ილო კალანდაძე, რომელიც სულ მეგობრებით იყო სავსე. იყო ახალი ლექსისა და სიმღერების გაცნობა. მეზობლად ქალბატონი ნელი ჩაჩავა-ჯავახიშვილი თავისი ლამაზი შვილებით—ნინო, ვანო და გიორგითი ცხოვრობდა, გვერდით კი გუგული და ნათელა ჩაფიჩაძეები, რომლებმაც პირველებმა შეასრულეს რ. ლაღიძის „თბილითო, მზისა და ვარდების მხარეო“.

ერთხელ დედამ რაღაცაზე გამაგზავნა ზემელზე აფთიაქში, სადაც დოდო ჭიჭინაძის დედა ქალბატონი ანეტა ახვლედიანი გახლდათ გამგე, მე რუსთაველის თეატრისა და ოპერის მხარით წასული, ისევ ამ გზით დავბრუნდი მალე და ვიდრე რუსთაველის თეატრს მოვუახლოვდებოდი დავინახე მსახიობები ვილაცის გარშემო მოსაუბრე. მაშინ, მოგეხსენებათ მსახიობებს უკან დავყვებოდით ახალგაზრდები და თითქმის ყველას ვცნობდით, მაგრამ მათ შორის სრულიად უცხო შევნიშნე, რომლის არასდროს არ მენახა და ძალიან დავინტერესდი, ვინ იყო, რომლისთვისაც გამვლელ-გამომვლელს გულგრილად არ ჩაუვლია, სიყვარულით და ღიმილით უცქერდნენ. მეც გავჩერდი, ვითომ რაღაც დამრჩა, უკან მივბრუნდი, რომ კარგად დამენახა, თვალი ვერ მოვწყვიტე. ეტყობა თვითონაც იგრძნო ვისაც ვუცქერდი და უცებ ჩემსკენ მოიხედა. მე შემრცხვა და იქვე წყლის სოკო იდგა და ვითომ წყლის დასალევად, დავხარე თავი და ისე ძლიერ დავარ-

ტყი თავი, რომ ცხვირიდან მაშინვე სისხლი წამსკდა და შუბლზე კოპი გამიჩნდა.

ჩემებს შეეშინდათ ასე „შელამაზებული" და სიმწრისგან აცრემლებულიც რომ დამინახეს და როცა მიზეზი მკითხეს, არ დამიმალავს, სიმართლე ვუამბე, კაცი მომეწონა და ასე დამემართა-მეთქი, ბევრი იცინეს, რაზეც გავგულისდი.

—უი! ამ გაჭირვებულს ოთარი უნახავს კობერიძეო,—თქვა კირამ.

—ვინ-მეთქი?—კარგად ჩავეკითხე ჩემს დას.

—ვინ და „ბაში-აჩუკში" რომ იღებენ.

—არ ვიცი ვინ არის, მაგრამ არ რცხვენია ასეთი ლამაზი რომ არის-თქო,—ვთქვი გამწარებულ გულზე.

სულ მალე დოდო ჭიჭინაძის ოჯახში ბატონი ოთარი ძალზე ახლოს ვნახე და ეს ამბავიც ვუამბე, რაზეც ბევრი იცინა. მერე კი მომეცა საშუალება, რათა უფრო ახლოს მენახა მისი უმშვენიერესი თანამეცხედრე ქართული კინოს მშვენება, ქალბატონი ლია.

ბატონი ოთარი 1969 წელს გრიბოედოვეის თეატრის გასტროლს ჩამოჰყვა და რა თქმა უნდა ჩემმა ოჯახმა უმასპინძლა. თანაც 20 აგვიტოს ჩემს დაბადების დღეზე სუფრაც დამიმშვენა, რითაც ჩემმა სტუმრებმაც ნიდარ და ლამარა ვაშაკიძეებმა, ჯონდო თოლორდავამ და სხვებმა გაიხარეს და ჯონდომ გვერდით დაიკავა სუფრაზე ადგილი. ბატონი ოთარის გვერდით ყველა სტუმარს სურდა მოხვედრა, მაგრამ ვაჟა ოყრეშიძემ ყველა მოასწრო, რაზეც ვიცინეთ. ბატანმა ოთარმა თავის ხელთ შესრულებული ჭედურობის შესანიშნავი ნიმუ-

1987 წლის 3 დეკემბერი. შეხვედრაზე რკინიგზის კლუბში

ში მაჩუქა, რომელიც დღეს ჩემთვის უძვირფასესი რელიქვიაა. ჩემი ეზოს ბავშვებმა კი მთელი ქუჩა შეყარეს, კვეიძეებთან მართალი ბაში-აჩუკია მოსულიო. ბატონი ოთარისა და ქალბატონი ლიას, ამ ულამაზესი, ნიჭიერი და უსაყვარლესი ფერია ქალის ღუეტი კი ლეგენდად შემორჩება არა მარტო მის თანამედროვეებს, არამედ საერთოდ ქართულ კინოს ისტორიას. როცა ქუთაისში შეხვედრა ჰ ქონდა ბატონ ოთარს, რა თქმა უნდა, სიტყვით მივესალმე. გაუხარდა ჩემი დანახვა. განშორებისას კი თავისი ახალი მისამართი დამიტოვა, მე არ ვიცოდი თუ ბარნოვზე იყვნენ გადასული. მის შემდეგ კი აღარ შევხვედრივარ. მარტო ტელევიზორში, ან ფილმში როცა დავინახავ, ისევ სიყვარულითა და პატივისცემით ვიგონებ წინანდელ საუკუნეში ჩემს შუბლზე კოპის მიზეზს და მეღიმება...

„აბა, დელი-დელა...“

უცნაური ჩვევა მაქვს, მზის სხივებს უნდა შევეგებო და თითქოსდა ჩიტების ჭიკჭიკის გაგონება არ მინდა, რომ ვინმემ მომასწროს. და საერთოდ, ალბათ, ამიტომ ვდგები დილაუთენია და ვიდრე შინ ვარ, ჩემი პატარა კარვის კარს არ ვკეტავ და სულ მოფრიალებულია ზამთარ-ზაფხულ, დარშიც და ავდარშიც და ისე ვსაქმიანობ.

ამ ზაფხულის ერთ დილას მეზობელი შემოვიდა და მითხრა: „აბა, დელი-დელა“ გკითხულობთ და გელოდებათ მანქანაშიო.

კიბეზე დავეშვი და რას ვხედავ. ჩემი აივნის ქვემოთ მანქანა ჩემი მეზობლებით გარშემორტყმული იყო, რომელშიც ქალბატონი ლეილა აბაშიძე თავის ვაჟით, ლამაზი რძლითა და შვილიშვილით მწვევია. ძალიან გავიხარე და იქვე თან ვკითხე, როგორ მომაგენით-მეთქი.

—შენს ძველს სახლში და მასწავლეს ახლა სადაც ცხოვრობო.—და რა თქმა უნდა, ყველა მაშინვე სახლში შემოვიპატიჟე.

—არა! გვეჩქარება! ურეკში ვიყავით და გამოგიარეთ, ძალიან მინდოდა შენი ნახვა და თან კირას წიგნებიო.

მეც, რა თქმა უნდა, სურვილი მაშინვე ავუსრულე, მაგრამ ვთხოვე დაესვენათ, ესაუზმათ და უარის თქმა აღარ გაუვიდათ, რადგან მეზობელმა გვითხრა, საუზმე უკვე მზადაა და შენი სტუმრებიანად გელოდებითო.

ყველანი ჩემი ბინის ქვემოთ, პატარა ბარში შევედით.

სუფრისთვის სტუმრის დანახვისთანავე უზრუნვიათ.

ათასი რამე გავიხსენეთ, მერე კი სიყვარულით ერთურთს დავემშვიდობეთ და ირგვლივ გარშემორტყმულ ჩემს მეზობლებს, ყველაფრისათვის მადლობა გადაუხადა და ბოლოს ასე თქვა:

—იცით, რა მშვიდად ვარ ახლა და გახარებული, რადგან კარგად დავინახე, რომ ჩემი ნესტანი ასე გყვარებიათ თქვენცო.

ლეილა ხომ ყველას უყვარს. იგი ჩვენი ქართული კინო-ხელოვნების სიამაყეა. ქალბატონი ლეილას ნიჭიერებაზე მის მიერ განსახიერებული კინო-გმირები მეტყველებენ, რომლებიც კარგა ხანია არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო კინო-შედევრთა საკუთრებაა. მის ყურადღებას, ადამიანებისადმი სიყვარულსა და ჭირსა და ლხინში დგომას, სრულყოფილად მაინც ვერ გადმოგცემთ, მაგრამ შევეცდები რამდენიმე ეპიდოზი გავიხსენო.

ერთხელ, თბილისში მყოფ დედაჩემს, თურმე, გულმა შეტევა მისცა და შეშინებულ კირას ქვეყანა შეუყრია. ბატონი ირაკლი ჭუმბურიძიდან დაწყებული, ვისაც იცნობდა ან არ იცნობდა, ყველა მკურნალი მოუყვანია. მერე კი, მე დამირეკა თუ არა, იმ დღესვე, სპექტაკლის შემდეგ, თბილისში გავემგზავრე.

დედა კარგად დამიხვდა.

—რა ვიცი, გენაცვალე, მე კი დამზაფრა და გუშინ სამსახურიდან ადრე გამოვიქეცი და რომ მოვედი, რას ვხედავ! ცინუკი დადიანი და ეს ხმაშეწყობილი მღეროდნენ. წინადღით კიდევ, მთელი დღე მე ნომრის მორიგე ვიყავი და ლეილა აბაშიძემ, მე დავრჩები დედაშენთანო.

—ჰოდა, იმიტომაც გამოკეთებულა!—ვთქვი მე და დედას კი წამოსვლა აღარ უნდოდა, რადგან იმდენი ახლობელი, საყვარელი და მონატრებული ადამიანი უნახავს. ლეილამ იმ დღესაც მოინახულა დედა. ჩვენ ქუთაისში მოვდიოდით უკვე. მალაკნებთან ტაქსში მოვთავსდით. ლეილამ, მეც უნდა გაგაცილოთო, მაგრამ დედამ არ ქნა, ჯერ შენ დაგტოვებთ, შვილო, არ მაჯავრო შენი თავი და მერე

ჩვენ წავალთ სადგურშიო. მართლაც, მივაცილეთ ლეილა, რომელიც სიყვარულით დაგვემშვიდობა და როცა მანქანას დავუბრუნდით, დედამ მძღოლს ჰკითხა, თუ იცი, ეს ქალი ვინ იყოო?

—როგორ არა, დედიჯან, — მოგვიტრიალდა მძღოლი—ეგ ხომ „აბა, დელი-დელაა“!

ჩვენ ამაზე გავიცინეთ. წლების წინ კი მესხიშვილის თეატრის სცენაზე, ქუთაისის საბავშვო მუსიკალური თეატრის ხელმძღვანელებმა, ქალბატონმა მარინა ტყაბლაძემ და პატონმა ჯემალ ჩხეიძემ დაუვიწყარი შეხვედრა მოუწყვეს, რომლებმაც სცენაზე მოზარდებით ქალბატონი ლეილას მიერ ნათამაშევი გმირები გააცოცხლეს. ვინ ქაჯანა იყო, ვინ—ჭრიჭინა, ვინ—აბეზარა, ვინ—ვარდისახარი თუ ხმალშემართული მებრძოლი მაია...

ამასწინათ, საქართველოს ტელევიზიაში, სამ ლამაზმან ქალბატონთან ჰქონდა დიალოგი რომელიღაც ჟურნალისტს. მოწვეული გახლდათ ქალბატონები, დოდო ჭიჭინაძე, ლეილა აბაშიძე და ლიანა ასათიანი. საუბრისას დოდომ ხმამაღლა განუცხადა ყველას, ნამდვილი კინოვარსკვლავი, შვილო, ჩვენს თაობაში გახლდათ ლეილა აბაშიძეო.

ეს მე ისედაც კარგად ვიცოდი, მაგრამ როცა მისმა უფროსმა კოლეგამ, ულამაზესმა ქალბატონმა ასე ზუსტად შეაფასა მისი ნიჭიერება, ამან უფრო გამახარა.

არ დამავიწყდება 1974 წელი, როცა ქუთაისმა ქართულ კინოფესტივალს უმასპინძლა. როცა ჩვენი ქალაქის ქუჩებში გამოანათეს ქართველმა კინო-ვარსკვლავებმა და მოღვაწეებმა. ლეილას სასტუმროში მივაკითხეთ და გამოვედით თუ არა, თეატრამდე ხალხის წრის გარღვევა, ჩვენი დახმარებით, ძლივს მოახერხა და ბოლოს, არ დამავიწყდება მისი გულწრფელი ცრემლები და თანაც, როგორ ცდილობდა თავისი მოფერებით ჩემთვის იმ გაუსაძლისი ტკივილის შემსუბუქებას, რაც

კირას საიმქვეყნოში გარდასვლით განვიცადე. იგი ლხინსა და ჭირში ერთნაირად მდგომი პიროვნება გახლავთ.

მე კი ისევ ველოდები ზაფხულს. ვიცი, თუკი ქალბატონი ლეილა აბაშიძე დასავლეთისკენ წამოვა, ისევ მომინახულებს, ჩემს უნახავად არ წავა, რადგან ის მეზობელი მის შემდეგ სულ მეუბნება:

—ალბათ ზაფხულში მოვა ისევ შენთან „აბა, დელი-დელა"...

მეც ვაიმედებ, რა თქმა უნდა-მეთქი, რადგან ვიცი, რომ მოვა და აუცილებლად!..

არსაკიძისა და მეფე ერეკლეს თამადობა უნაბის ძირში

ჩვენს თეატრში სამუშაოდ გადმოვიდა ქალბატონი ნელი ფილიაშვილი-არჩვაძისა, მიხარიოდა, რომ ერთ საგრიმიორო ოთახში ვიყავით და ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს, რადგან მას არ ვიცნობდი და ბატონ თენგიზს კი კირასაგან, ხან თბილისში, გურამ მაცხონაშვილთან, ზურაბ ქაფიანიძესთან ერთად შევხვედრივად ბევრჯერ და ყოველთვის დიდი სითბო და სიყვარული გამომყოლია მისგან. ასევე ქუთაისშიც როცა კი მოხვდებოდა, ჩემს ოჯახს სტუმრობდა სიყვარულით.

ზაფხულობით, მოგეხსენებათ ქუთაისში ყოველთვის ჩამოდიოდნენ გასტროლებზე სხვადასხვა თეატრები და მაშინ ჩვენს ქალაქში ცხოვრება ორმაგდებოდა. სტუმრებს ვხვდებოდით ჩამოსვლისთანავე ხან სადგურზე, ხან მოედანზე. იყო მიპატიჟებები ოჯახებში, რესტორნებში, იყო სპექტაკლების ირგვლივ საუბარი, მსჯელობა. ერთმანეთის მოსიყვარულება და თითქმის ყველა თეატრის, ყველა თაობა ერთმანეთს ვიცნობდით და ერთმანეთს კიდევ ერთხელ, რომ შევხვდებოდით, იყო ნიჭისა და სიყვარულის ზეიმი. ჩვენც ჩავდიოდით საგასტროლოდ თბილისში, ბათუმში, სოხუმში და ერთურთის წარმატებებით ვხარობდით და აქედანაც ვეხმაურებოდით ერთმანეთს. ახლაც გრძელდება ეს ტრადიცია, მაგრამ უფრო იშვიათად, განსხვავება მარტო მასშია, რომ თაობები შეიცვალა.

1985 წელს მარჯანიშვილის თეატრი გვეწვია და მის შემდეგ სრულად მთელი დასი არც ჩამოსულა ჩვენს ქალაქში. მაშინვე შევეგებეთ თეატრს, მივაცილეთ სასტუმრომდე. შესანიშნავი რეპერტუარით ჩამობრძანდნენ „ოტელო“, „მგზავრის წერილები“, „ბახტრიონი“, „ჯაყოს ხიზნები“ და სხვა, რომელთა გარშემო იყო მსჯელობა შეხვედრებზე სკოლებსა თუ სხვადასხვა დაწესებულებებში. ერთი სიტყვით, რაც კი ჰქონდათ საგასტროლო რეპერტუარში კიდევ ერთხელ ვიხილეთ მაღალი ხელოვნების ნიმუშები და დავტკბით მაყურებლები. გასტროლების დასრულების შემდეგ კი სიყვარულით გავაცილეთ სტუმრები.

ერთ-ერთი წარმოდგენის ანტრაქტის დროს სპექტაკლის მონაწილეებთან გავედი, ბატონმა თენგიზ არჩვაძემ ხელი გადამხვია და მითხრა, უკვე თავისუფალი ვარ და დღეს დედათქვენი უნდა მოვინახულოო. მე ძალიან გამეხარდა, მაშინვე მოვძებნე, ერემო სვანაძე და ვუთხარი, რომ აუცილებლად გამოსულიყო ჩემთან. კი, ბატონო, გავიარეთ სახლში და მივალო, დამპირდა. დავურეკე სტუმარი მომყავსთქო. დავრეკე ოთარ ქანდარიასთან და რეზო ნაჭყებიასთან, რომელსაც ვთხოვე გიტარის წამოღება და არ დავიწყებოდა.

მივედით სახლში თუ არა, ერემო თავისი დაწურული ღვინით ჩემთან გაჩნდა. დედამ სუფრა გაწყობილი დამახვედრა. მალე ოთარი და რეზოც შემოგვიერთდნენ, მაგრამ თენგიზმა სუფრა ოთახიდან გარეთ ეზოში, უნაბისა და ვაშლატამას ძირში გაგვატანინა და დედაჩემის გვერდით ჩამოჯდა.

მალე ყველაფერი აეწყო, მეზობლის ბავშვები შემოგვესიენ, ზოგი ამბობდა არსაკიძე მოვიდა სტუმრადო, ზოგი კი ამტკიცებდა, ეგი მეფე ერეკლეა, „წიგნი ფიციასაში“, რომ ვნახეთო.

თბილისიდან კირამ დაგვირეკა, შეგვეხმიანა, ძალიან გაუხარდა ჩვენი თავშეყრა, მაგრამ გაგვაფრთხილა სასტუმრომდე მიაცილეთ, არ დაიჭირონ თქვენი მეფე ერეკლეო, რადგან იმ წელს ანდროპოვის „მშრალი კანონი“ მოქმედებდა.

ეს იყო დაუვიწყარი საღამო.

გვიანობამდე ვერ შეველიეთ ერთმანეთს.

გვიანობამდე ჩვენი ოთახიდან დამაგრძელებლებით გადმოვიყვანილ თუ ქუჩის ლამპიონების შუქზე უფრო დიდი, ბადრი მთვარე გვინათებდა სუფრას, რომელმაც ღრუბლებში სეირნობაც კი შეწყვი-

ტა და ისიც კი ისმენდა ხან აკვნესებულ გიტარას ჟღერადობას, ჩვენს საუბარს, ლექსებს, სიმღერებსა, ათას მოგონებებსა და სიყვარულით სავსე სადღეგრძელოებს, რომელსაც არსაკიძე და მეფე ერეკლე უნაბის ძირში მჯდომარე დიდი სიყვარულით წარმოსთქვამდა ჩემს მიწაზე, ადამიანებზე, საქართველოსა და ქართველებზე...

„მზეო, თიბათვისა“...

„მზეო თიბათვისა,
მზეო თიბათვისა...“

ამ სტრიქონებს წაკითხვისას ყოველივის მესმის თათიასეული ტკბილი ქართული, მაშინვე ჩემს თვალწინ აღიმართება სახება დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას დის, ქალბატონ თამარის უმშვენიერესი ასული და ყურთასმენას არ სცილდება შესანიშნავი ხმისა და მეტყველების მქონე, მტრედისფერ კაბაში, თავზე ვერცხლისფერი დიადემით, ჩვენი ლამაზი თათია, რომელსაც ვიცნობდი და ახლაც თვალწინ მიდგას მის მიერ პირველად გამართული პოეზიის საღამო თბილისში. იგი მართლა დიდი სიყვარულით უყვარდა ყველას, თუმცა:

„ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეელება,
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები...“

თათია, როცა ბათუმის თეატრში მუშაობდა, ქუთაისში გასტროლებზე ყოფნისას ჩემმა დამ, რომელის თათიას კარგად იცნობდა, გვასტუმრა და სასტუმროში აღარ გავუშვით. მის შემდეგ ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა მთელს ჩემს ოჯახთან, როცა დასავლეთში თავის სოფელს ეწვეოდა ან დასასვენებლად წამოვიდოდა, მერე აუცილებლად ჩვენთან უნდა გამოევლო და დედაჩემიც არსად აღარ უშვებდა. 1980 წელს თათიას გამოუვლია ჩვენთან. ამ დროს მე



20 -ოქტომბერი, 1980

ქალაქის (ფესტივალის სასტუმროს
სასტუმრო დარბაზული ოთახი.

ბათუმში ვიყავი გასტროლებზე, დედას ისე გახარებია, აღარსად არ გაუშვია, უთხოვია ნესტანის ჩამოსვლამდე აქ იყავი შვილო. ისიც თავის ქალიშვილ—ფისოსთან ერთად ჩვენთან დარჩენილა.

თათია თბილისში დიდუბეში ცხოვრობდა და როცა შეიტყობდა ჩემს იქ ყოფნას, მაშინვე შინ მიმიპატიჟებდა. ასე რომ, ხშირად ვიყავით ერთად. არ დამავიწყდება 1968 წლის 24 ივლისი, როცა მის დაბადების დღეზე უამრავმა მისმა მეგობარმა მოიყარა თავი. სუფრაზე აღმოვჩნდი ნომად ბართაიას გვერდით, რომლის მამას ბატონ ევგენის, კარგად ვიცნობდი, რადგან მის ჟურნალში „საქართველოს ბუნება“, რომლის რედაქტორიც გახლდათ ბატონი ევგენი, ხშირად იბეჭდებოდა ჩემი მოთხრობები. სუფრის დამთავრებამდე ჩამოატარეს ბეჭის ძვალი, რომელზეც ყველამ გააკეთა წარწერა. ზოგმა ლექსად, ზოგმა ავტოგრაფი დაუტოვა, სურვილები იუბილარს სახსოვრად. მახსოვს ნომადიმ და ვახუშტი კოტეტიშვილმა სპარსულად დაწერეს რაღაც, ვიღაცამ რუსულად, ვიღაცამ თურქულად, ვიღაცამ მეგრულა, და მეც რა თქმა უნდა მშობლიურ ენაზე ექსპრონმტად ასეთი რამ დავწერე: *„რა ქარია, რა ქარია...*

ეს დიდი დრო რა მალია,
ეს დიდი დრო რამ გალია...
რა ქარია, რა ქარია,
ეს თათია, რა ქალია!
ეს თათია, რა ქალია!
ეს დიდი დრო რამ გალია?!..“

თამადამ, ბატონმა ვახუშტიმ თათიას სთხოვა, ყველას ნაწერი, თვითონ ავტორებს წაეკითხათ და ვისი სურვილიც ან რომელიც ტექსტიც, უკეთესი იქნებოდა, ბოლოს შესვამდნენ მის სადღეგრძელოს. ჩემს გაოცებას არ ჰქონდა ადგილი, რომ სუფრაზე შესვეს ჩემი სადღეგრძელო.

თათიას საღამოს „მზეო თიბათვისა“, რომელიც თბილისში გაიმართა პირველად. ახლაც თვალწინ მიდგას და არც დამავიწყდება არასდროს, 1990 წლის 20 ოქტომბერს კი თათია ჩვენს ქალაქში ჩამობრძანდა და მესხიშვილის თეატრში მისებურად ააჟღერა რუსთაველი, ვაჟა, ილია, აკაკი, გალაკტიონი, გამსახურდია და აღაფრთოვანა ქუთაითური მაყურებელი. შემდეგ კი სუფრაც გავმართეთ და ჩემს ძველ სახლში ისურვა ღამის გათევა. დღისით კი დაგვემშვიდობა, თავის აფიშა და სურათი ასეთი წარწერით დამიტოვა სამუდამოდ.

1994 წელს კი იგი ისევ ეწვია ქუთაისს და ჩემთან მოვიდა. მთხოვა, უნივერსიტეტში წავყოლოდი, რექტორს მინდა შევხვდეო. მე გამეცინა და ვუთხარი:

—კი, ბატონო, წაგყვები, მაგრამ რექტორი თვითონ მი[illegible]ცაა ჩემთა-თქო.

უკვე საღამოს 5 საათი იყო. თათია ნერვიულობდა.

—ჯერ ერთი, არ იცის, აქ რომ ვარ, ანდა შ[illegible] რატომ უნდა მოვიდესო,—გაუკვირდა.

—დაბარებული მყავს-მეთქი,—ვუპასუხე,—აუცილებლად მოვა, საცაა კარს შემოაღებს-მეთქი. და მართლაც, ისე აგიხდათ ყველაფერი, ბატონი მაგალიც გამოჩნდა. თათიამ არ იცოდა, მე და ბატონი მაგალი თუ მეზობლები ვიყავით.

მესამე დღეს უნივერსიტეტში გაიმართა პოეზიის საღამო და გადაჭედილ დარბაზში ისევ ისმოდა თათიას უტკბილესი ქართული:

„მზეო, თიბათვისა, მზეო თიბათვისა,
ლოცვად მუხლმოყრილი. გრაალს შევედრები,
იგი ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთებით დაიფარე ამას გევედრები“...

დადიანების „კენტავრი“

ვისაც ერთხელ უნახავს ქალბატონი ცინუკი დადიანი, დამეთანხმება, რომ იგი მართლაც გამორჩეული ქალბატონი გახლდათ, როგორც გარეგნულად, ისე შინაგანი თვისებებით, იუმორით, სილაღითა და შესანიშნავი ექიმი და ამავე დროს შესანიშნავი მომღერალი, რომელსაც თავისი გამოსვლებით ბევრჯერ გაულამაზებია საღამოები. ამშვენებდა სცენას, ჩვენ საზოგადოებრიობასა და აღტაცებაში მოჰყავდა მსმენელი. იგი ჩვენს ოჯახთან ძალიან ახლო გახლდათ და განსაკუთ-

რებით ჩემს დასთან, როცა კი თბილისში ჩავიდოდით, სტუმრობდა, დედას სიყვარულით მოიკითხავდა და ვსაუბრობდით პოეზიაზე, მუსიკაზე, მერე კი თვითონ პიანინოს მიუჯდებოდა, ახდიდა კლავიატურას და დაგვატკბობდა ხან ახალი, ხან ძველი მელოდიებით.

მის საიუბილეო საღამოზე, რომელიც თბილისში საზოგადოებრიობამ გაუმართა ქალბატონ ცინუკის დაბადების 70 წელთან დაკავშირებით, მე და მსახიობი მერი ბარაბაძე ჩავედით. ჩემს გვერდით მსახიობი ნუკრი ფაცურია იჯდა. ქალბატონმა დოდო ჭიჭინაძემ გაიხსენა, როცა იგი ავარიაში მოხდა ძმასთან რეზოსთან ერთად და იწვა საავადმყოფოში, ყოველდღე მნახულობდა ქალბატონი ცინუკიო და ყოველდღე მიმღეროდა და ალბათ მალე რომ გამოვჯანმრთელდი, ამ ქალბატონს და მის სიმღერას მიუძღვის დიდი წვლილიო. კირამ კი თავის მისალოცი სიტყვა იქვე, ექსპრომტად შეთხზული, ამ ლექსით დაასრულა:

მამულებჩამორთმეულო, ხარ ვით დედალი კენტავრი.
ცარელაგვარშერჩენილო, რა გემღერება ნეტავი?
წამლად სიტყვა გაქვს მკურნალი, დიაგნოზს ენით იპოვი,
თუ გახსოვს მაინც უჯრაში, რომ გაქვს ექიმის დიპლომი.
ასაკი შენ არ გეხება, სახით, ოცნებით, ფიქრებით,
რომ შეგისრულდეს ოთხმოცი, მაინც თექვსმეტის იქნები.
სიმუხთლეს წუთისოფლისას და ვარამს არა სთვლი ბოლოდ,
ქალობის ეტალონი ხარ და ქალურობის სიმბოლო.

თავს მოუარე, იცოცხლე, არ გაიკარო ჩივილი,
ას წელს იარე რუსთველზე ტანის რხევით და ღიმილით.
მონა ვართ შენი მშვენების, ერთზე ვგიჟდები მუდამაც,
შენს ასი კაცის ღირსი ხარ, რით მიგაჯაჭვა გუგამ.
შენ რომ გიყურებთ სიბერის, არ გვეშინია ბედისაც,
ასი წლის მერე გემღეროს, ბოლო სიმღერა გედისა.
ქალღმერთად შემორჩენილო, წლები ჩათვალე წუთებად.
საქართველოდან გარდასვლის, გახსოვდეს არ გაქვს უფლება.

ჭეშმარიტი ხელოვანის უკვდავება

1990 წლის 25 აპრილს ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ქართული თეატრისა და კინოს მსახიობის, ცნობილი კომიკოსის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის, ბატონ იპოლიტე ხვიჩიას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო.

მე წილად მხვდა ბედნიერება, ვყოფილიყავი იმ დიდებული საღამოს წამყვანი, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, ჯერ ქუთაისში გაიმართა, მეორე დღეს წყალტუბოში, ხოლო მესამე დღეს კი მსახიობის მშობლიურ ქალაქში—ხონში.

სამივე საღამოზე თავი მოიყარა რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა უამრავმა სტუმარმა; დარბაზი გადაჭედილი იყო და გარეთ მყოფთ ველარ უმკლავდებოდნენ კამერდინერები.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ იმ თაობას მივეკუთვნები, რომელიც მოესწრო ჩვენს საამაყო, დიდ ქართველ მსახიობებს, ორმოციანი წლებიდან რომ ამშვენებდნენ საქართველოს თეატრებს და ბრწყინავდნენ როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა თუ სხვა თეატრების სცენებზე.

ომის შემდგომი პერიოდის თაობისათვის ქუთაისში გრძნობათა და ემოციათა ერთადეთრი ნავსაყუდელი ჩვენი თეატრი გახლდათ, რო-

მელმაც ცხოვრება სულ სხვა თვალით დაგვანახა, სულ სხვა სამყაროში შევყავდით, გვაფიქრებდა, გვატირებდა, გვალხენდა და გულწრფელი სიცილით აღვსილები, რაღაცით განტვირთულები და რაღაცით სავსენი ვბრუნდებოდით შინ. გვიყვარდა თეატრი, საოცრად გვიყვარდა მსახიობები, რომლებსაც ისე ავდეკნებივართ ქუჩაში, რომ ბევრჯერ საკუთარ სახლსაც გავცდენივართ. ახალი სპექტაკლის მოლოდინში ვიყავით და მერე სულგანაბული ვუცქერდით სცენაზე ჩვენს საყვარელ მსახიობებს, რომელთა შორის თავის უშუალო, ბუნებრივი ნიჭითა და კომიკურ სცენურ სახეთა შექმნით გამოირჩეოდა ბატონი იპოლიტე; მას თითქოსდა გვარი არც სჭირდებოდა, იმდენად პოპულარული გახლდათ და ისე დამკვიდრდა ხალხში, რომ ეს, შემდგომში, მის შემოქმედებაშიც კი გადავიდა. იპოლიტეს სცენაზე 85, ხოლო კინოში 45 როლი აქვს ნათამაშევი—არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მათ შორის რამდენიმე ფილმის სცენარი საგანგებოდ მისთვის დაიწერა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ცამეტ ფილმში იგი თავისი სახელით გვევლინება. ეს ფილმებია: პიერი მილიციის თანამშრომელი", „შეხვედრა წარსულთან", „მალე გაზაფხული მოვა", „ქალაქი ადრე იღვიძებს", „ღიმილის ბიჭები", „ბზიანეთი", „სემირამიდას ბალები", „მეზობლები", „მხიარული რომანი", „რაჭა ჩემი სიყვარული", „ანარეკლი", „მუქარა შუაღამისას", „დილის ნისლივით".

როგორც მოგახსენებათ, მას სიცოცხლეშივე სახელით მოიხსენიებდნენ და ვისაც კი ხელოვანი უნახავს სცენაზე და მით უფრო, თუ მისი პარტნიორი ყოფილა, არ შეიძლებოდა არ დაგვეთანხმოს, რომ იპოლიტე ნამდვილად გახლდათ ჩვენი დროის სიცილის დიდოსტატი. თუნდაც მარტო თეატრში მის მიერ შექმნილი ყველა სცენური სახე რომ შემორჩენოდა ვიდეოფირს, ისინი კომიკურ სახეთა შედევრებად დარჩებოდა ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიაში.

იპოლიტე ხვიჩია ის მსახიობი გახლდათ, რომელსაც შეეძლო, სრუ-

ლიად უბრალოდ, ყოველგვარი გრიმის გარეშე გარდასახულიყო.

მოსაგონარი ბევრია, მაგრამ განსაკუთრებით დაუვიწყარია ჩემთვის 1958 წელი, როცა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე პირველად შევდგი ფეხი. პირველივე სპექტაკლში ბატონი იპოლიტე, ჩემი პირველი პარტნიორი გახლდათ და ვფიქრობ, გასაგებია ის დიდი სიხარულიცა და ამავე დროს ღელვაც, რაც ჩემს პირველ როლს ახლდა მაშინ. ეს იყო გენო ქელბაქიანის პიესა „ხმა გულისა", სადაც ბატონი იპოლიტე მეშახტე კალისტოს თამაშობდა, ხოლო მე მის შეყვარებულს—ნარგიზას.

რეპეტიციებზე ბატონი იპოლიტეს მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა ჩვენი სიცილით მთავრდებოდა. მსახიობებს უჭირდათ მისი ხმის გაგონებაზე სიცილისაგან თავის შეკავება, რა თქმა უნდა, მეც, მაგრამ გაფრთხილებული ვიყავი რეჟისორისაგან (სპექტაკლს თამაზ მესხი დგამდა), რომ სიცილი რეპეტიციაზე არ შეიძლებოდა, მეც, რაც კი შემეძლო, თავს ვიკავებდი, რომ არ გამცინებოდა. ეს კი, როგორც

სცენა სპექტაკლიდან „ხმა გულისა"

გამოირკვა, თვითონ ბატონ იპოლიტეს არ დარჩენია შეუმჩნეველი და ერთ დღეს რეპეტიციაზე დამექადნა, მე არ ვიყო იპოლიტე, თუ შენ სპექტაკლში არ აგაკისკისოო.

ამ სიტყვების შემდეგ გადავწყვიტე, კიდევ უფრო დამეჭირა თავი.

დადგა პრემიერის დღე. ძალიან ვღელავდი და, რა თქმა უნდა,

ბატონ იპოლიტეს დანაქადნები აღარც გამხსენებია.

ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მოახლოვდა ადგილი, სადაც შახტის ჩამონგრევის ამბავი უნდა შემატყობინოს პარტნიორმა.

აი, გაისმა ნგრევის ხმა და, როგორც ეს მიზანსცენით იყო გათვალისწინებული, მე ჩემი ვაგონით სცენაზე გავედი.

ვხედავ, სიბნელეში დარბის იპოლიტე, ყვირის განწირული და შველას ითხოვს.

მე შევაჩერე ვაგონი და ჩემი სათქმელი ზუსტად წარმოვთქვი.

იპოლიტემაც მიპასუხა, მაგრამ ვხედავ, არ ჩერდება, დარბის, ახტა კიდევ რამდენჯერმე დეკორაციის რაღაც ნაწილზე.

ახლა შუქი მივანათე სახეზე (ასე უნდა მოვქცეულიყავი მიზანსცენით) და რას ვხედავ: იპოლიტეს მეშახტის ქუდის ქვეშ დაუხურავს ხუჭუჭათმიანი ვეებერთელა პარიკი, წინა მხარე უკანად შემოტრიალებული და მომეჩვენა, რომ ერთ თავზე ორი სახე აქვს, ამიტყდა სიცილი და მის შეკითხვაზე, რომელიც რამდენჯერმე გამიმეორა, კარგად არ მესმის, რომელიც ხარო, მე სიცილითვე, რაც შემეძლო, ხმამაღლა ვუპასუხე და თანაც რამდენჯერმე, ნესტანი ვარ, ნესტანიმეთქი.

იპოლიტემ გამარჯვებულის სახით ჩამომიქროლა ვაგონის წინ ცეკვის მაგვარი რომელიღაც ილეთით და ხომ გაგაცინეო, მომაძახა სცენიდან გასვლამდე.

ბატონი იპოლიტე მალე გადავიდა თბილისში, მაგრამ არასოდეს გაუწყვეტია ურთიერთობა ქუთაისთან და ქუთაისელებთან. ქუთაისში მუშაობის დროს იგი ორი წლის მანძილზე პარტბიუროს მდივნად აურჩევიათ, როგორც თვითონ იგონებდა, ამ ორი წლის მანძილზე ერთი კრებაც კი არ ჩაუტარებია. ამ პერიოდში ქალაქკომის მდივანი გახლდათ ნარსია, რომელსაც თეატრი ძალიან უყვარდა და განსაკუთრებით ის სპექტაკლები, რომლებშიც იპოლიტე მონაწილეობდა. ერთხელაც ვიღაცას შეუმოწმებია თეატრის პარტორგანიზაცია და

ბიუროზე გაიტანეს საკითხი, რომ თეატრში ჩაშლილია პარტიული მუშაობა, ორი წლის განმავლობაში ერთი კრებაც არ გამართულა და, რა თქმა უნდა, ყველაფერი იპოლიტეს დაბრალდა, როგორც პარტბიუროს მდივანს.

კუთხეში პატარა ბავშვივით მობუზული, თავჩაქინდრული იპოლიტე ისმენდა ყველაფერს და მკაცრ სასჯელს ელოდა.

ნარსია უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილა, რადგან არ იცოდა, რა ექნა, იპოლიტე არ ემეტებოდა დასასჯელად და ბოლოს, თურმე, როცა ინფორმაცია სრულად მოისმინა, წყნარად უკითხავს იპოლიტესათვის, ამხანაგო ხვიჩია, რას იტყვით ყველაფერ ამის შესახებო; იპოლიტე ფეხზე დამნაშავესავით წამომდგარა და უთქვამს, ყველფერი მართალია, ჩემო ბატონო, არც კრებები ჩაგვიტარებია, არც ოქმები გვაქვს გაფორმებული, მაგრამ რა ვქნა, რა ჩემი ბრალია, არაფერი საკითხი არ მომწიფდა ამ ორი წლის მანძილზე თეატრში და კრებას ისე ხომ ვერ ჩავატარებდიო.

ამაზე ნარსიას სიცილი აუტეხია და იპოლიტეც დაუსჯელი გადარჩენილა.

მახსოვს, 60-იან წლებში, ჩვენს თეატრში დაიდგა ლევან სანიკიძის „არქეოლოგიური ქრონიკა", რომელშიც მძღოლ ანდროს როლზე მოიწვიეს ბატონი იპოლიტე. არასოდეს დამავიწყდება, მიუხედავად იმისა, რომ იგი კარგა ხნის გადასული იყო თბილისში, გამოჩნდა თუ არა სცენაზე, ერთიანად ფეხზე წამომდგარმა დარბაზმა ისეთი ტაშისცემა გაუმართა, რომ თვალცრემლიანი მსახიობი დიდხანს უხრიდა მათ თავს და სათქმელი, როგორც იქნა, ძლივს წარმოსთქვა.

60-იანი წლებიდან იპოლიტე თბილისში მოღვაწეობდა, როგორც რუსთაველის თეატრის სცენაზე, ასევე კინოში, ცხოვრობდა ჯერ საირმის, ხოლო შემდეგ ტაშკენტის ქუჩაზე. როცა კი ჩავდიოდი, რა თქმა უნდა, მის უნახავად არ გამოვბრუნდებოდი, რაც ძალიან ახარებდა. საერთოდ, ძალიან სტუმართმოყვარე და თბილი ადამიანი გახლდათ. ჩემი უფროსი და, კირა, მასთან უფრო ახლო იყო. ისიც 1966 წლიდან თბილისში ცხოვრობდა, ხვიჩიების ოჯახს ძალიან ხშირად სტუმრობდა, ხშირად კი არა, ლამის ოჯახის წევრად თვლიდნენ. ხანდახან ღამითაც იქ რჩებოდა ხოლმე, როცა ავადმყოფობა მოერია ბატონ იპოლიტეს. ეხმარებოდაა მისი ოჯახის წევრებს, თან ართობდა ავადმყოფს, ნარდს ეთამაშებოდა და იგონებდნენ რამეს.

რაზედაც ხელს ვაწერ იპ. ხვიჩია.

ხელმოწერილია.

შერიგების შემდეგ!

განცხადებაზე (ხელწერილზე) ვაწერ ხელს, მაგრამ თუ ავდექი ფეხზე, თქვენ მო... კარგების ტრ.... თქვენი იპო".

ვერც ამ ხელწერილმა უშველა და თამაშები ისევ ტრიუკებით გრძელდებოდა და გრძელდებოდა...

კიდევ ერთი ამბავი უნდა გავიხსენო, რომელიც მეც ვიცი და ამ წიგნშიცაა შესული:

„ცნობილი ჟურნალისტი, ქალბატონი კირა კვეიძე ჩვენს ოჯახში ძალიან მიღებული იყო, შვილის დონეზე გახლდათ, არადა, ადვილად ვერ ეგუებოდა იპოლიტეს იუმორს და ისე უადგილო ადგილას გაიცინებდა, ბოდიშის მოსახდელადაც გაუხდებოდა საქმე.

მეტეორივით გაიელვა ნიჭიერმა რეჟისორმა რ. ჭარხალაშვილმა (ძალიან ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან) თავისი პატარა, მაგრამ საოცრად დასამახსოვრებელი მოკლემეტრაჟიანი ფილმით „მეზობლები", აკ. ბელიაშვილის მოთხრობის მიხედვით.

გადაღება ქართლში მიმდინარეობდა, მდინარე ქსანზე; როგორც ყოველთვის, მამას მთელი ოჯახი ვახლდით თან. ჩვენთან იყო ქალბატონი კირაც. იპ. ხვიჩიას და ვ. კახნიაშვილის მიერ შექმნილი კომედია „მეზობლები" დაუვიწყარია; ქართველი გლეხკაცის კოლორიტული სახეების გარდა ფილმში არის კიდევ ერთი მთავარი როლი —სამწვადე-საკუპატე ღრუტუნასი, რომლის დევნას უნდება ფილმის ორი გმირი. მოპარული შვიდთუმანიანი ღორით იპოლიტემ ბონდის ხიდი უნდა გადაიაროს. რეპეტიციაზე გადამღები ჯგუფის წევრებმა მოჭრეს უზარმაზარი ხე, მისი მორი გადეს წყალზე. რეჟისორმა ჭარხალაშვილმა განკარგულება გასცა, იპოლიტეს გაეყვანა ღორის ხიდზე.

—ვერ გავალ!—უკან დაიხია იპოლიტემ.

—გადაირიე?!—შეხედა და შეიცხადა რეჟისორმა.

—რომ გადავვარდე?—გაგიჟდა იპოლიტე.

—რა გიჭირს მერე,—იბრდღვინა რეჟისორმა,—გაცურავ და...

—თუ არაფერი მიჭირს, შენ გადავარდი! ცურვა არ ვიცი... ცურვა!—იკივლა იპოლიტემ.

—მომიყვანეთ მყვინთავები!—ბრძანა რეჟისორმა.

—შენ გადი, იპოლიტე! აგერა ვართ ჩვენ!

ერთხელ, თბილისში ჩავედი თუ არა, მაშინვე იპოლიტეს სანახავად წავედი. მწოლიარე იპოლიტემ შემომჩივლა, კიდევ კარგი, რომ მოდი, ესენი წამლით და ჭამით მკლავენო.

მერე გამომკითხა ქუთაისის ამბები, მოიკითხა ყველა. სადილის შემდეგ ნარდის თამაში შევთავაზე.

—აჰ! არ ეთამაშო!—მიყვირა კირამ.

—რატომ?—გამიკვირდა.

—ჩვენ მაგი დავსაჯეთ, ნარდს აღარ ვეთამაშებით.

—რატომ, კაცო?

—რატომ და გვაგინებს. როცა გამოსწორდება, მერე ვნახოთ, ხელწერილიც გვაქვს მაგისი.

—თქვენ ხომ არ გაგიჟდით!—ვუთხარი კირასა და ნუნუს,—ამის ანერვიულება შეიძლება?—და ნარდი მოვამზადე.

—ასე მკლავენ ესენი!—შემომჩივლა იპოლიტემ. როგორც სტუმარს, ამჯერად ნარდის თამაშზე უარი აღარ მითხრეს, თუმცა ხელწერილი კი მაჩვენეს, რომლის წაკითხვისას მეც და მსმენელსაც სიცილისაგან ცრემლები გვდიოდა, თვითონ იპოლიტემაც ბევრი იცინა. მერე ხელწერილი მარიკა სამანიშვილს ჩაბარდა, როგორც ნეიტრალურ პიროვნებას. მისი ტექსტი დაიბეჭდა 2002 წელს ბატონ იპოლიტეზე თბილისში გამოცემულ ნუნუ ხვიჩიას წიგნში „მონოგრაფია მამაზე" (გამომცემლობა „მერიდიანი"), რომელსაც, ტირაჟის სიმცირის გამო, ფართო მკითხველი არ იცნობს.

„ბოლო წლებში გაუსაძლისი შეიქმნა ცხოვრება. ხშირად ივჯდა სახლში მამა, გარეთ გამოსვლას ერიდებოდა, ასეთი არ მინდა დავამახსოვრდეო ხალხს, ბევრს კითხულობდა. წერდა მოგონებებს და რაც მთავარია, თამაშობდა ნარდს. ვაი, მისი ცოდვა, ვისაც ხელში ჩაიგდებდა, ვინც მასთან სათამაშოდ დაჯდებოდა. იყო მერე კენჭების ტკაცუნრი და... მერე პარტნიორი განგებ წამოდგებოდა, წავედიო და... შეიქმნებოდა ისევ ტკაცუნი... რას არ თმობდა, ოღონდ პარტნიორი არ დაჰკარგოდა.

ერთ-ერთი მომთმენი და დიდი მოყვარული ნარდის თამაშებისა გახლდათ ცნობილი ჟურნალისტი და პოეტესა კირა კვეიძე, სულ ჩხუბობდნენ, მაგრამ მაინც, მელას თავისი მახრჩობელა უყვარდაო,—ერთმანეთს ვერ თმობდნენ. დაიგინებდა მამა, გააგდებდა კირას, კირაც დაიგინებდა და გავარდებოდა.

მეორე დღეს არჩევდნენ ტელეფონზე პარტიას და საღამოს 9 საათზე კირა ცხადდებოდა შეჯიბრზე...

ასე იყო შვილიშვილებთანაც: მაკასთან, ავთოსთან, აგრეთვე მარიკასთან (რომელიც ჩვენ ოჯახში გაიზარდა (დღეს ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის წამყვანი მსახიობი, რესპ. დამსახურებული არტისტი მარიკა სამანიშვილი), ასევე საყოველთაოდ ცნობილ მუსიკოსთან, ნუგზარ ერგემლიძესთან, რომელიც სრულ კომფორტს უქმნიდა ბაბუას, აჰყვებოდა ანგლობაში, აგორებდნენ ზარს და უყვებოდნენ იპოლიტეს ნარ-ნარს.

ქვის მოპარვა და წვირლმანი „ხულიგნობა" აუტანელს ხდიდა თამაშს. ერთ დღეს შეიქმნა საბუთი ანუ ხელწერილი, რომლითაც იპოლიტე უკრძალავდა თავის თავს თამაშის დროს გინებას, ქვის მოპარვასა და სხვადასხვა რამეს, რაც ნარდის თამაშს ახლავს.

ხელწერილი:

მე, იპოლიტე ალექსის ძე ხვიჩია, რესპუბლიკის სახალხო არტისტი და სახელმოხვეჭილი კომიკი ვალდებული ვარ ჩემი ძვირფასი პარტნიორების წინაშე, დავიცვა (ნარდში) თამაშის ხელშეუხებლობის პრინციპი, ანგარიში გავუწიო პარტნიორის მოგებას და არ მივითვისო იგი:

1. ერთის ნაცვლად არ გამოვიყენო სამი ქვა უსირცხვილოდ (მაინც წამასწრებენ და რა ფასი აქვს);

2. წამდაუწუმ არ ვუწოდო ჩემს ძვირფას და ნიჭიერ პარტნიორს შემდეგი სიტყვები: ჩათლახი, უპატრონო, კრეტინი, დეგენერატი, კიკა და ა.შ.

3. გავუფრთხილდე სხვის წნევას და შარი არ მოვდო ჩემს სასარგებლოდ სხვას, პარტიის მითვისებაში;

4. (მეოთხე მუხლის პირობა ხელწერილის სიძველის გამო განაკეცში არ ჩანს);

5. არ ვიტრაბახო სხვასთან ძლივს მოგებული პარტიებით და არ დავამცირო წაგებული ნიჭიერი მოწინააღმდეგე;

6. ვაღიარებ ერთხელ და სამუდამოდ, რომ კირა და მარიკა ჭეშმარიტად დიდებული ნიჭით დაჯილდოებული მოთამაშეები არიან და მათთან თამაში მგვრის სიამოვნებას და ხანდახან შიშსაც კი.

ოღონდ ახლა შემირიგდნენ და მეთამაშონ, ამიერიდან ამ პირობების ყველა მუხლს დავიცავ.

—აგერ კი ხართ, იქ არ მეყოლებით, რომ ჩავარდე!—ბურდღუნით დაიძრა მორისკენ, თან საჩვენებელი თითს წყლისკენ უთითებდა, მეორე ხელით ღორს მიათრევდა.

—ეს სცენარით არ არის გათვალისწინებული! წინ იყურე, იპოლიტე!—ქაქანებდა ოპერატორი. წინ გაიხედეო... ამის თქმა, ფეხის დაცდენა და ღორთან ერთად წყალში ზღარბანი ერთი იყო. ატყდა ერთი ამბავი. რეჟისორი შეწუხდა. [illegible] იპოლიტე ჩანდა და არც ღორი. არადა, თავს ვერავინ იკავებ[illegible] ძირს ეყარა, სიცილისაგან მიწაზე ფართხალებდნენ.

ამ დროს რას ვხედავ[illegible] ღორს კბილები ჩაუვლის იპოლიტეს ჭრელი ყვავილებით მ[illegible] პერანგისთვის და რის ვაი-ვაგლახით ზევით ექაჩება სახალხო არტისტს.

—კარგია! ძალიან კარგი! ბატონო რეზო, ერთი დუბლი კიდევ!—იყვირა კირამ.

—გადაირია ეს ქალი!—იყვირა განწირული ხმით იპოლიტემ,—მომილოცეთ ამ ტრიუკიდან უვნებელი რომ გადავრჩი, თვარა ნახავდი შენს სეირს, პარტნიორს რომ დაკარგავდი...

უცებ მოიხედეს და ღორი აღარსადაა.

—დიდუ! სადაა სიმწრით გადარჩენილი მწვადი, ფუი, ღორი, იმის გაქცევა იქნება? დამიჭირეთ, მომიყვანეთ!—ყვიროდა, როგორც შეეძლო, ენანებოდა, ამ ემეტებოდა ცოცხალი მწვადები დასაკარგავად"...

დასასრულს, არ შემიძლია არ გავიხსენო 1984 წლის 26 ნოემბერი, როცა კოტე მესხის სახელობის მსახიობის სახლში ჩემი შემოქმედებითი საღამო გაიმართა. ბატონი იპოლიტე, რა თქმა უნდა ვერ



ჩამოვიდა, მაგრამ დეპეშა კი გამომიგზავნა, რომელიც ვაჟა ოყრეშიძემ წაიკითხა:

„გეხვევი, გკოცნი, ჩემო ნიჭიერო შემოქმედო, ჩემო პარტნიორო და სატრფოვ სცენაზე, გკოცნის შენი იპოლიტე ხვიჩია“.

მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და მხურვალე ტაშით გამოხატა თავისი დამოკიდებულება ბატონი იპ[illegible]ჩიასადმი.

P.S. ბატონი იპოლიტე ერთადერთი [illegible]ის ავტორი გახლდათ, ახლა სწორედ იმ ლექსით მინდა დავასრულო მასზე ეს მოგონება:

„მე მინდა, რომ ხალხის გულში
დავბინავდე, ჩავესახლო,
რაც შევქმენი ცხოვრებაში,
თქვენ გეკუთვნით, ჩემო ხალხო,
დაე, გული თქვენს სიყვარულს,
მარცვალ-მარცვალ მიპოვნიდეს,
თქვენი ჭირი შემეყაროს
თქვენს ხვიჩია იპოლიტეს!“

ჭეშმარიტად!

იპოლიტემ სამუდამო ბინა დაიდო თავისი დიდი შემოქმედებით ხალხში და ნამდვილი უკვდავება დაიმკვიდრა.

ვახტანგ მეგრელიშვილი

ქართული თეატრალური კულტურის ისტორიის ფურცლებს სხვა დიდ და გამოჩენილ მოღვაწეთა შორის სამარადჟამოდ ამშვენებს ბევრი გამოჩენილი მსახიობის სახელი, რომლებიც სისხლხორცეულად არიან დაკავშირებული ეროვნული თეატრალური კულტურის აღორძინებისა და აყვავების დიდ მამულიშვილურ საქმეში. მათ შორის ნამდვილად გამოირჩევა ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული აკადემიურ თეატრის შესანიშნავი მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ბატონი ვახტანგ მეგრელიშვილი, ჩვენი ბაყუჩია, რომლის სახელი უშუალოდ უკავშირდება ქუთაისის დრამატული თეატრის არა მარტო დაარსებას, არამედ მის აღორძინებას, რადგან 1938 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ბატონი ვახტანგი იმ თეატრში მუშაობდა. არა და [illegible]ბლიკის ნებისმიერ თეატრს დაამშვენებდა იგი ისევე თავის მოღვაწეობით და სხვა ქალაქის თეატრებშიც იგი ისევ ისე იბრწყინ[illegible] როგორც

გახლდათ. აქ, ქუთაისის თეატრში გამოირჩეოდა და ანათებდა და აქედანაც დატოვა დიდი კვალი ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში და თავისი არსებობითა და სცენიდან გამობრწყინებით არაერთგზის თქვა თავისი სათქმელი მკაფიოდ, გამოკვეთილად ქართული, ეროვნული თეატრალური კულტურის ისტორიისათვის.

1938 წელს, შეიქმნა თუ არა ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრი, სეზონი გაიხსნა გ. ნახუცრიშვილის პიესით „ლადო კეცხოველი", რომელშიც ვახტანგ მეგრელიშვილი—კეცხოველის როლში იხილა პირველად მაყურებელმა. იგი გმირის სახით მოვიდა ქუთაისის თეატრში და მაყურებელმაც იხილა თუ არა ეს გარეგნულად ლამაზი ვაჟკაცი, შესანიშნავი ხმის ტემბრის მქონე ახალგაზრდა, მაშინვე შეიყვარა გამორჩეულად და აღიარა კიდეც არა მარტო თეატრის წამყვან, არამედ ისეთ მსახიობად, რომელიც დაამშვენებდა ნებისმიერ თეატრს და მართლაც, მის შემდეგ, ყველა, მის მიერ შესრულებული სცენური გმირებით ცოცხლობდა კიდეც მთელი 60 წლის მანძილზე არა მარტო ქუთაისელი, არამედ საერთოდ ქართველი მაყურებელი.

ჩემთვის უძვირფასესი რელიქვიაა 1941-142 წლის მესხიშვილის თეატრის სეზონის ერთი ფერშეცვლილი, წლებისაგან გაცრეცილი და გახუნებული პროგრამა და ერისთავის პიესისა „სამშობლო", რომელსაც პირველად დავსწრებივარ და პროგრამას აწერია, კიდეც, რომ ეს სპექტაკლი გახლავთ ის პირველი წარმოდგენა, რომელიც მე ვნახე საერთოდ თეატრში. რა თქმა უნდა, დილის წარმოდგენაზე, რადგან მაშინ პატარა ბავშვები საღამოს სპექტაკლზე არ დაიშვებოდნენ.

ამ დადგმიდან ნამდვილად არც შინაარსი და ვერც იმას გეტყვით, როგორი დადგმა იყო, რადგან ნამდვილად მახსოვს, მაშინ ალბათ დაახლოებით 3 წლის ვიყავი, მაგრამ ყურადღებით, გასუსული ვუცქერდი თურმე სცენას. მახსოვს მარტოკა ის, რომ ნაწნავებიანი ლამაზი ქალი, ხანჯლით რომ მოკლა კაცმა და ყველაფერი ცეცხლმა დაფარა, რაზეც ისე ავტირებულვარ, რომ დედას ვერაფრით ვერ დავუწყნარებივარ. მაშინვე გამოვუყვანივარ ფოიეში; მეფერებოდა, მარწმუნებდა და მაჯერებდა თურმე, რომ ეს თეატრია, რომ მართლა კი არ მომკვდარა ის ქალიო. აბა, მაჩვენე ის ქალი ცოცხალი თუ არის-თქო და ასე ატირებული სპექტაკლის დასრულებისთანავე დედამ თურმე გამიყვანა კულისებში და მაჩვენა ქალბატონი თინათინ ღვინიაშვილი, რომელიც ქეთევანს თამაშობდა და ის იყო მოკლული



ლევანისაგან. ქალბატონი თინათინი მომეფერა და მეც გავჩერდი თურმე, რა კი ცოცხალი იყო ნამდვილად, მაგრამ როცა ბატონი ვახტანგი გამოსულა, დედას მისალმებია და ჩემს მოსაფერებლად დახრილა, არაფრით არ მივკარებივარ. მიზეზი კი, რა თქმა უნდა, დედას აუხსნია ვახტანგისათვის, რაზეც ბევრი იცინა თურმე, სიცილი ძალიან უხდებოდა საერთოდ, ჩამიცუცქდა თურმე და მომეფერა. მე აღარ ავტირებულვარ, მაგრამ მითქვამს, გემდური, არ გეპარაკებითქო, რაზეც ვახტანგიცა და მისი კოლეგებიც ახარხარებულან.

—კაი სუფრა ჩემზე იყოს და აუცილებლად შეგირიგებო,—უხუმრია მას და წლები გადიოდა და როლს ახალი როლი, ახალი საინტერესო, მიმზიდველი სცენური სახეები მისდევდა და იქმნებოდა სხვადასხვა გმირთა ხასიათები. როლს როლი ემატებოდა, რითაც თანდათან მდიდრდებოდა და ივსებოდა ვახტანგ მეგრელიშვილის, როგორც მსახიობის სცენურ სახეთა გმირთა გალერეა.

მის თამაშს ყოველთვის ახლდა დიდი პროფესიონალიზმი, იყო შესანიშნავი პარტნიორი, მოქალაქე და თბილი ადამიანი, ყველასათვის საყვარელი პიროვნება.

მერე წლებმა ისიც კი მოიტანა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მეც თეატრში აღმოვჩნდი და თანაც ამ დიდებულ მსახიობის პარტნიორობამაც რამდენჯერმე მომიწია, რაც ჩემთვს ძალზე სასიამოვნო მოსაგონარიია, რადგან ის გახლდათ ისეთი მსახიობი, რომლის პარტნიორობა სანატრელი იყო, რადგან გარდა იმისა, რომ თვითონ იყო ძალიან უშუალო, მართალი შემოქმედი, შენც იძულებული ხდებოდა სწორად გეპასუხა მის ყოველ რეპლიკაზე და მართალი ყოფილიყავ თამაშისას და საერთოდ მისგან, როგორც მსახიობისა და პარტნიორისაგან ბევრ რამეს ისწავლიდი. რაც მთავარია, მის გვერდით თავს იგრძნობდი თავისუფლად და არ იყავი შებოჭილი.

უამრავი რამ თქმულა და დაწერილა მის ნიჭიერებასა და მის მიერ განსახიერებულ თეატრალურ სახეებზე: რამდენიმე სტატია მეც



გამოვაქვეყნე მასზე, მაგრამ სულ მეგონა, რომ მათ აკლდა მაინც რაღაც და სრულად ალბათ ვერც კი წარმოვაჩინე მის მიერ განსახიერებაც. გმირთა ხიბლი ისე სრულყოფილად, როგორც საჭირო გახლდა, მაგრამ ახლა ვიხსენებ მას, როგორც შესანიშნავ უფროს კოლეგასა და შემოქმედს და საერთოდ, შესანიშნავ პიროვნებას.

არ შემიძლია არ გავიხსენო, როცა პირველი სპექტაკლი ვითამაშე 1966 წელს ალ. ჩხაიძის პიესაში „იზუზუნე ფუტკარო",—ციცოს როლი, ამ წარმოდგენაში ბატონი ვახტანგი ლაღი თამაშიც ამშვენებდა, უბრალო გლეხკაცს თამაშობდა, ძალიან კარგი სახე ჰქონდა შექმნილი, სხვა როლებიდან სრულიად განსხვავებული. სპექტაკლში გვქონდა ბევრი საერთო სცენა ერთად, მაგრამ როცა იგი თავისუფალი იყო, მთელი წარმოდგენის განმავლობაში, პრემიერის დროს სულ კულისებში იდგა და მამხნევებდა იქიდან. ხანდახან ცერა თითს აიშვერდა, მოწონების ნიშნად, რაც მე, როგორც ახალბედა მსახიობს, ძალასა და მხნეობას მატებდა. პრემიერის აღსანიშნავად კი წიგნით დამასაჩქრა, რომელიც დღემდე ამშვენებს ჩემს პირად ბიბლიოთეკას.

1974 წელს სომხეთში, ქალაქ ლენინაკანში ვიყავით გასტროლზე. მაშინ მთავარი რეჟისორი გახლდათ ბატონი გურამ მაცხონაშვილი. ეს გასტროლი მინდა აღვნიშნო, რომ საკმაოდ წარმატებული გახლდათ. მოგეხსენებათ, ნათქვამია კაცი მგზავრობაში გამოიცდებაო და ბატონი ვახტანგი თითოეულ ჩვენთაგანს ძალიან ყურადღებით გვექცეოდა. ავტობუსით ვმგზავრობდით, აქედანაც და იქიდანაც. ახალგაზრდებს აყოლილი ბატონი ვახტანგი ხუმრობდა, მღეროდა და ცეკვავდა კიდეც ჩვენთან ერთად. იქედან, უკან დაბრუნებისას მგზავრობის დროს გზაზე უკვე საქართველოს საზღვარს რომ მივუახლოვდით,

სიმღერა წამოვიწყეთ „მუმლი მუხასაო“ და მისი ბუბუნა ხმა ყველასაგან გამოირჩეოდა, მერე გზაზე რომელიღაც უნივერმაღთან, ავტობუსი გავაჩერეთ და შევისვენეთ. მე გადმოსვლა დამეზარა. ძალიან ცხელოდა და ბიჭებმა „ბორჯომი“ მომაწოდეს. დავინახე, ბატონი ვახტანგი მოდის ავტობუსისაკენ და ხელში ვეება, ცისფერი კურდღელი უჭირაკ. მე გამელიმა და თან წარმოვიდგინე „მის შვილიშვილს, როგორ გაახარებდა ამ თოჯინით და როცა ავტობუსში ყველა შეიკრიბა თუ არა, ბატონი ვახტანგი თავის კურდღლიანად დადგა ჩემს წინ და ხმამაღლა გამოაცხადა:

—ნესტან! ეს შენ დაბადების დღისათვისო!

გაისმა ტაშის ხმა და შეძახილები, გილოცავთ, გილოცავთო.

—ჯერ არაა ჩემი დაბადების დღე-მეთქი,—განვაცხადე ყველას გასაგონად.

—კაცო! ჩვენ მაშინ შვებულებაში ვიქნებით და ეს კურდღელი მინდა გქონდეს შენ, ჩემგანო.

მე ძალიან გამეხარდა. წამოვხტი, მოვეხვიე და საჩუქარი ჩავიხუტე, რომელსაც უკვე ამ გაზაფხულზე 34 წელი უსრულდება და ჩემთვის ერთ-ერთი უსაყვარლესი საჩუქარია, და დღემდე იგი ისევ იმ ადგილზეა დასკუპული, ჩემი საწოლის თავთანაა მოთავსებული, სადაც გასტროლებიდან დაბრუნებულმა პირველად მივუჩინე ადგილი.

საერთოდ, ძალიან უყვარდა ახალგაზრდები, ზაფხულობის თავკაცად ჩაუდგებოდა ჩვენს ვაჟებს, გიზო კაკაურიძეს, გიზო ღელეყვას, მერაბ ჩიქოვანს, ზურაბ ცირამუას, კობა სამანიშვილს, ვასია ფხაკაძესა და სხვებს და ერთის სიტყვით, მთელი თეატრის ახალგაზრდობასთან ერთად შემოივლიდა სვანეთიდან მოყოლებული თითქმის მთელ საქართველოსა და შვებულებიდან დაბრუნებულს მერე გვიამბობდნენ, რაც თავს გადახდათ და იყო სიცილ-ხარხარი სალონში.

ბატონ ვახტანგს ჰქონდა იუმორის დიდი გრძნობა. ერთხელ თეატრის ფეხსაცმელების მკერავის სერგო ხაჟალიას გათავისუფლების საკითხი გაიტანეს საერთო კრებაზე. თურმე უნდა მოეხსნათ, რადგანაც შეთავსებით ოპერის თეატრშიც მუშაობდა თურმე და რაღაც ვერ მოასწრო დროზე რომ შეეკერა, რითაც ხელი შეშლიათ ჩვენი დასის ახალი წარმოდგენის რამდენიმე მონაწილესა და პრემიერაზე თურმე ისინი იძულებულნი გახდნენ, როგორც თვითონ მისცეს ჩვენება კრებას, რომ სცენაზე ძველი და თანაც საკუთარი ფეხსაცმელებით გამოსულან.

სერგო ხაჟალია ომგამოვლილი, ჩია ტანის კაცი იყო და რომ გავხედე კრების დროს, სკამზე აღარ ჩანდა, ჯავრისაგან ისე იყო დაპატარავებული.

კრებას თავმჯდომარეობდა ბატონი ვახტანგი და რეპეტიციით ისე იყო გადაღლილი, რომ თანაც საღამოს ისევ სპექტაკლი ჰქონდა სათამაშო, ერთი სული ჰქონდა სანამ კრება დასრულდებოდა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, მოჩქარეს, მოუგვიანდესო და ვახტანგსაც ისე დაემართა, მაინცდამაინც მაშინ ჩატარდა ის კრება „მაღალ დონეზე" და თანაც გამომსვლელებით დახუნძლული ისე, რომ არ დარჩენილა წამყვანი მსახიობი, ყველა გამოდიოდა სიტყვით და ამტყუნებდა, რადგან იცოდნენ, რომ დირექციას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა მისი გათავისუფლება და რა თქმა უნდა, თავის გამოსვლებით ზოგმა იმიტომ მოიწონა თავი, ხელმძღვანელობისათვის ხომ უნდა ესიამოვნათ.

ბატონი ვახტანგი ბევრჯერ შეეცადა ზოგი გამოსვლა შეეწყვეტინა, მაგრამ არა და არ გამოუვიდა და ბოლოს ხმა აუწია, მეც მათქმევინეთ ჩემი აზრი, მართალია კრების თავმჯდომარე ვარ, მაგრამ ჩემი წინადადებაც ხომ უნდა მიიღოთ მხედველობაშიო. ბრძანებთო და მართლაც, დართეს ნება აზრის გამოთქმისა.

—კაცო! რას ერჩით ამ კაცს?—დაიწყო ვახტანგმა,—ორ თეატრს პატიოსნად ემსახურება. დიდი ამბავი, ახლა ამ პრემიერაზე თუ ძველი ფეხსაცმელები გეცვათ!—მიუბრუნდა მბრალდებლებს, გაიგო მაგ ვინმემ? თქვენ ის თქვით, როგორ ითამაშეთ! არ მითხრა ახლა ძველი ფეხსაცმელები გვეცვა და როლი მიტომ გვავიწყდებოდაო! რას გეტყვით იცით, ბიძიებო? მე მაქვს ერთი კარგი წინადადება. რაკი ეს პირველი შემთხვევაა ამ კაცისათვის, მივცეთ ჯერ მითითება, მერე მკაცრი გაფრთხილება. თუ განმეორდა, რა თქმა უნდა, და თანაც, რადგანაც ორ თეატრის ერთი „ზაბოჟნიკი" გავყოლია და გვემსახურება ამდენი ხანია. სამაგიეროდ, ასე მოვიქცეთ. ჩვენ გვყავს სახალხო არტისტები და გავიმეტოთ ერთი, მოვხსნათ, დავსაჯოთ ერთი სახალხო არტისტი და სერგო ხაჟალია გავათავისუფლოთ სასჯელისაგან.

ჩვენ ყველამ შოთა პირველს გავხედეთ, რომელიც გულიანად იცინოდა, თავის ქნევით ეთანხმებოდა ბაყუჩიას.

მთელი დარბაზი ახარხარდა, რადგან ყველა მივხვდით, რომ ბატონმა ვახტანგმა ერთი ძველი ანეგდოტის გახსენებით იხსნა საწ[illegible]

ლი ფეხსაცმელების მკერავი და ჩვენი კრების დასრულებასაც დროულად უშველა და დაადგა საშველი.

საერთოდ, არ შემიძლია არ ავღნიშნო მისი დიდი კოლეგიალობა, შესანიშნავი მეგობრობა, განსაკუთრებით, რა თქმა უნდა მისი პლეადის წარმომადგენლებთან. ერთ საგრიმიორო ოთახში ისხდნენ ის და ბატონები შოთა ხაჟალია, შოთა პირველი და შურა ქელბაქიანი. მათი საუბრისა და მოგონებების, ზოგსაც იუმორით შეზავებულს, არაფერი არ ჯობდა. თეატრში მისვლისთანავე, როგორც ახალგაზრდას დამევალა გაზეთების გამოწერა მთელი კოლექტივისათვის. მეც მაშინვე გავიქეცი „სოიუზპეჩატში", წამოვიღე კატალოგი და ყველა თანამშრომელის სურვილის მიხედვით ვიწერდი მისამართებსა და რაც სურდაც იმ ჟურნალ-გაზეთებისათვის ფულს ვკრეფდი.

ბატონი ვახტანგი თავზე მადგა და იცინოდა.

—ამ გაჭირვებულმა მარტო წერა-კითხვა იცის კარგად. ვალი დაედება, ცოდვაა ანგარიში არ იცის, ეტყობა!—იცინოდა, ჩემს წვალებას რომ უცქერდა ქვეშმოწერით, რომ ვანგარიშობდი ვისთვის ხურდა რამდენი უნდა დაშებრუნებია და ბაყუჩიას „ბრძანებით" ერთი მოლარე მომამაგრეს, რომელიც კრეფდა ფულსა და მე კი ვიწერდი ჟურნალ-გაზეთების დასახელებასა და თანამშრომელთა მისამართებს.

ბოლოს მთელი სია სრულად ჩავიბარე და დაანგარიშებულ ფულთან ერთად მეორე დღეს „სოიუზპეჩატში" რაკი უნდა წავსულიყავი, დილიდან გამოსაწერად და რადგანაც დამაგვიანდებოდა თეატრში დილით, გამოცხადებაზე ხელს ველარ მოვაწერდი დასის მმართველთან, ამის თაობაზე დირექორი ბატონი დიდიმ ჭეიშვილის სახელზე განცხადება დავწერე.

ერთი სათხოვარი მაქვს შენთანო, მითხრა ბატონმა შურამ და ხმა დაუწია, მე ვიფიქრე, ალბათ საზღვარგარეთის რომელიმე ჟურნალი თუ ჭირდება დამატებით-თქო, განსაკუთრებით კი ჟურნალზე „სინემა" იყო ყოველთვის დიდი მოთხოვნა, არა და თითო დაწესებულებაზ მხოლოდ ერთი ცალის გამოწერა შეიძლებოდა.

ბატონმა შურამ ათმანეთიანი გამომიწოდა და მითხრა:

—ა, შენ ჩემგან ეს ათი მანეთი, ოღონდ ეს სურვილი შემისრულე და მერე ჩემზე იყოს პატივისცემა.

მე ვერ გავიგე რას მთხოვდა ბატონი შურა.

—რა პატივისცემა უნდა, მაინც ხვალ მივდივარ „სოიუზპეჩატში“-მეთქი.

—ჰო და ბაყუჩიას გამოუწერ გაზეთ „ახალი სვანეთსა“ და შოთა პირველს კი „სამტრედიის გზას“.

—ეს გაზეთები გამოწერილი აქვთ უკვე-მეთქი.

—ვიცი, მაგრამ მთავარია, რომ შოთა პირველმა უნდა მიიღოს აუცილებლად „სამტრედიის გზა“ და ბაყუჩიამ „ახალი სვანეთი“ და მე და შენ ვნახავთ, რაც მოხდება.

მე მივუხვდი ბატონ შურას იუმორსა და შევპირდი, აუცილებლად შეგისრულებთ მაგ სურვილს-მეთქი, რადგან კარგად ვიცოდი, რომ ესენი ერთმანეთს ათასნაირ სასაცილო ოინებს უწყობდნენ ეხუმრებოდნენ ერთურთს.

მეც შევასრულე ბატონ შურას სურვილი, მაგრამ ერთი, ორი თვე გავიდა და არაფერიც არ მომხდარა, მაგრამ რომ გაგრძელდა ასე, ცოტა ხანის შემდეგ საგრიმიორო ოთახში პირველს ბაყუჩიას უთქვამს შოთასთვის, კაცო ფოსტალიონმა „ახალი სვანეთი“ მომიტანა კიდევ და წაკეჩხუბეო.

შოთას უპასუხია, მე სულ „სამტრედიის გზას“ ვღებულობ და მეც ვუსაყვედურე ფოსტალიონს, რა ჩემს ჭირად მინდა ეს „სამტრედიის გზა“.

—სამტრედიელობა კი გინდა მაგრამ, ვინ მოგართმევსო, —უპასუხა ბაყუჩიას, (რომელიც სამტრედიის რაიონის, სოფელ ღანირიდან გახლდათ წარმოშობით), რაზეც შოთა გაცეცხლებულა.

—რა მინდა შენი სამტრედია, სვანეთში, კალას პატრონი ვარო.

საუბარი ისე გაგრძელებულა, რომ ბოლოს ჩხუბში გადაზრდილა, რაზეც· შურა ქელბაქიანი იცინოდა და იცინოდა, მე კი მადლობა გამომიცხადა.

ერთი სიტყვით, იმ დღიდან მთელი წელის ბაყუჩია და შოთა კამათობდნენ და მთელი წელი საყვედურობდნენ თავიანთ ფოსტალიონებს, რომლებიც არაფერ შუაში იყვნენ.

ბატონ ვახტანგ მეგრელიშვილის ბოლო როლი იყო დ. კლდიაშვილის პიესაში „დარისპანის გასაჭირი“ დარისპანი, სადაც უშუალოდ იგი ჩემი პარტნიორი გახლდათ. მე, მართა ქვიტირიძეს ვთამაშობდი და მთელი საათნახევარის მანძილზე თითქოს ერთი ცხოვრებით ერთად ვცხოვრობდით, ერთად გვტკიოდა სატკივარი და ერთად ვილხენდით



სცენა სპექტაკლიდან „დარისპანი"

კიდეც. „დარისპანის გასაჭირი" დადგა რეჟისორმა ბატონ გოგი ქავთარაძემ, რომლის შემოქმედებაში ეს ერთ-ერთი უბრწყინვალესი და ახლებულად, თანამედროვედ გააზრებული სპექტაკლი გახლდათ. ახლებურად ვამბობ იმიტომ, რომ მისი რეჟისორული გადაწყვეტილება წარმოდგენისა, ნამდვილად ნოვატორული გახლდათ. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნოთ ბოლო სცენა, სადაც ნატალიასა და კაროჟნას მაგივრად ვცეკვავდით მე-მართა და პელაგია—ლამარა ვაშაკიძე. რაც შეეხება კაროჟნას, მას შემთხვევით კი არ უვარდებოდა ჭიქა ხელიდან, არამედ ეს ჭიქის დამსხვრევა იყო პროტესტის ნიშნად და თვითონ დაანარცხებდა იატაკზე ჭიქას თავმობეზრებული თავისი ყოფითა და გაუთხოვრობის ტრაგედით ქუჩაქუჩა აწანწალებული ახალგაზრდა ქალი. ამ სპექტაკლმა დიდი წარმატება მოიპოვა, როგორც თბილისში, ასევე 1981 წელს მოსკოვში გასტროლებზეც.

არასოდეს დამავიწყდება ის სცენა, როცა ვცეკვავდი ნატალიასა და კაროჟნას მაგივრად და ამ დროს კი დარისპანი თავისი ქალიშვილს ეხვეწებოდა იცეკვეო და კაბაზე ექაჩებოდა. უცებ კი ყველაფერი მიწყნარდებოდა და მცირე პაუზის შემდეგ იწყებოდა ჩვენი დიალოგი.

—გადამეტებული არაფერი არ ვარგა, ჩემო დარისპან!—ვსაყვედურობდი და ისიც მპასუხობდა თავის ტექტს და როცა ჩვენი დავა ზენიტს მიაღწევდა, ბოლოს შევუყვირებდი და რომ გამოვხედავდი, უკვე წელში მოხრილს, გულდაწყვეტილს, თითქმის ცრემლებამდე მისულ კაცს, ყოველ სპექტაკლზე გული მიკვდებოდა, განსაკუთრებით, როცა მეტყოდა ბოლო ფრაზას:

—შენ რა გენაღვლება, ჩემო მართა! ერთი გყავდა და ქე გაათხოვე,

მე, ოთხი მყავს ასეთი, ოთხი!—და ყოველი ამ სიტყვის დასასრულს ყოველთვის თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

უკანასკნელად კი. თ. ლანჩავას პიესაში „აქვე ახლოს“ შევხვდით ერთმანეთს, როგორც პარტნიორები, სადაც თავისი ეპიზოდური როლის უშუალო შესრულებით კიდევ ერთხელ დაამახსოვრა თავი მაყურებელს.

ბატონ ვახტანგ მეგრელიშვილზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, ათასი რამის მოგონება, როგორც პიროვნებაზე და როგორც შემოქმედზე, რომელიც იყო არა მარტო დრამატული, არამედ ფართო დიაპაზონის მსახიობი. ჰქონდა დიდი ნიჭი გარდასახვისა და შესანიშნავი იყო როგორც ტრაგიკულ, ისე სახასიათო როლებში, შემიძლია თამამად განვაცხადო, რაც მეამაყება კიდეც, რომ ყველა წარმოდგენა, რომელშიც კი უთამაშია, მე ყველა მისი როლი ნანახი მაქვს და კარგადაც მახსოვს მის მიერ განსახიერებული სცენური სახეები და არც არასდროს დამავიწყდება მისი გიორგი სააკაძე, ოტელო, ჩონთა, ანზორი, ტუჩა დაშნიანი, ოთარ ბეგი, ლევან ხიმშიაშვილი, კარლ მაიორი, რაიკომის მდივანი, კონსტანტინე ბატონიშვილი, დარისპანი თუ სხვა ადრინდელ დადგმულ პიესებიდან პერსონაჟები, რომლებიც ყველა ესენი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული სახეები იყო, როგორც ხასიათებით, ისე ქმედებით, გრიმითა თუ სხვა მსახიობური შტრიხებითა და ნიუანსებით, რითაც მან მე-20 საუკუნის ეროვნულ ქართულ თეატრის ისტორიას ბევრი შემატა თავისი შემოქმედებითა და თვითონ კი სამუდამოდ დაიმკვიდრა დიდ მსახიობის, ნიჭიერი შემოქმედის უკვდავი სახელი.

ლამაზი ფურცელი

დავყურებ გაყვითლებულ, ნაპირებმოცრეცილ პროგრამას, რომელსაც აწერია—მესხიშვილის სახელობის თეატრი, დავ. ერისთავის „სამშობლო“—1941-42 წლის სეზონი. ეს სპექტაკლი გახლავთ ის პირველი წარმოდგენა, რომელიც მე ვნახე ქართულ თეატრში 1945 წელს (პროგრამა, თურმე პრემიერის შემდეგ აღარ იბეჭდებოდა). წარმოდგენა ვიხილე დღევანდელ ოპერის თეატრის შენობაში და გუშინდელ დღესავით მახსოვს სამი დიდი მსახიობი: ლევან ხიმშიაშვილი—ვახტანგ მეგრელიშვილი, რომელმაც სამშობლოსათვის გაწირა სატრფო—თინათინ ღვინიაშვილი და ულამაზესი ქალი ფაიხოში—მარი



გელაშვილი. მე ბედნიერი ვარ, რომ დღემდე ქალბატონი მარის ყველა როლი მახსოვს ფაიხოშიდან მოყოლებული ბერნანდა ალბას დედის სახით დამთავრეული, რომელიც 26 წლის წინ ითამაშა და იმით გამოეთხოვა კიდეც ჩვენი თეატრის სცენას.

თქვენთვის ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რასაც განვიცდიდი ამ როლის თამაშისასს, რადგან მე მომიწია ამხელა მსახიობის ნათამაშევ როლში შესვლა და ბერნანდას დედის განსახიერება ქალბატონი მარის შემდეგ, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ამითაც ბედნიერი ვართ და კიდეც იმით ვარ ბედნიერი, რომ მე მქონდა პატივი მისი პარტნიორობისა.

თუ ბევრ ჩემს თანამედროვე ქალიშვილს თეატრისკენ გაუწია გულმა, ამაში „ბრალი" ქალბატონ მარისაც მიუძღვის, რადგან ყველას გვინდოდა, მასავით ლამაზი და მომხიბვლელი, კარგი და ძლიერი ვყოფილიყავით სცენაზე და ზოგიც ბაძავდა კიდეც მას;

ადრეც მითქვამს, ამაში სხვაც დამთანხმებია და ახლა უფრო იმიტომ ვიმეორებ, რომ მსურს, ვისაც ქალბატონი მარი არ უნახავას სცენაზე, მანაც იცოდეს,—დღემდე, ნახევარი საუკუნის მანძილზე, მარი გელაშვილზე უფრო სცენური, შინაგანი დრამატიზმით სავსე და ემოციური მსახიობი ქალი არ მინახავს ჯერ ჩვენი თეატრის სცენაზე. მასში ერთნაირად იყო ქალური სინაზე და დიდი ძალაც შერწყმული. მისი ელვარე შავი თვალები, ხმის ტემბრი, ტემპერამენტი მაყურებელზე ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა და აღიარებული იყო კიდეც, როგორც დიდი დრამატული მსახიობი, რომელიც ტოლს

არ უდებდა უფრო პოპულარულ და სახელოვან მსახიობ ქალებს მთელს რესპუბლიკაში.

მისგან შეიძლებოდა ბევრი რამის სწავლა და თვითონც ყურადღებით იცოდა მოსმენა. იგი იყო ჩემი პირველი როლის შემფასებელი, ჩემი პირველი ლექსისა და მოთხრობის მსმენელი, საუკეთესო მეგობარი, ახლობელი ჩემი ოჯახისა და პირადად ჩემიც. მე ბევრი რამის გახსენება შემიძლია, მაგრამ ახლა მარტო ერთს მოგახსენებთ, როგორც პარტნიორზე, რასაც თეატრში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. როცა ამერიკელი ავტორის ვინა დელმარის პრესაში გახმაურებული პიესა „დაუთმე ადგილი ხვალინდელ დღეს", ბატონმა თამაზ მესხმა წაგვიკითხა და დადგმას შეუდგა (სხვათაშორის, ეს პიესა პირველად ქუთაისის თეატრის სცენაზე დაიდგა, შემდეგ კი მარჯანიშვილის თეატრში), მე მომიწია ქალბატონი მარის პარტნიორობა. ვთამაშობდი მის უფროს შვილიშვილს როდას, თანამედროვე, ამერიკელ, თავხედ, უდარდელ, ფუქსავატ ქალიშვილს, ბაბუას როლს ასრულებდა შოთა პირველი.

ქალბატონ მარისთან, ე.ი. ჩემს ბებიასთან—სცენებში მალავნდებოდა ჩემი სახე. მაგრამ ძალიან მიჭირდა თამაში, რადგან მიუხედავად სიახლოვისა, ორივე ამ დიდი მსახიობების მიმართ გარკვეული მოკრძალება და დისტანცია მქონდა ყოველთვის და ამიტომაც შეძნელებოდა, შემებედა პასუხები, რაც პიესის ტექსტის მიხედვით იყო გათვალისწინებული. ეს ყველაფერი, როგორც ჩანს, კარგად შემატყო ქალბატონმა მარიმ და ერთხელ, როცა შინისკენ წამოვედით, გზაში მესაუბრა და დამარწმუნა, რომ თუ მე ზუსტად არ ვუპასუხე ყველაფერი, რაც შეიძლება თავხედურად, ტექსტით რაცაა გათვალისწინებული, ჩემი სახე არ გამოვა და რაც მთავარია, ამით მე თვითონ შემეშლება ხელი, გოგო და, როგორმე დამეხმარეო.

ჩემი დახმარება მას რად უნდოდა; უბრალოდ, ამით გამათამამა, მე მომცა ძალა და გაბედულობა, რომ ჩემი სახე ბოლომდე სწორად გახსნილიყო. ამ სპექტაკლში ქალბატონი მარი იყო განუმეორებელი, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მარტო რჩებოდა სცენაზე შვილებისა და შვილიშვილებისაგან უარყოფილა, სიცოცხლეშივე დაცილებული მოხუც ქმარს მოხუცთა თავშესაფარში გააცილებდა მატარებლით და იქიდან მობრუნებული იგი ჩვენს წინ, მაყურებლის თვალწინ მთლიანად იცვლებოდა და ბერდებოდა.

დღეს ქალბატონი მარი აღარაა!

მისი წასვლით თითქოსდა დასრულდა ერთი დიდი ეპოქა ჩვენი თეატრისა, აქ კი დარჩა უამრავი სახე, სცენურ გმირთა მთელი გალერეა, რომელიც ქალბატონმა მარი გელაშვილმა შექმნა თავისი ნიჭიერებით, ერთი ულამაზესი და უკვდავი ფურცლით შეავსო ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორია. რაოდენ დასანანია, რომ იგი, როგორც მსახიობი, ახალ თაობას არ უნახავს და არც არასდროს ემახსოვრება, საფიჩხიის სასაფლაოზე კი ყველას ყურადღებას იქცევს თითქოსდა ანტიკურ თეთრ სამოსში გამოწყობილი კლასიკური პიესის პერსონაჟი, არტისტულად მჯდომარე, თეთრ მარმარილოში გამოკვეთილი ქალის ქანდაკება (რომელიც აწ განსვენებულ მოქანდაკე რეზო რამიშვილს ეკუთვნის) და როცა მას მიუახლოვდები, ქვაზე ამოკვეთილ წარწერას წაიკითხავთ, შეიტყობთ, რომ აქ განისვენებს ქალბატონი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რომელსაც ერქვა მარი გელაშვილი.

გრიგოლ ნაცვლიშვილი

ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის დაარსებიდან ბევრი გამოჩენილი მსახიობი ჰყავდა, რომლებმაც წლების მანძილზე მხრებით ატარეს ქართული თეატრის ღირსება. მათ შორის გახლდათ ფრიად საინტერესო მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი გრიგოლ ნაცვლიშვილი, რომელიც კოლეგებს შორის გამოირჩეოდა თავისი არტისტული მანერითა და დახვეწილი სცენური კულტურით. ყოველ დილით შემოგვხვდებოდათ ქუჩაში ოდნავ თავდახრილი, მაღალი ტანის, ფიქრებში გართული მაღალი მამაკაცი, თეატრისაკენ მიმავალი, სადაც ხან მეფედ, ხან კათალიკოსად, ხან ოფიცრად და ხანაც უბრალო აზნაურად გარდასახული

ხვდებოდა მაყურებელს. ძნელია, მოიძებნოს მსახიობი, რომელსაც ერთანაირად უხდებოდეს ქართული ჩოხაცა და შავი ფრაკიც, ღილაკებიანი ხალათიც და სამხედრო მუნდირიც, პლედიცა და იტალიური მანტიაც, მღვდლის ოლარიცა და თანამედროვე ტანსაცმელიც, მხრებზე მოგდებული ნაბადიცა და ესპანელი იდალგოს კოსტიუმიც, მდირული და ღარიბული სამოსიც.

სცენა სპექტაკლიდან ა. ოსტროვსკის — „შემოსავლიანი ადგილი"

გრიგოლ ნაცვლიშვილის თეატრალური ფიგურა, კოსტიუმის ხმარების შესანიშნავი მანერა ყოველთვის სასიამოვნოდ მოგვხდებოდათ თვალში, მისი შემოქმედებითი გალერეა კი უამრავ სცენურ სახეს ითვლის; მაყურებელს, ვისაც კი უნახავს სცენაზე, არ შეიძლება დააავიწყდეს დიდი შინაგანი ძალით, ტემპერამენტითა და დრამატული სიმართლით განხორციელებული შპიგელბერგი, ნიკალაი ვერბა, ფრიდრიხი, კასიო, არჩილი, სულეიმან ხანი, ყაჩაღი დვალიშვილი, ანზორი, გაიოზი, როდოლფი, ვიშნევსკი, მელქისადეკ კათალიკოსი, გენერალი ბორდოსანი და სხვები, ხოლო გრიბოედოვი იმითაც გამოირჩეოდა ამ მრავალფეროვან სცენურ სახეთა გალერეაში, რომ გმირის არაჩვეულებრივი პორტრეტული მსგავსებაც იყო როლის წარმატების ერთერთი მთავარი ფაქტორი.

წლების მანძილზე, თეატრთან ერთად, ბატონი გრიგოლი ქართულ კინოშიც ნაყოფიერად მოღვაწეობდა და არა ერთ ფილმში ითამაშა, რითაც დამსახურებულად მოიპოვა მაყურებელთა პატივისცემა და სიყვარული. მათ შორის აღსანიშნავია „უბედურება" , „წიგნი ფიცისა", „ცისფერი მთები" და სხვა.

ჩემს ცნობიერებაში გრიგოლ ნაცვლიშვილი შემოვიდა, როგორც იტალიელი გმირის—კრაზანას უბადლო შემსრულებელი. ეტყობა, ეს ისეთი შთამბეჭდავი სახე იყო, რომ მარტო ჩემზე კი არა, სხვებზეც მოუხდენია მსგავსი შთაბეჭდილება. მე კი ჩემი ბავშვობის მოგონებიდან მხოლოდ ის მახსოვს კარგად, რომ სპექტაკლ „კრაზანას" მეასე

წარმოდგენაზე, კულისებში ვიდექი ყვავილებით ხელში და თვალებზე ცრემლმომდგარი ჩუმად ვეხვეწებოდი რეჟისორის თანაშემწეს, აბრამ ზონენაშვილს, რომ დღეს მაინც არ მოკლა კრაზანა-მეთქი. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, თითქოს სამი ათეული წელი მის გვერდით ვიყავი, როგორც უმცროსი კოლეგა, მასთან საუბარი, მსჯელობა ყოველთვის საინტერესო იყო. იგი კარგი პარტნიორი და მოქალაქე გახლდათ. ერთად მუშაობის მანძილზე, ყოველთვის მიგრძვნია მისგან დიდი კოლეგიალური დამოკიდებულების წრფელი ძალა და სითბო, პროფესიონალიზმი და პარტნიორობის სიფაქიზე.

იგი მუდამ მხნე, ენერგიული და შემართული იყო. ასევე დარჩება ყველა კოლეგისა და მისი თანამედროვე მაყურებლის თვალში. მარტო ქუთაისის დრამატულ თეატრს კი არა, ბატონი გრიშა ნაცვლიშვილი ქართულ თეატრსა და კინოხელოვნებას დააკლდა.

ნიჭიერი მსახიობი

რესპუბლიკის სახალხო არტისტი შოთა ხაჟალიას სახელი კარგადაა ცნობილი ქართული თეატრალური სამყაროსათვის. 1952 წელს იგი გორიდან გადმოვიდა ჩვენს თეატრში და ქუთაისელმა მაყურებელმა მაშინვე შეიყვარა და აღიარა უდავოდ ნიჭიერი მსახიობი, რომელმაც ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში დაჰყო 1968 წლამდე.

იაგო შოთა ხაჟალია

ჩვენს თაობას კარგად ახსოვს მისი იაგო, ტარასი ხაზარაძე, ბატონიშვილი ანდუყაფარი, დონ სეზარ დე ბაზანი, შაითან ხიხო და სხვა უამრავი სცენური სახე, რომლებიც 16 წლის მანძილზე ქუთაისის თეატრის სცენაზე შექმნა. იგი იყო ფართო დიაპაზონის მქონე, ოსტატუტრი შემსრულებელი როგორც სახასიათო, ისე დრამატული როლებისა, გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით და იყო ახალგაზრდების დიდი მეგობარი. მის გვერდით მყოფს შეეძლო ბევრი გესწავლა, ბატონი შოთა და მისი მეუღლე ქალბატონი რუსიკო გოგებაშვილი გამოირ-

ჩეოდნენ თანამშრომლებისადმი დიდი სიყვარულით, გულისხმიერებითა და ადამიანების დაფასების გრძნობით. არ მახსოვს რომელიმე პრემიერა არ მოელოცოთ, არ აღენიშნოთ, არ გავემხნევებინეთ, იყო შესანიშნავი მამა და მეუღლე და ამავე დროს სხვისი წარმატებაც გულწრფელად ახარებდა. არასოდეს დამავიწყდება ბატონი შოთა ხაჟალია, მისი მეგობრული დამოკიდებულება თანატოლებთან და ახალგაზრდებთან, მისი იუმორი, რომელიც კარგად მოქნეული ფუნაგორიების მთავრდებოდა.

მახსოვს, 1967 წლის 17 აპრილს, როცა პირველა მოეწყო ჩემი მოთხრობების საჯარო კითხვა-განხილვა მწერალთა კავშირში, რომელიც მაშინ დღევანდელი საოპერო თეატრის წინ გახლდათ ორსართულიან შენობაში, თეატრის უფროსი თაობის სახელით ბატონმა შოთამ ითხოვა სიტყვა; მომეფერა, შემაგულიანა და დასძინა, ყველაზე უფრო ის მიხარია, რომ სხვანაირი დაგინახეთო დღეს. ასე იყო ყველასთან-უაღრესად გულისხმიერი. თბილისში გადასვლის შემდეგ, როგორც გლდანის, ისე მუსიკალური კომედიის თეატრში მუშაობისას, კვლავ ახალი სცენური სახეები შემატა თავის შემოქმედებით გალერეასა და რამდენჯერმე ეკრანზეც ვიხილეთ. გვახარებდა მისი წარმატებები, რადგან ძალზე ახლობლად მიგვაჩნდა და ისიც ასე იყო ჩვენთან დამოკიდებულებაში. ჭირსა თუ ლხინში ერთი წუთით არ მივუტოვებიკართ. და რა სამწუხაროა, რომ ყოველივე ეს უკვე მოგონებაა. თავს ვხრი მისი დიდი ნიჭის წინაშე და მე არა მარტო როგორც პარტნიორი, არა მარტო, როგორც უმცროსი კოლეგა, არამედ როგორც ერთი ქართველი მაყურებელი, რომელსაც მუდამ უხარიდა, მისი სცენაზე გამოჩენა.

ორიგინალური ხელწერით

ქართული თეატრის ისტორიის ფურცლებზე სხვა შემოქმედთა გვერდით გარკვეული ადგილი უჭირავს ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ერთ-ერთ საინტერესო და საყვარელ მსახიობს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს გრიგოლ (გრიშა) დავითის ძე კოკელაძეს. წლების მანძილზე იგი ჩვენს შორის ტრიალებდა. მისმა შემოქმედებამ ქუთაისელი მაბურებლის თვალწინ გაიარა, ქუთაისელებს მუდამ ემახსოვრებათ თავმდაბალი და უპრეტენზიო შემოქმედი, რესპუბლიკის დამსახურებული

ბ. შოუს „ეშმაკის მონაფე“ ხრისტოსი გრ. კოკელაძე

არტისტი გ. კოკელაძე, რომელიც ხან უფლისწულ არჩილად და ხან ხლესტაკოვად და ხან სერაპიონად, ხან ტრუფალდინოდ, რუბენ მინდელოვად, ბეჟანად, ხანაც დახუნდარად, ელეფთერად, შოუს გმირად გვევლინებოდა.

მის მიერ შექმნილ სახეებს ყოველთვის ემჩნეოდა ორიგინალური ხელწერა. იგი ყველასაგან განსხვავებული, საკუთარი სტილის მქონე სახასიათო მსახიობი იყო. ბრწყინვალედ ფლობდა გრიმის საიდუმლოებას, რაც სცენურ სახეთა გარდასახვაში დიდად უწყობდა ხელს.

კარგად მახსოვს რეპეტიციები ი. ბრიგანსკისა და ელ. რიაზანოვის პიესისა „ერთხელ ახალი წლის ღამეს“, სადაც გრიშა კოკელაძეს იპოლიტის როლი ჰქონდა დაკისრებული. ეს იყო 1970 წელს. მისი გულწრფელი თამაში რეპეტიციებზე თვითონ ჩვენშიც შეუკავებელ სიცილს იწვევდა, რა ვიცოდით, თუ ეს უკანასკნელი როლი იქნებოდა ჩვენი კოლეგისათვის.

გრიშა კოკელაძემ ქართული სცენა დატოვა იმ პერიოდში, როცა ბევრი სახე ელოდებოდა მისგან გაცოცხლებას, და მრავალი მაყურებელი მოელოდა მისგან ჩვეულ გულწრფელ სიტყვას, გულიან სიცილს. ბერძნებს ჰქონდათ წესად, როცა მსახიობს კრძალავდნენ, ტაშით მიაცილებდნენ სამარის პირას.

დაე, ამ მადლიერი მაყურებლისა და მეგობრების, ჩვენმა გულწრფელმა ტაშმა ერთხელ კიდევ დაარღვიოს მისი საფლავის მყუდროება და ამცნოს ყველას, რომ იგი ცოცხლობს და არაა დავიწყებული. აპრილის თვეში იყო დაბადებული გ. კოკელაძე და ყოველი აპრილის თვე დააფრქვევს ტყემლების თეთრ თოვლს მის საფლავს. ჩვენ კი, ერთხელ კიდევ შეგვახსენებს, რომ „არდავიწყება მოყვრისა, არიდეს გვიზამს ზიანსა“...

ხელოვანი

ქუთაისის თეატრის სცენაზე ბატონ ამირან ჟვანია მინახავს როგორც მსახიობი, მინახავს მის მიერ დადგმული სპექტაკლები, რომლებშიც მეც ვმონაწილეობდი... დღემდე ჩემში ეს პიროვნება დარჩა რაინდული სულის შემოქმედად, რომელიც თავისი გარეგნული შეხედულებითა და კეთილი გულით უყვარდათ მეგობრებს, ნაცნობებს და დიდ პატივს სცემდნენ. რაც მსურს მოგითხროთ, ალბათ სრულყოფილად ვერ წარმოაჩენს მას, როგორც პიროვნებასა და შემოქმედს, მაგრამ ვფიქრობ, მის პორტრეტს კი შეავსებს, მით უფრო, ეს ამბები მკითხველისათვის უცნობია.

ამირან ჟვანია შესანიშნავი ქუთაისელი, დიდი ტრადიციული ოჯახის წარმომადგენელი გახლდათ. მისი მამა ლავრენტი (საერო სახელი) გახლდათ ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი მეუფე ლეონიდე, დედა—ფრიად განსწავლული ქალბატონი მარიამ დვალიშვილი.

ამირანს კარგად ვიცნობდი ჩემი დის, კირასა და მისი მეუღლის, ჩემი სიძის—ილო კლანდაძის წყალობით, ხოლო 1965 წლიდან კი პირადად მომეცა საშუალება მასთან შემოქმედებითი თანამშრობლობისა. ეს ასე დაიწყო:

1966 წლის ორ იანვარს ბატონი ლევან სანიკიძე, რომელი გრიშაშვილის ქუჩაზე, ყოფილი უნივერმაღის წინ, ჩვენს სიახლოვეს ცხოვრობდა და ჩვენს ოჯახში სტუმრობაც უყვარდა, ბატონ ამირან ჟვანიასთან ერთად გვეწვია. დედამ მაშინვე სუფლა გაშალა. მალე მათი სტუმრობის მიზეზიც შევიტყვეთ.

ბატონმა ლევანმა განაცხადა, რომ ჩვენ ახლა ნესტანის საქმეზე გეწვიეთო. მაშინ 24 წლის გახლდით, ჯერ კიდევ სკოლასა და ინსტიტუტში ვმუშაობდი და დედამ, რატომღაც, ჰკითხა, ინსტიტუტში ხომ არ გაუცდინა ლექციი-პრაქტიკუმებიო. ბატონ ლევანს გაეცინა, როგორც გეკადრებათ, ყველას ძალიან უყვარს და თავის საქმეს ხუთიანზე აკეთებსო.

—აბა, გათხოვება თუ გინდათ მაგისი, მე უფრო გავთხოვდები,—იხუმრა კირამ და ყველამ გავიცინეთ.


ტყიბულის ეროვნული საბჭოს

ტყიბულის სახალხო თეატრი

პროგრამა

ლ. სანიკიძე

გაიუს გრაკხუსი

დრამა 7 მოქმედებიანი და 8 სურათად

(მოგვიანებით ეწოდა „ალიბი")

ქ. ტყიბული

1945-46 წლის სეზონი

ბატონმა ამირანმა აგვიხსნა, რომ ტყიბულის სახალხო თეატრში დგამდა ლევან სანიკიძის პიესას „გაიუს გრაკხუსს", რომლის პრემიერა აუცილებლად თვის ბოლოს უნდა შედგესო, რადგან სპექტაკლი, თურმე, მზადდებოდა საკავშირო ფესტივალისათვის, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის ყველა საშახტო ქალაქის სახალხო თეატრები, კომისია აუცილებლად ჩამოვა მოსკოვიდან და ვიღუპებით, რადგან გაიუს გრაკხუსის დის, სციპიოს მეუღლის, სემპრონიას როლის შემსრულებელი ქალბატონი ელენე ჯანგავაძე ავად გაგვიხდა, ამიტომ გადავწყვიტეთ თქვენთან მოსვლა, ვიმსჯელეთ, ვიფიქრეთ ბევრი და გადავწყვიტეთ, ნესტანი უნდა ვათამაშოოო.

მე პიესას ვიცნობდი და ვიცოდი, რომ ეს ძალიან საინტერესო მთავარი როლი გახლდათ. ძალიან გავიხარე, რადგან, რაც ინსტიტუტი დავასრულე, სცენაზე აღარაფერი მითამაშნია, არადა ბატონ ამირანსა და ლევანსაც ინსტიტუტის სცენაზე ვყავდი ნანახი. იქ ისეთი დრამწრე გვქონდა, რომ თვით აკაკი ვასაძესაც კი გამოუთქვამს კმაყოფილება ჩვენს სპექტაკლზე.

დედამ გადმომხედა. მე სიხარულს ვეღარ ვმალავდი და რომ არ დამთანხმდებოდნენ, გული დამწყდებოდა ძალიან. სტუმრებს გულწრფელად ვუთხარი.

—კი, მაგრამ... მარტო რომ არ გამოიშვებენ?!

—ვინ შეგჭამს, შე მათხოვარო!—(ამ სიტყვას ხშირად ხმარობდა ამირანი, ვიცოდით და გავიცანეთ).— მთელ ოჯახს წაგიყვანთ, ბატონო!—თქვა და პიესაზე დამიწყო საუბარი.

—რომისა და გრაკხების ისტორიაზე არ გაცდე, ამირან, —უთხრა ლევანმა,—ხუთიანზე იცის. შენ როლის ხასიათი აუხსენი პიესის მიხედვით და ეს მიხედავს ტექსტს.

მართლაც ამიხსნა თავისი ჩანაფიქრი, მაჩვენა დეკორაციისა და ჩემი კოსტიუმის ესკიზი და მითხრა, ერთი-ორჯერ მოვალ, აქვე გაგატარებ სამაგიდო რეპეტიციას, მეორე ტყიბულში წავალთ და



მონანილეობენ.

გაიუს გრაკხუსი, სახალხო ტრიბუნი—ა. ფეანია,
ა. ცხადაშვილი.
კორნელია გაიუსის დედა—თ. რუხელი.
ლიცინია, გაიუსის მეუღლე—ც. ქარქაშაძე.
პუბლიუს კორნელიუს სციპიო ემელიანე, რომის სახელოვანი სარდალი—მ. გვენეტაძე.
სუპერნინა სციპიოს მეუღლე, გაიუსის და — ნ. კვეიძე.
ელ. ჯანგავაძე.
ლუციუს ოპიმიუსი, რომის კონსული—ელ. ჭელაძე.
მარკუს ლივიუს დრუზუსი, სახალხო ტრიბუნი—
ა. თოდაძე.
ფულვიუს ფლაკუსი, სახალხო ტრიბუნი—ბ. ტუჩინაძე.
ფილი გაიუსის მონა-მსახური—ზ. ჯორჯაძე.
პირველი სენატორი ვ. დეგასაძე.
მეორე სენატორი—ილ. მიმიცელიძე.
მესამე სენატორი—ლ. ბარკალაია.
პირველი ლიქტორი—ან. აბელედიანი.
მეორე ლიქტორი—ბ. ნაგგალაძე.
მესამე ლიქტორი—დ. ოდიშარია.
პირველი მოკალაკე—ნ. ქარქაშაძე.
მეორე მოკალაკე—მ. გვენეტაძე.

მასიურ სცენებში

ს. ჭურაძე, ა. კუბლაშვილი, ნ. ზვადგიანი, ბ. ზაუტაშვილი, შ. დიხნაძე, გ. ტურძელაძე, ან. ფანეულიძე, ზ. გაბრიჩიძე, თ. ამბასაძე, ნ. ბაზიერიშვილი.

ნადგმა ამ. ევანიასი

მხატვრული გაფორმება ბ. ბერეჟიანიძის და
ლ. ფაფანიძის.
კოსტუმების ესკიზები ალ. ბრანოვეცი.
მუსიკ. გაფორმება ვ. მაღლაფერიძის და
გ. მაცხოვრიშვილის.
ტექ. რეჟისორი ბ. ტურძელაძე.
გრიმიორი ბ. ქერეველიძე.
სცენის შემკეთებელი ბ. ტურძელაძე.
ელ-განათება ნ. ბუშკენაძის.
რეჟისორი თ. ბარდაფხაძე.

პირდაპირ სცენაზე მოგიწევს რეპეტიციები, უკვე დეკორაციებში, რადგან თეჯირიდან კარგა ხანია სცენაზე ვართ გადასულიო.

დავთქვით, რომ ორ-სამ დღეში გამოიცლიდა. მართლაც, ხუთ რიცხვში მარტო მობრძანდა, ჩამიტარა სამაგიდო რეპეტიცია, რებლიკებს თვითონ მიაწოდებდა, მე კი როლი ზეპირად ჩავბარე, რამაც ძალიან გაახარა.

—სატანური მეხსიერება ჰქონია ამ მათხოვარს...—უთხრა კირას, რაზეც ყველამ ვიცინეთ, სამი დღის შემდეგ კი, რვა იანვარს (თანაც სკოლაში და ინსტიტუტშიც დასვენების დღეები იყო) მობრძანდა მანქანით და მე და დედა წაგვიყვანა ტყიბულში, სადაც, რა თქმა უნდა პრემიერამდე უნდა დავრჩენილიყავით.

ჯერ თავის ბინაში, სადაც მისი მეუღლე დალი (იგი ჩემი ინსტიტუტის ამხანაგი გახლდათ) შვილებთან ერთად შეგვეგება, დავისვენეთ და მერე სასტუმროში მიგვიყვანა.

ტყიბულის თეატრის დასმა, რომელსაც მეორე დღეს წარუდგინა ჩემი თავი, გულთბილად მიმიღო. განსაკუთრებით დამამახსოვრდა და არც დამავიწყდება რაიკომის მდივნის, ბატონ კარლო ლომაძის ყურადღება თეატრისადმი, ხშირად უკავშირდებოდა ამირანს, ან კიდევ მისი წარმომადგენელი მოდიოდა თეატრში, ცდილობდა, რომ პრემიერა წარმატებულად წასულიყო.

სასტუმროში, გვერდით ოთახში, ბატონი სოსო ყიფიანი და ბიძინა მდინარაძე ბრძანდებოდნენ სამსახურიდან მივლინებით და ძალიან



სცენა სპექტაკლიდან „გაიუს გრაკხი"

გავიხარეთ, როცა ერთმანეთს შევხვდით. საღამოს ჩაის დასალევად მე და დედა სასტუმროს რესტორანში ჩავედით, ჩაის ნაცვლად ვახშმით გაგვიმასპინძლდნენ, ბოლოს გვითხრეს. როცა ფულის გადახდა დავაპირეთ, გადახდილიაო. ასე განმეორდა მეორე ღილით, საუზმეც, მერე სადილზეც და ბოლოს შევიტყვეთ, რომ ეს ამირანს გაუფრთხილებია რესტორნის თანამშრომლები. ჩვენ უხერხულად ვგრძნობდით თავს. მერე ამირანმა რესტორანშიც აღარ გაგვიშვა, რეპეტიციების შემდეგ თავის ოჯახში მივყავდით, შეგობრებით გარშემორტყმული, ერთად ვატარებდით დროს, საერთოდ, ძალიან პურმარილიანი, სტუმართმოყვარე, კეთილი ადამიანი გახდათ და დღესაც ასე აგრძელებს ცხოვრებას მისი ოჯახი.

რამდენჯერმე ნანადირევიც მოგვიტანა. ერთი სიტყვით, ყოველმხრივ ცდილობდა, რომ პატივი ეცა ჩვენთვის. ჩვენს გარდა თავს უამრავი მეგობარი ეხვია და ეს ძალიან ახარებდა.

რეპეტიციები კი უწყვეტლივ, დილა-საღამოს, უკვე ნახევრად კოსტუმებში მიმდინარეობდა. განსაკუთრებით რთული იყო ჩემი საფინალო სიკვდილის სცენა, რაც ვიგრძენი, ძალიან მოსწონდა, იმ მონოლოგის წაკითხვას რამდენჯერმე თავიდან მთხოვდა.

ახლოვდებოდა პრემიერის დღეც. გასინჯვა 24-ში იყო დანიშნული, ადგილობრივმა ინტელიგენციამ და სამხატვრო საბჭომ ნახა. სპექტაკლი და ყველას მოეწონა.

დადგა პრემიერის დღეც, რაც ჩემთვის დღემდე დაუვიწყარია. თბილისიდან, კულტურის სამინისტროდან, ალექსანდრე შალუტაშვილი და ვაჟა ბრეგაძე ჩამოვიდნენ, ქუთაისიდან თამაზ დ ცინუკ მესხები, კატია დადიანი, მურმან ფურცხვანიძე, რუთა ბეროძე, დოდო ბარათაშვილი, კირა, რა თქმა უნდა, ავტორი—ბატონი ლევან სანიკიძე თავის მეგობრებთან ერთად და ჩემი მეგობრებიც; ბატონი ამირანის სამეგობრო თითქმის მილიანად მობრძანდა, რომელსაც მისი ძმა, შოთა მიუძღოდა წინ. ერთი სიტყვით, უამრავმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი. ყველა მეფერებოდა, მამხნევედნენ, ბევრმა რაღაც მისახსოვრა კიდეც და დღემდე სიყვარულით ვინახავ. მოსკოვიდან, საგანგებო მივლინებით, საკავშირო კულტურის სამინისტროდან, ორი პიროვნება გვეწვია, რომლებიც აღნიშნული ფესტივალის ჟიურის წევრები გახლდნენ თურმე და წინასწარ უნდა ენახათ ყველა საშახტო ქალაქის სახალხო თეატრის სპექტაკლები, რომ საფესტივალოდ ვიზა მიეცათ.

წარმოსაღგენია, ალბათ, ყველა როგორ ვღელავდით.

—ვარგა ეს ჭირიანი?—ჰკითხა ჩემზე ამირანს ჩემმა დამ, კირამ.

—ნახავ, ჩემო ბატონო, ვარგა თუ არა! გოდრით ხმა აქვს და გარეგნულად შენც კი ხედავ ამ მათხოვარს, თუ ვინმე ჯობია!

პრემიერამ ანშლაგით ჩაიარა, ყველა გვილოცავდა წარმატებას, ბატონი კარლო სიხარულსა და აღფრთოვანებას ვერ მალავდა. მოსკოველმა სტუმრებმა თქვეს, ურალში და სხვაგანაც, სადაც კი ვიყავით, ასეთი სერიოზული და წარმატებული ნამუშევარი არ გვინახავსო.

პრემიერის შემდეგ, მოგეხსენებათ, წესისამებრ, სასტუმროს რესტორანში დიდი სუფრა გაიშალა. ყველა აღფრთოვანებული იყო ამირანის გამარჯვებით, ასეთი დადგმითა და რეჟისურით, მხატვრობით და მსახიობთა თამაშით.

მე ყველა მონაწილისათვის სუვენირები მქონდა მომზადებული. ბოლოს ჩემი ოჯახისეული სასმისი ბატონ ამირანს გადავეცი, რომელიც იქვე, განსხვავებული სადღეგრძელოსთვის გამოიყენეს.

სპექტაკლი ვითამაშეთ სულ სამჯერ, 26-ში და კიდევ 27 იანვარს.

28-ში ყველა ერთად დაებრუნდით ქუთაისში, ფესტივალი მაისში უნდა ჩატარებულიყო და შეგვატყობინებდნენ, რა თქმა უნდა, ვიყავით მის მოლოდინში, მაგრამ, აღარ მახსოვს, რომელიღაც შახტში

მოხდა კატასტროფა, ბევრი ადამიანი დაიღუპა, დიდი მსხვერპლი იყო და თანაგრძნობის გამო აღარავის ეცალა ფესტივალისთვის. ჩემთვის კი ის ორის კვირის რეპეტიციები და სამად-სამი სპექტაკლი, ტყიბულში რომ ვითამაშე, ერთ ლამაზ, წარუშლელ, გაუხუნარ და წარმატებულ ფურცლად დამრჩა ცხოვრების მოგონებებში ბატონ ამირანის წყალობით. სპექტაკლს პრესა მაშინვე გამოეხმაურა. 30 იანვრის გაზეთ „ქუთაისში" გამოქვეყნდა დიდი სტატია სათაურით—„ქუთაისელი რეჟისორის წარმატება", ხოლო 3 თებერვალს გაზეთ „ტყიბულში"—გივი გეწაძემ ასე შეაფასა ჩემი როლი.

„გაიუსის დის, სემპრონიას, სციპიოს მეუღლის დასამახსოვრებელი სახე შექმნა ქუთაისელმა ნ. კვეიძემ".

და კიდევ დამრჩა ეს ერთადერთი სურათი, რომელსაც დღემდე სათუთად ვინახავ აფიშასთან და ამ პროგრამასთან ერთად.

1966 წლის სექტემბრიდან, ბატონ აკაკი ვასაძის რჩევით, რომელმაც მნახა ვასო აბაშიძის კულტურის სახლში ბატონ მურმან ფურცხვანიძის მიერ დადგმულ ვ. ჰიუგოს პიესაში „ანჟელო" ტიზბეს ურთულეს ტრაგიკულ როლში (მაშინ ქალაქში ახალგაზრდული თეატრის ჩამოყალიბება სურდათ და სწორედ ამ მიზნით დაიდგა ეს ურთულესი სპექტაკლი კულტურის სახლში) უკვე ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში დავიწყე მსახიობად მუშაობა, იქ ბატონ ამირანთან უფრო ახლო დამოკიდებულება მქონდა. მგონია, რომ მან, როგორც მსახიობმა და როგორც რეჟისორმა, მაინც ვერ მოასწრო თავისი ნიჭის სრულად გამოვლენა.

ამირან ჟვანიამ თეატრში დადგა ფრიდრიხ შილერის „ყაჩაღები" ანუ „ტირანების წინააღმდეგ", შემდეგ კი ლ. მილორავას პიესა „უკანასკნელი იფარიძე", მაგრამ მე „ყაჩაღების" დადგმაზე რაც გადამხდა, ის უნდა გიამბოთ.

მოგეხსენებათ, პიესის მიხედვით ერთი ქალია—ამალია, რომელსაც ლამარა ვაშაკიძე თამაშობდა, კარლი გახლდათ ერემო სვანაძე, ხოლო ფრანც მოორი—ანზორ ხერხაძე.

შილერის ეს ტრაგედია ყველასათვის ცნობილია. იგი ბატონ ამირანს თავისებურად ჰქონდა ჩაფიქრებული. შექმნა ერთი მასიური სცენა, სადაც კარლი თავის მეგობრებთან ერთად ტყეში ილხენდა, მერე, მოულოდნელად, ატყდებოდა ტყვიების ზუზუნი და მაცნეს შემოჰქონდა ამბავი, რომ ალყაში იყვნენ მოქცეული. იწყებოდა ბრძო-

ლის სცენაც. რა თქმა უნდა, ზოგი უნდა მომკვდარიყო, ზოგი უნდა დაჭრილიყო, ზოგს ვიღაცა უნდა გადაერჩინა, ტრიალებდა შუქების თამაშით სცენა და ა.შ.

ამ სცენაში, ლხინის დროს, ყველა ჭაბუკთან თავისი ქალიშვილი იდგა, მერე მომცა ასეთი ამოცანა—მაცნედ ამომარჩია და მითხრა, შემოვარდები იარაღით სიმღერის დასრულებამდე ამა და ამ დროსო, პისტოლეტის გასროლის ხმაზე შეწყდება ცეკვა-სიმღერა, კარლს აცნობენ, რომ ალეაში ვართ და ეს ბიჭები აიშლებიან, შეიარაღდებიან, შეწყდება ლხინი, დატრიალდება სცენა, ხან განათდება, ხან ჩავაბნელებთ, შენ დაუწყებ ძებნას შენს შეყვარებულს სცენის ტრიალში, ნახავ, რომ მკვდარი აგდია უსულოდ, დაეცი ზედ, მოთქმა დაიწყე, დაიტირეო.

—რა ვთქვა?—ვკითხე.

—დაიტირე, კაცო, შეყვარებული. როგორც გინდა, ისე იბღავლე. აბა, ახლა მაგისი ტექსტისთვის შილერს ხომ ვერ გაგიცოცხლებ!

რომელი იყო ჩემი შეყვარებული!

არ ვიცოდი ჯერ, მაგრამ ვეღარ ვკითხე.

როცა ლხინის სცენას დგამდნენ, რაც ამ ბრძოლის სცენას უსწრებდა წინ, ქორეოგრაფმა დაგვაწყვილა. მე წილად მერგო გიზო ღელეყვასთან პარტნიორობა სიმღერასა და ცეკვაში და მერე, ბრძოლის ველზე, თურმე ის უნდა მენახა დაცემული და უნდა მეტირა და მებღავლა.

—კაი, ბატონო, მაგრამ რა ჰქვია ჩემს შეყვარებულს?—ვკითხე ერთ რეპეტიციაზე.

—რაც გინდა, ის დაუძახე, ოღონდ დაიმახსოვრე, კარლი და ფრანცი არ ახსენო?

ჰანსს დავარქმევ-მეთქი, ვუთხარი. ოღონდ მომეშვი და რაც გინდა, ის დაარქვიო, დამთანხმდა. მართლაც, ცეკვა-სიმღერიდან უცებ ბრძოლის სცენაზე გადასვლა ძალზე ეფექტური გამოდგა. გავრბოდი სცენიდან ყველას შეუმჩნევლად, ვბრუნდებოდი იარაღით ხელში და ვამცნობდი პისტოლეტის გასროლის ხმით ყველას მტრის შემოსევას. შემდეგ წრე ბრუნავდა და გიზო სადღაც დამხვდებოდა დაცემული ავანსცენაზე, დავიტირებდი, რაც შემეძლო, ბოლოს წამოდგებოდა თავისით და მშვიდად გადიოდა სცენიდან, არც მას და არც მე არც ერთს რეპეტიციაზე არ მოგვივიდა თავში, რომ ამოდენა ვაჟკაცის ბრძოლის ველიდან ხელით გამოყვანას ვერ შევძლებდი. არადა, რეჟი-

სორი მეუბნება, აქ არ დატოვო ცოცხალი და არც მკვდარი, თორემ შენც ზედ დაგაკლავო, როგორც გინდა, როგორმე აიტანტე და ორივე მოშორდით აქაურობასო. ყოველ რეპეტიციაზე რეჟისორის თანაშემწე აბრამ ზონენაშვილი ბუტაფორულ რევოლვერს მაძლევდა, რომელიც ამირანს არ მოსწონდა, მერე აბრამი კულისებში რაღაცას რომ დაა-ბრახუნებდა, ამირანს სულ უკმაყოფილება ეხატებოდა სახეზე და რეპეტიციებზე ითხოვდა, ისეთი იარაღი მაღირსეთ, ცეცხლი რომ დავინახო, თანაც ჩემს ხელის აწევას ცდებოდა კულისებიდან აბრამის ჯოხის დაბრახუნება, არაფრით არ ემთხვეოდა.

ადგა ერთ დღეს და ნამდვილი პისტოლეტი მომაწოდა. საერთოდ, თვითონ შესანიშნავი მონადირე გახლდათ. მე კი შემეშინდა, ტყვიები არ იყოს შიგ და ვინმე არ მოვკლა-მეთქი.

უცებ დაშალა და მაჩვენა, რომ ცარიელი იყო, მაგრამ ხელი ვერ ვახლე მაინც.

—გამიგონია, ცარიელ იარაღშიც ერთი ტყვია ყოველთვისაა მიმა-ლული-მეთქი!—ვუთხარი და კინაღამ ავტირდი.

ისევ ბუტაფორული ვარჩიე. სულ მათხოვარი მიძახა, მაგრამ ეს არაფერი—ყოველ ღამე მესიზმრებოდა, რომ რევოლვერით ვიღაცას ვკლავდი...

მოახლოვდა პრემიერის დღე, წინა დღით კი გასინჯვა იყო ჩვეუ-ლებრივად,—სამხატვრო საბჭოსათვის უნდა ჩაგვებარებინა სპექტაკ-ლი. ყველანი მაქსიმალურად მობილიზებული ვიყავით.

დადგა ეს მასიური, ჩვენი სცენა, ატყდა ცეკვა-სიმღერა. მერე შეუმჩნევლად დავტოვე იქაურობა, კულისებში აბრამმა მონიკელებუ-ლი, გაპრიალებული იარაღი მომაჩეჩა, შებრუნდი სცენაზეო და კუ-ლისებში ატყდა ტყვიების ზუზუნი.

შევვარდი თუ არა, იარაღი ჰაერში აღვმართე და გასროლის ხმასთან ერთად თვალნათლივ დავინახე, რომ ჩემი იარაღიდან გამო-ვარდა ნამდვილი ცეცხლი, რასაც საოცარი კივილი მოჰყვა ყველა მონაწილის. ერთი კი მომესმა კულისებიდან ამირანის ხმა, კარგიაო, მაგრამ მე ვიფიქრე, ვიღაც მართლა მოვკალი-მეთქი და შიშით იატაკ-ზე გავიშხლართე.

მომვარდა ერემო—კარლი ყვირილით, რა მოხდაო. მე შიშისგან თვალიც ვერ გავახილე, დაჩოქილმა ერემომ თავი წამომიწია, მკერ-დზე მიმიხუტა და თავისი რეპლიკა გაიმეორა, რა მოხდაო, რაზედაც

მე უნდა მეპასუხა:—ალყაში ვართ, კარლ!

მე კი, ცრემლებჩამომდინარემ, ჩუმად ვკითხე, ვინ მოვკალი, თუ იცით-მეთქი.

ისევ ერემომ მიხსნა:

—ბიჭებო, ალბათ ალყაში ვართო და... ატყდა სროლა, ყვირილი, ქალების წივილი. დატრიალდა სცენა, შუქები ათამაშდა და კულისებიდან მომესმა ამირანის ხმა, მიხედე, გოგო შენს შეყვარებულს, შე მათხოვაროო და მა'შინ გამახსენდა, და დავინახე, რომ გიზო გაშხლართულიყო მოძრავ სცენაზე, მეც დავეცი გულზე, დავიწყე მოთქმა, ბღავილი.

—ჰანს, ძვირფასო! ვინ მომიკლა შენი თავი! გამეცი ხმა..—კულისებიდან ამირანი მეძახდა, არ გაჩერდეო.—ჰანს, ძვირფასო! ნუთუ, მტოვებ... ერთი სიტყვით, რაც კი მომივიდა აზრდა, გავყვიროდი მთელი ძალ-ღონით.

—კაია! არ გაჩერდე! ყოჩაღ! იბღავლე!—მესმოდა კულისებიდან რეჟისორის ხმა—არ გაჩერდე,—და მეც ისევ გიზოს მკერდზე თავჩარგულმა ზლუქუნი გავაგრძელე.

—რა დუხი გასხია?—მკითხა ჩუმად გიზომ.

—ოპიუმი!—ზლუქუნითვე ვუპასუხე მეც ჩუმად.

—იყავი ცოტა ხანს მასე!—მთხოვა მან.

—გამოათრიე ახლა კულისებში!—გავიგონე ამირანის ხმა.

—ვერ ვერევი, ბატონო!

—უთხარი მაგ მათხოვარს, ცოტა ამჩატდეს!

ასე იყო თუ ისე, მაინც ვერ მოვერიე გიზოს, რა თქმა უნდა და, ჩემი „მკვდარი შეყვარებული" თვითონ გახდა იძულებული, რომ თვითონ წამომდგარიყო და იმის ნაცვლად, რომ მე ამეყვანა ხელში და ისე გავსულიყავი სცენიდან, გიზომ პირიქით, პატარა მუთაქასავით იღლიაში ამოჩრილი გამიყვანა სცენიდან.

—რა ქენით ეს! ხომ ჩამიგდეთ სცენა!—გვიყვირა ამირანმა.

—მე ვერ მოვერიე, ბატონო!—გავიმართლე თავი.

—უნდა გევარჯიშათ, ბიძია!—ამისათვის იყო რეპეტიციები. რას მიკეთებდით მეტს!

—ნახევარი ქალაქი ვერ გაიგებს ამას, ყველას ვეტყვი, რომ დაჭრილი იყო ჩემი შეყვარებული და არა მკვდარი!—ვანუგეშე, რაზეც თვითონაც და ჩვენც ბევრი ვიცინეთ.

მე კი მაინც ვკითხულობდი, ვინ მოვკალი წინა სცენაში-მეთქი, რადგან ის მონიკელებული სპორტული პისტოლეტი, ნამდვილი მეგონა.

„ყაჩაღების“ პრემიერა 1978 წლის 26 ივნისს შედგა.

მერე თბილისში გასტროლების დროსაც წარმოვადგინეთ და იქაც წარმატება ხვდა ამ სპექტაკლს;

დღეს კი, როცა ყველაფერ ამას ვიგონებ, მახსენდება და სულ თვალწინ მიდგას ნამდვილად რაინდული სულის შემოქმედი, ბატონი ამირან ჟვანია. იგი გახლდათ ნიჭიერი, ფრიად განათლებული, წიგნიერი ადამიანი, ძალიან კეთილი, სტუმართმოყვარე, პურ-მარილიანი, თუმცა, სამწუხაროდ, ჩემი აზრით, მაინც, ასე მგონია, ვერ მოასწრო თავისი ცოდნისა და ნიჭის სრული გამოვლენა, კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო.

სცენა სპექტაკლიდან ვ. ჰიუგოს „ანჟელო“

ავალო

წავიდა ჩვენგან და უკვე მოგონება გახდა ჩვენთვის, მისი ოჯახისათვის, მისი ახლობლებისათვის, ჩვენი ავალო! ადამიანი, რომელთან ერთად მთელი ჩემი ბავშვობა მოდიოდა ჩვენს ქალაქში ერთი ქუჩით. ამ ქუჩით მოვდიოდით ერთად სკოლაში, აქ ქუჩით მოვდიოდით ერთად ვასო აბაშიძის სახელობის ქალაქის კულტურის სახლში და ბოლოს ამ ქუჩის მოვდიოდით ისევ ერთად თეატრში. მიძნელდება მასზე საუბარი წარსულ დროში, რადგან უამრავი მოგონება გვაკავშირებს ერთმანეთთან. მოსაგონარი კი, მართლაც, უამრავია, რომელსაც, რა თქმა უნდა, ერთი სტატია ვერ დაიტევს. მე ვიყავი მისი მაყურებელი, როცა ჯერ კიდევ სკოლაში, მოსწავლემ შესანიშნავად ითამაშა კიკვიძის როლი ვ. დარასელის პიესაში „კიკვიძე“ და აღაფრთოვანა ყველა. მე მახსოვს მისი ოჯახის შექმნა უძვირფა-

სეს მეულლესთან, მაგულისთან, მახსოვს მისი შვილების მერაბისა და ნანას გაჩენა ამ ქვეყნად და რა მიზეზითაც დაარქვა პირველ სიხარულს—მერაბი სახელად და ბოლოს, მე მახსოვს ავალო, როგორც შესანიშნავი, მართალი და უშუალო პარტნიორი—-როდოლფოს როლში, ვ. ჰიუგოს პიესაში „ანჟელო", რომელშიც მე ტიზბეს როლს ვასრულებდი, მაგრამ ყველაზე მთაარი ისაა, რომ იგი გახლდათ კეთილზე კეთილი, უბოროტო, უკეთილშობილესი გულის ადამიანი; ყველას დამხმარე, ჭირსა და ლხინში გვერდში მდგომელი, ერთგული და საძმოზე გადაყოლილი კაცი. რა სწორად თქვა მაგულიმ, როცა თეატრის შენობაში უკანასკნელ გზაზე მიმავალი შემოასვენეს, ეს იყო შენი პირველი ოჯახიო! ჭეშმარიტებაა! ავალო თეატრს ყველაზე გვიან ტოვებდა. იგი თეატრისათვის ნამდვილად თავდადებული და გადაყოლილი ადამიანი იყო, რომელიც ყველაფერს აკეთებდა. მან თეატრს მოუარა იმ პერიოდში, როცა ქვეყანას უჭირდა. საერთოდ, იყო ძალზე გულისხმიერი და ჰქონდა პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა, რაც ძალიან იშვიათია ადამიანებში. ამიტომაც იყო იგი სხვებისაგან განსხვავებული, გახლდათ ძალზე ნიჭიერი და წიგნიერი ადამიანი.

მისი წასვლით, ჰე როგორც ახლობელს, მომემატა კიდევ ერთი ტკივილი, რომელსაც ვიცი, რომ არაფერი ეშველება, რადგან ალბათ, ასეთი იყო ღვთისნებაა, დამაკლდა უახლოესი მეგობარი, ის ადამიანი, რომელიც ერთადერთი მეძახდა მოფერებით დედაჩემის მიერ შერქმეულ სახელს.

დაკრძალვის წინ ღამით, 20 მარტს ქუთაისიდან ისრაელში ამოსული ქართველი ებრაელი ნაცნობ-მეგობრები სხვადასხვა ქალაქებიდან მირეკავდნენ ცრემლებით დამწუხრებული და მთხოვდნენ, რომ მათი გულწრფელი სამძიმარი გადმომეცა მისი ძვირფასი ოჯახის წევრებისათვის, თეატრისათვის და ყველა იმისთვის, ვისაც კი გული დაწყვიტა მისმა გარდაცვლებამ.

მშვიდობით, ჩემო კეთილო, ძმაო ავალო! ძალიან დამწყვიტე გუ-

ლი, მაგრამ დავინახე, რომ მარტო მე კი არა, შენმა ამ ქვეყნიდან წასვლამ ყველა ერთნირად დაამწუხრა, ვინც კი მიცნობდა და უამრავი თბილი სათქმელი გაგყვა კიდეც სამუდამოდ იმიერშიც გადასახლებულს, მაგრამ ყველა ხომ „დიდ სოფელში წავა" და როცა ადამიანი ვინმეს საფლავს ჩაუვლის და იტყვის გარდაცვლილზე, კარგი კაცი იყო, მაგრამო, მე ვიცი, რომ შენზე ამ „მაგრამ"-ს ვერავინ იტყვის. შენი წასვლისგან გამოწვეული ტკივილის შედეგია ის პატარა, ოთხსტროფიანი ლექსი, რომელიც იმ დღესვე დავწერე და ცოტა გვიან ჩემს 42-ე ლექსების წიგნშიც კი შევიდა:

❖❖❖

ავალო ქაჯაიას

იცოდა, რომ წავიდოდა;
ალბათ, ვილაცა ეძახდა...
ის ბოლო იყო, ვინაც მე
ბავშვობის სახელს მეძახდა...

შინმოუსვლელი მსახიობები

ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრში ერთი პატარა სტენდია, რომელსაც უცრემლოდ გვერდს ვერ აუვლი. მასზე რვა ახალგაზრდა ჭაბუკის სურათია, თითქმის პირტიტველა უწვერულვაშო ბიჭებისა, რომლებსაც უყვარდათ ლექსი და სიმღერა, ცეკვა-თამაში, გატაცებით უყვარდათ თეატრი, სცენა და შეჰხაროდნენ სიცოცხლეს.

ისინი შინმოუსვლელი მსახიობები არიან, თეატრის მუშაკები, მოხალისედ რომ წავიდნენ დიდ სამამულო ომში, იმ ომში, რომელმაც მათ გასტროლებზე ყოფნისას მოუსწრო ქალაქ თბილისში.

ქუთაისის თეატრის ისტორიაში დაუვიწყარია 1941 წლის 20 ივნისი, ამ დღეს თეატრი დედაქალაქში გასტროლებზე შექსპირის მეფე ლირით წარსდგა. თბილისელი მაყურებელი თავბრუდახვეული იყო დიდ მსახიობთა ა. იმედაშვილის, ი. ზარდალიშვილის და მათი პარტნიორების მაღალი აქტიორული ხელოვნებით. ასევე წარმატება ხვდა მ. გორკის პიესას „მტრები", ხოლო 22 ივნისს მაყურებელი შ. დადიანის „გუშინდელნის" საყურებლად ემზადებოდა, მაგრამ წარმოდგენა არ შედგა. გამოცხადდა ომი და დასი მაშინვე უკან, ქუთაისში დაბრუნდა. თეატრის რეჟისორის თანაშემწე გ. ჯიბუტი, სალიტერატურო ნაწილის გამგე. პოეტი გ. ნაფეტვარიძე, დამამზადებელი

საამქროს გამგე ი. ნინიაშვილი, მსახიობები ა. აფხაიძე, მ, ბინიარიშ-ვილი, თ. ვაშაკიძე, ა. მამრიკიშვილი და ა. ოქრუაძე მოხალისედ წავიდნენ ომში და თეატრის სცენას შეჩვეულმა ჭაბუკებმა ბუტაფორიული იარაღების ნაცვლად ნამღვილი შაშხანები აიღეს ხელში და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგნენ, მათ სწამდათ ჩვენი ქვეყნის გამარჯვება, რაზეც მოწმობს მათი მაშინდელი პირადი ბარათები. სწორედ ამ უღრმესი სიყვარულით, გამარჯვების ურყევი რწმენითა და მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილით იბრძოდნენ სხვა მამაც საბჭოთა მებრძოლებთან ერთად ჩვენი თეატრიდან წასული ბიჭებიც.

მაშინდელ პრესაში უფროს სერჟანტ ა. აფხაიძეზე, რომელსაც 1938 წელს დაუსრულებია ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლა ე. სადიკოვი წერს: „გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის უფროსი სერჟანტი აკაკი ნიკოლოზის ძე აფხაიძე დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით, მედლით, „საბრძოლო დამსახურებისათვის“ და „წარჩინებულ მზვერავის“ სამკერდე ნიშნით. 1949 წლიდან იგი უკვე კომუნისტური პარტიის რიგებშია, მაგრამ მტრის მუხანათურმა ტყვიამ იგი მალე სიცოცხლეს გამოასალმა. ვერ დაბრუნდნენ სხვებიც, მაგრამ სახელი და დიდება სამარადისოდ შემორჩა ჩვენს ხალხს, მშობლიურ ქალაქსა და თეატრს, რომელიც წლების გასვლის შემდეგაც სიყვარულითა და პატივისცემით იგონებს ომში დაღუპული მსახიობებს, თეატრის მუშაკებს. ეამაყება ჩვენს კოლექტივს მამულისთვის თავგანწირული მსახიობები, შინმოუსვლელნი, რომელთა მარად ახალგაზრდული, ლამაზი სახეები მშვიდად გვიცქერიან აგერ უკვე 40 წელზე მეტია ჩვენი თეატრის კედლიდან.

9 მაისს კი მიხაკების ალი შუქს ყოველთვის მატებს მათ სურათებს. ჩვენ თეატრის მთელი კოლექტივი თავს ვხრით იმათ ხსოვნის წინაშე, რომელთაც გმირული თავგანწირვით კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი შემატეს ქართველ მსახიობთა ისტორიას.

რა ხდება კულისებს მიღმა

„გიყვართ თქვენ თეატრი ისე, როგორც მე მიყვარს იგი?“—წერდ[illegible] გამოჩენილი რუსი კრიტიკოსი და მოაზროვნე ბელინსკი და [illegible] არა მარტო იმ დიდ გრძნობას გამოხატავდა, რაც მას თეატრის [illegible]

ქონდა, არამედ განსაზღვრავდა მოქალაქის, ადამიანისა და თეატრის მეგობრობის, ურთიერთობის ხასიათსა და ბუნებას. ნუ ვიდავებთ, ვის მეტად ან ნაკლებად უყვარს თეატრი, ეჭვგარეშეა ერთი—მაყურებლის დიდმა სიყვარულმა და თანაგრძნობამ შეუნარჩუნა ადამიანებს თეატრი, ტაძარი სულიერი სამყაროსი და იგივე სიყვარული აცოცხლებს დღესაც ჩვენს თეატრებს, სადაც განუწყვეტელი სიცოცხლე სუფევს, სადაც ზრუნვაა იმისათვის, რომ მაყურებელმა სცენიდან ნახოს ჩვენი მრავალმხრივი, მდიდარი ცხოვრება, ადამიანების ურთიერთობა, მათი სიყვარული, ჭირი და ლხინი, დაფიქრდეს, განიცადოს და მერე თეატრიდან გამოსულს გულწრფელი ღიმილი გამოყვეს, ხან კიდევ გულდაწყვეტილი დარჩეს. ამას ყოველთვის ვეცნობით რეჟისორებისა და მსახიობის შემოქმედების შედეგად, იმათი მეშვეობით, ვინც დრამატულ ნაწარმოებს აცოცხლებს მაყურებლის თვალწინ.

მაყურებლის ტაში და სიყვარული მარტო ახდილი ფარდის წინ მდგომ შემოქმედთ როდი ეკუთვნის. ფარდასა და კულისების მიღმა არიან ადამიანები, რომლებსაც რეჟისორთან და მსახიობთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვით სპექტაკლის შექმნაში. ეს უჩინარი მუშაკები ისევე ნერვიულობენ და განიცდიან სპექტაკლის ავსა და კარგს, როგორც დრამატურგები, რეჟისორები, მხატვრები, კომპოზიტორები, მსახიობები. ისინი ამზადებენ ყველაფერს სპექტაკლისათვის, რომელსაც მერე ვუყურებთ, მოგვწონს, ვაკრიტიკებთ, ან რაღაცაში ვედავებით, ვედავებით მხოლოდ იმიტომ, რომ რეალური, ცხოვრებისეული, მხოლოდ და მხოლოდ მართალი სიტყვა და მოქმედება მივიდეს მაყურებლამდე.

ადრე რამდენჯერმე გავუწვალებივარ იმ აზრს, თუ რა ხდება კულისებს მიღმა, მაგრამ არავისთვის გამიმხელია ეს ფიქრი. შეიძლება იმიტომ, რომ ის დიდი ცხოვრება, რასაც სცენაზე ვხედავდი, მინდოდა ასევე მთლიანი დარჩენილიყო ჩემს ცნობიერებაში. მის მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა და მალე ჩემთვის ნათელი გახდა, თუ რა ხდება კულისებს მიღმა. იქნებ ბევრმა არც იცოდეს, რომ კულისებს მიღმა მოფუსფუსე დეკორატორი, რეკვიზიტორი, ბუტაფორისტი, მკერავები, გრიმიორები და დურგლები სპექტაკლის შექმნის უშუალო მონაწილენი არიან.

რეჟისორი სპექტაკლის ჩამოყალიბებას მსახიობებთან პიესის კითხვით მაგიდაზე მუშაობით იწყებს, შემდეგ კი მიზანსცენებში ხვეწს

და საბოლოო სახეს აძლევს. სადადგმო ნაწილი, თეატრის მთავარ მხატვართან და სამხატვრო საბჭოსთან ერთად განიხილავს დასადგმელი პიესის დეკორაციის მაკეტს, კოსტიუმების ესკიზებს, გარკვეული შენიშვნებისა და მითითებების შედეგად იწყებენ მუშაობას სადურგლო, სარეკვიზიტორო, ბუტაფორიული, საგრიმიორო და სამკერვალო საამქროები. ისინი არ იშურებენ ძალღონეს დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სპექტაკლის გამოშვებას ხელი არ შეეშალოს.

იხატება კედლები, იგება შენობები, იქმნება დეკორაციები. პარალელურად მზადდება საჭირო ბუტაფორული ნივთები და საგნები, რეკვიზიტი, იკერება კოსტიუმები, იქსოვება პარიკები და ყველაფერი ეს კეთდება სპექტაკლისათვის, მაყურებელმა არც იცის რამდენი ღამე დასთენებია დეკორაციის დამზადებაში დურგალს, მხატვარ-დეკორატორს, მთავარ ბუტაფორისტს, გრიმიორს და ტანსაცვლისა თუ ფეხსაცმლის მკერავებს იმისათვის, რომ დეკორაცია შეიქმნას მაკეტის მიხედვით, კოსტიუმები—ესკიზების მიხედვით, რომ გაფორმება იყოს ლამაზი და ყველასათვის მოსაწონი.

ფირზე ჩაწერილ მუსიკას ერთხელ კიდევ ამოწმებენ რადისტები, სცენის მთავარი მემანქანის და დეკორაციის ამწყობების მადლიანი ხელებით იდგმება დეკორაციები. გარდერობის თანამშრომლები სპექტაკლის დაწყებამდე ერთხელ კიდევ ამოწმებენ მსახიობთა ოთახებში ჩამორიგებულ კოსტიუმებს, რეკვიზიტორები საჭირო ნივთებსა და საგნებს მიჩენილ ადგილზე ახვედრებენ მსახიობებს, დასისს მმართველი ,ვამოცხადების ფურცელს საბოლოოდ ამოწმებს. თეატრის განათების უფროსი მხატვრის ნიშანზე ელგამნათებლები თავიანთ ადგილებს იკავებენ, მოკარნახე კულისებში საკარნახო პიესის ყდას გადაფურცლავს, ტექნიკური რეჟისორი კი მესამე ზარით იუწყება სპექტაკლის დაწყებას და მაყურებელთა დარბაზში ჭალის ციმციმი ნელ-ნელა ქრება, გაშრიალდება ფირუზისფერი ფარდა და მსახიობები მაყურებელთა თვალწინ იწყებენ ცხოვრებას.

კულისებს მიღმა კი კვლავ გრძელდება მუშაობა ახალ სპექტაკლზე, რომლის მოლოდინში არიან მაყურებლები, ისინი, რომელთა სიყვარულმაც მოიყვანა ჩვენამდე თეატრი.

ჩვენი სტუდენტური თეატრი

ახალგაზრდობის ფასი ადამიანის ცხოვრებაში არაფერია. სტუდენტობის ხანაც სწორედ ამ ლამაზ წლებს ეძიხვევა, ამიტომაა იგი დაუვიწყარი და ყველასათვის ერთნაირად სასიამოვნო მოსაგონარი. ამ დროს გიხარია ყველაფერი და ნაკლებად ფიქრობ დარდზე. ამ დროს უყვარხარ ვიღაცას და თითქოს შენც გიყვარს ვიღაცა. თითქოსდა უკვე ყველაფერი იცი და მაინც სწავლობ ყველაფერს. თითქოს უკვე დიდი ხარ და არცა ხარ. თითქოს თავისუფალი ხარ და მაინც ვიღაცაზე დამოკიდებული. თითქოს ყველაფრისათვის გცალია და მაინც მოუცლელი ხარ. თითქოსდა დრო ყველაფრისათვის გაქვს და მაინც არ გყოფნის იგი ყველაფრისათვის. თითქოს უკვე დამოუკიდებელი არსება ხარ და მაინც მშობლის კალთას ვერ გაშორებიხარ. თითქოსდა ყველაფერი ერთადაა და სწორედ ამიტომაა ეს პერიოდი ერთადერთი და განუმეორებელი. თითქოსდა ლექციაზე მყოფს გეჩვენება, რომ ზარის დარეკვა იგვიანებს და მაინც დრო, ჩვენდა შეუმჩნევლად, ისე სწრაფად გარბის, რომ უკან მოიხედავ თუ არა, დაინახავ, რომ უკვე ინსტიტუტს ამთავრებ და მერე ყველას, ერთი დიდი შენობიდან გამოსულებს, სხვადასხვა გზას გაყოლილებს, ისევ ერთმანეთის ძებნა გვიწევს ცხოვრებაში. ჩვენთან კი რჩება ყოველი წუთისა და დღის მოგონება, რომელიც ერთად გაგვიტარებია. ერთი სიტყვით, ასე გავიარეთ ჩვენი სტუდენტობა. ერთ მშვენიერ დღეს პირველ კურსზე აღმოვჩნდი და ასევე მოვიდა ის ერთი მშვენიერი დღეც, როცა დავასრულეთ სწავლა და განშორების გულისწყვეტით აცრემლებულები ჩვენს გზას გავუყევით ცხოვრებაში.

სურათები კი გადავიღეთ...

ჰოდა, იმას ვამბობდი, სტუდენტობის წლებში გამოიკვეთა ზოგის მეცნიერული ნიჭი და ისინი სამეცნიერო წრეებში ტრიალებდნენ, ზოგი თავის თავს პოეტად თვლიდა დაბადებულად და შუბლზე თითმიდებული მუზის მოსვლის მოლოდინში იჯდა ლექციებზე. ზოგი მღეროდა, ზოგი ცეკვავდა, ზოგსაც კი სცენა იზიდავდა და ზოგიც

დრამატულ წრეში ვტრიალებ-
დით...

ჩვენმა დრამწრემ მალე ინსტიტუტში კი არა, მთელ ქალაქში გაითქვა სახელი. ამიტომაც იყო, რომ სპექტაკლებს არ აკლდა მაყურებელი.

დრამწრეში ქალების მოზიდვა ჭირდა, მარტო ორი ვიყავით და რეჟისორიც ისეთ პიესებს არჩევდა, რომ მეტი ქალი საჭირო არ ყოფილიყო.

სცენა სპექტაკლიდან ვ. გუნიას „და-ძმა"

ყველა სპექტაკლი ტრაგიკული იყო, როგორც სტუდენტებში გვქონდა ხმა გავარდნილი, სულ სატირალ პიესებს დგამენო. ვტიროდით მონაწილეები და ვიხოცებოდით ყველა. ვიხოცებოდით სცენაზე და მერე ვცხოცხლდებოდით მადლობის სათქმელად და ცრემლებით აზელილი გრიმიანი სახით მაყურებელს ტაშისთვის მადლობას ვუხდიდით.

ხანდახან ისე ვიხოცებოდით ყველა, რომ ფარდის დამხურავიც კი არ გვრჩებოდა და ვიღაცა უნდა მოგვეძებნა, რომ ფარდა დაეხურა, თუ არა და, ვინც ახლო იყო ფარდასთან, ყველას შეუმჩნეველად უნდა გაცოცხლებულიყო კულისებში და ფარდა დაეხურა.

ასე მოხდა იმ დღესაც...

მორიგ პრემიერად მაყურებელს ვალერიან გუნიას „და-ძმა" შევთავაზეთ, სადაც კიდევ ერთი ქალი იყო საჭირო ძიძის როლისთვის და ძლივს დავითანხმეთ ერთი სტუდენტი, რომელიც იმ წელს ამთავრებდა და რეჟისორი შეპირდა, დასრულების შემდეგ, განაწილების დროს წაგეშველები, რომ დაგტოვონ ქალაქში სამუშაოდო, რადგან ამას შემდეგ კიდევ უფრო მეტად სატირალ პიესას ვდგამ, სადაც ისევ ორი ქალია საჭირო და დედის როლზე უკვე შენ მყავხარ დაკავებულიო.

პიესის შინაარსის მიხედვით, მოგეხსენებათ, და-ძმა ერთმანეთს

მაშინ ხვდება, როცა ოსმალებს აუჯანყდებიან ქართველები. და, ცოლად ჰყავს ოტიას, რომელიც მტრის მხარეზეა და მაყურებელი თავიდანვე ინტერესით ადევნებდა პიესას თვალს. ბოლოს ძმა მოჰ კლავდა დას, ოტიას მეუღლე, რომელიც მოკლა—მისი და, მარინე ყოფილა, თვითონაც იღუპებოდა.

ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, პიესა დავასრულეთ, დეკორაციები ჩვენივე ხელით დავამზადეთ, კოსტუმებიც ვიშოვეთ, თეატრიდან ვინათხოვრეთ და აფიშებით ვაუწყეთ ინსტიტუტს პრემიერის დრო. განსაკუთრებით სპექტაკლის ფინალი გავითავისეთ შემსრულებლებმა, მართალია, ყველა იღუპებოდა, მაგრამ ძალას და სიამაყის გრძნობას გვმატებდა ის ფაქტი, რომ მიუხედავად სიმცირისა, ქართველები მაინც იმარჯვებდნენ მრავალათასიან მტრის ჯარზე ამიტომაც ყველა მონაწილე სიხარულით ვეცემოდით გმირულად და ზოგიც ძლიერი ბრაგვანითაც იატაკზე, ანუ ბრძოლის ველზე.

მხოლოდ და მხოლოდ ბოლო რეპეტიციებზე მივხვდით, რომ ფარდის დამხურავი არ გვრჩებოდა და ამიტომაც ჩვენს ძმაკაცს, ირაკლი ბაზაძეს ვთხოვეთ ფარდის დახურვა, რომელიც რეპეტიციებზეც დიდი ინტერესით გვესწრებოდა და უკვე ტექსტიც დაზეპირებული ჰქონდა ზოგიერთ მონაწილეზე უკეთესად, და არა მარტო ტექსტი, არამედ ყოველი მიზანსცენა იცოდა ზეპირად: ვის სად უნდა გადაედგა ნაბიჯი, ვინ სად უნდა დამდგარიყო, ვინ სად და როგორ უნდა დაცემულიყავით სიკვდილის შემდეგ, ისე, რომ ერთმანეთისათვის ხელი არ შეგვეშალა და რაც მთავარია, სცენაზე ყველა მკვდარი დატეულიყო. ჩვენ ძმაკაცი, რა თქმა უნდა, შეგვპირდა ფარდის დახურვას, ირაკლის კი ისევ მოუსურვებია ფინალამდე სპექტაკლის კიდევ ერთხელ ხილვა, დამჯდარა მაყურებელთა დარბაზში ვიღაც გოგონას გვერდით, შეყოლია მას საუბარში და ჩვენ კი...

მოახლოვდა ფინალი. განგმირა ძმამ თუ არა, მე იქვე, კიბეზე დავეშვი ნარნარით, ცრემლების ღვრით. ვიგრძენი, რომ ყველას შევეცოდე სულ ტყუილად, თანაც ძმის ხელით მოკლული ოსმალოს ლამაზი ცოლი და ტირილში ამყვა მაყურებელი.

შემოვარდა გიჟივით ჩემი ქმარი, ოტია—ჯემალ გონგაძე და ეტაკა ჩემს მკვლელს, ე.ი. ჩემს ძმას, გაიოზს—შალვა ჯაფარიძეს და შეიქმნა ჯიკავ-ჯიკავი. ატყდა ხმლების ისეთი ჯახაჯუხი, რომ რომელიღაცამ ერთი-ორჯერ დამკრა კიდეც და კინაღამ მართლა გამომასალ-

მეს სიცოცხლეს ამ სულელებმა, მაგრამ არ შემშინებია, რადგან ვიცოდი, რომ ახლა ჩემი ქმრის სიკვდილის ჯერი იყო. ქმრის როლის შემსრულებელმა ჩაიმუხლა ჩემს მარცხენა ხელთან და მკვლელს სიკვდილის წინ აუწყა, რომ იგი დის მკვლელია. ეგი რა მითხარიო, იბღავლა ჩემი ძმის,—გაიოზის შემსრულებელმა, დატრიალდა სცენაზე და ძებნა დაუწყო სიკვდილს.

მაყურებელთა დარბაზიდან ისმოდა ტირილის ხმა, კულისებიდან კი ხმლების იატაკზე რახა-რუხი, ბრძოლის ხმის შესაქმნელად და რომ ვერავინ ნახა ფარხმალაყრილმა ჩემი ძმის როლის შემსრულებელმა, რომ შებრძოლებოდა და შეკვდომოდა, გაახსენდა, სადღაც ხანჯალი ჰქონდა, ამოიღო და—დაო, მეც შენთან მოვდივარო,—ისე დამბღავლა მარჯვენა ყურთან ჩაჩოქილმა მთელი ხმით, რომ კინაღამ დამაყრუა, მერე ჩემს მარჯვენა ხელთან სულ ახლოს, თავი ჯეჯგვა იატაკს.

ამის დამნახავი მაყურებელი მთლად გადაირია, ტირილს გულამოსკვნით უმატეს.

კულისებიდან შემოცვივდნენ დარჩენილი მსახიობები, ვითომ დაჭრილები; წითელი გრიმით სახეზე და ვითომ ხელდაჩეხილები და გულში ისარგაყრილები, ყველა რიგრიგობით დაეცა სცენაზე.

ვიღაცამ, ნახევრადმკვდარმა, მოიფიქრა ბოლო სიტყვის თქმა თავმწამოწეულმა და გვაუწყა ხელის მითითებით, რომელიღაცაზე, რომ ეს ფაშა-ეფენდი, რომელსაც თამაშობდა ჯანსუღ ღვინჯილია, მე მოვკალიო და თვითონაც გადაემხო თავზე ვიღაცას, რომელმაც ერთი „ვაის“ თქმა მოასწრო და ამაზე მაყურებელი მთლად გაგიჟდა. მოეწონათ ჩვენი თამაში-თქო, ასე ვფიქრობდით ყველა, რადგან გვესმოდა, ამნაირი არაფერი გვინახავსო.

ახლა ვფიქრობ და ვხედები, რომ ამნაირს მართლა ვერსად ნახავდნენ, ნამდვილად!

ერთი სიტყვით, ისმოდა შეძახილები:

—ყოჩაღ!

—ბრავო!

—მალადეც, ბავშვებო!

დიდხანს გვესმოდა ტაშის გრიალი, რომელსაც აკომპანიატორობას ფეხების ბაკუნით უწევდნენ სტუდენტები.

აპლოდისმენტებს ბოლო არ უჩანდა.

ჩემი ძმის როლის შემსრულებელმა შალვამ, ე.ი. გაიოზმა, ცალი თვალი გაახილა და რაჭულ კილოზე ჩუმად მკითხა.

—ფარდა დეიხურა, გოგო?

მე ფრთხილად გავახილე ცალი თვალი და ღია სცენას გავხედე, მერე კი ჩურჩულითვე ვუპასუხე:

—არა!—და თვალი იმწამსვე დავხუჭე.

ამ დროს ჯემალომ, რომელიც ჩემს ქმარს თამაშობდა, გვერდი შეინაცვლა, ჩემსკენ გადმოტრიალდა და მკითხა:

—რა მინდაო მაგ მუტრუკმა?

—ფარდა დაიხუროსო!—ვუპასუხე თვალდახუჭულმა.

—დახურონ მერე!—თქვა ძალიან გულგრილად, ისევ მოინაცვლა გვერდი და პირველ პოზას დაუბრუნდა.

—ვიღაცამ უნდა დახუროს ფარდა!—ვუთხარი ჩურჩულით.

—მე ვერ დავხურავ, მკვდარი ვარ!—განაცხადა კატეგორიულად და მის გვერდით მწოლიარე მკვდარს, ყარაგოზის როლის შემსრულებელს—ვაჟა თევდორაძეს უთხრა:

—ადე, ფარდა უნდა დაიხუროსო.

—ფარდა დახურეთ!

—ფარდა დახურეთ!

—დახურეთ ფარდა!—და ეს ფრაზა ძალზედ ჩუმად, მაგრამ დამტვრეული ტელეფონივით გადავიდა ერთმანეთზე და მიაღწია ფაშაეფენდის როლის შესრულებამდე, რომელიც სულ წინ, ავანსცენაზე იყო გაშოტილი და როგორც გითხარით, ჯანსულ ღვინჯილია თამაშობდა. გაიგონა თუ არა, ძალზედ მშვიდად, საკმაოდ ხმამაღლა წარმოსთქვა, მერე რა უნდა მაგასო, წამოდგა, გავიდა კულისებში, დახურა მთელი მონდომებით ფარდა, შემდეგ გავიდა ისევ ფარდის წინ, სადაც იწვა, ისევ იქვე, თავიდან „მოკვდა“ და გაიშოტა ყველას თვალწინ.

ატყდა ხარხარი, სტვენა, კივილ-წივილი. ჩვენც სიცილისაგან ვკვდებოდით. სცენაზე ამოვიდნენ ლექტორ-მასწავლებლები და ჩვენი თაყვანისმცემლები.

—არ გინდათ გამოცდის ჩაბარება?—დაგვექადნა ერთი ლექტორი.

—მოიყვანეთ აქ ეფენდის როლის შემსრულებელი!—ყვიროდა კათედრის გამგე.

ეფენდის შემსრულებელი კი არაფრით არ დგებოდა იატაკიდან, ხალხი არ გასულა დარბაზიდან და მაცალეთ, მე ხომ მკვდარი ვარო.

—ბიჭო, სად გინახავს შენ, მკვდარი ფარდას ხურავდეს?!—გაცეცხლებული იყო დეკანი.

—პატივსცემულო, დახურეთ ფარდაო და რა მექნა, აბა?!

—სხვამ ვერ დახურა? ა?— უყვირა ახლა კათედრის გამგემ.

—ირაკლის უნდა დაეხურა და სცენაზე არ იყო, —გაიხსენა ვილაცამ.

—ირაკლი ჩვენს უკან იჯდა და ვილაც გოგოს ეარშიყებოდა,—თქვა რომელილაცამ.

—გამოცდებზე არ დაგიშვებთ არცერთს!—გვექადნებოდა რომელილაცა ლექტორი.

—პატივცემულო, მე ხომ არ გავნძრეულვარ?!—ვკითხე მე.

—შენ არა! შენ კაი მკვდარი იყავი!—მიპასუხა დაუფიქრებლად.

მერე სცენა აივსო. მაყურებელი შემოგვესია, აცრემლებული, უკვე ცრემლებშემშრალებული თაყვანისმცემლები გვილოცავდნენ პრემიერას და გვაქებდნენ.

გვკოცნიდნენ.

გვეფერებოდნენ.

მერე კი სცენას მივხედეთ.

რეკვიზიტს მოვუარეთ.

დეკორაციაც ავალაგეთ.

კოსტიუმები შევინახეთ და ნახევრადგრიამიანი სახეებით დავტოვეთ სცენა, რომელსაც, ალბათ, მუდამ ემახსოვრება ფარდის დამხურავი გაცოცხლებული მკვდარი.

მატარებელში

ქართველ ცნობილ პოეტს, დედაქალაქში დაბადების 60 წლისთავს უხდიდნენ და ჩვენი ქალაქიდან იმ საღამოზე მონაწილეობის მილების პატივი, მე და ჩემს კოლეგას, გიზო კაკაურიძეს გვერგო. მე, პოეტის ლექსი უნდა წამეკითხა. გიზოს კი, როგორც იმიტატორს თავისი ნომრები ჰქონდა მზად. მთავარი, რაც ჩვენ გვევალებოდა ის იყო, რომ

თავი უნდა გამოგვეჩინა მაქსიმალურად და ქალაქი უნდა გვესახელებინა. დელეგაცია ქალაქიდან ორი დღით ადრე გაუმგზავრა ჩვენ კი რა კი სპექტაკლებში ვიყავით დაკავებული, პარასკევს უნდა გავმგზავრებულიყავით მატარებლით.

ამიტომ იყო, რომ, როცა ყველა მონაწილე ერთად შეგვკრიბა წინა დღით მთავრობამ აღმასკომში, მე და გიზო მატარებლის ბილეთების ბრონი გადმოგვცეს.

—ა, თქვენ ეს ბრონი! რბილი ვაგონით წამოხვალთ პარასკევ საღამოს, მშვიდად დაიძინებთ, მოისვენებთ და დილით 11 საათზე მოხვალთ საკონცერტო დარბაზში. პროგრამას გაეცნობით, მიკროფონებთან გაივლით რეპეტიციას. მერე ისევ დაისვენებთ და საღამოს კი დაგვამშვენეთ თქვენებურად და აბა, თქვენ იცით, როგორ ასახელებთ მთელ ქალაქს, თქვენი ლამაზი გამოსვლით!

ჩვენც შევპირდით, ვეცდებოდით ყოველნაირად, ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი გვევალება, რაც ჩვენზეა დამოკიდებული-თქო. ეს იყო ხუთშაბათი დღე და როგორც გითხარით, ჩვენ პარასკევს უნდა გავმგზავრებულიყავით, მაგრამ რა კი ორთავეს იმ დღეს სპექტაკლი გვქონდა, გადავწვეიტეთ, წარმოდგენის შემდეგ გამგზავრება. ბილეთის ბრონი ხომ ხელთ გვქონდა. სადარდო რაღა იყო. ჩვენც მშვიდად ვიყავით და სპექტაკლი დასრულდა თუ არა, მე და გიზომ სახლებს მივაშურეთ და როგორც ვიყავით შეთანხმებული, იგი გამომივლიდა ტაქსით და სადგურში ერთად წავიდოდით. შინდაბრუნებულმა სწრაფად მოვიწესრიგე თავი თუ არა, გაისმა ტელეფონის ზარი:

—გისმენთ?

—ციცო ვარ!—მომესმა ყურმილში გიზოს მეუღლის ხმა.

—წამოვიდა უკვე?—ვკითხე მე

—კი! მზად ხარ ხომ?—ისევ შემეკითხა ციცო.

—აბა, რა!

—შენი ჭირიმე, ერთი თხოვნა მაქვს, მისმენ?

—გისმენ, ციცო!

—როგორც შეხვალთ მატარებელში, შარვალი გახადე; მეტი არა აქვს და არ მინდა კონცერტზე დაჭმუჭნული შარვლით გამოვიდეს. ოლონდ ისე გახადე, ვითომ მე არ გამიფრთხილებიხარ, არ გამამხილო გიზოსთან, თორემ მომკლავს.

გამეცინა.

—ნუ გეშინია, ციცო! გავხდი შარვალს, აბა, რას ვიზამ?—შევპირდი ჩემის მხრივ თუ არა გიზოც შემოვიდა. დედაჩემი გადაკოცნა და ჩემს ხელჩანთას ხელი დააკლო.

ახლა დედაჩემმა თხოვა გიზოს:

—გიზო, შვილო! მიაქციე ყურადღება! საბანში კარგად გაეხვიოს, შვილო! წელადე იცის მარტო დახურვა და არ გაცივდეს მატარებელში!—უთხრა და ორივე გადაგვკოცნა.

მე ავკისკისდი.

გიზოც შეპირდა თავის მხრივ.

—მაგის შიში არ გექნეს, ნორა დედა! —წელამდე კი არა, თავსაც საბანში ჩავარგვევინებო,—და ორთავემ ტაქსს მივაშურეთ.

გიზო მძღოლთან დაჯდა, მე კი უკან მოვთავსდი, ჩავჯექი თუ არა ტაქსში, იმ წამსვე ციცოს ნათქვამი გამახსენდა და გიზოს მხრებზე მივუკაკუნე თითები, იმანაც მოიხედა, რა გინდაო.

—შარვალი რომ უნდა გაიძრო, ხომ იცი? ა? არ დაგავიწყდეს,—ვუთხარი მთელი სერიოზულობით.

გიზომ გაკვირვებულმა შემომხედა, არ გამეპასუხა.

მე ხმას ავუწიე.

—არ გესმის, ბიჭო? გაიძვრე შერვალი!

—შენ ხომ ხარ კარგად!—მომიტრიალდა გიზო ღიმილით. მძღოლმა სარკე გაასწორა და კარგად დამაკვირდა.

—ძალიან კარგად ვარ! გაიძვრე შარვალი!—ვუბრძანე ისევ.

—ჯერ მშვიდობით დავბრუნდეთ და მერე ციცოს... მაგან გთხოვა ხომ! ო, მე მაგის...

—არაფერი არ უთხოვია ციცოს!—ვუთხარი და სადგურამდე ხმა აღარ გამიღია.

ამასობაში სადგურიც გამოჩნდა და ტაქსიდან გადმოვედი...

სალაროსთან მივიდა და მოლარეს ბილეთის ბრონი გადასცა.

—ყველა ბილეთი გაყიდულია, ყმაწვილო!

ამის გაგონებისთანავე მეც სალაროსთან გავჩნდი.

—ქალბატონო, ჩვენ მთავრობის ბრონი გვაქვს!—ხმამაღლა გამოცხადა გიზომ და ირგვლივ რკალად შემოხვეულ ხალხს სიამაყით გადახედა.

—არ დაგეკარგოთ არსად. კარგად შეინახეთ!—სიცილით დაგვარიგა მოლარემ.

—ქალბატონო, ჩვენ ბრონი გვაქვს!—ისევ გაიმეორა გიზომ.

—ის უკვე გაუქმებულია!—გამოგვიცხადა მან.

—რატომ?—ვკითხეთ ერთდროულად მე და გიზომ!

—იმიტომ, რომ ერთი საათით ადრე მატარებლის გასვლამდე მაინც უნდა მოსულიყავით, შემდეგ უკვე ბრონი ძალაში აღარაა და იყიდება.

—აბა, რა გვეშველება?—შევეკითხე მე საიმოწარკვეთილი.

—არ ვიცი!—გვიპასუხა მოლარემ გულგრილად და სარკმელი ძირს დაუშვა. მერე გვერდით მჯდომ ქალს მიუტრიალდა და რაღაზაცე გულიანი სიცილი დაიწყო.

—ქალბატონო!—დააკაკუნა გიზომ სარკმელზე,—ჩვენ მსახიობები ვართ. ხვალ კონცერტზე უნდა ვიყოთ აუცილებლად.

—თუ გინდა აკადემიკოსები იყავით! რა ჩემი საქმეა!—გვიპასუხა ისევ უდარდელად მოლარემ და თანამოსაუბრესთან საუბარი გააგრძელა.

—რა ვქნათ ახლა! დავიღუპეთ!—მივუტრიალდი გიზოს, რომელმაც საათს დახედა. მატარებლის გასვლას 15 წუთი აკლდა.

—ფეხით რომ ვიაროთ, უნდა წავიდეთ როგორმე!—ვთქვი მე;.

—მე ვიცი, რაც უნდა ვქნათ!—მითხრა გიზომ, მე ავხედე.

—ახლა შენ შეხვალ რკინიგზის უფროსთან და არ შეიძლება ამისთანა ლამაზი ქალი უბილეთოდ გამოგიშვას.

—არ ვიცნობ და!

—სამაგიეროდ, არ შეიძლება ის, რომ არ გიცნობდეს, გოგო! მომეცი ეგ „დუბლიონკა"!—მითხრა გიზომ და სწრაფად ქურქი გამხადა.—ა, ასე! რომ შეხვალ, დაიხსომე, დეკოლტე გაისწორე. ცოტა ჩამოწიე, მოეფერე იმ კაცს და რაღაცას გაახერხებ.

—გაგიჟდი, ბიჭო? შენ შედი და შენ მოეფერე თუ კარგია!

—ჩემი მოფერება რად უნდა! ა, ასე სჯობია, რომ გეუბნები!—და ამ საუბარში უკვე სადგურის უფროსის კაბინეტის კარებთან აღმოვჩნდი.

—ბიჭო! ხელი რომ მტაცოს უცებ, მერე რა ვქნა, ა?

—ნუ გეშინია! მე კარს ღრიჭოდ დავტოვებ და თუ რამე გაბედა, შენ იყვირე. მე შემოვარდები და ისე დავბეგვავ, მატარებელს საერთოდ, აღარც გაუშვებენ!—დამპირდა გიზო, კარი შეაღო და მე ოთახში შემიშვა. ერთი კი მოვიხედე უკან და გიზომ ხელით მანიშნა, ისევ დეკოლტის ჩამოწევა და კარი წყნარად გაიხურა.

მაგიდაზე მჯდომ კაცს თავი თავის ღიპზე ჩამოედო, კარგად ხვრინავდა და ოთახში ღვინის ისეთი სურნელი იდგა, ვაგზლის უფროსის კაბინეტი კი არა, ღვინის სარდაფში მეგონა ჩემი თავი.

მე ისევ კარებისკენ მოვიხედე.

გიზო ხელით მანიშნებად, ახლოს მიდიო. მეც გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი და...

—პატივსცემულო, უფროსო! ბატონო, სადგურის უფროსი!—მორიდებით წარმოვთქვი.

პასუხად უფრო ხმამაღალი ამოხვრინება გაისმა, რომელიც მატარებლის შეკივლების მსგავსად ჩამოთავდა...

მე უფრო მივუახლოვდი მაგიდას...

—ბატონო უფროსო და პატივცემულო!

კაცს არაფერი ესმოდა, გემრიელად ხვრინავდა. მთლად დაპლაცკარტებულიყო-ეტყობოდა, გაღვიძება გამიჭირდა, მერე კი უფრო მივუახლოვდი და მაგიდაზე, ჩემი დიდი, ბეჭდიანი ხელით დავაკაკუნე.

—ოო! რა'შია საქმე? —ძლივს შეინძრა იგი, ღიპიდან თავი წამოსწია და დახუჭული თვალებით შემომხედა:

—ჩამოიწიე დეკოლტე!—მომესმა ღია კარებიდან გიზოს ხმა.

—შენ არ წახვიდე შორს!—მივაძახე მე და მერე იმ კაცს უფრო თამამად მივუახლოვდი.

„რად უნდა ახლა ამას დეკოლტეს ჩამოწევა ან საერთოდ ქალი!"—გავიფიქრე გუნებაში მე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ჩამოვწიე დეკოლტე:

—ხვალ დილით, როგორმე თბილისში უნდა ვიყოთ აუცილებლად!—დავასრულე მონოლოგი.

—წაით მერე!—მიპასუხა გულგრილად და თვალები ისევ დახუჭა.

—ბიძია! გვიშველეთ თქვენი ჭირიმე!—ხმამაღლა ავტირდი თუ არა, გიზოც შემოვარდა და ბოლოს, როგორც იქნა, ფურცლის ნაგლეჯზე რაღაც დაგვიწერა და მე და გიზო უკვე კარგა ხნის დაძრულ მატარებელს უკან დავედევნეთ. ბოლო უკანასკნელ მე-17 საერთო ვაგონს ძლივს დავეწიეთ როგორც იქნა, ძლივს ავედით და მერე ვაგონში შესულებმა, ჩვენს ადგილებს დავუწყეთ ძებნა.

ვაგონში ბნელოდა. წინ გიზო მიკვლევდა გზას ხალხით გატენილ ღია ვაგონში და მე მის კოსტიუმზე ხელჩაკიდებული მივყვებოდი.

სიბნელეს, როგორც იქნა, თვალი შევაჩვიეთ.

—გაგვატარეთ! ჩვენ ბილეთები გვაქვს 49-ე, 50-ე ადგილი! —იძახოდა გიზო და როგორც იქნა გაღებული ტუალეტის წინ, რომლის კარი თურმე არც იკეტებოდა და მატარებლის ყოველი ფეხის გადადგმაზე თავისით კიდეც იხურებოდა და ხან კიდევ ისევე თავისუფლდებოდა. მერე, როგორც იქნა მივაღწიეთ ბოლო, სულ უკანასკნელ ადგილებს, მაგრამ იქ უკვე ერთმანეთზე ჩაკრულები ისხდნენ.

—ჩვენ ბილეთები გვაქვს, ეს ჩვენი ადგილებია! ჩამოგვაჯინეთ მაინც. იხვეწებოდა განწირული ხმით გიზო, თან ვიღაცეები მისწიმოსწია და ჯერ როგორც იქნა მე ძლივს ჩამოვჯექი და ბოლოს დიდი გაჭირვებით თვითონაც ჩემს გვერდით დაიკავა ადგილი.

რა კი უკვე მატარებელში ვიყავით, რომელსაც ნამდვილად მივყავდით თბილისისაკენ, ცოტა დავმშვიდდი და ისევ ციცოს ნათქვამი გამახსენდა და წყნარად გიზოს მივმართე:

—გიზო!

—რა იყო?

—ამ სიცივეში ვერ გავიხდი!—მიპასუხა მან ხმადაბლა.

—აბა, ხომ იცი, მაგით რომ დაწვე, დაგეჭმუჭნება.

—სად უნდა დავწვე, გოგო? მგონია ვიღაცის კალთაში ვზივარ!

—გაიძვრე შარვალი!—ისევ გავუმეორე კატეგორიულად.

—გაჩუმდი თუ არა, გაგხდი მაგ „დუბლიონკას", კაბასაც, პერანგსაც და ენახავ ამ სიცივეში როგორ იქნები!—ისეთნაირად მითხრა გიზომ, ამის შემდეგ ხმა აღარ გამიღია, რადგან სიცივემ ისე ამიტანა, რომ ფეხის ბაკუნი დავიწყე და გიზის, რომელსაც თხელი ლაბადა ეცვა, ჩემი ქურქის ნაწილი დავუთმე და ორივე ერთმანეთს ჩახუტებულები გავყუჩდით.

ვაგონში ცოტა ხანს ხმაური იყო ისევე, მაგრამ თანდათან ხალხის

ყიყინი მიწყნარდა და უკვე ხან ვილაცის ხვრინვა გაისმოდა, რომელსაც მატარებლის ბორბლების ხმის რახუნი მაინც ჯაბნიდა და თანაც დროის გაყვანის მიზნით გიზომ ჩემი გართობა გადაწყვიტა და ამიტომ, ხანდახან ჩემი კისკისი ისმოდა ვაგონში.

ჩვენს პირისპირ მოხუცი ქალი და კაცი იჯდა, რომლებიც თვალს არ გვაშორებდნენ, ჩემს სიცილზე ეს ქალი გადმოიხარა ჩვენსკენ და გვკითხა:

—რაი ხართ ერთმანეთის, შვილო?

—და ძმა ვართ, დეიდა!—უპასუხა გიზომ და მხარზე ხელი გადამხვია და თან მხარზე თავი დამადო.

—გეიხარეთ, დედუა, გაიხარეთ! იმიზა აგავხართ ერთმანეთს ასე. ორთავე ძაან ლამაზები ხარ;—მერე მოუტრიალდა მის თანამგზავრ მამაკაცს და უთხრა, და ძმანი ყოფილანო, რომელმაც მე მგონი, კარგად ვერც გაიგო, რა უთხრა ქალმა.

—გმადლობთ, ქალბატონო!— ღიმილით ვუპასუხე მე, გიზომ კვლავ გადმოიძახა ჩვენსკენ და ხელახლა შეგვეკითხა:

—რაი ხართ ერთმანეთის, შვილებო?

—ბიძაშვილები ვართ, ბიცოლა!—უპასუხა გიზომ.

—უი!—იკივლა იმან,—ძაანაც ახლობლებიც ყოფილხართ! გეიხარეთ, დედუა, გეიხარეთ!—იმიზა აგავხართ ასე ერთმანეთს.

—გმადლობთ, ქალბატონო! ისევ გაღიმებულმა ვუპასუხე. მერე გიზომ უფრო სასაცილო ამბავი წამოიწყო, რასაც აკომპანიატორობა, ჩვენმა ხმამაღალმა სიცილმა გაუწია.

ის ქალი კიდევ გადმოიხარა ჩვენსკენ და ისევ შეგვეკითხა:

—რაი ხართ დედუა ერთმანეთის?

შე გაძელიმა. გიზომ ერთი გადმომხედა, გამიღიმა და არც დააყოვნა პასუხი:

—რაი ვართ, ქალბატონო და...—დაინტერესა მოპასუხე,—გეტყვით, მარა, აქ ხმას დაუწია,—არავის არ უთხრათ ოღონდ...

—დედა! რავა გეკადრება!—შეპირდა ისიც თავის მხრივ.

—მოტაცებული მყავს, ქალბატონო და კუპეში არ მომყვება, არ მნებდება.

—უი! რეიზა შვილო!—შეიცხადა იმ ქალმა,—რეიზა აწვალებ ამისთანა ბიჭს! ა? მე შენს ალაგას, ერთხელ კი არა, ცხრაჯერ დავნებდებოდი, თავად თუ შეიძლებდა!

—შენ გაგიმარჯოს, დედა!—უპასუხა ახარხარებულმა გიზომ. ქალი კი ისევ ჩემზე იყო გაგულისებული და ქმარს მოუბრუნდა.

—ცუდად ვთქვი ახლა რამე ექვთიმე?—არ ვიყავი ხწორი?

—აა?—იკითხა ექვთიმემ, რომელსაც ეტყობოდა სმენა დაქვეითებული ჰქონდა და ორივე ყური ხელებით გადმოსწია.

—ხო ხწორი ვარ-თქო!—ჩაჰყვირა ცოლმა ყურში.

არ ვიცი მან გაიგო თუ არა ცოლის ნათქვამი, ისეთი სახე ჰქონდა ექვთიმეს, მაგრამ მაინც დაემოწმა ცოლს.

—აბა, რაი! ხწორი ხარ, აბა,რაი!

მთელი ვაგონი კი არა, მომეჩვენა, რომ მატარებლის ბორბლებიც კი ხარხარებდნენ და ისე მიგვაქანებდა აღმოსავლეთისაკენ.

მერე ვიღაცამ გიზოს ღვინით სავსე ჭიქა მიაწოდა. მერე ვიღაცამ მე, ხაჭაპურის ნაჭერი, კაცებს სასმელზე დასაყოლებელი.

მერე მგზავრობის მიზეზი გამოგვკითხეს. მე ლექსის წაკითხვა მთხოვეს და მაგას დავამადლიდი?! მერე გიზომ ცავის იმიტაციებით აცინა ყველა. ერთი სიტყვით, მშვენიერი კონცერტი ჩავატარეთ მატარებელში. აბა, ეს ხალხი ვერ დაესწრებოდა იმ საღამოს და თანაც მართლა კაი კონცერტი თუ არა, ჩვენთვის კი რეპეტიცია ხომ მაინც იყო და დილამდე ისე ვიმგზავრეთ და ისე ჩავედით დედაქალაქში, რომ ვერც კი გავიგე.

გიზო უძილობისაგან ფეხზე ძლივს იდგა და აღარც კი ახსოვდა და მეკითხებოდა, რატომ ვართ თბილისშიო. მე ავუხსენი მიზეზი და იმ საღამოს კი ორთავემ მართლა ვასახელეთ ჩვენი ქალაქი.

მესამე სართული

ჩემი ბინის მესამე სართულის ოროთახიან ბინაში მცხოვრებნი, დედაქალაქს დაუბრუნდნენ. დღეს კი მოულოდნელად მესტუმრნენ. ახლა მათთან ვარ ბარგის ჩალაგებასა და ბინის დაცლაში ვეხმარები. ძალიან დამწყდა გული. გამოგიტყდებით, გული დამწყდა კი არა ვიგრძენი, ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს ოჯახის წევრებს დავცილდი და ისევ თავიდან, მარტო დავრჩი...

—ახლა მე, რასაც დავასახელებ, თქვენ ჩაიბარეთ და თან გაიტანეთ, მე კი აქ გადავშლი. ე.ი. ვიწყებთ ამ ოთახიდან:

1. ორი სავარძელი

2. დივანი, რომლის ფეხი მოტეხილი იყო, ფრთხილად...

3. ტელევიზორი და ტაბურეტი, რაზეც დგას.

—ფარდები ჩვენია!—აცხადებს მისი მეულლე.

—ვიცი და არც მიწერია!—პასუხობს მეულლესა და ისევ გადაშლილ რვეულს უბრუნდება,—ახლა ლოკიიდან.

1. წიგნების ორი თაარო

2. მაგიდა

3. სამი სკამი

—მაგიდის ლამპა ჩვენია, —ისევ ისმის მისი ცოლის ხმა.

—ვიცი და არც მიწერია!—პასუხობს ისევ მეულლესა და განაგრძობს.—ახლა სამზარეულოდან.

1. მაცივარი

2. გაზის ბალონი მისი ქურით

3. პატარა ელექტრო ქურა... ასე, ახლა გავიდეთ და საძინებელი ვნახოთ.

—საწოლი ჩვენია!—შეახსენა ცოლმა.

—არ დაგეკარგოს არსად!—პასუხობს მეულლესა და მერე აბაზანაში შედის.

1. ეს პატარა სარკე აბაზანის და

2. ერთის ეს პატარა სკამი.

ერთი სიტყვით, გაირკვა, რომ მარტო წიგნები, ელექტრონის, წყლისა და ტელეფონის გადასახადის გადახდილი ფურცლები და ერთად გადაღებული რამდენიმე სურათი იყო მათი.

ჩვენი დაშორების, გამოთხოვების მაყურებელი მეზობლებიც აცრემლდნენ. მერე ყველაფერთან მშვიდობით მგზავრობა ვუსურვეთ, დავკოცნეთ და ეზოდან გასულ თბილისისაკენ მიმავალ მანქანას მოსახვევამდე მისულს დიდხანს ვუქნიეთ ხელი ერთმანეთს, რომელსაც სულ არ ჰქონდა იმის ეკავრი, რომ ამ მგზავრებთან ერთ...

მიაქროლებდა შვიდი წლის ერთად გატარებულ ლამაზ, დაუვიწყარ დღეებს, რომლებიც მესამე სართულზე დარჩა სამუდამოდ იმ ოროთახიან ბინაში და რომლის გასაღები ჩვეულებრივად, ისევ ჩემთან დატოვეს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი ახლა სხვისთვის უნდა დამეხვედრებინა.

მერე კი მარტოდ დარჩენილმა ცოცხი მოვიძიე: დაცარიელებული სახლი გამოვგავე და ცარიელი ბინა გამოვკეტე ჩემთვის, სამუდამოდ. გასაღები კი ვიღაცა, ახალი მობინადრის მოლოდინში ჩემს ოთახში შემოსულმა ჰოლში, სარკის გვერდით პატარა საკიდზე ჩამოვკიდე...

ამ ბინაში მე თვითონ შვიდი წლის გადმოსული ვიყავი მაშინ, ჩემს სადარბაზოში თხუთმეტი ოჯახი უნდა ცხოვრობდეს. მაგრამ თერთმეტი ოჯახია ჩემიანად. მე მეორე სართულზე ვცხოვრობ ერთ კარღია, პატარა ოთახში. ვკითხულობ, ვწერ და სულ ორპირ ქარში ვზივარ. რადიოსა და ხან კი თუ არის შუქი, ტელევიზორს ვუსმენ, რომელსაც ჩართვის შემდეგ ხელით უნდა წაეხმარო, რომ სმა ამოიღოს. შემდეგ კი ერთხელ კიდევ უნდა მიეხმარო, რომ რაღაც გამოსახულება ცოტათი მაინც გამოჩნდეს, მაგრამ მე, ამითაც კმაყოფილი ვარ, რადგან შინ დაბრუნებულს ათასი საქმე მაქვს: განსაკუთრებით თუ წყალია მოსული, ტელევიზორის საყურებლად სულ არ მცალია. მერე კი სამსახურში ბივდივარ და შინ დაბრუნებული კი ისევ ვსაქმიანობდ.

ერთ დღეს შინდაბრუნებულს, მეზობლებმა მითხრეს, რომ მესამე სართულზე, ოროთახიან ბინაში ცნობილი ორანისტი, პროფესორი იცხორებსო, რომელსაც მართალია, პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ მისი თარგმანები. ირანული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები კარგად ვიცოდი ჯერ კიდევ ჩემი მოსწავლეების დროს გამოსული „ტაჯიკური პოეზიის" დასახელებით ფორთოხლისფერი წიგნი, თითქმის სულ ზეპირად ვიცოდი. რა ჩემი ბრალია, გადავიკითხე თუ არა, მაშინვე დამამახსოვრდა და...

ერთი სიტყვით, ახალი ბინადარი, რამდენიმე მეზობელს უნახავს უკვე, მე კი—არა. ამის შემდეგ კი ჩემს სადარბაზოს პროფესორების სადარბაზო შეარქვეს და ასე ეძახიან დღემდე. რადგანაც ჩემს გვერდით ოროთახიანში, ჩემი სკოლელი მადონა ცხოვრობს. იგი ცნობილი ანგლისტია, პროფესორი. ჩემს გვერდით სამოთახიანში კი ლალი ცხოვრობს თავის ერთადერთი შვილით.

საღამოობით ერთად ვიყრით თავს და ათას რამეს ვიგონებთ...

ერთ დღეს ლალიმ ხელოსანი მოიყვანა და სადარბაზოს კარებს რკინის ვეებერთელა ურდული დაადგმევინა ისე, რომ გაღება თვითონვე უჭირდა და გამოგვიცხადა, რომ ღამის 11 საათისათვის, ყველა უნდა შინ იყოს, რადგან 11 საათზე კარები დაიკეტებაო.

—შენ რომ არ იყო სახლში, ვინ გააღებს მაგ ურდულს?—ვკითხე მე.

—ქეთინო!

—კი, მაგრამ ვინმე რომ გვიან დაბრუნდეს შინ და ვინმეს სტუმარი ეწვიოს გვიან, იმას ვინ გაუღებს კარებს?

—გავიღვიძებთ, შე ქალო, რომ დააბრახუნებს! ანდა ვინ მოგდის ასეთი.

—უი, მაგრამ შენ რატომ უნდა გაიღვიძო სხვისი სტუმრისათვის ან მე, ან სხვამ...

—აბა, ღამით თუ არ დაიკეტა შიგნიდან ბინა, ყაჩაღობა რომ გახშირდა არ გეშინია?

მე აღარაფერი ვუპასუხე, მეზობლებს არ ეწყინოს-მეთქი, მაგრამ ვერ გავიგე, რატომ იკისრა ამ სადარბაზოს უფროსობა.

ერთი სიტყვით, დადგენილების მიხედვით, ღამის 11 საათზე იკეტებოდა ჩვენი სადარბაზო და ყველა შინ მირბოდა ამისათვის, რომ შეესწრო სახლში. ერთი-ორჯერ ღამის სამ საათზე ვიღაცამ სულ გინებ-გინებით კინაღამ ჩამოიღო კარი. რა თქმა უნდა, ლალის ძილი არ მიუტოვებია და მე მომიხდა წვალებ-წვალებით სადარბაზოს გაღება. მოსული მეხუთე სართულზე მცხოვრები ახალგაზრდა ნაქეიფარი შემოვიდა და გინება, ბოდიშით შეცვალა.

ერთი-ორჯერ კიდევ განმეორდა მსგავსი შემთხვევა და არც მაშინ არ შეუწუხებია არავის თავის გაღვიძებით ჩემს გარდა, რაზეც უკვე საყვედური უფრო მკაცრად ვთქვი, მაგრამ იქით საყვედური მივიღე.

—გაგეღვიძებიეთ მერე!

—მე დაგიშალე არ გაიღვიძო-თქო!—სიცილით ვუპასუხე და მივხვდი, რომ კამათს აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ჩემს სიტყვაზე არავინ არაფერს არ შეცვლიდა.

ერთი მაისის ლამაზ ღამის თერთმეტის ნახევარზე გამოვიდა ლალი კარის ჩასაკეტად და თან ქეთინოც მოიხმარა.

მე ჩემი ღია კარის ზღურბლზე დამდგარმა ვუთხარი და გავაფრთხილე კიდევ ერთხელ:

—ასე ადრე ნუ ჩაკეტავთ, ხომ შეიძლება ვინმე მოვიდეს ან ვინმეს სახლში ჰყავდეს სტუმარი და წასვლა უნდოდეს: ამაზე არ ფიქრობთ?

—მე ვიძინებ და შენ თუ ვინმეს ელოდები, გვითხარი ბატონო!—გვიპასუხა და კარი ჩარაზა.

ამ დროს კარებზე კაკუნი გაისმა.

—რომელი ხარ?—შეეკითხა ლალი.

—თქვენი ახალი მეზობელი ვარ! ნუ დამტოვებთ გარეთ!—მოისმა პასუხად.

—უიმე! მგონი ის პროფესორია! რექტორი!—ხმადაბლა უთხრა ლალიმ ქეთინოს, კარები მიატოვეს, კიბეები ამოირბინეს და თავიანთ ბინებში შესვლა გადაწყვიტეს.

—ესეც თქვენ!—ვუთხარი ღიმილით. ვიგრძენი, რომ შერცხვათ და მეც ხმადაბლა ვურჩიე,—გაულეთ კარი!

—შენ გააღე!—მითხრა ჩურჩულით ლალიმ.

—მე რომ ვერ ვერევი იმ ურდულს ხომ იცით!—შევახსენე ორთავეს.

—დედა რაღა ვქნათ, სირცხვილია!—შეწუხდა ქეთინო.

—რა ვქნათ, აბა! რას აპირებთ!—ვკითხე ორთავეს, რომლებმაც უსიტყვოდ ხელით მანშნეს, შენ გააღე როგორმეო.

—მე გასწავლით!—მოისმა გარედან ბატონ მაგალის ხმა:

—ქალბატონო ლერწამ-დარეჯან! ნაწნავი გადმოაგდეთ და აივნიდან ამოვალ!

მე გადავიკისკისე. კიბეებზე სიცილით დავეშვი. ქეთინო და ლალი თავიანთ ოთახებში შევიდნენ და როგორც იქნა მერე კარი გაჭირვებით გავაღე და ჩემს ოთახში შემოვიპატიჟე სტუმარი, ყავა შევთავაზე.

—ასე გვიან ყავას არა და რაკი მაინცდამაინც გინდათ რომ გამიმასპინძლდეთ, თუ არ შეგაწუხებთ, ჩაი დავლიოთ.

ამის შემდეგ ჩვენი სადარბაზოს კარი აღარ დაკეტილა.

სამაგიეროდ, კი ამის შემდეგ, ჩემი ოთახის კარი დაიკეტა. ამის შემხვედვარეს ყველას უკვირდა, სად არის ეს ქალიო.

მე კი თითქმის მესამე სართულზე გადავსახლდი.

—ეს ჩვენი ლერწამ-დარეჯანია! ხან ჩემი უმცროსი და, ხან კი უფროსი ქალიშვილი მგონია. —ასე გააცნო ჩემი თავი მის მეულლესა

და ქალიშვილებს, მისი ოჯახის წევრებს და საერთოდ, ყველა მის მეგობარს.

როცა დედა-ქალაქში მიდიოდა, თავის ბინის გასაღებს მე მიტოვებდა. ჩამოსვლის წინ დამირეკავდა და ჩამოვიდოდა თუ არა კიბეებზე ამოსვლისას ჩემი გაღებული კარების დანახვისთანავე შემეკითხებოდა:

—კიდევ გაუთხოვარი დამხვდით ჩვენო ლერწამ-დარეჯან?

—ერთი, ვერ მოვიცალე, მაგისოვის ბატონო!—ვპასუხობდი და სიხარულით გადავეხვეოდი.

—რატომ კაცო, რატომ? გაიპარეთ მაინც. რა ვიცი სულ ერთიდაიგივე ქალები თხოვდებიან და...

მე თავიდან გადავიკისკისებდი და...

—ამობრძანდით ჩემთან! ხომ იცით, ჩაი უთქვენოდ არ გადავა ყელში.

—რა თქმა უნდა!—ვპასუხობდი და მერე ყოველი დღე იწყებოდა დილით ტელეფონის ზარით.

—ჩაი მზადაა ლერწამ-დარეჯან!—და მეც იმწამსვე გამოვიხურავდი ჩემი ოთახის კარსა და მესამე სართულზე ავირბენდი.

—ჭადის დაცხობა რომ ავიჩემე და შეგაწუხეთ, ალბათ გულმა მიგრძნო! ყველი, ჩემმა დამ გამომიგზავნა სოფლიდან...

—აგერ ერთი ქილა ბადრიჯანი, კიდევ გვქონია ე.ი. სადილი გვაქვს!—და სადილზე მიწვევდა.

—დღეს ხელფასი იყო და მწვადით აღვნიშნოთ!—მეტყოდა ტელეფონითა და მეც ტყემლით ხელში ავდიოდი მესამე სართულზე...

—ამოდით ჩემთან, ლერწამ-დარეჯან! ტელევიზორში თქვენი შეყვარებული მღერის!—და მერე ერთად ვუსმენდით პავაროტს.

—კი, მაგრამ, თუ მეხსიერება არ მღალატობს, გუშინ მახსოვს კარგად რომ თქვენ სხვა გიყვარდათ...

—რა ვქნა, ბატონო მაგალი!—და თავის გასასამართლებლად ექსპრომტად ლექსით ვპასუხობ:

სიყვარულში უნებურად,
გავაკეთე „პავაროტი“
ნამეტნავად მიყვარს, რა ვქნა,
ლუჩიანო პავაროტი.
ამაზე კი ორივე ვიცინით..

მეორე დღეს კი ისევ...

—ამობრძანდით! აგერ ტელევიზორში თქვენი შეყვარებული სხვა ქალს ჰკოცნის. და საღამოს ერთად ვუცქერდით „რომაულ არდადეგებს“.

და მერე ისევ იწყებოდა ახალი დილა.

ჩაის შემდეგ ჩემს ახალ ლექსს ვუკითხავდი.

—რა მიკვირს იცით?—მითხრა ერთ დღეს.

—რა? ლექსს რომ ვწერ?

—არა ბატონო! ლექსს რაც აწერინებს კაცს კი ვიცი, მაგრამ,—ამბობს სიცილით და ვიცინი მეც.

—მთელი დღე სამსახურში ხართ. მერე ერთად ვართ და როდის წერთ?

—ღამე ვწერ.

—რატომ მერე?—მეკითხება სრულიად სერიოზულად.

—არ მასვენებს გამჩენი!— ვპასუხობ მე.

ამაზე ორთავე ვიცინით და ისევ მეკითხება.

—სხვის ლექსებს როდისღა სწავლობთ?

—სხვის ლექსებს უფრო იოლად, ვიდრე ჩემსას.

—მაგის მეშინია სწორედ, ამიტომაც არ გიკითხავთ ჩემს თარგმანებს,—მეუბნება სიცილითა და მერე კი მაინც ხანაც საკუთარ ლექსებს მიკითხავს და ხანაც თარგმანებს...

—მგონი წნევა უნდა მქონდეს!—ამბობს ეჭვით.

—ჩემი ლექსების კითხვის გადამკიდე კი გექნებათ, რა თქმა უნდა, მაგრამ ნუ გეშინიათ, ახლავე გაგისინჯავთ, და ვხედავ, მართლა აქვს წნევა.

—ინერვიულეთ ალბათ რაიმე!—ვეუბნები და თან უჯრიდან ამოღებულ წამლებს ვარჩევთ ერთად.

—კიდევ ვინ იცის ჩვენს ბინაში წნევის გაზომვა?—მეკითხება გულდაგულ.

—ქეთინომ, რუსიკომ და სოსომ.

—აბა, თუ არ შევაწუხებთ, ერთი, ორი საათის შემდეგ.

—კი, ბატონო! ახლა კი ცოტა დაისვენეთ, მერე დამირეკეთ და ყველა ამოვალთ.

მართლაც, მერე ყველამ ცალ-ცალკე გადავამოწმეთ წნევა და კონსილიუმი ერთ აზრზე იყო—წნევა დაწეულიყო.

და ასე მიდიოდა დღეები...

გავიდა გაზაფხული.

ზაფხულიც.

შემოდგომაც.

ზამთარში კი ისევ უშუქობა, ჩვეულებრივი სიცივე მოჰყვა და კიდევ კარგი, რომ ერთად ვიყავით, ვპოულობდით სულიერ სითბოსა და შობის ღამეს წამოთოვა კიდეც, რასაც შუაღამეზე ტკბილი სიმღერაც მოჰყვა.

„გინდ მეძინოს"—ისმოდა ქუჩიდან.

—ამას მე მიმღერიან!—ვთქვი შეცივნულმა სიხარულით.

—რომელი 17 წლის გოგო თქვენ ხართ?—გაიკვირვა ბატონმა მაგალიმ.

—ესენი, ჩვენი ქუჩის ბიჭები არიან! უმრავლესობა ანსამბლ „ბაგრატში" მღერის.

—იქნებ სხვებია? აბა, გადაიხედეთ!—მპასუხობს ბატონი რექტორი და ლამფით ფანჯარასთან მივდივართ ორთავე.

ჩემს დანახვეზე ბიჭებმა ხმა აუწიეს და სიმღერამ სიცივე გადაფარა.

—ამოდით ჩემთან! —დავუძახე მათ და მეორე სართულზე ჩამოვირბინე.

მერე კარგა ხანს ისმოდა ჩემი პატარა გაყინული ოთახიდან სიმღერა და იმ წელს შობა, ტკბილი მელოდიებითა და ასე ერთმანეთის დიდი სიყვარულით შემოვიდა ჩემს ვიწრო სენაკში...

როცა მეულლე ჩამოვიდოდა, ხალისი გვემატებოდა. იქაურობა უფრო მოწესრიგებული იყო. ერთად წავიდოდით ბაზარში, ეკლესიაში, საღამოობით ერთად ვსეირნობდით ხიდზე. ბაღში და მერე ასევე ყველა ერთად ჩაისთვის მივუსხდებოდით სუფრას.

—სად არის ჩემი ჭიქა?—კითხულობდა ბატონი მაგალი.

—კარადაში!

—რა უნდა კარადაში! უნდა იყოს სამზარეულოს მაგიდაზე.

—კაი ერთი!

—უთო სადაა?

—იქით.

—იქით კი არა, აქ უნდა იდოს!

—სად? ტელევიზორთან უთოს რა უნდა?

—იმიტომ, რომ აქვეა შესაყრისებელი.

—კაი ერთი!—პასუხობს მეუღლესა და ისევ ჩემთან საუბარს განაგრძობს,—ჰოდა, რას გეუბნებოდი თუ გახსოვს?

—ჩამოხვალ თუ არა, ისევ გადაატრიალებ აქაურობას, რომ კაცი ვერაფერს ვერ მიაგნებს. ასე შეიძლება?—ბრაზობს ცოლზე თავისთვის და რაღაცის ძებნაში ბოლთას ცემს ოთახში.

—ისე რა არის მართლა! ჩამოხვალ გოგო—იზეა და გვირევ ყველაფერს, —ქმრის წასაქეზებლად ვამბობ ხმამაღლა და იზეას თვალს ვუკრავ გაღიმებული.

—აი, ხომ ხედავ! ლერწამ-დარეჯანიც კი ამჩნევს ამას!—

მიმოწმებს მე, ბატონი მაგალი.

—აბა, რა!—ვამბობ სერიოზულად.

—კაი ერთი! ახლა შენ დამიწყე საყვედური! ამას მართალი ეგონება,—იცინის იზეა.

—არაფერია სასაცილო!—სერიოზულად საყვედურობს მეუღლესა და მე მეუბნება—ჩვენს დალაგებულ სახლს როგორ გვირევს ეს ქალი. ეს კი არა, ერთხელ უთოც კი მოიპარა.

ამაზე ყველა ხმამაღლა ვიცინით და მე ვთხოვ. გვიამბობს ამის შესახებ რაც იცის.

—დიახ! რა? არ იყო ასე?—იმოწმებს ცოლს,—ახალი უთო რომ ვიყიდე, სახლისთვის და უცებ თბილისში არ აღმოვაჩინე ამასწინათ! და არც კი გამომატანა.

—იქ გაფუჭდა უთო, აღარ გვქონდა და აბა, რა მექნა? იქ არ გვჭირდება უთო?—იმართლებს თავს სიცილით იზეა.

—მერე, ჩემთვის უნდა მოგეპარა?

—აბა, ქურდი კი არ ვარ სხვისთვის რომ მომეპარა!—პასუხობს სიცილითა და მიმოწმებს, ხომ ვარ სწორიო.

ჩვენ ისევ ვიცინით.

მერე ბატონი მაგალი უნივერსიტეტში მიდის და ჩვენ შინ ვრჩებით.

და ასე გადის დრო...

მე ყოველ ახალ წელს მათ ბინაში ნაძვის ტოტი ამაქვს და სათამაშოებით ვრთავ, ხოლო აღდგომას, ქრისტეს ხატთან წითლად შეღებილ კვერცხსა და სანთელს ვახვედრებ.

ბატონი მაგალის ოჯახი სულ სტუმრებითაა სავსე. თუ აქაურე-

ბით, თუ ჩამოსული პროფესორებით. ამიტომაცაა, რომ ჰოლში კედელზე მიჭედებულ ლურსმნებით შექმნილ საკიდზე პალტოები არ ეტევა, ზოგი ძირს ვარდება, ძირს, იატაკზე და ვის როგორც მოუხერხდება, იქ უძებნის ადგილს თავის სამოსს.

ბატონმა აკაკი ბაქრაძემ გაიხადა თუ არა ლაბადა, ლურსმანი და ჩაქუჩი მოითხოვა, მერე სამზარეულოდან ლოჯიაში გამოსულმა. იქვე, გაყინული რადიატორის ზემოთ მიაჭედა ლურსმანი და თავის ლაბადა იქ დაკიდა.

ხანდახან სტუმრები ოთახში არ ეტევა და ზოგიც ჩემთან ჩამოდის და აქ აგრძელებენ ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობას და ნარდის თამაშს. ისე კი მაინც ყველას ერთად ყოფნა გვირჩევნია და ამიტომ ჩვენი სკამებიანად ავდივართ ისევ მესამე სართულზე და დამშვიდობებისას კი სკამებით ჩამოდიან მეორე სართულამდე და სკამებს ხვალამდე მიბრუნებენ.

და ასე მიდის დრო...

მე, მართლა მისი ოჯახის წევრივით ვიყავი. თითქოს და ყველა, თითოეული ჩვენგანი მასპინძელი და აქ შემომსვლელი სტუმარი ერთი ცხოვრებით ვცხოვრობდით. ერთად გვიხაროდა რაღაც წყენითაც ერთად გვწყინდა რაღაცა.

როცა თვითონ არ ბრძანდებოდა, აქ, მის სტუმრებს მე ვმასპინძლობდი.

ერთხელ ისე გაემგზავრა, მე სამსახურში ვიყავი, ვერ მოვუსწარი და გასაღები კი დამხვდა.

მერე ჩამოსვლა შეაგვიანდათ და მის ოთახში ასულმა ლექსი დავწერე და მაგიდაზე დავუტოვე...

თქვენს ნაცვლად გასაღები დამხვდა ოთახის,
სადაც თავს ვიყრით ყველა.
უჩემოდ წასულხართ დედაქალაქს,
თუმც დამიბრუნდებით, მჯერა.
მანამდე ბინის კარს ყოველდღე შევაღებ,
აქ ცხოვრობს ბატონი მაგალი:
კი მოქართულე,
კაი მოსპარსულე,
რითმა აქვს ნაღდი და მაგარი.
ახლა კი ყველა ერთად მენატრებით,

დიდი ქალბატონი, გოგო-იზეა,
ვფიქრობ თქვენზე და ფანჯარას ვაღებ
და ვხედავ, ცაზე
ჯერ ისევ მზეა...
მიშოს იუმორი ჩამესმის ყურში,
ფუნაგორიები ბატონი ალექსის...
მერე ყველაფერს თავს ერთად ვუყრი,
ჩვენს სიცილს,
დარდს ჩვენსას
და აზრებს გალექსილს.
მტვერს ვაცლი ტელეფონს,
მაგიდას,
კარადას:
ვალაგებ ოთახს, უკვე ცარიელს...
ალარ გავახსენდები უთქვენოდ ალბათ,
ალარც სოსოს და ალარც ტარიელს...
ნეტავი ერთად ხომ არ გაგვივლია,
წარსულიც,
აწმყოც და
მყოფადიც–
დაბრუნდებით და უცებ გამახარებთ,
ალბათ ჩამოგყვებათ ჩვენი ნომადიც...
ვდგავარ დარდიანი
და გზას გავცქერი,
მოლოდინს შეწირული, მარტო...
მართლა ოთახის კედლები კი არა,
ეს, მე გელოდებით, ხალხნო!..

სკოლის არდადეგების დროს კი მისი სიძე, სამივე შვილიშვილი დედებთან ხათუნასთან და სოფიკოსთან ერთად ჩვენი სტუმარი გახლდათ და აი, მაშინ უნდა გენახათ მის ბინაში რა ხალისი იყო!

—ლაშა! გამორთე მაგნიტოფონი ან ხმას დაუწიე.

—აუ! რა! ტეხავ ბაბუ!

—რას ვტეხავ, კაცო!—უკვირს ბაბუას.

—რას და მუსიკა მინდა-რა!—იხვეწება ლაშა და ბუზღუნით მაგნიტოფონს თიშავს.

—თუ მუსიკა გინდა, ბაბუ, ჩადი მეორე სართულზე ლერწამ-დარეჯანთან და პიანინო დაუკარი რამდენ ხანსაც გინდა!

—გიო! დაილეწა ყველაფერი!

—ვაა! ეგ რა პონტია ბაბუ! აბა, რა ვქნა! გოიმურად ხომ არ ვიჯდები.

—თაკო! შენ მაინც გვაცალე!

—რა გინდა, კაცო! ბავშვებმა არ ითამაშონ?—საყვედურობს მეულლეე

—მაცალეთ, კაცო, მუშაობა!

—შენც კიდევ რაღა ახლა მოგინდა ეს მუშაობა? ანდა, კაი ერთი თუ კაცი ხარ, რას მუშაობ ამისთანას?—უკვირს მეულლეს მისი.

—ვთარგმნი და მაცალეთ!

—კაი ერთი! ვითომ ახლა, შენც დიდ რამეს თარგმნი...

—კაცო! ფირდოუსს ვთარგმნი და მეტი რაღა გავაკეთო?—გაკვირვებული პასუხობს მეულლეს, რაზეც ყველა ხმამაღლა ვიცინით.

საღამოს კი ბავშვებთან ერთად წარმოდგენას ვდგამთ. მუქ ფერებში გადაწყვეტილ ფურცელზე, აფიშა გიომ დახატა და პიესის სათაური ფერადი ფლომასტერებით ააჭრელა.

—ვისია პიესა?—კითხულობს ბატონი მაგალი.—ავტორი გვაინტერესებს.

—ბაბუ, მე შენ ნაკითხი მეგონე!—ისმის კულისებიდან თაკოს ხმა, რომელიც ემზადება სცენაზე გამოსასვლელად. ჩვენ ვიცინით.

მაყურებლები შინაურობის გარდა მთელი მათი სტუმრებია: ქალბატონი მადონა, ქეთინო, ბატონები აკაკი, ზურაბ პირველი, მიშო, ნომადი, ზურაბ მეორე, ტარიელი, კაფიების ოსტატი—ლექსო, ჯამბული და სოსო, რომლებსაც ახლა, მე, როგორც სპექტაკლის წამყვანი, მაყურებელს წესრიგს ვთხოვ, თორემ დადგმის მოხსნით ვემუქრები.

—ჩვენგან რას მოითხოვთ, ბატონო!—გვეკითხება ოჯახის თავკაცი.

—ნუ იცინით ბაბუ და მოგვისმინეთ!—იძახის თაკო.

—გისმენთ, ბატონო! ოლონდ დროზე დაიწყეთ ასეთი საზოგადოება ზოგჯერ თეატრშიც არაა და მეტი რაღა გინდათ.

—რა და გავხსნით ფარდას თუ არა, ტაში დაგვიკარით.—ვაცხადებ მე.

—სადაა ფარდა? —კითხულობს რომელიღაცა.

—ეს ხალათი აბა, რაა?! ა?!—ვაჩვენებ ლოჯის კედლის ცალ მხარეზე მიჭედებულ ხალათის ნაწილს. მისი მეორე მხარე კი ხელით მე მიჭირავს.

—ხალათი არ გამიხიოთ!—ჰყვირის იზეა.

—კაი, ახლა!—პასუხობს მეულლე და მერე ჩვენ გვთხოვს, თქვენც დროზე დაიწყეთ ბატონო, გვაღირსეთო.

—ჯერ არ ვართ მზად!—ჰყვირიან ბავშვები და ჩემი პომადითა და გრიმებით ითხიპნებიან.

—ამ ქალსაც მეტი ჭკუა რომ არა აქვს! —ამბობენ ჩემზე სიცილით.

და ვიწყებთ წარმოდგენას, რომელიც ხანგრძლივი აპლოდისმენტებით, შეძახილებითა და ბოლოს ჩაის სმით მთავრდება.

მერე მე ვემშვიდობები ბავშვებს, რომლებიც საძინებელში გაჰყავს ბებიას დასაძინებლად და ბოლოს მეც ვტოვებ ჩემი გრიმებითა და კოსმეტიკებით იქაურობას, რადგან ბოლოსდაბოლოს, მართლა ხომ უნდა ვაცალოთ ამ ხალხსაც მუშაობა.

ნახევარ საათში ჩამოდის ჩემთან იზეა და მორიდებით მეუბნება, პური შემოგველიაო და...

—ამის მეტი არა მაქვს, მაგრამ ახლავე მოვიტან!—ვპირდები და კიბეზე დაშვებამდე ხელში მაჩეჩებს ფულს და მთხოვს, რომ ერთი არ გვეყოფაო.

—გასაგებია!—ვუთხარი და კიბეები ჩავირბინე.

უკვე გვიან იყო. პურის მაღაზიები, რა თქმა უნდა დაკეტილი იქნებოდა და ამიტომ იქით წასვლაზე არც მიფიქრია. პირდაპირ, ჩვენი ქუჩის ბოლოს სასტუმროს რესტორანს მივაშურე, საიდანაც გამოსული სინათლე და სიმღერის ხმა, ქუჩის სიბნელესა და სიჩუმეს არღვევდა და გამეხარდა. რომ ის მაინც არ იყო ჯერ დაკეტილი.

კარები შვაღე თუ არა, დავინახე, დარბაზის ბოლოს რამდენიმე მაგიდა იყო გაერთიანებული. ვიღაცეები ისხდნენ და ილხენდნენ. მე, მუსიკოსებს ღიმილით მივესალმე და პირდაპირ სამზარეულოსაკენ გავეშურე, მაგრამ გზა გადამიჭრა ერთმა მამაკაცმა და მთხოვა, ერთი წუთით ჩვენს მაგიდასთან უნდა მობრძანდეთო და უარი არ გამოდიოდა.

მეც მივედი მათ მაგიდასთან. სუფრის წევრები წამოიშალნენ.

—რა კარგ დროს შემობრძანდით! სწორედ ახლა ქალების სად-

ღეგრძელო ვთქვით, ჩვენი დედების, მეულლეების, დებისა და თქვენი სახით საერთოდ, ქალს გაუმარჯოს! ისეთ ქალს, თუნდაც ასე მოულოდნელად რომ შეუძლია ესტუმროს რესტორანს!—რომელიღაცამ ღვინით სავსე ჭიქა მომაწოდა.

—დიდი მადლობა!—ვუთხარი მათ, ჭიქას ტუჩებით შევეხე და მაგიდაზე დავდგი.

—აჰ! მაგი უნდა დალიოთ და მერე ერთი ლექსიც უნდა გვითხრათ.

—არ ვსვამ, ბატონო და ლექსს კი გეტყვით.

—არ სვამს ნამდვილად!—დამიდასტურდა სუფრის რომელიღაცა წევრმა.

—შენ რა იცი?—ჰკითხა თამადამ ღიმილით.

—ამ ქალბატონს ყველა იცნობს და ყველამ იცის, რომ არ სვამს.

მერე ლექსის გამო ტაშით დამაჯილდოვეს, სკამი შემომთავაზეს, ჩაიწ-ჩამოიწიეს და სუფრასთან დამასკუპეს.

—ჯემალი!—დაუძახეს მომტანს.

—ახლავე!—იყო პასუხი და ახალი თეფში, დანა-ჩანგალი და ჭიქა წამში მომართვეს.

მე მაგიდის წევრებს ღიმილით გადავხედე,

—ბორჯომს მიირთმევთ ალბათ!—მითხრა ჩემს გვერდით მჯდომმა მამაკაცმა და ცარიელი ჭიქა ბორჯომის წყლით ამივსო, რაზეც მე ისევ მადლობა გადავუხადე.

—ახლა ჩვენს ქალაქს დავლოცავ,—ფეხზე დადგა თამადა, —სადაც ყველაფრის ფასი იციან და უპირველესად, ადამიანის.

მერე იმღერეს და მეც მამღერეს.

მერე ცეკვა შეუკვეთეს და ვიცეკვე.

—გადაიღეთ რაიმე, თუ ფიგურას უფრთხილდებით?—მითხრა ერთმა.

—სულაც არა!—და გემრიელედაც დავნაყრდი.

მერე ისევ ახალი სადღეგრძელო ითქვა.

მერე ჯემალმა სუფრას რაღაც შემატა და ხმადაბლა ჩავულაპარაკე, პურზე შემოვედი-თქო.

—გასაგებია!—მანაც თავის დაქნევით, ხმადაბლა მიპასუხა.

—ეს სიგარეტი თქვენ!—მომაწოდა ერთმა დიდი პატივით სიგარეტი.

—გმადლობთ, ბატონო!

—მაგას არ ეწევა, ბიჭო!—თქვა რომელიღაცამ.

—რა მნიშვნელობა აქვს, ბატონო! დიდი მადლობა!—ვთქვი მე.

—ჯემალი! ამ ქალბატონს მიართვი მისი სიგარეტი!—გასცა განკარგულება თამადამ.

—ახლავ!—იყო პასუხი.

—ნუ შეწუხდებით!—ვთქვი მე, მაგრამ...

მერე ყველა აცეკვდა და მეც ვიხელთე დრო, სულ ცეკვა-ცეკვით მივედი სამზარეულომდე და ჯემალის დახლზე პურის ფული დავუდე, რისთვისაც თან პარკი მოვამზადე,

—სტუმრები მეწვიენ მოულოდნელად და თან გეხვეწები უკანა კარებიდან გამაპარეთ რა.

—ა, ეს ორი პური დამრჩა, ჩადევი და გამომყევი უკან,—მითხრა ჯემალიმ და როცა შენობიდან ქუჩაში გამოვდიოდი.

მეორე პარკი, რომელიც თვითონ ეჭირა, მომაწოდა.

—ეს რაა?

—სახლში შენ არაფერი გექნება! ხომ ვიცი მე, პინამდე მიგყვები თუ გინდა.

—არა! არა! არ შეწუხდე.

—აბა! წადი და არ შეგეშინდეს, აგერ ვიქნები.

—დიდი მადლობა!

—თეფშები და გრაფინი ხვალ გამოიტანე. მე თუ არ ვიქნე, მზარეულს დაუტოვე, ვინც იქნება, სულერთია.

—ულრმესი მადლობა! გადამეხადოს!—მივაძახე და სულ სირბილ-სირბილით გამოვქანდი შინისკენ.

—ცოტა კი შემაგვიანდა, მაგრამ,—მოვუბოდიშე სტუმარ-მასპინძელს და მაგიდაზე ღვინით სავსე ჭურჭელი დავდგი, თან პარკიდან სანოვაგის გადმოლაგება დავიწყე თეფშების მიხედვით.

—ეს ქათამი!

—ეს ხაჭაპურები!

—უი, გოჭის ხორციცაა.

—ამაში რაა ნეტავი? უი! მწვადი ყოფილა.

—აგერ შემწვარი კარტოფილი.

—იმ თეფშზე შიგნეულია.

—ესეც თევზი.

—მწვანილი, მჭადები. ესეც ლამაზად დაჭრილი ყველი, ნადული, მჟავე და აგერ ჯონჯოლიც კი გვქონია.

—პური! პური სადაა?—შემეკითხა მასპინძელი.

—ესეც პური და ესეც კიდევ პურის ფული.

—კი მაგრამ, რატომ დაგავიანდა? სად იყავი?

—სად და რესტორანში, რადგან პურის მაღაზიები უკვე დაკეტილი იქნებოდა და იქით წასვლას აზრი არ ჰქონდა.

—მერე?

—მერე ვიღაცეები ქეიფობდნენ. სუფრასთან მიმიპატიჟეს. ზოგი ნაცნობი იყო, ზოგი უცნობი, მადღეგრძელეს, მაცეკვეს, ლექსი მათქმევინეს, მამღერეს და უცებ ხომ ვერ წამოვიდოდი, ხომ ვერ მივატოვებდი სუფრას, სირცხვილი იყო.

მერე უფრო დაწვრილებით გამომკითხეს ყველაფერი.

—კი, მაგრამ! ეს პურ-მარილი რატომ, რა დამსახურებისათვის,ა? საიდან და რისთვის?—მკითხა ბატონმა მაგალიმ.

—საიდან და რესტორნიდან.

—რატომ და რისთვის?

—ჯემალის ვუთხარი პური მინდა-მექთი. სტუმრები მყავს-თქო, ორი პურის მეტი აღარ მაქვსო და მე არაფერი არ მითხოვია. პურს, პურ-მარილი თვითონ გამოაყოლა, თუ არ მოგწონთ, დავაბრუნებ ახლავე, ჯერ მაინც არაა დაკეტილი რესტორანი.

—რავა გეკადრებათ! ცეკვით, სიმღერით, ლექსითა და ძმაკაცობით მოუპოვებია ქალს ეს ყველაფერი.—დაადგინა რომელიღაცამ და გაწყობილ სუფრას ყველა უცებ შემოვუსხედით. ღვინო ჭიქებში ჩამოასხეს და პირველად მე მადღეგრძელეს...

ახლა კი მესამე სართულზე სხვა სახლობს. მე კი იქაურობა მაინც ცარიელი მგონია და სულ მეჩვენება, რომ ერთ დღეს ჩემს ღია კარებს ზღრუბლზე გამოჩნდება ღიმილით მდგარი ბატონი მაგალი და შემეკითხება:

—კიდევ არ გათხოვილხართ ჩვენო ლერწამ-დარეჯან? გაიპარეთ მაინც, რომ გეძიოთ...

—ვერ მოვიცალე ერთი მაგისათვის, ბატონო!—ვუპასუხებ აკისკისებული.

—რატომ მერე! ახლა ხომ სულ ერთიდაიგივე ქალები თხოვდებიან!—მეტყვის და ამ სიტყვებზე ორივე ერთად ხმამაღლა გავიცინებთ.

—ამობრძანდით ჩემთან! იზას წერილი უნდა გადმოგცეთ და თანაც ხომ იცით, ჩაი უთქვენოდ რომ არ გადავა ყელში.

—რა თქმა უნდა!—დავეთანხმები მეც, მაგრამ მისი ბინის გასაღებს ველარ მივაწოდებ, რადგან იგი უკვე კარგა ხანია ჩემთან აღარ ინახება.

სამაგიეროდ, სამუდაოდ ჩემთანაა, ყველა ის წიგნი ბატონი მაგალის მიერ სპარსულიდან თარგმნილი, რომელსაც ამშვენებს ჩემდამი დიდი სიყვარულით მისივე ავტოგრაფი და რაც მთავარია, აქვეა ერთი ლექის დედანი სამშობლოზე მისი ხელმოწერით, რომელიც ყოვედღე მშობლის დარიგებასავით მახსოვს:

ალი-ჯქბარ ფეხლია (გარდ. 1956 წ.)

პატრიოტიზმი

ჩვენ ბავშვობაში, მაზრის ქალაქ
ქათამის ბაღში
—ჩვენ ყავი ხეზე და თეთრი
ვაფრენდ მის ჰაერში,
ფეხაკრეფ ქალაქ თითზე ვდგ
ჩამონიკაპიტა,
ღიმილი ამ სიმშვიდის ფანტვაში
ამაოდ ვფიქრობდა.
ვიცან სიყალბე ბაყვარეა
ის ჩვენ ბინავრებე,
ტაბ ბოლოთქა ან ოქროვ ქა
ოფეკალ ქალაქ;
„ხედავ, ეს ქალი მარეთ
ბოგეა ქათამმა,—
საშობლოს ფეხვა ქალაქისაკენ
ლანაგლეა, ფვილ!"

2

სპარსულიდან თარგმნა ფაფალ თაღაევმ

1997 წ.

კარანაძის ცხენებმა წაგიყვანეს, ბატონო ოთარ!

ქუთაისში დაბრუნებისთანავე, როგორც კი შეძლო, ისე მოგეფერათ მშობლიური ქალაქი და ქუთაისელები; პირველად მესხიშვილის სახელობის თეატრში გამართულ საღამოზე გაიხარეთ, ყველას რომ თქვენს ირგვლივ ხედავდით. შემდეგ ლაღიძის წყლებში გამართულ საღამოზე გაკვირვებულმა ბრძანეთ, რა ვიცოდი თუ ამდენ ლამაზ ქალს ვახსოვდიო და სწორედ იმ ლამაზმა ქალებმა სიურპრიზად თქვენი ძმაკაცის, ოთარ სულაბერიძის ძეგლთან მოგიყვანეს, იქ გადმოიტანეს სუფრა და რა სამწუხაროა, რომ იმ დღის სურათი არ შემოგრჩა: შემდეგ ვასო აბაშიძის ქალაქის კულტურის სახლში გქონდათ შეხვედრა და შემდეგ კი ისევ თეატრში, თითქოს და საზოგადოებასთან გამოსათხოვარი საღამო, სცენიდან ეტლით გაგიყვანეს და ახლა ვფიქრობ, იმ ეტლმა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი: „კარანაძე მისი ეტლით თუ შეგეფეთა და მისმა ცხენებმა წაგიყვანეს, ბატონო ოთარ!

გეშვიდობები, როგორც ერთი უბრალო მკითხველი და თქვენი პოეზიის თაყვანისმცემელი. გეთხოვები, როგორც იმ ოჯახის შვილი, რომელსაც თქვენ ძალიან კარგად იცნობდით და დიდ პატივს სცემდით. გეთხოვები, როგორც მეზობელი და ბოლოს, გეთხოვები, როგორც ერთი შემოქმედი, რომლის საწერ მაგიდას ამშვენებს თქვენი ნაჩუქარი, პატარა მინიატურული წიგნი, 1992 წელს გამოცემული ასეთი წარწერით: „ქალბატონ ნესტან კვეიძეს, ნიჭიერ მწერალსა და მსახიობს დიდი სიყვარულით, ოთარ მამფორია...

თქვენ ხომ შემოქმედებას ყველაზე მაღლა აყენებდით ამ ქვეყნად და რითაც ხელდამშვენებული შესანიშნავი ლექსებითა და მამფორიზმებით. საკვე ხურჯინით მიუხვალთ წინაპართ და ასე მგონია, „თქვენს სახლში დარჩა ნიბლია“ და თქვენ კი „გამოხვედით გარეთ“ და წახვედით ჩუმად იქ, სადაც დაგხვდებათ ისიც კი „ჭაღარა მოხუცი ერთი, თეატრის ცისფერ კარებთან მდგარი, ვინც უბილეთოდ გიშვებ-

და თეატრში“ თქვენი სიკვდილით კი ერთხელ კიდევ დავრწმუნდი და მივხვდი, რომ, „რატომ სწადია ბელურას, ამ პატარა ჩიტს თბილ ქყვენის ნაცვლად ჩვენთან სიკვდილი“...

მამულის სიყვარული კი გულში მარად კელაპტრად გენთონ და შესანიშნავად ბრძანეთ კიდეც, „როცა ლექსს ვწერ, ვკოცნი მუზის იალქნებს, საქართველოს სიყვარული, მაღალ ღმერთთან მიმაფრენს“ და ქართულ მიწასთან ერთად ალბათ გულზე გადაგაყრიან „მაგ შენი ბაღის ყაყაჩოს“...

„პეტერი“ ქუთაისში

ახალი, 1938 წლის დადგომისას თურმე ქუთაისის ოფიცერთა სახლში, ყოფილ „დეკაში“, რომელიც მაშინ წერეთლის ქუჩაზე მდებარეობდა, სამხედრო მოსამსახურის შვილებისათვის ბალმასკარადი გაუმართავთ, რასაც დედაჩემი და ჩემი და კირაც, როგორც ოფიცრის ოჯახის წევრები ესწრებოდნენ. მესამე ადგილი წილად ხვდა ერთ მამაკაცს, რომელიც მოძრავი პირსაბანი ე.წ. „უმივალნიკი“—ყოფილა, მეორე ადგილზე გასულა ქალბატონი, რომელსაც ნემსისაგან შეკერილი კაბა ეცვა, პირველი ადგილი კი ცოცხლები სათამაშოებით აბრჭყვიალებულ ნაძვის ხეს რგებია, ხოლო გრან-პრი კი დაუმსახურებია ზეიმზე შემოსულ შავფრაკიან „პეტერს“ (ამ პერიოდში კინო-ფილმ „პეტერს“ დაპყრობილი ჰქონდა კინო-დარბაზი ცნობილი ჰოლივუდელი კინო-ვარსკვლავის ფრანჩესკა გაალის მონაწილეობით), რომელიც მთელი საღამოს მანძილზე ყველა ქალბატონს ხან „ფოქსროტს“, ხან „ტანგოსა“ და ხან ვალს აცეკვებდა, ეთამაშა პატარებს, ძალზე გაამხიარულა ისინი და როდესაც ნილბები მოიშორეს, თურმე, სახეებიდან, პეტერი აღმოჩნდა ქალბატონი რუთა ბეროძე. იგი გახლდათ ჩვენს ქალაქში ქალბატონი, რომე-

ლიც კაბას, შარვალს ამკობინებდა და სიგარეტიც ქალისათვის მაშინ ძალიან იშვიათი გახლდათ.

ქალბატონი რუთა მაღალი ინტელექტისა და განათლების მქონე, კულტურული და ერუდირებული პიროვნება გახლდათ, თუმცა არც იყო გასაკვირი. იგი გახლდათ ისეთი, როგორც მისი ოჯახიშვილობას ეკადრებოდა.

დედა, დიდგვაროვანი ოჯახის არისტოკრატიული წესებითა და რიგის ქალთა გიმნაზიის მკაცრ, სულისმხუთავ რეჟიმში აღზრდილი ქალბატონი, ლატვიელი კლასიკოსების ბლაუმანისისა და რაინ.ისის საუკეთესო ქმნილებებზე, ფუფუნებაში აღზრდილმა ქალბატონმა ელფრიდა ივანეს ასულმა აკმეტინმა, პირველმა შეიგრძნო და მოიტანა გიმნაზიაში მშრომელი ხალხის საბრძოლო ფურცლები. როცა 1905 წლის რევოლუციამ შელეწა გერმანელი ბარონების მიერ დამონებული ბალტიისპირეთის ალაყაფის კარი და გაასისხლიანა ულამაზესი ტბა იუგლა, ახალგაზრდა ქალიშვილმა ვეღარ აიტანა რეაქციის სისხლიანი რეჟიმი და მეგობართან ერთად 1908 წელს საქართველოში გამოემართა, რომელსაც პირველებმა უმასპინძლეს ალექსანდრე წულუკიძის ოჯახის წევრებმა, სადაც იგი დასწრებია აკაკის იუბილეს, ხოლო მარიამ ყაუხჩიშვილმა, პირველ საბავშვო ბაღში აღმზრდელად მოიწვია, მას ხომ დასრულებული ჰქონდა ფრებელის პედაგოგიური კურსები. ქართულად მალე ალაპარაკდა და მოულოდნელად მოსულ სიყვარულთან, ივანე ბეროძესთან ერთად, რომელიც ბერლინის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი იყო, შექმნა კიდეც ოჯახი. სწორე მათი შვილები გახლდათ რუთა და ოთარ ბეროძეები, ხოლო ბატონ ოთარის და ქალბატონ თამარის უმშვენიერესი ასული ბაია, მეუღლე გახლავთ ცნობილი პოეტ რეზო ამაშუკელისა.

1924 წელს ქალბატონი ელფრიდა ოჯახით სიღნაღში ცხოვრობდა, ბოდბეში და ვაჟას ძმის ბაჩანას გვერდით ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ხოლო 1939 წლიდან, ისევ ქუთაისში გადმოსვლის შემდეგ, როგორც გერმანული ენის დიდი მცოდნე მიწვეული იქნა ლექტორად ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად შექმნა საინტერესო ნაშრომი გერმანული ენის თეორიულ გრამატიკაში. შეადგინა გერმანული ანდაზების კრებული ქართული ექვივალენტებით და აგრეთვე გერმანულ-ქართული ლექსიკონი.

ქალბატონი რუთა ყველასაგან გამოირჩეოდა, როგორც გარეგნობით, ისე მტკიცე ხასიათით, შეუვალობით. თითქოს მკაცრი ჩანდა, მაგრამ ძალზე ადამიანური იყო. როგორც ჟურნალისტი კი—პუნქტუალური და ძალიან ოპერატიული. მან თბილისის უნივერსიტეტში ფილოლოგიური ფაკულტეტი დაასრულა. მისი მეგობრები გახლდნენ ქალბატონები ელო მეტრეველი, ნელი ჩაჩავა-ჯავახიშვილისა, ეთერ შუშანია, ბატონი ევგენი ჯეირანაშვილი, მედეა ქუთათელაძე, ეთერ მეძველია, ისია ნაზარიშვილი, ოლია პროკოფიევა, დეიდაჩემი ელიზა და საერთოდ, ძალიან ახლო იყო ჩვენს ოჯახთან და როცა კი ზაფხულში სოფელ როკითში ჩავიდოდით, ხანისწყლის პირას დიდ ხანს ვრჩებოდით. იქ კი საულ და ზაზა კახიანები და გიორგი ახვლედიანი მაიაკოვსკის თანაჯგუფელი გვხვდებოდა და სუფრაზე ბევრჯერ დაგვთენებია კიდეც და ერთურთთან განშორება გვიძნელდებოდა. უნივერსიტეტში სწავლის დროს 1937 წელს, როცა გენერალი გიორგი ქუთათელაძე დახვრიტეს და მისი მეუღლე ქალბატონი ნინო გადაასახლეს, მისი შვილები მედიკო, ნოდარი და ედიშერი ქუჩაში დარჩენილან, რომლებიც თურმე ქალბატონმა რუთამ შეიხიზნა იმ ერთ პატარა ნაქირავებ ოთახში, სადაც თვითონ ცხოვრობდა, სტუდენტი. საერთოდ, ძალიან ყურადღებანი გახლდათ, იცოდა ადამიანების დახმარება. როცა კი გვესტუმრებოდა, აუცილებლად რაღაცით შეგვეშველებოდა. ერთხელ მახსოვს, შეშის დახერხვაშიც კი მოგვეხმარა. როცა ჩემმა და თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რუთამ, ჩვენი ოჯახის წევრივით გაიზიარა ეს სიხარული, მახსოვს, საპირველსექტემბროდ თბილისს რომ ვამგზავრებდით უკვე სტუდენტს, ჩემს დას, რუთამ დალოცა და გვითხრა: იცით, რა მიხარია, რომ ხუთი წელი მალე გაირბენს და

ჟურნალისტიკის კურსდამთავრებული ჩვენს ქალაქში გვეყოლება პირველი და ეს იქნები შენ, ჩემო კირაო და უცხოური საწერ-კალამი აჩუქა, რაზეც კირამ თბილისიდან პასუხად ეს ლექსი გამოუგზავნა.

უფროს მეგობარს, ქალბატონ რუთა ბეროძეს

თუ სიყვარული და თან მადლობა,
ვერ გამოვხატე ქართული ლექსით,
გწამდეს სიმღერის გამბედაობა,
ვინ გამიფინა, სიზმარშიც მესმის,
შენ მომიფრინე აზრი ასობით...
„ლექსი კალამში მიმალულიყო“,
ჰო, და იმ კალამს თუ არ ახსოვდე
მისი ნაყოფი წყეული იყოს.
რა საჭიროა ფიქრების ზღვაში
ეუმღერო გრძნობას შვებას რომ მოგცემს,
მე დავიბადე მეორედ მაშინ,
როცა კალამი გადმომილოცე.
პოეზიიდან მივმართე ოდებს,
ავაყვავილე იანვრის თუთა...
და შეიძლება გულმა როდესმე
გადამავიწყოს ბეროძე რუთა?!
ვინც ამ შეგამკოს იყოს წყეული,
წაერთვას მადლი, რაც აბარია.
ო, რა სათნოა როს შენზე ვიტყვი;
ჩემი უფროსი მეგობარია.
მე ვიფრენ, ვიფრენ ლექსების ზღვაში,
ვით დაფრინავენ ცაში ორბები,
როს ავტაცებ კალამს გიჟ ქარში,
შენ მეხსომები, მომაგონდები...

ქალბატონი რუთა კარგად ფლობდა, რუსულ, გერმანულ და ლატვიურს და თარმგნა კიდეც ვილის ლაცისის რომანი, „ნაპირთან“, რომელიც 1957 წელს გამოვიდა კიდეც ბაზარზე. წლების მანძილზე ამშვენებდა ქუთაისის თოჯინების თეატრის რეპერტუარს მისი თოჯინური პიესები და მესხიშვილის თეატრის სცენაზე 1967 წელს დაიდგა კიდეც მისი პიესა „ახირებული“, რომელშიც მე ქარხნის

კლუბის გამგის, მკაცრ ქალიშვილის ნატრულის როლი მერგო და გადავწყვიტე, თვითონ რუთა მეთამაშა. საერთოდ, ვძაბავდი საუბარში, რაზეც იცინოდა. ყველას ეგონა, რომ რუთა განაწყენდებოდა, მაგრამ მოხდა პირიქით, რუთამ ბევრი იცინა სპექტაკლის გასინჯვაზე და მითხრა, ძალიანაც კარგია, ასე დატოვე ეს სახეო. მას ხომ იუმორის გრძნობა ჰქონდა და თეატრიდან გამოსვლისას მეტი დეტალები მიმამატებია თავისი ხასიათიდან გამომდინარემ. პრემიერა რესტორანში ლხინით აღნიშნა, ყველა მონაწილე მიგვიპატიჟა რა თქმა უნდა უკლებლივ, თავის მეგობრებთან ერთად.

ქალბატონი რუთა ჟურნალისტობას კარგად უთავსებდა პოეზიას. იგი გახლდათ პოეტი, სამი წიგნის ავტორი. პირველი წიგნი, „პირველი ფრენა“ 1964 წელს გამოსვლისთანავე სუფრით აღნიშნა და საკუთარი ხელწერით, სუფრის ყველა წევრს ჩამოგვირიგა, რომელსაც დღემდე სიყვარულით ვინახავ: „ჩემს კარგ ლაიოს-ნესტანს, ნიჭიერ და გულთბილ გოგონას სიყვარულით ავტორისაგან“. 30.I.61 წ ამას მოჰყვა მეორე წიგნი 1969 წელს „პატარა ჩანჩქერი“, ისიც მაშინვე მისახსოვრა ასეთი წარწერით: „კარგ ნესტანს, ჩემთვის ლაიოს, შენი ნიჭი მენახოს დიდან აღზევებული! სიყვარულით ავტორისაგან“.

10.I.69 წ., ხოლო მესამე წიგნით კი „ლერწამის სალამურით“ 1976 წელს გაგვახარა ახლობლები და შკითხველები.

1972 წელს კი დაბადების 60 წელი აღვნიშნეთ ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში, რომელიც თბილისიდან ჩამოსულ მეგობრებთან ერთად ისევ დიდი სუფრით აღინიშნა.

ქალბატონი რუთა იყო ძალზე გულისხმიერი, ყურადღებიანი, პროფესიონალი მოღვაწე და გულთბილი ადამიანი. სხვისი დამხმარე და ჭირში გვერდში მდგომი. იგი აცრემლებულიც კი მახსოვს, რაც მარტო მე კი არა, სხვასაც კი გაუკვირდა, როცა დეიდაჩემს ერთადერთი სანთელი ჩაუქრა ამ ქვეყნად და ჩემი დეიდაშვილი—მარადო მოასვენეს შენ, იმ დღიდან, რუთა დეიდაჩემს არ მოცილებია, ჩვენთან ერთად იჯდა ჭირისუფლად და სათვალეს ხშირად იხსნიდა, რადგან ცრემლი მინას უსველებდა.

რუთა ყურადღებიანი იყო ახალგაზრდა შემოქმედების მიმართ და ამავე დროს ძალზე მკაცრიც. თვეში ერთხელ გვეთმობოდა ლიტერატურული გვერდი გაზეთში „ქუთაისი“ და ჩვენც ლექსები და

მოთხრობები მოგვქონდა დასაბეჭდად, მაგრამ, ნურას უკაცრავად, თუ არ მოეწონებოდა არაფრით არ გაუშვებდა ნომერში. დაბეჭდილი სამუდამოდ რჩება და არ მინდა თქვენზე ვინმემ თქვას, ესენი კი არ არის სუსტი ნაწერები, ჩემზე იტყვიან, ბითური ყოფილა ამის დამბეჭდავი. მოგეხსენებათ მარტო ერთი გაზეთი გამოდიოდა ქალაქში და კირა უმტატოდ მუშაობდა. ამაზე რუთა უფრო ნერვიულობდა ვიდრე კირა. შტატის დაშვება კი არ მოხერხდა, რუთა ყოველ ორ-სამ თვეში ხან მართლა მოდიოდა შემოქმედებით მივლინებაში, ხან კი რაღაცას იმიზეზებდა და კირას ტოვებდა განყოფილებაში რომ მეტი ჰონორარი ჰქონდა ჩემს დას. ზაფხულობით კი შვებულებაში გავიდოდა თუ არა, ყველაფერს კირას გადააბარებდა ხოლმე. როცა ქალბატონი რუთა მძიმე სენმა შეიპყრო, ყოველ დღეს ვნახულობდი. ქალბატონი ეთერ მეძველია, ოლია პროკოფიევა და რაც მთავარია მისი რძალი ელიკო ბატონი ნოდარის ცოლი, რომელიც გვერდით ცხოვრობდა, ხანდახან მეორე ოთახში გასულები ცრემლს მოვიწმენდით და მის დაძახილზე კი ღიმილიანი სახეებით შევდიოდით ოთახში. გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე რუთამ, თითქოს მიძინებულმა, რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა უცხო ენაზე, რომელიც ვერ გავიგეთ. მეორე დღეს კი თვითონ გვითხრა: გუშინ დედას ვესაუბრეო. ჩვენ ენაჩავარდნილებმა გადავხედეთ ერთმანეთს. როცა ბინიდან გამოასვენეს და ეზოში დაასვენეს მისი ნეშტი, ქალბატონმა ლილი ნუცუბიძემ თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „მამაკაცებო გთხოვთ, მინდა რომ ქალებმა გავიყვანოთ ეზოდანო", და მართლაც თვითონ ქალბატონმა ლილიმ, ჯანიკო გაბუნიამ, მე და თბილისიდან ჩამობრძანებულმა ნელი ჩაჩავამ გავიყვანეთ ეზოდან და ვიდრე მამაკაცები შეგვეშველებოდნენ მე ერთი მისი ლექსის სტრიქონი ამეკვიატა ეზოდან ქუჩის მოსახვევამდე: ეს ლექსი კი იმ პატარა,

ფეტვისფერ ჩიტს მიუძღვნა, რომელიც დედაჩემმა ერთი-ერთი დაბადების დღეზე გალიით მიუყვანა და ძალიან ინერვიულა მისი სიკვდილი.

ვერ გაგაფრინე, ვცადე მრავალჯერ,
ტყვეობას ფრთები დაუხუთია.
ბრალი არ მიდევს, შენ კი დამსაჯე
რატომ თუთია? რატომ თუთია?
თვალებს რომ მაპყრობ, შავ-შავ მძივებად,
მომისმინე ტკბილი წივწივი.
ამალამ როგორ დამეძინება,
გავითოშები შენი სიცივით.
ვინ მომახარებს სტვენით განთიადს,
ანდა მიმწუხრის სევდას ვინ მეტყვის?
ხვალ უნდა დავწვა შენი გალია,
შიგ მოფანტული შენფერი ფეტვით...
რა ტყვიასავით მძიმე წუთია,
რატომ თუთია? რატომ თუთია?..

დავით კვიცარიძე

დავყურებ სურათს, რომელიც 1972 წელს არის გადაღებული. მაშინ მწერალთა კავშირი ახლანდელის ოპერის თეატრის წინამდებარე კაფეს შენობის თავზე მეორე სართულზე იყო, ყოველ პარასკევს ვიკრიბებოდით ახალგაზრდები და ახალ ნაწარმოებებს ვაცნობდით ერთმანეთს. მერე კი იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მსჯელობა, შენიშვნები კარგის აღნიშვნა და სწორედ ასეთი ერთი დღის სილამაზე შემორჩა ამ სურათზე, რომელიც ბატონი დავითის სურვილით გადავიღეთ. ვინ იცის ასე ყველა ერთად ვიქნებით თუ არა და რამდენიმე წლის შემდეგ კი ეს

სურათი შვილებო, ისტორია იქნებაო და მართლაც რა მალე დამდგარა მოგონების დრო. ამ ბოლო დროს კი შემოგვეჩვია ბევრ ცნობილ პიროვნებასთან განშორება.

ვინც კი 60-იანი წლებიდან ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვედით, ყველას ძიმართ, ბატონი დავით კვიცარიძეს დიდი ამაგი აქვს. მის გარდაცვალებამდე ხუთი დღით ადრე ქუჩაში შემხვდა მერიასთან თეატრისკენ მიმავალსა და შეპაჩერა. კარგა ხანს ვისაუბრეთ იუბილესათვის ვემზადებიო და მოიგონა თბილისში მისი სამოცი წლის იუბილეზე, რომ მსახიობებიდან მარტო მე და გიზო კაკურიძე რომ წაგვიყვანა. ახლაც ის ლექსი „შოთა გელათში" უნდა წამიკითხოო- რა თქმა უნდა მეთქი, შევპირდი, იმ ლექსაც ვიტყვი და სხვა ბევრ რამესაც-მეთქი. ბატონ დავითს უყვარდა ჩემი იუმორი და მთხოვა ხალხი გაახალისე, ოღონდ ახლავე მითხარი, ის სხვა რა უნდა თქვაო და მეც მოვაგონე 1949 წელი, როცა დეიდაჩემის პედაგოგ ელზა აბულაძის ქორწილზე, ახალგაზრდები თამადად აირჩიეს და რუთა ბეროძემ (რომელმაც მაშინ გაიცნო იგი პირველად) ლექსი რომ გამომატანა სუფრაზე თქვენთან—მეთქი მე მაშინ 10 წლის ვიყავი, მაგრამ ლექსი ახლაც მახსოვს-მეთქი და ზეპირად ვუთხარი კიდეც.

„ქორწილის დილა გათენდა,
თროპის წუთებიც წავიდა,
ეს გული ველარ გამრთელდა
შენთან შეხვედრის წამიდან.
მე ვეძებ შენში თამადას,
სიტყვაფეროვანს, მალალსა.
ალარ ღირს ახლა კამათად,
დუმილმა რატომ დამღალა.
სიმღერა მინდა თავაზად,
ბადაგიანი ბაგიდან,
იმხიარულე თამადა,
ამხიარულე მაგიდა"...

თვალები აუწყლიანდა, ხელი გადამხვია და მითხრა.

—გოგო რა მეხსიერება გაქვს! აუცილებლად თქვი ეს ლექსი და მერე მე ვიტყვი ყველას გასაგონად, რომ შენ ჩვენი ნამდვილი მემატიანე ხარო.

მერე კი ისიც ვუთხარი, რომ მე სიურპრიზსაც გიმზადებთ-მეთქი.

რასო, ისევ ინტერესით ჩამეძია. გამეცინა და მოვაგონე, გახსოვთ ბატონო დავით, ერთხელ სტუმრებთან რომ წამაკითხეს ლექსები, სხვებთან ერთად თქვენც მომეფერეთ და მითხარით, რა კი შენ ასე კარგად კითხულობ ლექს, ჩემიც ისწავლეო და მე გიპასუხეთ დამიწერეთ კარგი ლექსი და ვისწავლი მეთქი. ამაზე ყველამ იცინეთ და თქვენ მეორე დღეს მოიტანეთ ჩემზე მოძღვნილი ლექსი და მინდა ის ხელნაწერი გაჩუქოთ-მეთქი. არ გამაგიყო, გოგო, ის ლექსი მართლა გაქვს შენახულიო?—მკითხა და 1948 წლის 26 მაისს დაწერილი, ფანქრით დაწერილი ლექსიც, რომ ზეპირად ვუთხარი, თვალები ცრემლით აევსო, ხელი გადამისვა და ვუთხარი, ეს იქნება ჩემგან საჩუქარი-მეთქი; თანაც ყველაზე ძვირფასიო, მითხრა და აი, ის ლექსიც მისი ხელთნაწერი. მერე კიდევ რაღაც მოვიგონეთ, ვიცინეთ და ისე დავშორდით ერთმანეთს და რას ვიფიქრებდით, რომ იუბილეს მაგივრად სულ მალე სამუდამოდ გამოთხოვება მოგვიწევდა მასთან.

ბებიაჩემს 16 წლის შვილი ირაკლი (კაკო) აბულაძე, რომელიც ომის დაწყებისთანავე მოხალისედ წავიდა და ლენინგრადის დაცვისას დაიღუპა, და როცა ფრონტიდან ახლადდაბრუნებულმა დავითმა გვინახულა, ბებოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ლოცავდა და ისე ეხვეოდა ყოველ შეხვედრისას, როგორც საკუთარ შვილს.

ბატონი დავითიც ხშირი სტუმარი გახლდათ ჩვენი ოჯახის. გვიკითხავდა ლექსებს; ხან როალის აახმიანებდა ჩემს სიძესთან, ილო კალანდაძესთან ერთად და მღეროდა, კირას არქივში კი მისი რამდენიმე გამოუქვეყნებელი ხელთნაწერი ლექსია შემონახული, სხვათაშორის ამაზეც ვუთხარი ერთხელ და თან მოვუბოდიშე, მაპატიეთ ბატონო დავით, თბილისში არ ვყოფილვარ დიდი ხანია და თანაც ჩემთვის ძალიან მტკივნეულია უკვე იმ არქივის ხელის ხლება-მეთქი. მესმისო, მითხრა თანაგრძნობით და თან დასძინა, რაც უფრო გვიან მომიტან იმ ლექსებს, ჩემთვის უფრო ფასეული იქნება იმ წლებში შექმნილი სტრიქონებიო.

ძალიან მიძნელდებოდა ყველაფრის მოგონება და დაწერა, რადგან მოსაგონარი უამრავია, მე და ჩემი თანატოლები ხომ მის ხელში დავიზარდეთ, როგორც თვითონ აღნიშნავდა ამას სიამაყით და როგორც თვითონვე ამბობდა, უხაროდა ჩვენი ყოველი ახალი წიგნი თუ უბრალოდ პრესის ფურცლებზე გამოჩენა. მაშინვე შეგვეხმიანებოდა და თავის აზრს გაგვიზიარებდა.

მე კარგად მახსოვს მისი პიესების პრემიერებიც ჩვენს თეატრში, რასაც ყოველთვის შესანიშნავი სუფრა და დალევა მოყვებოდა მის ძვირფას ოჯახში. მათ შორის პიესაში „როცა სიცოცხლე გეძახის“ მთავარ როლში ლამარა ვაშაკიძე შევცვალე მოულოდნელად და სპექტაკლის შემდეგ (დავითი ყოველ წარმოდგენაზე თეატრის სტუმარი გახლდათ) მის ლამაზ მეუღლეს, ქალბატონ ეთერისთან ერთად საუბრით ერთად წამოვედით. შემაქო გზაში, მომიწონა თამაში და თან მადლობა მითხრა.

ბატონი დავითი ჭირში ლა ლხინში გვერდში მდგომი კაცი იყო. მე მახსოვს იგი სუფრაზე ჩემს ოჯახში, მასთან, სხვასთან, მახსოვს, როგორც თამადა, მომლხენი, მომღერალი, ენამზიანი და სწორედ ამიტომაც შექმნა პირველსავე ნახვით ქალბატონმა რუთამ ეს ლექსი:

„ღამემ ქორწილში დამდნარმა,
ცისკარი შემომაგება,
გორაზე მზე რომ დამდგარა,
ისიც მე მექომაგება,
ღიმილი გაითამამდა,
იმხიარულე თამადა,
ამხიარულე მაგიდა“...

დღეს კი მარადისობაშია გადასახლებული ბატონი დავითი. მისი ლექსები, მოთხრობები, რომანები, მისი შემოქმედება კი ცოცხლობს, ხოლო მისი სიტყვები ჩვენს ქალაქზე, ყველა ქუთაისელს მუდამ ემახსოვრება:

„ქუთაისო, ქუთაისო,
შენთან არის გული ჩემი“...

P.S. ჩვენი ძველი, ხის ულურსმნო, ორასწლიანი აბულაძეების სახლში, რომელიც დღეს ნაბრძოლები კაცივით ჯერ კიდევ ფეხზე დგას, ბევრ ქუთაისელს კარგად ახსოვს, რომ აქ თავს იყრიდნენ პოეტები, მწერლები, მხატვრები, პედაგოგები, იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მსჯელობა, კამათი პოეზიაზე, ლიტერატურაზე, თეატრზე, მუსიკაზე, მხატვრობაზე, იყო ახალი ნაწარმოებების კითხვა. ალბათ ყველაფერმა ამან ყველას ერთად გადაგვატანინა ომისაგან მიყენებული ტკივილები. მე მაშინ ჯერ კიდევ პატარა გახლდით, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება თითოეული მათგანი და მათ შორის ბატონი დავით კვიცარიძე.

სახლში გვქონდა ერთი რვეული, რომელშიც ყველა, სურვილსამებრ, ჩანაწერს აკეთებდა. ბევრჯერ პოეტები ამ რვეულში თავისი ხელით ტოვებდნენ სახსოვრად ახალ ლექსს და სწორედ ამ გაფერმკრთალებულმა და გაცრეცილმა, ფერშეცვლილმა ფურცლებმა შემოინახეს ბატონ დავით კვიცარიძის ხელით ჩაწერილი ეს სამი ლექსიც, რომლებიც არსად არ დაბეჭდილა. დღეს მკითხველებს ვთავაზობ დიდი პატივისცემით ავტორის მოსაგონებლად.

❖❖❖

მე მინდა სიტყვა გითხრა ერთი და
გამცნო რადა ვარ დარდის ამყოლი
რად დავილიე შენი ჭვრეტითა
ერთი ალალი გულის პატრონი.
შენ რომ იცოდე, მე რა ვეწამე,
შენს დავიწყებას ვცდილობდი ჰოდა,
რამდენი დღე და რამდენი ღამე
ჩემი სათუთი სული გიხმობდა.
რა მოლექსე ხარ, თუ ვერ გაგიგეს,
ვიტყოდი ასე, ვიტყოდი გელით.
სულში ტაძარი ტყუილად აგიგე?

შენი სახელით ამოქარგული.
ვის რალად უნდა დღეს ჩემი გული
გადასერილი მწარე ნაღველით.
ატირებული, აცრემლებული,
შენი სახელის ჩემი მფარველი.
რალად ვიცრუო, განა არ კმარა,
რაც ვიშაირე, რაც ვილაღადე?
რამდენი ცრემლი გადაღვარა,
შენი ხელებით დანარგავ ვარდებს.
ხარობს ყვავილი, შენ რომ პირველად,
კრძალვით დამაკარ გულზე წითელი.
გადამაქციე, ლექსად, სიმღერად,
და შენი მონა თუ შევიქენი.
შენთვის გავრინდე ათასი ლექსი
ამ ოხერ გულში მოზღვავებული.
შემიყვარდი თქო, ვამბობდი კვნესით,
შენი სიტკბოებით დატკბეებული.
ახლა რაღა ვარ? დარდის ამყოლი,
ან შენი რაღა შესადარი ვარ.
ერთი ალალი გულის პატრონი,
მაინც იმ გრძნობის პატიმარი ვარ.

26 ივნისი 1948 წ.

რა ჩაიდინე

დამღალებია შენზე ფიქრებით
გულს წავულივარ დასასრულამდე.
და ისე როგორ გარდავიქმნები,
ლექსით არ ჩაგწვდე გზად და გულამდე.
დამთენებია შენზე ფიქრებით,
ცვარში გაბანილს მიმძინებია.
იქაც შენ იყავ, თუ მოჩვენებით,
ლექსით ღულუნი მოგნატრებია.
დღე ღამდებოდა თუ ღამე ფრთხილი,
მთვარესთან ერთად იძირებოდა,
ჩემთვის სად იყო, სად იყო ძილი,
უკანასკნელი მნათი ჰქრებოდა.

ასე მეგონა დილის სიახლეს,
იმ დღეს სხვანაირ თვალით შევხედე,
ლექსით მოვედი; ლექსით გეახელ
შენ კი ღიმილი ძლივს გაიმეტე.
არ გშორდებოდი, როგორც აჩრდილი,
სულდგმულს დაჰყვება კვლადაკვალ მუდამ,
რითმებთან ვტეხდი ღამეს და დილით,
ჩემს გულს კვლავ შენთან შეხვედრა სურდა.
შენ ვერ გაიგე ჩემი ნაღველი,
ან ამ ფიქრებმა როგორ იდინეს,
როგორც მივედი, ისე წავედი,
და იცი ამით რა ჩაიდინე?
შენ ჩემში ლექსი უნდა გეძია,
მზესთან შეხვედრას როგორ ლამობდა.
სულის სტრიქონს თუ პოეზიას
ნათელი როცა დაჰკიაფობდა.
მაგრამ რითმებმა მაინც იდინეს,
ლექსს როდი უყვარს ფუჭი ხმაური,
ნეტავ თუ მესმის, რომ ჩაიდინე,
უზარმაზარი დანაშაული...

. , აგვისტო, 1949 წ.

ჩემი ოცნება

პატარა ნესტანს

თქვენ თუ გესმით ამ პაწაწინა გულის ძგერა,
თქვენ თუ გესმით რას ვტიტინებ ენამჭრელი.
ან თუ იცით, მე ასე რამ ამამღერა,
ან რა არის ჩემთვის უფრო სანატრელი.
აი, გეტყვით; მიყვარს დილა გაზაფხულის,
წითელ-წითელ ყვავილების თაიგულიც.
ჩიტუნების ჭიკჭიკი და ჟრიამული,
ვარდობისთვე სანეტაროდ შეკინძული.
მეც მრავალჯერ გამიტაცა ამ მშვენებამ,
სულგანაბულს მიმეძინა, თურმე, გარეთ,
მაგრამ დედა რომ არ მაძლევს ამის ნებას,

მეუბნება:—ჯერ ადრეა, ჯერ იკმარე.
მეც გული მაქვს, მეც თქვენსავით მიყვარს ლექსი,
ბუნებაზეც წარმოდგენა რად არ მქონდეს,
ეს ბულბული იმღერის თუ მართლა კვნესის,
დიახაც, მსურს, მეც ვიცოდე, მეც მესმოდეს.
ამ პაწაწა გულის ძგერას გეფიცებით,
ვფიცავ თვალებს, ჩემს დედიკოს ლამაზ თვალებს,
გეფიცებით, როცა დიდი შევიქნები,
გაგახარებთ, ყველას, ყველას გაგახარებთ.
ახლა ჩემთვის საოცნებო, რამდენია,
მსურს, წინ ვიყო მუდამ ჩემს ტოლ-ამხანაგებში,
ასი გზა მაქვს, ასივე გზა ნათელია,
ჩვენს საყვარელ, ჩვენს ბედნიერ ქვეყანაში.
ახლა ხომ გრძნობთ ამ პატარა გულის ძგერას,
ახლა გესმით, რას ვტიტინებ ენამჭრელი.
მაშინ გეტყვით მეც ლექსებს და მეც სიმღერას,
როცა გულის შევისრულო საწადელი.

26 მაისი, 1948 წ.

კიდევ ერთი ტკივილი

ქართველმა მწერლობამ დიდი დანაკლისი განიცადა და კიდევ ერთი, ახალი ტკივილი გაჩნდა ცნობილი პოეტის, ვალაკტიონ ტაბიძისა და ლადო ასათიანის პრემიების ლაურეატის, ქუთაისის საპატიო მოქალაქის, ღირსების ორდენოსანის, ბატონ ზურაბ კუხიანიძის სამიქვეყნოში გადასვლით. მკითხველს ყოველთვის ხიბლავდა და კვლავაც ეს განცდა ექნება მისი ლექსების, მშობლიური მიწისა და ხალხისადმი ერთგულებით, სიყვარულით, გულწრფელობით, პოეტური დამაჯერებლობითა და უშუალობით სავსე სტრიქონების კითხვის დროს, მან დიდი სიყვარულით გააცოცხლა სიყვარული ადამიანების სახეები და როგორც პოეტი, ცდილობდა პიროვნული ტკივილი თუ სიხარული, ზოგადი ყოფილიყო. მას გააჩნდა ლექსის წერის საკუთარი სტილი; თავისებური ჟღერადობა იგრძნობა მისი ლექსების რიტმში, სტრიქონების მუსიკალურობასა და რითმის წყობაში სიკეთე, ადამიანობა და სიყვარული თავისი ხალხისადმი, მამულისადმი, რაზეც ფიქრი, საზრუნავი გახლდათ მისთვის, მუდამ ქვეყნის წარსული,

აწმყო და მომავალი იყო მისი, როგორც პიროვნებისა და პოეტის დარდი. პატარები უყვარდა და ასევე დიდი სიყვარულით ქმნიდა იგი საბავშვო ნაწარმოებებს, რომლითაც არაერთხელ გაახარა ნორჩი მკითხველი. მისი შესანიშნავი პროზაული თუ პოეტური ნაწარმოებით პატარები ხვდებოდნენ ასკინკილა კალიებს, ბაქი-ბუქას, წრუწუნას, პირბნელ მგლებსა და ჩხინკა-ჩხიკვს. ბავშვები კი ამ წიგნებით ყოველთვის სიკეთეს, შეუპოვრობას, მეგობრობას, ერთგულებას, კეთილშობილებასა და უფროსებისადმი პატივისცემას სწავლობდნენ და ისწავლიან შემდგომშიაც. იგი კარგად იცნობდა ნორჩების სულიერ სამყაროსა და საინტერესოდ, ცოცხლად, მაღალი ოსტატობით ქმნიდა კიდეც საბავშვო ნაწარმოებებს; ბევრი მისი საბავშვო პიესა თოჯინების თეატრის რეპერტუარს წლების მანძილზე ამშვენებდა.

გარდა ამისა, რომ თვითონ იყო შესანიშნავი პოეტი, იგი გახლდათ ამავე დროს შესანიშნავი გამომცემელი. იცოდა თავდაუზოგავი მუშაობა. მოწესრიგებული, აკურატული და ძალზედ დიდი პასუხისმგებლობით ელოლიავებოდა ქართულ სიტყვას, თითოეულ სტრიქონს თავს ევლებოდა ლექსის მელოდიკასა და რიტმის მომვლელი გახლდათ და მის გვერდით მყოფი წიგნზე მუშაობით, ლამის პოეტობასაც ისწავლიდი, თუკი ასეთი რამ შესაძლებელია საერთოდ, პირადად ჩემი პირველი და შემდეგ შვიდივე წიგნის გამომცემელი და რედაქტორი გახლდათ, რამდენჯერმე მითქვამს, მეტი აღარაფერია საჭირომეთქი; იგი მაინც თავიდან კითხულობდა ისევ რამდენჯერმე მოუბრუნდებოდა და მე კი იუმორით პასუხობდა, მკითხველი ავტორს კი არ ერჩის, წიგნის ისეთი უნდა იყოს, გამომცემელს არ უნდა შეაგინონო.

ჩემი თაობის მწერლებს ბევრს გაუკვლია გზა უანგაროდ, საერთოდ, ყველას დამხმარე გახლდათ.

ჯერ-კიდევ დამწყები მსახიობი ვიყავი, როცა იგი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი გახლდათ და ერთხელ ქალბატონი გულო ყიფიანის ნაცვლად ჩამაბარა მისი მოსწავლეები და

მიანდო მათი მეტყველების სწავლება. ვიცოდი, რომ ბატონი ზურაბი, ძალიან მომთხოვნი იყო და მეც შევეცადე, რომ მისი ნდობა გამემართლებინა.

ბატონი ზურაბი, ჩემი უფროსი დის, კირას და საერთოდ, ჩემი ოჯახის მეგობარი გახლდათ. იგი, ვახტანგ ჯავახაძე, ვახტანგ გოგოლაშვილი და კიდევ სხვა რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა გაერთიანებულნი იყვნენ ლიტერატურულ წრეში, რომელსაც ბატონი ვასო გვეტაძე ხელმძღვანელობდა. წრის მეცადინეობის შემდეგ ჩვენს სახლში გრძელდებოდა საკუთარი, ახალი თუ სხვათა ლექსების კითხვა, მსჯელობა, კამათი პოეზიაზე და ხელოვნებაზე. გუშინდელ დღესავით მახსოვს ეს ყველაფერი და თურმე ნუ იტყვით და მის შემდეგ შეუმჩნევლად უკვე ნახევარი საუკუნე ისე გასულა, რომ არც გამიგია. თავისი სიყვარული ჩვენი ოჯახისა და პირადად ჩემს მიმართ, მშვენივრად გამოხატა ჩემი ლექსების წიგნის—„გაზაფხული ისევ მოვა“ წინასიტყვაობაში, რაც თავისი სურვილით დაწერა. მე იგი ფუფალას მეძახდა. მას კარგად ესმოდა ჩემი იუმორის, როცა ახალ რამეს წავუკითხავდი, წინასწარ ვეტყოდი, ეს შეყვარებულზეა, ესეც კიდევ შეყვარებულზე-თქო.

—ტყუილი, ტყუილი,—მეტყოდა და ჩაიღიმებდა.

ერთხელ მითხრა, შენ ისეთი ფუფალა ხარ, რომელსაც თვით შიოლაც კი არა ჰყავსო.

ჩემი ყოველი წარმატება ახარებდა. 1992 წლის 16 დეკემბერს, როცა მწერალთა კავშირის სახლში ქართული კლასიკური პოეზიის 100 ლექსის წაკითხვის საღამოს შემდეგ, იქვე ექსპრონტი მიძღვნა და ის ხელთნაწერი კი ჩემთვის დღეს, უძვირფასესი რელიქვიაა, მისგან ნაჩუქარ სხვა წიგნებთან ერთად, მახსოვს, მესამე ათასწლეულის პირველ ღვთისმშობლობა-ჯვართამაღლების ზეიმის დღეებში ორივე ერთად გავხვდით საპატიო ქუთაისელები, რითაც ძალიან გაიხარა.

ბევრ შეხვედრაზეც ერთად ვიყავით მიპატიჟებული. ჭირში და ლხინში გვერდით მდგომი კაცი იყო. როცა კირა გარდამეცვალა, იმ დღესვე პირველი ქუთაისელი, რომელიც თბილისში სამძიმარზე გამოჩნდა ზურაბ კუხიანიძე გახლდათ, რომელიც ერემია გარელიშვილსა და თეიმურაზ აბულაძეს შემოუძღვა. მან მაშინვე გადაწყვიტა კირას წიგნის გამოცემა. გაიხსენა, რომ 1968 წელს, როდესაც გამოვიდა ზურაბის პირველი პროზაული ნაწარმოებების კრებული, „რიონის პირას", თურმე მაშინვე, კირა გამოხმაურებია მეგობრის სიხარულს თავისი მადლიანი კალმით გაზეთში „ქუთაისი".

—„პირველი პროზაული წიგნი „რიონის პირას" ზურაბ კუხიანიძემ ბავშვებზე შექმნა, მაგრამ მას მოზრდილი მკითხველებიც სიამოვნებით კითხულობს, როგორც ემოციურად ძლიერს, იდეურ-მხატვრულად გამართულ ნაწარმოებებს. აქ არის სიმართლე, უშუალო, გულწრფელი სტრიქონები. ზ. კუხიანიძეს ახასიათებს თხრობის თავისებუ-

რი მანერა, ამბების განვითარების თავისებური ხერხები",—ვკითხულობთ 1965 წლის ჟურნალისტ კირა კვეიძის სტატიაში. „ამ წიგნის გმირები ბავშვები არიან. 13-14 წლის გოგო-ბიჭები, რომლებიც ბავშვური აზრებით ცხოვრობენ; მოდის ახალი თაობა, მოდის ძლიერად და რწმენით".

მოსაგონარი უამრავია, ძალიან დასანანია, რომ ბატონი ზურაბ კუხიანიძე აღარ იქნება ჩვენს გვერდით. წავიდა პოეტი და კიდევ ერთი ახალი ტკივილი გაჩნდა, მაგრამ დარჩა მისი ლექსები, მთელი მისი შემოქმედება, რომლებიც უკვდავია და როგორც ტელეგადაცემაში მოგახსენეთ, მე ყოველთვის ვიფიქრებ, როგორც თვითონ ბრძანებდა ერთ-ერთ თავის ლექსში, რომ მისი სული აწი სამარადჟამოდ „საქართველოს აჩქარებულ სუნთქვაშია".

ქალი და პოეტი

ქალბატონი ლილი ნუცუბიძე ნიჭიერი შემოქმედი და აქტიური პიროვნება იყო, რომელსაც თავისი ქალაქისათვის ერთი წუთითაც კი არ ულალატებია და სიკვდილამდე მისი ქუჩებიდან უმღეროდა მთელ საქართველოს, მის საყვარელ მამულსა და ადამიანებს.

ქალბატონი ლილის ბევრი ლექსია ამღერებული, რომლებსაც სიყვარულით მღერიან დღემდე და იმღერებენ მომავალში, რაც შემოქმედებისა და თვით შემოქმედის უკვდავების დასტურია.

მოსაგონარი უამრავია, მაგრამ ამჯერად მინდა შემოგთავაზოთ ერთი ქალბატონის მონათხრობი.

პედიატრი მაია დავითაშვილი დიდი სიყვარულითა და სითბოთი იგონებს ერთ საინტერესო ფაქტს. ქალთა ასოციაციაში მუშაობის დროს, როცა მასაც მოუწია ჩასვლა სამტრედიაში სხვებთან ერთად, როგორც ინვალიდ ბავშვთა სანახავად, ისე არასრულწლოვან ბავშვთა კოლონიაში, ქუთაისიდან მასთან ერთად გაემგზავრა ქალბატონი ლილი, ფსიქიატრი მაია ნუცუბიძე და იურისტი რუსუდან ჩაჩხიანი, რომლებმაც ინვალიდ ბავშვებს საჩუქრებთან ერთად უსახსოვრეს ინვალიდის რამდენიმე ეტლიც.

მასპინძლებს თავი მოუწონებიათ და სტუმრებისათვის, რომლებიც ჩქარობდნენ, სადილი შეუთავაზებიათ და გზაზე საგზლად გაუტანებიათ კიდეც. როცა კოლონიაში მივიდნენ და ყველაფერი დაათვალიერეს, წამოსვლის წინ ქალბატონ ლილის განუცხადებია: „მომეცი



ის ჩანთები, მე ყველაფერს ამ ბავშვებს ვუტოვებო!"

ქ-ნ მაიას თქმით, ისინი სიხარულს აუცრემლებია, თუმცა სრულიად არ გაკვირვებიათ ქალბატონი ლილის ასეთი საქციელი; მას ხომ ბავშვები ძალიან უყვარდა. მისი კეთილი გული და ყურადღება საერთოდ სხვასაც ბევრს ახსოვს.

ქალბატონ ლილისთან, ჩემი დის კირას წყალობით, მქონდა უფრო ახლო ურთიერთობა. ძალიან უყვარდა ჩვენთან სტუმრობა. 1966 წლიდან, მართალია, კირა თბილისში გადავიდა, მაგრამ ქალბატონი ლილი დედას ყოველთვის სიყვარულით მოიკითხავდა, ხშირად გვესტუმრებოდა.

პიონერთა სასახლეში ახალგაზრდა პოეტებზე ზრუნავდა ბატონი ვასო გვეტაძე, რაშიც გაერთიანებული იყვნენ ქალბატონი ლილი, კირა, ზურაბ კუხიანიძე, ვახტანგ ჯავახაძე, ვახტანგ გოგოლაშვილი და სხვები, რომლებმაც ქართულ ლიტერატურაში გარკვეული კვალი დატოვეს.

დილით ადრე იცოდა თეთრ ხიდზე გამოსვლა და მერე სამსახურისკენ გაეშურებოდა. ქალბატონი ლილი საჯარო ბიბლიოთეკის გამგე გახლდათ არასდროს დამავიწყდება, გამოვიდა თუ არა ჩემი პირველი წიგნი „ჩვენი თვალები" ძალიან გაუხარდა და 1981 წლის 1 აპრილს მოაწყო კიდეც ბიბლიოთეკაში ჩემი პირველი წიგნის განხილვაც.

ერთ დილით თურმე ქალბატონი ლილი ბიბლიოთეკაში ერთი გზით, მერიის წინა შენობას ჩაუვლიდა, გადმოვიდოდა, პირდაპირ ბაღს გაივლიდა და სამსახურში ყოველთვის ასე მიდიოდა. ერთხელაც მერიასთან შეხვედრია ბატონი ვალერიან მიზანდარი და ბუჭა კანდელაკი, რომლებსაც ლილის ჩავლაზე რაღაცაზე გაცინებიათ. ლილი შეჩერებულა, მიტრიალებულა და უკითხავს, რა იყო, რაზე იცინითო.

ბუჭა კანდელაკს უთქვამს:

—რავა გკადროთ, ქალბატონო ლილი, და წუხელ თურმე ვალიკოს დასიზმრებიხართ. ლილის, რომ გაიგო მათი სიცილის მიზეზი და არც დაუყოვნებია პასუხი:

—ისე რა ვუთხრა მიზანდარს, მაგი ვერაფერს მიზამდა...

საერთოდ, იუმორის გრძნობა ჰქონდა კარგი და არც ხუმრობაზე არ განაწყენდებოდა. საზოგადოებისათვის კარგად იყო ცნობილი ჩვენი ურთიერთობა. ხშირად შეხვედრებზე ერთად ვიყავით და გვთხოვდა ხოლმე რაც თავს გადაგვხვდენია სხვა შეხვედრებზე ახლა ეს მოყევი, ახლა ისო და მეც ვუსრულებდი სურვილებს. ჩემი საუბრის დაწყებამდე უკვე ისე გეძრიელად იცინოდა, ცრემლებამდე მიდიოდა და თან სიცილით იგუდებოდა ბატონი. ქალბატონი ლილი ქართულის პედაგოგი გახლდათ სკოლაში დეიდაჩემი, ელიზა აბულაძე.

მერე ცხოვრებამ ისე მოიტანა, რომ მე მის მეზობლად დავსახლდი, რითაც ძალიან კმაყოფილი და გახარებული იყო და უკვე, თავისთავად უფრო ხშირად ვიყავით ერთად. განსაკუთრებით ყურადღებიანი იყო ჩემს მიმართ. რატომღაც სულ ეჩვენებოდა, რომ საჭმელს არ ვჭამდი დამინახავდა თუ არა ეზოში შემოსულს, აუცილებლად შემომიპატიჟებდა.

—გმადლობთ, არ მშია?

—გშია თუ არა, ეს, მე უფრო ვიცი! შენ ბავშვობიდან უჭმელი ხარ და ახლავე აქ მოდი ჩქარა, ისადილე.

—არ ვარ უჭმელი.

—შენ მასწავლი, რაცა ხარ?

—რა იცი?

—მე რას გამომაპარებ შენ? ფული შენ არ გაქვს და ბაზარში შენ არ დადიხარ, გაზი შენ არ გაქვს, სადილს შენ არ აკეთებ და შიმშილით იკლავ თავს.

—ვინ გითხრა მაგი?

—ვიცი მე!

—საიდან იცი?

—ყველას გააქვს ნაგავი შენს გარდა.

სიცილი ამიტყდა, ის გაგულისდა.

—რა გაცინებს? ჭლექი დაგემართება, ამოგძვრება შიმშილიით სული და ჩვენი გასასვენებელი შეიქმნები.

—სულერთია, მშიერი ვიქნები თუ არა, რომ მოკვდები, მაინც თქვენი გასასვენებელი ვიქნები.

—მე ნუ მომასწროს ღმერთმა!

—ვიცი, ჩემო ლილი! სადილი არ მინდა და ისე ვისაუბრეთ.

მერე ეზოში ორმა ქალბატონმა გვიკითხა ორთავე. სასწრაფოდ კაბის გამოცვლა მომიწია. მანქანა გველოდებოდა ორივე სკოლაში უნდა წაგიყვანოთო, შეხვედრას გიწყობთ და მთელი სკოლა გელოდებათო.

რა მექნა!

უცებ გამოვიპრანჭე და მათ გავყევი.

მანქანიდან გადმოსულებმა სულ ტაშის გრიალით გავლიეთ სკოლის ჭიშკრიდან მოსწავლეებისაგან გაკეთებული ნაირნაირი ყვავილების დერეფანი და ისე შევედი სკოლის დარბაზში.

შევედით და დაიწყო კიდეც შეხვედრა.

ორმოცმა ბავშვმა, სულ ცალ-ცალკე გვაქო და გვადიდა ორთავე. ორმოცმა ბავშვმა ჯერ ქალბატონი ლილისა და შემდეგ კი ჩემი ლექსები თქვა, ორმოცმა ბავშვმა იცეკვა და იმღერა. ორმოციენი ბავშვს გაუჩნდა შეკითხვები და ორმოციენზე ლილის ნებართვით, მე მომიწია პასუხის გაცემა. გადაღლა კი მა'შინ ვიგრძენი, როცა შეხვედრა ისე გაგრძელდა, რომ ლილიმ გვერდ'ში ხელი წამკრა და ხმადაბლა მითხრა, ჩქარა მოიმიზეზე რაღაც და წავიდეთო.

მეც არ დავაყოვნე და მთხოვეს თუ არა სიტყვა, ძალზე თავაზიანად გადავუხადე მასპინძლებს მაბლობა და ბოდი'ში მოვუხადე, სპექტაკლი მაქვს და უნდა წავიდე-თქო, თან საჩუქრად საკუთარი წიგნები გადავეცი და დავეშვიდობე კიდეც, მაგრამ...

—აჰ! ასე როგორ გაგი'შვებთ! ვერა, თქვენი ჭირიმე—თავი მოიკლა დირექტორმა და მას დამრიგებელი აჰყვა.

—ასე ნამდვილად ვერ გაგი'შვებთ!—თქვა და მერე ბავშვებს მოუტრიალდა—ბავ'შვებო, ჩვენ. რა გვაქვს საპატიო სტუმრებისათვის?

—საჩუქარი!—ერთად აყვირდა მთელი კლასი.

—ნუ წუხდებით! არ არის საჭირო!—ვთქვი, მაგრამ ტა'შის გრიალით გადმომცეს დაახლოებით ნახევარი ჩემი ოთახის ხელა წიგნი—-„როგორ უნდა მოვამზადოთ ქართული კერძები".

მე, დიდი მადლობა გადავუხადე და შემდეგ დასაჩუქრებულმა ქალბატონ ლილის გადავხედე, რომელსაც ასევე რაღაც წიგნი აჩუქეს.

—უსათვალოდ ვერ ვხედავ, გოგო! ჩემი რა წიგნია მითხარი.—მთხოვა ლილიმ.

მე ჯერ წიგნის ყდას დავხედე, მერე კი მას გადავხედე და წიგნის სათაური ხმამაღლა, გამოთქმით წავიკითხე:

—ყველაფერი, რაც უნდა იცოდეს ახალგაზრდა ქალმა სექსის 'შესახებ!—და თან სიცილისაგან კინაღამ გავიგუდე. თანაც ლილის გადავხედე, რომელმაც ჩემსავით ხმამაღლა ვერ გაიცინა და სიმწრით გაგუდულს ისეთს ვხედავდი, რომ უკვე თვალებიდან ცრემლები სცვიოდა. ძალა მოვიკრიფე და სრულიად სერიოზული სახით ლილის ჩუმად გადავულაპარაკე:

—ამათ ეტყობათ, შეეშალათ! ეს წიგნი ალბათ ჩემთვის უნდოდათ და ხომ არ გავცვალოთ აქვე?

—რა ღირსი ხარ შენ მაგის! მოიტა აგერ! -წამოიყვირა უცებ და მისთვის განკუთვნილი წიგნი ხელიდან წამგლიჯა... შინ დაბრუნებუ-

ლები კი უკვე ხმამაღალა ვიცინოდით და მერე კი ეზოში შეკრებილებს მივუახლოვდით და მაშინვე ნარდის თამაშში ჩავები.

—რაზე ვთამაშობთ?—ვიკითხე მე.

—სადილზე! —მიპასუხა პარტნიორმა.

—იყოს, ბატონო!—დავთანხმდი და...

მოვიგე სადილი.

მოვიგე ღვინო მეორე მეზობელთან.

მოვიგე ხილი მესამესთან.

მერე კიდევ მოვიგე რაღაც.

ლილი თავზე მადგა და ვგრძნობდი, რომ უხაროდა.

უხაროდა სხვებსაც.

—ახლა რაზე ვითამაშოთ?—შევეკითხე ახალ პარტნიორს.

—საზამთროზე?—გამოაცხადა ქალბატონმა ლილიმ.

—იყოს საზამთრო! მაგას გავექცევი?—პასუხობს ბონდო და ხელში კამათელი შეათამაშა.

ჩემი მოპაექრე ღირსეული პარტნიორი გამოდგა. მომიკლა კენჭი, რომელიც კარგა ხანს ვერ გავაცოცხლე. ვხედავდი, რომ თანდათან მოგების შანსაც აშკარად ვკარგავდი, რადგან მოწინააღმდეგემ ყველა კენჭი თავის კარში ჩაიყვანა და გამოსვლაც დაიწყო. ჩემს გარდა ყველას ნერვიულობა ეტყობოდა. ამ დროს, ვილაცის ბინიდან, არ ვიცი ტელევიზორით თუ რადიო-რეპროდუქტორიდან რაველის „ბოლეროს“ მელოდია გაისმა და ჩემი ხელები თავისდაუნებურად ზევით წავიდა და ავცეკვდი.

—რა დროს ცეკვაა, გოგო! კენჭი გყავს მკვდარი!—მიყვირა ლილიმ.

—რა ვქნა, ვერ გავაცოცხლე და ახლა ერთი საზამთროს გულისათვის ვერ მოვიკლავ თავს. წაგების წინ, ესპანურს მაინც ვიცეკვებ.

—კაი აბა, გადი და გამოვალ!—მიპასუხა მან.

—შენ რომ გამოხვალ ჩემო, მე, დონ ხოხეს უკვე მოკლული ვეყოლები,—მივუგე ლილის, რასაც საერთო ხარხარი მოჰყვა.

მერე მოულოდნელად, უცებ კენჭიც გავაცოცხლე, თანაც იმ კენჭით მე თვითონ ოკეანში მოვუკალი გატეხილ კარში კენჭი, უკან დავაბრუნე, მერე სულ წყვილები ვაგორე და ბოლოს ჩემმა მოგებულმა საზამთრომაც დაამშვენა ეზოში გაშლილი სუფრა, საიდანაც დიდხანს, თითქმის შეღამებამდე, ისმოდა სიცილ-ხარხარი...

მან მე ასეთი ლექსიც კი მომიძღვნა:

ნახევრადხუმრობა

მსახიობს, პოეტს, პროზაიკოსს, დრამატურგს, დეკლამატორსა და ჟურნალისტ ნესტან კვეიძეს, ქალბატონმა ლილი ნუცუბიძემ „ტიტულოვან ქალბატონს“ ახალი ტიტულები მიუმატა—ჩემპიონი ნარდში, მეზობელი, მეგობარი—და გაზეთ „ქუთაისს“ ქალბატონ ნესტანისადმი მიძღვნილი ლექსი შესთავაზა.

რადიოს ჩართავ—ნესტანი,
ტელევიზორში—ნესტანი,
საათს მომართავ—ნესტანი,
უთოს ჩართავ და ნესტანი.
ყველა თეატრის სცენაზე
მღერის და ცეკვავს ნესტანი,
ყველა კლუბში და დარბაზში
ინსტიტუტში და სკოლაში.
ზაფხულია, თუ ზამთარი
აქ რომ გგონია, იქ არის.
იქ რომ გგონია, აქ არის
და ხშირად ჭირის თავქალიც
ყველას იმედით გახედავს,
ნესტანმა სიტყვა თუ არ თქვა,
მკვდარიც არ დაიმარხება.
არ უყვარს დროის დაკარგვა,
ძულს ლაყბობა და ხორცი,
რუსთაველს ერთი წიგნი აქვს,
ნესტან კვეიძეს—ორმოცი.
მერე რა, ქმარი არა ჰყავს,
ახლაც კოხტას და ჟინიანს
დღეს ყველა ბავშვი იმისი
შვილი და შვილიშვილია.
ასე ტურფა და ლამაზი
დიდხანს გვიცოცხლეებს უფალმა,
ჩვენი ქალაქის მშვენება
უბერებელი ფუფალა.

რაინდული სულის ადამიანი

ახლა, როცა ამ წერილს ვწერ, რატომღაც გამახსენდა ერთი ლამაზი სტრიქონები:

„კაცი უნდა კაცსა ჰგავდეს, არა ალვის ხესაო,
უთქმელად რომ გაიგოს, ჩემი გულის კვნესაო,
უსიტყვოდ რომ გამოგიწვდის სანუგეშოდ ხელსაო,
მა, რად მინდა, მილოცავდეს, მარტო დილა-მზესაო“...

ბატონი დავით მანდარია, მართლაც ალვის ხეს წააგავდა. უთქმელად ესმოდა ადამიანის, უსიტყვოდ აკეთებდა სიკეთეს, მოძმისათვის ცალყბად კი არა, მართლა გულითა და კეთილი ღიმილიანი სახით, მართლა მოგესალმებოდა.

დავით მანდარია დიდი რაინდული სულისა და ვაჟკაცური თვისებებით შემკული პიროვნება იყო. ყველა, ვისაც კი მასთან მეგობრული თუ საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა, დამეთანხმება თუ როგორი სიყვარულითა და სიკეთით სავსე გულს დაატარებდა. რა სამწუხაროა, რომ ასე მალე დადგა დრო მისი მოგონების.

ჩემს ოჯახთან ბატონ დავითს ახლო, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ჯერ კიდევ ბავშვობიდან, როცა იგი თოჯინების თეატრში მუშაობდა (1946 წლიდან 1952 წლამდე), მახსოვს, შეეხმიანეობდა დედას, ხვალ თეატრში პრემიერა გვაქვს და შენი კუდრაჭა მოგვიყვანეო. მეც ხალისით ვამზადებდი გაკვეთილებს, რომ მეორე დღეს თეატრს ვსტუმრებოდი, რომლის წინ ყოველთვის იდგა ეს ლამაზი კაცი. შემდეგ კი წლები ისე სწრაფად გავიდა, როცა წამოვიზარდე, მეც უმცროს მეგობრად მთვლიდა და 1980 წელს უკვე ჩემი პირველი წიგნის ბეჭდვა დაიწყო თუ არა, სტამბაშიც ხშირად ვიყავი. ვსაუბრობდით. ყოველთვის სიყვარულით მხვდებოდა, მერე დედასა კირასთან პატივით მოკითხვას დამაბარებდა. მახსოვს, ერთხელ მითხრა: „იცი, როგორ მიხარია, რომ ჩვენმა ნორამ, უქმროდ, ქვრივმა ქალმა ასე კარგად რომ გაგზარდათო შვილები“.

მოგეხსენებათ, პირველი წიგნის სიხარულის მოლოდინი და მეც ყოველდღე ამ სიხარულს ველოდი და ვნერვიულობდი, რაშიაც, რა

თქმა უნდა, უჩვეულო არაფერი გახლდათ. შემპირდა, მალე გაგახარებ, პირველი იანვრისათვის წიგნი სახლში გექნებაო.

15 დეკემბერს კი სამსახურში, შესვენებაზე მითხრეს, შინ დარეკეო... მეც დედას დაველაპარაკე, რომელსაც საუბარზე შევატყვე, რომ ძალიან გახარებული ჩანდა რაღაცით და მთხოვდა, იქნებ ახლავე მოხვიდე, უნდა გაგახაროო. რა იყო-მეთქი, ვიკითხე, მაგრამ რომ მოხვალ გეტყვიო და...

თურმე იმ დღეს დასრულებულა წიგნი მთლიანად და რამდენიმე ცალი გამოუგზავნია დედაჩემისათვის, გაიხარებსო.

მე არ დამავიწყდება არასდროს იმდღევანდელი დედაჩემის სიხარულის ცრემლებაბრწყინებული სახე, გულში რომ ჰქონდა ჩაკრული პატარა თეთრყდიანი წიგნი, სანახავადაც კი არ მანებებდა რატომღაც, თითქოს და „ვეფხისტყაოსანი" დამეწეროს. ეს, გენაცვალე, საკუთრად მე გამომიგზავნა ჩემმა მეგობარმაო. ამ პირველი წიგნის პირველი ეგზემპლარი წარწერით ახლაც სახლში მაქვს და მას ჩემი არქივის უძვირფასეს განძად მივიჩნევ.

1988 წელს საცხოვრებლად წმინდა ნინოს ქუჩაზე გადმოვედი. ერთ საღამას რესტორან „იმერეთიდან" კიმი მანაგაძემ დამირეკა, წითელ დარბაზში (იქ, სადაც პიანინო იდგა) ბიჭები გელოდებიან და გადმოდიო. მეც არ დავოყოვნე და შევაღე მეორე სართულზე მდებარე წითელი დარბაზის კარები, სადაც ბატონები გივი მეფისაშვილი, მიშა ჭიჭინაძე და დავით მანდარია დამიხვდნენ. გაიხარეს ჩემი მისვლით. ბატონმა დავითმა ხელი გადამხვია და მითხრა:

—შენი აზრით, ვინ ბიჭები გელოდნენ?

—თქვენზე უკეთესი ბიჭები ვინ დამხვდებოდა-მეთქი,—ვუპასუხე.

ეს იყო ჩვენი ბოლო, ერთად სალხინო სუფრაზე თავის შეყრა.

ავადმყოფობისას მარტო ერთხელ ვინახულე. ათასი რამე ვუამბე, ზოგი ახალი, ზოგიც ძველი, სასაცილოც, მაგრამ ვხედავდი, რომ უკვე სიცილიც უჭირდა...

შემდეგ კი სამუდამოდ იმიერში გადასახლდა...

ჩემი მეორე წიგნიც მის ხელში დაისტამბა და ერთხელ ვუთხარი, კიდევ კარგი, რომ თქვენ ბრძანდებით აქ, თორემ ვინ მომაქცევდა ასეთ ყურადღებას-მეთქი. გაეღიმა და მიპასუხა, ნუ გეშინია შვილო, მე რომ არ ვიყო, ვინც დაგვხდება, ისიც ყურადღებით იქნება შენი შემოქმედების მიმართო და მართლაც, ჩემთვის ბატონი დავითი არაა

წასული, რადგან მისი სიცოცხლე გაგრძელდა მის შესანიშნავ შვილებში, ჩემს უმცროს, დიდ ძმა ილიაში, რომელიც მამის კვალზე დგას ამაყად, პატიოსნებით, კაცობით, ძმობითა და ერთგულებით, რადგან მას სულ ახსოვს, ვისი გორისაა და არც აქვს სხვანაირად მოქცევის უფლება.

ბატონი დავით მანდარია კი შეწირული კაცი გახლდათ თავისი საქმისადმი. მან კარგად იცოდა, რომ „სული არ კვდება, წიგნი ხომ მისი სულია" და სწორედ დავით მანდარიას, ამ რაინდული სულის ადამიანის ცხოვრება, წიგნებშია გადასული, რაც არის ნათელი დასტური კიდეც მისი დიდი სულის უკვდავებისა.

შეჩერებული წამები

გამიგონია, უთქვამთ, სურათი შეჩერებული წამიაო და მე ვიცი, რომ ყოველ ასეთ შეჩერებულ წამს, ყოველ სურათს, ადამიანივით თავისი ბიოგრაფია და პატარა ისტორიაც აქვს, რაც ყოველთვის რაღაცას გაგონებს ისეთს, დაუბრუნებელს, რომელსაც გარდასულ დღეთა გამო, ხან ნოსტალგიას იწვევს, ხან კი გაგაცინებს, ხანაც ეს წამი გეამაყება კიდეც, ხან აგაცრემლებს, ხან გვიან ხვდები, რომ ის წამი არ ყოფილა უბრალო, რაღაც ისეთი დეტალია შენი განვლილი ცხოვრებისა, რომელიც ერთ ლამაზ ფურცლად დარჩენილა და სწო-

რედ ასეთი ერთ-ერთი ლამაზი ფურცლის ისტორიაზე მსურს მოგითხროთ.

ჩემი ძველი წაბლის ულურსმნო ორსაუკუნეს გადაცილებული, ტრადიციულ ქართულ რიკულებიან სახლში, რომელიც გრიშაშვილის ქუჩაზე მდებარეობდა, რატომღაც მისკენ ყველას მიუხაროდა და ახლაც კი იქ ჩამვლელს, რომელმაც კარგად ახსოვდა სტუმართმოყვარეობა ჩვენი, რამდენს უთქვამს ჩემთვის, იმ სახლთან ჩავლისას, ცრემლი მომადგა თვალზეო. მე კი ასე მეგონა, მიუხედავად იმისა, რომ ახლა სხვაგან ვცხოვრობ და თავზე აღარ მაწვიმს, მაგრამ დღემდე იქა ვარ და ამ სახლში კი უბრალოდ, ღამეს ვათევ.

ძველი სახლი, ტკბილი ბუდე, ლხინისა თუ სევდის.
იქნებ კიდევ ინახავდეს ნაფეხურებს დედის.
რა ახლოს და რა შორს არის ეს ხის სახლი ჩემი
იქნებ, ისევ ჩემს მისვლას და მოფერებას ელის.
იქნებ კედლებს ენატრება ღიმილი და ცრემლი
და ოთახში დარჩენილი, სიმღერები ჩემი.
დიდი ეზო, მოშრიალე ხეთა ფოთოლთ ჩრდილი,
ათასი რომ მაგონდება ვიცინი და ვტირი,
ო, ეს ქარი თუ დაურღვევს სიმყუდროვის წამს,
ალბათ, სახლსაც, ჰქონდა, რომ მეც მოვყვები ქარს.
ჩემს ხის სახლში მეფობს ახლა სიჩუმე და სიმარტოვე.
იქ ჩავლილს კი მესმის, თითქოს,— „გოგო, როგორ მიმატოვე?"
ახლა თავზე აღარ მაწვიმს ვცხოვრობ აქვე, ახლოს.
თქვენ ვერ გრძნობთ და მე ხომ ისევ იმ ხის სახლში ვსახელობ,
ვინც იქ არი, იგი ჩემს დარდს არ მიიტანს მკერდთან,
და გახვეტავს დაუნდობლად სულ ყველაფერს ერთად.
ძველი სახლი, ტკბილი ბუდე, ლხინსა და სევდის,
ხის იატაკს კვლავ აჩნია, ნაფეხური დედის...

ჩემს ძველ სახლს, ჩემი მეგობრები „მეგობრობის სახლს ეძახდნენ".

ამ სახლთან ახლოს იყო რედაქცია და შესვენებაზე ხან მე გამიშვებდა დედა რედაქციაში სადილით ხელში და ხანაც კირა, რუთა ბერიძე, ნუნუ შარაბიძე შემოირბენენ სადილის შესვენებაზე, ხან თავის სტუმრიანად და ჩვენც ყოველთვის გვიხაროდა მათი დანახვა, იყო სტუმარი თუ უცხო ვინმე.

ერთხელ დარეკა კირამ და გვითხრა შესვენებაზე რომ გაგეხარდებათ ისეთი სტუმრები შომყავსო და დედა და მე დავტრიალდით. მართალია კირამ მითხრა, ხუთი-შვიდი ვიქნებითო, მაგრამ, შვილო, ეი, სუფრა ათ, თორმეტ ან თხუთმეტ კაცზე უნდა გავაწყოთო,—მითხრა დედამ და ისე აგიხდათ ყველაფერი სიკეთე. გაიღო კარი და კირა შემოუძღვა ბატონებს: იოსებ გრიშაშვილს, აკაკი ხორავას, ემანუილ აფხაიძეს (მაშინ რუსთაველის თეატრი გასტროლებზე გახლდათ ქუთაისში), რუთა ბეროძეს, გივი მეფისაშვილს, დუდუ გელენიძეს, გიგა ძოძუაშვილს, შოთა ღვინიანიძეს და კიდევ რედაქციის ოთხ თანამშრომელს და ასეთი სტუმრების დანახვა ვის არ გაუხარდებოდა. დაურეკეს ბატონ აკაკი ვასაძეს, რომელიც თეატრში იყო. ესენი კი თურმე რედაქციაში ბრძანდებოდნენ, სურათიც კი გადაუღიათ და მერე ყველა ერთად ჩვენ გვეწვია.

მალე შემოგვემატა ბატონი აკაკი ვასაძე და სუფრაც აეწყო. თეატრში სპექტაკლისათვის 7 საათზე უნდა წასულიყვნენ და საღამომდე ჩემი სახლიდან ისმოდა ლექსის, სიმღერის ხმა, მსჯელობა თეატრზე, პიესაზე, მუსიკაზე, მხატვრობაზე, რაც ამ პატარა ფოტოსურათმა გამახსენა თავიდან.

მეგობრობის სახლი გვქონდა, სტუმარს ვთვლიდით ღვთისად,
შემოსული სუყველაფერს მიიჩნევდნენ მისად.
არჩეული ჰქონდათ სკამი, თავის საკარძელი,
ერთ კუთხიდან გვიღიმოდა დიდი სარკე, ძველი...
შემოჭრილი ქარი, ბინას, აკვანივით არწევდა.
და სიმძიმე, დიდთოვლობის ჭერს ხან დაბლა დაწევდა.
ამღერებულ როიალთან ყღერდა პიანინოც...
სიყვარული, სითბო იყო, ხანაც გვქონდა ღვინო...
ვინ არ შემოვიდოდა და ვინ, სტუმარს მოჰყვებოდა,
ამდენ ულევ, სითბოს მხილველს, უკვირდა, ოცდებოდა...
ზოგს მოჰქონდა თავის ლექსი... ვის ამბები ბევრი.
და ჭერი კი სახლის თვითონ, იხდებოდა მღერით.
ლუკმას ერთურს ვუყოფდით და ხან გვაწვიმდა, ხან გვათოვდა...
ვისაც, როგორ შეეძლო კი, მისებურად ის გვართობდა.
არ ვფიქრობდით, რომ გვიჭირდა, ან და ხვალ რა გველოდა.
ჩამოსული წვიმაც თავზე, ჩვენთან ერთად მღეროდა.
რა არ ახსოვს სახლის კედლებს, ლხინიც იყო, ჭირიც...

ბინა, მაინც ისევე დგას, როგორც მართლა გმირი...
სიზმარივით გარდავიდა ყველაფერი, დროსთან ერთად...
ზოგი ვკარგე მშვიდობაში, გაეშურა ზოგიც ღმერთთან.
მე რა სუსტი აღმოვჩნდი, რომ მივატოვე სახლი, ბინა...
თქვენ გგონიათ, რომ არ მაწვიმს, უფრო მშვიდად ახლა მძინავს?
იმის შემდეგ დავძრწი, ვეძებ, მეგობრობის დიდსახლს, სადმე,
სადაც, ხალხნო, ღვინის ნაცვლად, სიყვარულით დავთვრე, გავთბე...

ახლა კი როცა სოფელ მარტოდმარტო შემორჩენილი ჩემს არქივს გადავხედავ, ასე მგონია, ყველა ფოტო ან სტატია, თავიდან გაცოცხლებას მთხოვს თითოეული მათგანი, მაგრამ ეს ხომ ძალზე რთულია, ჩემთვის, მაგრამ იქნებ დადგეს დრო, როცა ყველაფერი ვიღაცისათვის და რაღაცისათვის საჭირო იქნება. მე კი ამ მასალების შემყურე ისევ იმ ძველ სახლში ვარ დღემდე, რომელსაც ამ პატარა ლექსში ვამბობ.

სიზმარში სულ ძველ სახლში ვარ, და ვეფერები აივანს
ახლა ვხედები, რომ მოვა დრო და იმ სახლიდან წამიყვანს...

და ვიდრე სიზმარში ისევ ძველ სახლში ვარ და ვიდრე ყველაფერი ძალიან კარგად შემორჩა დღემდე ჩემს მეხსიერებას, იქნებ ვინმესთვის მართლა საინტერესო გახდეს ჩემი არქივი, სადაც ბაბუაჩემის, იაკინთე აბულაძის ატესტატია 1899 წლის 25 აგვისტოთი დათარიღებული ვინმე ფონ-ბრენერის ხელის მოწერითა და ბეჭდით დამოწმებული, ილიასეული გაზეთი 1886 წლის იანვრის „ივერიის“ პირველი ნომერი, ლადო მესხიშვილის მიერ შექმნილი 1904 წლის პირველი ქართული დასის სურათი, სადაც ბაბუაჩემის უმცროსი ძმა, ცნობილი მსახიობი ვასილ აბულაძე უზის მის ფერთხით, რომელიც პროფესიით იურისტი გახლდათ. 1908 წლის აკაკის საიუბილეო საღამოზე სურათი, სადაც ისევ ვასილ აბულაძეა მთელ მაშინდელ ქართულ დასთან ერთად, რომელსაც მგოსნის იუბილეზე მისი ნაწარმოების გმირული გააცოცხლეს, ჟურნალი „თეატრში და ცხოვრება“ 1915 წლის (№2), რომელშიც 5 წლის დედაჩემის მოხსენიებული ბაღდათში გამართულ აკაკის საღამოზე, შიო მღვიმელის ლექსების კრებულის მეორე გამოცემა „ჩემი ყვავილეთი“, ჩემთვის ყველაზე ღირებული, ნიკო ლორთქიფანიძის მიერ დედაჩემზე ნაჩუქარი იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“, 1915 წლით დათარიღებული მეხუთე გამოცემა, რომელიც თურმე

დედას თან დაჰქონდა სადაც იყო. მამა ოფიცერი სამხედრო გვარდიის ინჟინერი მაიორი გახლდათ და რუსეთში, უკრაინაში თუ საზღვარგარეთ, კირას რომ არ დავიწყებოდა ენა და კარგად ცოდნოდა ქართული, ამ წიგნით ასწავლა თურმე მშობლიური ენა დედამ და კიდევ უამრავი აფიშები თუ პროგრამები, ფერშეცვლილნი, მაგრამ ჩემთვის ულამაზესი ფურცლები, რომლებიც დარწმუნებული ვარ, ოდესმე ვინმესათვის საინტერესო გახდება; ბუნებრივია, მოიძევსა და გამოიყენებს საჭიროებისამებრ ჩვენი ერის ისტორისათვის.

საუკუნოდ იყვავილებს, შენი ხსოვნის იები...

დიახ! ჩვენი—ყველასი, ვინც კი მასთან მეგობრობდა და ვისაც იგი იცნობდა. იგი ყველასი იყო, მე კი მეგონა, რომ მარტო მე ვიცნობდი ყველაზე ახლოს, მაგრამ, როცა მას გამოსათხოვრად მოსულები ვნახე, თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსული ჟურნალისტები, კოლეგები, მეგობრები, ნაცნობები, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი როგორ უყვარდა ყველას იგი, როგორც პიროვნება, რომლებიც ცხარე ცრემლებით ეთხოვებოდნენ უკანასკნელ გზაზე მიმავალ დიანა ციბაძეს, ამ გამორჩეულ ჟურნალისტსა და ადამიანს, რომელმაც თავისი მაღალი პროფესიონალიზმი არაერთხელ გამოამჟღავნა და თავგანწირვამდეც კი იყო მისული მისი საქმიანობა და მოღვაწეობა. მე, მასთან 23 წლის მეგობრობა მაკავშირებს. მაშინ, ჩემი და, კირა, გაზეთ „სამშობლოს" რედაქციიდან იყო მივლინებული თერჯოლასა და მთელ მის რაიონში, გაზეთისათვის მასალები უნდა შეეგროვებია და მეც თან წამიყვანა, რომ ინტერვიუებისა და შეხვედრების ჩაწერაში მივხმარებოდი. მაშინ რაიკომის მდივანი ბატონი ანზორ ბურჯანაძე გახლდათ, რომელმაც გაიხარა ჩვენი სტუმრობით და ადგილობრივი გაზეთის ჟურნალისტები დაგვახვედრა, რომ სხვადასხვა სოფელში მეგზურობა გაეწიათ. კირამ თვალი გადაავლო მათ, გაესაუბრა და მათ შორის წარბებგადაკალმული, ნუშისთვალება, ნაწნავებიანი ახალგაზრდა ჟურნალისტი, ნიჭიერი და ლამაზი, დიანა ციბაძე ამოარჩია და იმ დღიდან იგი არა მარტო მეგზური და უმცროსი კოლეგა, არამედ ჩვენი ოჯახის წევრიც გახდა და მალე იძულებული გახდა სამუშაოდ გადმოსულიყო ქუთაისში. მანამდე კი, 1984 წლის 26 ნოემბერს, კოტე

მესხის სახელობის მსახიობის სახლში გამართულ ჩემს შემოქმედებით საღამოზე, სადაც სხვადასხვა ქალაქიდან წარმომადგენლები ჩამობრძანდნენ, თერჯოლიდან დიანასათვის დაუვალებიათ მისასალმებელი სიტყვა, რითაც მე ძალიან გავიხარე და თავისი გამოსვლა მშვენიერი საკუთარი ლექსითაც კი დაასრულა. ეს იყო მისი პირველი საჯარო გამოსვლა ჩვენი ქალაქის საზოგადოების წინაშე„ რასაც ხშირად იგონებდა.

მოსაგონარი კი, სამწუხაროდ უამრავი მაქვს, მას უხაროდა ჩვენი ურთიერთობა. ხშირად თბილისში კირას სტუმრობდა და გადიოდა დრო... ღმერთმა უკეთ იცის, ვინ, ვისთან დაამეგობროსო,—უთქვამს ხშირად. ჩვენ, ალბათ ასე იყო საჭირო თვით უფალმა სულიერად დაგვაახლოვაო. წყალტუბოში ბინის მიღებამდე და მერედაც, სულ ერთად ვიყავით და მშვენივრადაც ვეტეოდით ჩემს ვიწრო გალიაში. ვსუნთქავდით პოეზიით, მუსიკით, ვმსჯელობდით ხელოვნებაზე და ღამეებს ლექსის კითხვაში ვათენებდით. ერთად ვიყავით ჭირშიც და ლხინშიც.

არ დამავიწყდება ომის წლები. ფარაჯაც კი უხდებოდა და დაუზარებლად ყველაზე ცხელი წერტილებიდან, სამაჩაბლოდან, აფხაზეთიდან, სვანეთიდან გვაწვდიდა ტელევიზიით ყოველგვარ ინფორმაციას. რამდენჯერ დილაუთენია, თითქმის უძილო წამომდგარა და ბევრჯერ გადაურჩა ტყვიას და ბოლოს ჭუბერიც ლტოლვილებთან, ტელეოპერატორ რეზი ბუხსიანიძესა და ნოდარ ლეკვეიშვილთან ერთად გადმოიარა, რომლის დაღუპვა ძალიან განიცადა.

რომელი ერთი უნდა გავიხსენო! როგორც საკუთარ დაზე ყველაფერს ვერ მოვიგონებ, ისე ძნელია მასზე წერა და თითქმის იგივე ტკივილს განვიცდი ახლა მისი ამ ქვეყნიდან წასვლით.

1991 წლის 16 დეკემბერს, როცა მწერალთა სახლში ჩავატარე

პირველად ასი ლექსის საღამო „იყოს ლექსები, სხვა არაფერი“, —წყალტუბოდან სკოლის მოსწავლეები ჩამოიყვანა და თავისი აზრი კი შთაბეჭდილების წიგნში დატოვა.

„ჩემო მშვენიერო და ძვირფასო ნესტან!

ზამთრის ამ მწუხარე და ცივ საღამოს რაოდენ დიდი სიხარული და სითბო გვაჩუქე! შენმა პოეზიის საღამომ კიდევ ერთხელ ნათელყო, რომ „იყო მრავალი განადგურება, ლექსთა სიკვდილი კი—არასოდეს!“

მე და ჩემს მოსწავლეებს, ისევე როგორც ყველას, ვინც ამ ცივ დარბაზში ქართული ლექსის ჯავარითა და ეშხით გაათბე და ტკივილები დაუამე, არასოდეს დაგვავიწყდება ეს ლამაზი დღესასწაული!

დიდი მადლობა ამ გაუხუნარი საღამოსათვის! შენ ღმერთისა ხარ, ნესტან, ღმერთისა და ჩვენი, შენი მეგობრებისა და ახლობლების, შენი თაყვანისმცემლების! ვლოცულობ შენზე და ბედნიერი ვარ, შენ რომ ხარ ამქვეყნად! სულ იყავი, ნესტან, სულ და მარადის! ამ ლექსს კი შენ გიძღვნი, რადგან შენ ხარ ჩემი „მარტოობის დედოფალი“. მე ხომ ეს სახელი შენ გაცნობისთანავე შეგარქვი.

რა ვუყოთ მერე, თუ შენი გზებიც
ჩემს ბედის ვასრკვლავს გვერდით ჩაუვლის,
ქარივით მარტოს და მიუსაფარს,
არ მელირსება დღესასწაული.
მერე რა, რომ გამწირავ უცებ,
დამრჩება რაღაც, როგორც წარსული,
მე მარტოობის დედოფალი ვარ,
მოლოდინის და ნატვრის ასული!
ტანზე მაცვია ტკივილის კაბა,
სევდის იებით ამოქარგული,
დათოვლილია ჩემი ნატვრის ხე,
ტოტები—მიწის პირზე დასული,
მე მარტოობის დედოფალი ვარ,
მოლოდინის და ნატვრის ასული.

[illegible]

[illegible]

ამის შემდეგ ეს საღამო კიდევ ორჯერ გაიმართა და დიანა ორივე საღამოზე ჩემს გვერდით იყო, რა თქმა უნდა, გვერდს მიმშვენებდა 60 წლის საიუბილეო დღეზეც.

1993 წელს მის დაბადების დღეზე საჩუქრად გადავეცი ჩემი ლექსების პირველი წიგნი „მუსამბაზური", რომელშიც 21-გვერდზე მისდამი მიძღვნილი ლექსია დაბეჭდილი და იგი ცოცხალი ყვავილებით მქონდა ჩანიშნული.

„ჩემო დიანა!
ჩვენმა სულებმა თეთრმა და წმინდამ,
ცისფერი ზეცა გადაიარა
და სავანედ სიმყუდროვისა ჰპოვა კი არა,
ასე მგონია, რჩება იგი მძიმე მიწაზე,
რაღაც იარად"...

უნდა გენახათ, მისი სახარული! არ ვიცი ალბათ, ასე რა საჩუქარი გაახარებდა. თვითონ ხომ ექსპრონტებისა და კაფიების ოსტატი იყო.

ჩემს დედოფლობას კი ასეთი კაფიით გამოეხმაურა:

„დედოფალი უტახტო,
უფულო და უკაცო"...

ამ ზაფხულშიც ერთ დღეს ნატო გუბელაძემ და ნანული ცხვედიანმა მომინახულეს. მართალია, შეუძლოდ ვიყავი, მაგრამ მითხრეს თუ არა დიანას ამბავი, მაშინვე წავედი სანახავად და მის შეხედვაზე რომ ცრემლები წამსკდა, იქით დამიწყო დანუგეშება და შემომიტია კიდეც, შენ თავს მიხედეო. მერე რა არ მოვიგონეთ. ინგამ არქივი დამილაგაო და ჩვენ წიგნის გამოცემა შევთავაზეთ. ნანული და ნატო შეპირდნენ დახმარებასა და რედაქტორობას, არა, არ გეწყინოთ და, რედაქტორი ნესტანი იყოსო, უპასუხა ნანულის. შინ დაბრუნებულებმა კი გადავწყვიტეთ მის დაბადების დღეზე 15 ოქტომბერს ერთად წაკსულიყავით ყველა, გადაგველო კასეტაზე ჩვენი შეხვედრა და ჩაგვეწერა ყველაფერი, რასაც კი მოვიგონებდით ერთად სუყველა, მაგრამ, საუბედუროდ 14 სექტემბერს ხათუნა გოქაძემ დამირეკა და დიანას გარდაცვალების ამბავი ტელეფონით მითხრა...

კიდევ ერთი დიდი და მოუნელებელი ტკივილი მომემატა... ახლა კი ისევ მას დავესესხები.

ახლა მართლა ტკივილის კაბა მაცვია, ჩემო დიანა, ისეთი მწარეა ეს ტკივილი, რომ ძნელია სიტყვებით მისი გადმოცემა. არადა, არ

ვიცი რატომ მიწანასწარმეტყველე ეს 22 წლის წინ, ჩემო ნიჭიერო, საყვარელო და მართლა ტკივილებით წასულო, ნაადრევად გამქრალო, დაო!

შენი საიმქვეყნოში წასვლით დიდი ტკივილი დარჩა არა მარტო ქუთაისელ, არამედ ყველა ჟურნალისტს, შენს ახლობლებთან ერთად, მეგობარსა და ნაცნობ-ამხანაგებს დარჩათ სამუდამოდ. საუკუნო განსასვენებლის გზაზე მიმავალს, რატომღაც მომაგონდა შენი სტრიქონები, რეზო ხუხუნაშვილის ხსოვნას რომ გამოეთხოვე.

„სამუდამოდ აქეთ დარჩი,
შენეული იერით,
საუკუნოდ იყვავილებს
შენი ხსოვნის იები“

ცხელ ცრემლებს ვლვრი, დაგტირი, როგორც ძალიან ახლო, უახლოეს მეგობარს და ისე გეთხოვები სამარადჟამოდ შენი „მარტოობის დედოფალო“.

ილო

2005 წლის 14 იანვარს ქუთაისში გაიხსნა ილო ფოტოგრაფის ძეგლი, მისი ფოტოსახელოსნოს წინ, სადაც თითქმის მთელმა ქალაქმა მოიყარა თავი. ბევრი იყო ჩამოსული სტუმარიც.

კარგად თქვა, ბატონმა ოტია იოსელიანმა:—„იცხოვრე კაცურად, პატიოსნად და ძეგლს დაგიდგამენ. ეს ძეგლი პატიოსნებას დაუდგესო“. მართლაც, ძეგლი, რომლის ავტორი ნიჭიერი მოქანდაკე რეზო რამიშვილი, სულ რამდენიმე ხნის წინ ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ვერ მოესწრო ამ დღეს, მაგრამ ეს ძეგლი, რაიც ჩემს გამოსვლისას სიტყვაშიც ავღნიშნე, არის ორი შესანიშნავი ქუთაისელი ადამიანის, რითაც ორივ დაუბრუნდნენ მშობლიურ ქალაქს, რის ძალაც მხოლოდდამხოლოდ ხელოვნებას აქვს და ძალუძს დიდ ნიჭიერებას.

ილომ ხომ მთელი ცხოვრება ამ მასწავლებელთა სახლის კიბის ქვეშ გაატარა, სადაც თავისი სურათებით დიდი სამყარო ჰქონდა შექმნილი და იმიტომაც იყო, რომ ყველა პროფესიის ადამიანი, მისი მეგობარი იყო და ყველა ცდილობდა იმ სივიწროვეში როგორმე დატეულიყო.



მას მხოლოდ სახელით ვიცნობდით ყველა. გვარი არავის აინტერესებდა მისი. იგი უბრალოდ, ჩვენი ილო იყო, ყველა ქუთაისელისა და ძნელად მოიძებნება მისი თანატოლი, უმცროსი ან უფროსი თაობის წარმომადგენელი, რომელიც მას არ იცნობდა.

სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, ჩემს არქივში, მისი ერთი სურათი ვნახე, რომელსაც არც თარიღი აქვს და არც ის ვიცი, ვინ გადაუღო. შევიარე მასთან და ვაჩვენე, გაეცინა და წყნარად მთხოვა, დამიტოვეო. არა-მეთქი, შენ ხომ გაქვს ჩემი სურათი, მეც მინდა მქონდეს, შენი ფოტო-მეთქი.

—კაი, კაი!—მითხრა უკვე ქუჩაში გამოსულს, სადაც მისი მეგობრები და მედუდუკეები იდგნენ და მთხოვა, ერთი ის მომაგონე, შენ რომ იცი, ურიელიდანო.

ამას როგორც დავამადლიდი და მაშინვე ავუსრულე სურვილი.

„თუკი სიკვდილი ადამიანებს
თვალებს უხუჭავს სამარადისოდ,
მე ის უთოუოდ ამიხელს თვალებს,
ვნახავ სინათლეს, ჩემს შვილებს ვნახავ,
შენ კი ამაოდ დაგიწყებ ძებნას,
რადგან არა ხარ შენ ებრაელი!..“

ვამბობდი ამ სიტყვებს და თან მას ვაკვირდებოდი. იგი თავის ქნევით ემოწმებოდა ავტორს და თან სადღაც ღიმილით იცქირებოდა, ბოლოს კი მარტო ეს ფრაზა დაცდა:

—კაი რამეა, არა?—დაეკითხა გვერდში მდგომს, რომელიც, მე მგონი, არც კი გვისმენდა. მერე მადლობა გადამიხადა და წამოვედი მისი სურათით.



ფერისცვალების დღის ბოლოს მწერალთა კავშირში მისულს უხასიათობა ეტყობოდათ ჩემს მეგობრებს.

—ხომ მშვიდობაა-მეთქი?—ვიკითხე.

ზურაბ კუხიანიძემ ჩაილაპარაკა ხელის ჩაქნევით,—ამან, მგონი, არც იცისო და ტრისტან ჯანხოთელმა მითხრა ილოს გარდაცვალების ამბავი_

სხვათაშორის, სწორედ ფერისცვალების დღე იდგა მაშინაც, რამდენიმე წლის წინ, როცა მისი დაბადების 60 წელი ზეიმით აღვნიშნეთ მისმა სამეგობრომ. საღამო, მე და ზურაბ კუხიანიძეს მიგვყავდა.

წავიდა ჩვენი, ილო! ბევრმა არც კი იცის, რა იუმორი ჰქონდა ამ ჩუმ კაცს, უწყინარი იყო, კეთილი, როგორ უყვარდა პოეზია, ადამიანები და ქუთაისი.

მასწავლებელთა სახლის კიბის ქვეშ დაატია მისი საყვარელი ქუთაისლები თავისი ფოტოაპარატის მეშვეობით, უამრავი შეჩერებული წამით.

—ფული არ მინდა!—იტყოდა და სასმელს ხომ არავინ დაამადლიდა.

მახსოვს, ერთხელ პიჯაკი დაეკარგა.

—გიყიდით ახალ პიჯაკსო.—შეპირდნენ ბიჭები.

—პიჯაკს კი არ ვჯავრობ, ბიჭო, მის ჯიბეში, კოლია ნაჭყებიაზე დაწერილი კირას სტატია მქონდაო. მსგავსი გასახსენებელი უამრავია, მაგრამ არ დამავიწყდება და არ შემიძლია არ გავიხსენო 1974-75 წლის თეატრალური სეზონი, როცა ჩვენი თეატრი კაპიტალურ რემონტში გახლდათ და ჩვენი სპექტაკლები იმართებოდა საოპერო

თეატრისა და პარალელურად, „დეკას“—ოფიცერთა სახლის სცენაზე. იმ დღეს კი საოპერო თეატრში ვთამაშობდით ა. ოსტროვსკის „შემოსავლიან ადგილს“, რომელშიც მე ანნა პავლოვნას ვასრულებდი.

ძალიან დიდი თოვლი იყო. დავასრულე თუ არა პირველი მოქმედება სცენიდან გამოსვლისთანავე საგრიმიორო ოთახს მივაშურე, რადგან საშინლად ციოდა და თანაც ცოტას დავისვენებდი.

ოთახში შემოვიდა კამერდინერი ქალი და მითხრა, რომ კომენდატურაში ახალგაზრდა ვაჟი გელოდებაო.

მე არავის არ ველოდი. ვაჟის ხსენებაზე სიცივე დამავიწყდა, სარკეში ჩავიხედე, ქვეყნის პუდრი და სუნამო მივიფრქვიე, გრაფინიის სამოსი შევისწორე და იმ სიცივეში დიდი მარაოს ქნევით კომენდატურას მივაშურე, სადაც მეგონა გრეგორი პეკი და ალენ დელონი თუ არა, მათზე ცოტათი ნაკლები ვაჟი ხომ მაინც არ იქნებოდა! დავინახე თოვლისგან დათოვლილი ილო თოვლის ბაბუასავით იდგა სამორიგეოში და ილიმებოდა. მეც გავულიმე, მაგრამ მორიგეს ვკითხე, მე ვინ მიკითხა-მეთქი.

—ამანო!—მიპასუხა მორიგემ და ილოზე მიმითითა.

ამაზე უფრო გამეცინა.

—რა იყო ბიჭო, ხომ მშვიდობაა?—ვკითხე მას.

—კი! კი!.. ჩემთან ბიჭები გიცდიან და გამომიშვეს, ერთ წუთს გადმოვიდესო.

—შენნაირები ხომ?

—კაი ახლა! კაი! ერთი მინუტით გადმოდი.

—რომელი მსმელი მე მნახეთა, ა?

—კაი, კაი! გიცდიან და...

ისევ გამეცინა, პალტო მოვიცვი და გადავედი.

მის სახელოსნოში შესულს მართლა სამი „ბიჭი“ დამიხვდა. ესენი იყვნენ ბატონები პეტრე ჭაბუკიანი, ვალერიან მიზანდარი და გოგი შარაბიძე, რომელთა წინ გადაჭრილ ტაბურეტზე პურის რამდენიმე ნატეხი, ნახევარი ბოთლი არაყის ნახევარი და თევზის ორი ნაჭერი ეწყო.

—მე რომ არ ვსვამ, თქვენ ხომ კარგად იცით! რას მერჩით, ა? თანაც ხუთ წუთში ანტრაქტი დამთავრდება თუ არა, სცენაზე ვარ შესასვლელი.

—ჰოდა ერთ ლექსს კი მოასწრებ და წადი შენს გზაზე.—მიპასუხა ილომ ყველას მაგივრად.

—რომელი და ვისი ლექსი გინდათ?—დავეკითხე. თხოვეს.

—ის ქე რო იცი თამარ მეფეზე, კაი ლექსი რომაა,—დაიწყო გოგი შარაბიძემ, როგორც რაჭველმა, მოისურვა ორფურცლიანი პოემა-ლექსი.

—ვერ მოვასწრებ!—ვიუარე.

—რალაც საქართველოზე თქვი!—შემომთავაზა მიზანდარმა.

პეტრე ჭაბუკიანმა კი ერთი, რასაკვირველიაო თქვა და ჩაიხითხითა თავისთვის.

—ომარ ხაიამი თქვი და თავისუფალი ხარ,—მითხრა ილომ და როცა დავემშვიდობე ამ დიდებულ ადამიანებს, ილო გადმომყვა, ქუჩაში, არ წაიქცე ამ სიგრძე კაბითო და გზაში მითხრა:

—ისე, ხო ავკობა ებრაელის ჭკუამ ამ პროფესორებისას, ა?

მე სიცილით დავეთანხმე და თეატრის კარები შევაღე.

—ისე, რომ დაამთავრებ, თუ გადმოგვაკითხავ, ჩვენ აქ ვიქნებით, —მომაძახა თეატრში შემოსულს...

როცა ბატონ ზურაბ კუხიანიძის მასზე დაწერილი მოთხრობის გამოქვეყნება ვახარე და გაზეთი მივუტანე, თვალები აუწყლიანდა.

—კაი, კაი!—ისეთნაირად მითხრა, თითქოს იცოდა ამის შესახებ და თითქოს და არც დამიჯერა.

ერთხელ ილოს დამ მითხრა, რაღაც უნდა გაჩვენოო და ილოს მიერ გადაღებული კირას სურათი მაჩვენა, რომელსაც მისივე ექსპრონტი ამშვენებდა, ვთხოვე მოეცა, მაგრამ უარი მითხრა და იქვე ქსეროასლი გადავიღე და აი, გთავაზობთ კიდეც კირას ხელთნაწერს.

ილო, მარტო მისი თანამედროვეების სურათებზე არ მუშაობდა. ერთხელ ჩემგან წაიღო 1904-1905 წელს ლადო მესხიშვილის ქართული დასის სურათი და 1908 წელს აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამოზე, რომელიც ქუთაისის თეატრში გაიმართა, მისი სურათი, რომელშიც დედაჩემის ბიძია—მამის ძმა ვასიკო აბულაძე მსახიობი (პროფესიით იგი იურისტი გახლდათ) და სწორედ მისი წყალობა. შემორჩა ეს ფოტოები ჩვენს ოჯახს და გააკეთა მისი ასლები. ასევე გადაიღო ბაბუაჩემის იაკინთე აბულაძის დიპლომი, რად უნდოდა არ ვიცი. რომ ვკითხე რად გინდა-თქო, ასე მითხრა: რა იცი? ის მომწონს,

რო წერია „დან სეი ვკუტაისი პოტომსტვენნომუ დვორიანინუ“-ო.

ერთხელაც ნატო ვაჩნაძის უცნობი ფოტო გადმომცა, რომელიც ბატონი ელდარს გადავეცი, ერთხელ კი დილა უთენია ჩემს ღია კარებში შევნიშნე. შემოსვლა ერიდებოდა, ხომ არ გძინავსო.

—მძინარე ხომ არ გაგეპასუხებოდი-მეთქი! და ოთახში შემოსულს დავეკითხე, ხომ მშვიდობაა-თქო.

—კი! კი! ერთი ეს შენი სურათი მათხოვე და ხუთ წუთში დაგიბრუნებო, მითხრა ერთ-ერთ ჩემს სურათზე, რომელიც მხატვარ ეთერ ჩხიკვაძის მიერ ზეთითაა შესრულებული.

—მშვიდობაში-მეთქი!—ვუთხარი და სურათი კედლიდან ჩამოვხსენი.

სურათი მალე, ოც წუთში დააბრუნა.

რამდენიმე დღის შემდეგ კი ოთხ ნომერ მაღაზიასთან ჩავლისას დამინახა თუ არა, სახელოსნოში შემიპატიჟა და მაჩვენა ჩემი სურათისათვის, კედელზე ყველაზე მაღლა მიუჩენია ადგილი, თანაც ჩარჩოში ჩაუსვამს.

—რაა, ბიჭო, ეს? რად გინდა ამხელა დეკოლტიანი ჩემი სურათი?

—კაი, კაი! ახლანდელი ბიჭები სულ უცხოელი შიშველი ქალის სურათებს აკრავენ კედელზე და მე, შე ქალო, გიცნობ მაინც!—მითხრა, რაზეც ორივემ ბევრი ვიცინეთ.

მისი იუბილის, ფერისცვალების მეორე დღეს 20 აგვისტოს ჩემი დაბადების დღე იყო. ვიცოდი რომ ქეიფს ბიჭები, მეორე დღესაც გააგრძელებდნენ, მაგრამ მე ხომ ვერ გადავიდოდი. პირველი ილომ მომილოცა დაბადების დღე და მაგიდაზე არაყი დადგა, ხელი არაფერს ახლო, ხო იცი, ბიჭები მელოდებიან, დავაგვიანეო.

მე მადლობა ვუთხარი და შევპირდი, გვიან გადმოვალ-მეთქი. რესტორანში მისულს, თურმე უსაყვედურეს, სად ხარ აქამდიო.

—სად და ნესტანს მივულოცე დაბადების დღეო.

—რა მიუტანეო?—უკითხავს ვაჟა ჭყონიას.

—რა და არაყიო!—უპასუხია ილოს.

ბიჭები ახარხარებულან.

—როდის სვამდა ბიჭო არაყს კი არა, საერთო სასმელს ნესტანიო, მაგას არ ჯობდა, საჭმელი არ ექნებოდა და რამე მიგეტანო. თანაც რა გეჩქარებოდა, ჩვენც ხომ მისასვლელი ვართ, ვერ გვაცალეო,

უთქვამს მარიკა მარუაშვილს, მერე ზაურ შენგელია, მარიკა, ვაჟა ჭყონია, ზურაბ კუხიანიძე და სხვები ხელდამშვენებულებმა პურმარილი შემატეს ჩემი რამდენიმე ხაჭაპურით, ნამცხვარ-ხილით და ყავით გაწყობილ სუფრას.

ნეტავი იმ დროს!...

... იმ დღეს კი ილოს გამოეთხოვა მისი საძმო და სადაქალო. ყველა, ვინც მისი სამოცი წლის იუბილეზე უკლებლივ შევიკრიბეთ, როგორც ადგილობრივი, ისე ჩამოსული მეგობრები და რიგრიგობით ვიგონებდით ათას რამეს, რაც ჩვენდა საბედნიეროდ ვიდეოკასეტამ შემოინახა კიდეც.

ახლა ვხვდები, მისი სურათი იმ დღეს, რატომ არ დავუტოვე ილოს. ასე სჯობია! გაზეთით, რომელშიც მისი გამოსათხოვარი დავწერე და გამოგემშვიდობე, დავბეჭდე ის სურათი, რათა ყველასათვის მინდოდა, რომ კიდევ ერთხელ გამეხსენებია იგი, საუკეთესო პიროვნება ილია ხახიაშვილი, რომელსაც დაკრძალვის დღეს ყველამ ერთად ვუთხარით:

—მშვიდობით, ჩვენო ილო!

მისი სახელოსნოს წინ კი ისევ ავივლით და ჩავივლით სხვებთან ერთად. ჩვენ, აუცილებლად გავხედავთ ყოველთვის მის ძეგლს.

ასე, რომ ილო, ისევ ჩვენთანაა. ისევ ყოველდღე შევხვდებით ერთმანეთს, რადგან ილო ხომ ყოველდღე, ჩვეულებრივად იქ დაგხვდება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მე აღარასოდეს აღარ მომთხოვს იგი ლექსის, თუნდაც ერთი სტროფის წაკითხვას.

მერე რა!

მე მაინც ხომ შევჩერდები მისი ძეგლის წინ და რომელიმე ლექსის ერთ სტროფს, არასოდეს არ დავამადლი...

სარჩევი

მარადიული ვარსკვლავი 3
პირველი „არსენა“ ქართულ ეკრანზე 6
ასმეტელის კოცნა 8
მომღერალი თავადი კოწია 11
„ინდო-არაბ-საბერძნეთით“ და ბერძენი კოლხი მედეა 14
„ლამანჩელი“ მუსკომედიის სცენაზე 19
სისარულიძეების სამი თაობა 22
რუსთაველის გენიის უკვდავება 31
ქუთათურთა საამაყო შვილი 34
„და აქიმი ეგეთი ხამს“ 38
„მზერა ქართულია, სივრცის დაუნჯებით“.. 42
გურამიშვილის სატრფო 45
შუბლზე კოკი „ბაში-აჩუკისაგან“ 48
„აბა, დელი-დელა..“ 50
არსაკიძისა და მეფე ერეკლეს თამადობა უნაბის ძირში 53
„მზეო, თიბათვისა“.. 55
დადიანების „კენტავრი“ 57
ჭეშმარიტი ხელოვანის უკვდავება 59
ვახტანგ მეგრელიშვილი 68
ლამაზი ფურცელი 77
გრიგოლ ნაცვლიშვილი 80
ნიჭიერი მსახიობი 82
ორიგინალური ხელწერით 83
ხელოვანი 85
ავალო 94
შინმოუსვლელი მსახიობები 96
რა ხდება კულისებს მიღმა 97
ჩვენი სტუდენტური თეატრი 100
მატარებელში 05
მესამე სართული 112
კარანაძის ცხენებმა წაგვიყვანეს, ბატონო ოთარ! 129
„პეტერი“ ქუთაისში 130
დავით კვიცარიძე 136
კიდევ ერთი ტკივილი 143
ქალი და პოეტი 147
რაინდული სულის ადამიანი 154
შეჩერებული წამები 156
საუკუნოდ იყვავილებს, შენი ხსოვნის იები... 160
ილო 165

წიგნი

აიწყო და დაკაბადონდა

ა.ს.ტ. „ეგე 2006“-ში

ქუთაისი. პუშკინის ქ. №14. ტ.: 4-66-50

დაიბეჭდა

სტამბაში „თეთნულდი“

ქუთაისი. ფ. ვარლამიშვილის ქ. №16

ქუთაისი

2008 წელი